მამა ადამი

მე რომ ხელი ახლა შემახოს აწმყომ

ლექსები და სხვ.

გამომცემლობა „მირკანი“

2015

მამა ადამი
მე რომ ხელი ახლა შემახოს აწმყომ
ლექსები და სხვ.

Father Adam
If the Present Touches Me Now
Poems etc.

Père Adam
Si le présent me touche maintenant
Poèmes etc.

Отец Адам
Если Настоящее коснётся меня сейчас
Стихи и прочее

阿达么牧师
如今现触动我
詩歌等

ᲐᲛ
ᲬᲘᲜᲐᲗᲚᲘᲡ
ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ

წიგნის ზანდუკის პირველი ნაწილი.

პროლოგიანა

პროლოგის მაგიერ: ღირსი პორფირე კავსოკალივიტი. „ქრისტიანი რომ გახდე, პოეტის სული უნდა გქონდეს – საჭიროა ჯერ პოეტი გახდე“ 10

ისევ პროლოგის მაგიერ: „სულს დუღაბიც სჭირდება და ქვაც, ორნამენტებიც და გუმბათზე დასადგმელი ჯვარიც...“ (მარსელ პრუსტის ანკეტა) 14

და კვლავ პროლოგის მაგიერ: ჩანაწერი მანიფესტისათვის 22

პროლოგი, თავად პროლოგი 28

წიგნის ზანდუკის მეორე ნაწილი,

ანუ ხელში რომ გიჭირავთ, იმ კრებულში შესული ლექსების ჩამონათვალი ანბანური რიგის დაცვით

აბასთუმანი 49

აკაკი წერეთლის ტკივილი და ნატვრა 51

ამომათქმევინე 53

ანგელოსები და მათხოვრები 54

ანიკო გეგიაძის გარდაცვალებაზე
სოფელ არჩეულში 56

არტახები 60

ბათუმი. ბავშვობა. სოხუმის ქუჩა. 63

ბებერი თივის ზვინების გახსენება 68

გარდაცვალება (ნეტავ, რა უნდა მეთქვა…) 71

გარდაცვალება (თიბათვის მზის და...) 72

გარდაცვალებაა, რასაც ველი 73

გასაუბრება 75

ეკლები 76

ელსინორი. ახლა კი მივალ 78

ეპილოგის მაგიერ 88

ვარინკა ხიმშიაშვილის ობლების ამბავი 90

თითები – მუზათა ქანდარა 99

თეთრბატონები 102

თეთრი და ფერადი ლექსები 104

თორემ რას გავძლებ 106

ის ერთი ამოსუნთქვა 108

ისევ ცისა და ისევ მიწისა 110

ისტორია 112

იქ და აქ 116

მათე მახარებელი. იოჰან სებასტიან
ბახი. „ვნებანი“ 121

მარადისობის მონატრება შებინდებისას 125

მარსელ პრუსტის ანკეტის
პოსტსკრიპტუმი 131

მახსოვდა ქარი 135

მე რომ ხელი ახლა შემახოს აწმყომ 137

მზესუმზირები 145

მიძნაძორელი ბერის დაჩივლება 152

მშობლების სახლი გამახსენდა 154

ნისლებში აფრენილ ბილიკთან 157

ნუ გაწვიმდები, ჩემო ყრმობავ 161

ოთარაანთ ქვრივივით დედაკაცი 162

ოთხი ნიჟარა 173

პარასკევისფერ სპექტაკლზე
ესმა ონიანის სამხატვრო სტუდიაში 180

„პირველად იყო სიტყვა“, ანუ ბგერები 187

პლაჟზე, სასტუმროს აივნიდან 190

სანთელი 193

საფლავებზე ამოკაწრული
წარწერები სინანულისანი 195

საშობაო ნაძვის ხესთან დამშვიდობება 197

სიკვდილს მიათრევს უხსენებელი 206

სკივრიდან 208

სოფლის დასტური 215

სტრიქონები 2008-ე ფურცლიდან 219

ტკივილი ჯერ დუმს და მერე ქრება 224

ტყემლების ღამე 229

უბისა 231

უნებლიე ჭირისუფალთა სამძიმარი 233

უსასრულობა 235
უფლის ხის ტოტით დავიფიცებ 237
ფარდების მიღმა 238
ფერების ჭადრაკის თამაში მეგაპოლისში 239
ფიჭვი და ფარა 244
ქალაქი ტრამვაის გარეშე 246
ქვევრის რეკვიემი 249
შენ, სასოების ნიბლია ჩიტო 258
შენი სულის ფსკერზე ამომწვარ ღარებად 260
„ჩავიფერფლები!“ 263
ჩარგალში 265
ჩემი ბოცორია 268
ჩემი მამაჩემი 277
ცის ქვეყნიდან, წვიმის ბილიკებით 281
წარწერა ირინე გაგუას ნახატზე „ივერიელნი“ 286
წითელი ტყემლის ხე 288
წინანდალი 290
წუთისოფელი 292
*** (სასტიკი სენი – კაცის სულის
უკმარისობა...) 294

ის, რაც წიგნის ძირითად განდუკს გარეთ დარჩა

ლეილა გეგუჩაძე. სიმაღლეებზე, სიღრმეებსა
და სიგამჭვირვალეზე 296

ემზარ კვიტაიშვილი. ახალი წიგნი, ახალი
სუნთქვა 304

მთვარისა კერესელიძე. “აღვხედე:
სასოება ცის ზემოთ აისობდა“ 316

“ჩვენ ახლაც, ამ წუთას ისტორიას ვქმნით, ვწერთ
და მისი ნაწილი ვხდებით!” (ელენე სარალიძისა
და სალომე შოშიტაშვილის ინტერვიუ) 330

მამა ადამი. „უშენობის ასი დღე და ღამე“
(ესსე) 352

ღირსი პორფირე კავსოკალივიტი

„ქრისტიანი რომ გახდე, პოეტის სული უნდა გქონდეს – საჭიროა ჯერ პოეტი გახდე“

რაც ჩვენს ირგვლივ არსებობს, სულ ღვთის სიყვარულის წვეთებია. გიხაროდენ! განა ყველაფერი ღვთის სიყვარულს არ გვასწავლის და სიყვარულისკენ არ მივყავართ? დიახ, ყველაფერი, რაც კი ჩვენს ირგვლივაა – სულიერიც და უსულოც, მცენარეებიც, ცხოველებიც, ფრინველებიც, მთებიც, ზღვაც, დაისიც და ვარსკვლავებით მოჭედილი ცაც – ღვთის სიყვარულის წვეთებია. ამ პატარა სიყვარულით ჩვენ თვით სიყვარულს, ქრისტეს მივეახლებით.

მაგალითად, ყვავილები თავიანთი სილამაზით, კეთილ-სურნელებითა და დიდებულებით გვასწავლიან. აკი ისინი ამ სურნელებასა და სილამაზეს ყველას უზიარებენ, ცოდვილთაც და მართალთაც.

ქრისტიანი რომ გახდე, პოეტის სული უნდა გქონდეს და უნდა გახდე კიდეც პოეტი. „უხეში“ სულები უცხონი რჩებიან ქრისტესთვის. ქრისტიანი, – ეს კი უნდა ითქვას, რომ მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც უყვარს, – პოეტია: პოეზიაში სუფევს. პოეტური გულები კი მთელი არსებით იმსჭვალებიან სიყვარულით, თავიანთ სიღრმე-ებში, გულისგულში ადებინებენ მას ბინას, მთლიანად ისისხლხორცებენ და მთელი სისავსით გრძნობენ.

სასიკეთოდ მოიხმარეთ ყოველი წამი! თითოეული მათგანი ხომ მშვენიერია, სულს სალოცავად განაწყობს, სინატიფეს მატებს, აკეთილშობილებს, პოეტურს ხდის.

გაიღვიძეთ ადრიანად, რათა იხილოთ, როგორ ამოიწვერება მეწამულ ძოწეულში გახვეული მზე ულურჯესი ზღვის ჰორიზონტზე! ხოლო როდესაც რომელიმე ადგილის მშვენიერება, კოხტა ტაძარი, ან კიდევ სხვა გასაოცარი რამ აღგაფრთოვანებთ, ნუ დაკმაყოფილდებით ამ განცდით, უფრო შორს წადით – ადიდეთ უფალი მთელი ამ მშვენიერების შექმნის გამო და თავად იცხოვრეთ მხოლოდ იმითი, რაც მშვენიერია! ყველაფერი წმინდაა: ზღვაც, რაც წყალში მოძრაობს და ისიც, რაც საზრდოდ გვეძლევა. ყველაფერს უნდა შეჰხაროდეთ! აკი ყველაფერი გვამდიდრებს: გზას გვაკვლევინებს ღმრთისაკენ, რომელიც „სიყვარული არს“, ანუ ქრისტესთან მივყავართ.

ყურადღებით დააკვირდით ყველაფერს, რაც ადამიანმა შექმნა: დიდ და პატარა სახლებს, შენობებს, ქალაქებს, სოფლებს, თვით ადამიანებს, მათ კულტურას. გამოიძიეთ, გაიმდიდრეთ ცოდნა ყველაფრის შესახებ – ნუ დარჩებით გულგრილნი! ეს დაგეხმარებათ უკეთესად ჩასწვდეთ ღვთის მიუწვდომელ არსებას, მის თვისებებს.

თუ გინდა ილოცო და მადლობაც შესწირო შემოქმედს, უამრავ საბაბს იპოვი შენს ირგვლივ. იცხოვრე ბუნებაში, შეიცანი სამყარო! ბუნება ხომ საიდუმლოებრიობით აღბეჭდილი სახარებაა. ოღონდაც, თუ ადამიანი მადლისგანაა დაცლილი, მას ბუნება როგორ დაეხმარება? ბუნებას შეუძლია გამოგვაღვიძოს, მაგრამ სასუფეველს ვერ დაგვამკვიდრებინებს.

ვისაც სურს ქრისტიანი იყოს, უნდა შეეცადოს თავისთავში განავითაროს ალღოიანობა, მგრძნობიარობა და გულისხმიერება – უნდა გახდეს პოეტი!

ქრისტიანის სული ალღოს ადვილად უნდა იღებდეს, ნატიფად გრძნობდეს, ფხიზელი გონებით ითვისებდეს. იგი არ უნდა სწყდებოდეს რეალობის სულიერ განზომილებას – სული უნდა დაფრინავდეს უსასრულობაში, მდუმარებაში, ვარსკვლავთა შორის, ღვთის დიდებულებაში (აკი სწორედ პირიქით – ოცნებებში ცხოვრება გახლავთ შეცდომა, რადგან ასეთი მდგომარეობა სიფხიზლეს უკარგავს სულს და ხედვას უბუნდოვნებს).

ვისაც სურს ქრისტიანი იყოს, ჯერ პოეტი უნდა გახდეს. ეს უდავოა! მაგრამ ამისთვის ხომ გული უნდა გაცოცხლდეს! ამას კი ტანჯვა სჭირდება: უნდა გიყვარდეს და იტანჯებოდე, იტანჯებოდე იმის გამო, ვინც გიყვარს... რადგან სიყვარული იმის გულისათვის, ვინც შეიყვარე, არაფერზე დაგზარდება. იგი მთელი ღამე ირბენს, არ დაიძინებს, ფეხებსაც დაისისხლიანებს, ოღონდ კი მას შეხვდეს, ვინც უყვარს... სიყვარულით შეპყრობილი მზადაა, ყველაფერი შესწიროს, არაფრად ჩააგდოს ნებისმიერი საფრთხე და სიძნელე...

ქრისტესადმი სიყვარული კიდევ უფრო განსხვავებული რამაა – იგი უსაზღვროდ და უსასრულოდ ამაღლებული სიყვარულია!

ლირსი მამა პორფირე კავსოკალივიცი (ბერძენი),
მთაწმიდელი (1906-1991)

ისევ პროლოგის მაგიერ:
„სულს დუღაბიც სჭირდება
და ქვაც, ორნამენტებიც და
გუმბათზე დასადგმელი ჯვარიც...“

მარსელ პროუსტის ანკეტა[1]

1. **თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**

– როდესაც სულაც არ განაღვლებს, რომ ოდესღაც, არა, ოდესღაც კი არა, ამ ორი ათასი წლის წინ, დედამიწაზე, წმინდა მიწაზე დადიოდა ხორცშესხმული ღმერთი – უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე; ჰაერს ეხებოდა მისი ხმით გამოცემული ბგერები; მის ყურთასმენას სწვდებოდა ადამიანების გულების ბაგაბუგი, ტირილი, ლოცვა, ყვირილი, ხმაური და დედა ღვთისმშობლის ნამღერი ნანა; მის თვალებში ირეკლებოდა ადამიანთა სახეები, სახლები, გზები... და უკიდეგანო თანაგრძნობიანი სიყვარული და ტკივილი!

2. **სად ისურვებდით ცხოვრებას?**

– სულიერად და კულტურულად აღორძინებულ, ზნეობრივ და განათლებულ საქართველოში.

3. **რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

– როდესაც ცხოვრობ იმის შეგრძნებით და განცდით, რომ ხარ ადამიანი, ე. ი. შენშია ზეციურიც და მიწიერიც, სულიერიც და ხორციელიც, ხილულიცა და უხილავიც, მარადიულიც და წარმავალიც... ვაჟა რომ ამბობს:

1 ეს ინტერვიუ სათაურით „დრო, დრო აღნიშნე!“ გამოქვეყნდა ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ (2015, N9, გვ. 4–6). მოამზადა თამარ ყალიჩავამ.

მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდი ღმერთთანა.
საკეთილდღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულადა:
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი
მჭონდა მეორე რჯულადა.

აი, ეს მდგომარეობაა ჩემთვის უმაღლესი ბედნიერება!

4. **თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

– ოთარაანთ ქვრივი-მეთქი, – პირველი, რაც თავში მომივიდა. მერე კი ისე ღრმად დამაფიქრა ამ ერთი შეხედვით უბრალო კითხვამ... კიდევ ვინ? აღმოვაჩინე, რომ საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოებების მთელი ზღვაა, მაგრამ როგორ და რა ნიშნით უნდა გამოარჩიო მათში საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები? ვინ არიან ისინი? ვინც შენთვის იდეალია, მისაბაძია, თუ ვისაც თანაუგრძნობ, უბრალოდ, გიყვარს, გულისფანცქალით ელოდები, რა მოხდება წიგნის მომდევნო ფურცლებზე... რამდენჯერ შემიწყვეტია კითხვა იმის მოლოდინით, რომ ახლა, ამ ჯერზე მაინც შეიცვლებოდა გმირის ბედი, კიდევ ერთ დარბევას გადაურჩებოდა ქართლი, აღარ მოკვდებოდა ის, ვინც უკვე შევიყვარე... ხოლო მე შევიყვარე უბრალოდ ლიტერატურული პერსონაჟი! ნუთუ ყველა? ალბათ. ან უმეტესი მათგანი მაინც.

5. **თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?**

– უპირველეს ყოვლისა, ქრისტეს მოციქულები; მერე - ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე; და, რაც ერთობ მნიშვნელოვანია – მატიანეთა მიღმა დარჩენილნი, უსახელონი, უდიდესნი, ერთადერთნი... ცხადია, ეს მაინც არასრული ჩამონათვალია!

6. **თქვენი საყვარელი მხატვარი?**

– ვან გოგი.

7. **თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?**

– იოჰან სებასტიან ბახი.

8. **რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

– სამშობლოსა და ოჯახის ერთგულებას სიკვდილამდე.

9. **რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?**

– ფარხმლიანობას. აი, ილია რომ ბრძანებდა: „ქალი უფარხმალო დედაკაცია, დედაკაცი ფარხმლიანი ქალია და სად მოვლენ ერთმანეთთან! ვაი რომ "დედაკაცნი" წავიდნენ, აღარ გვყვანან და "ქალებიღა" დაგვრჩნენ და ჩვენის ფიქრით, ესაა სხვათა შორის სათავე ჩვენის უბედურებისა".

10. **რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?**

– მო(შე)წყალება.

11. **თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

– წერა-კითხვა.

12. **თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

– მე ძალიან მინდოდა მაქსიმალურად მივმსგავსებოდი იმას, ვინც ჩაიფიქრა შემოქმედმა, მე რომ მომიყვანა არარსებობიდან მყოფობაში.

13. **თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

– მეც მინდა ვიცოდე. ალბათ, ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მთელი ცხოვრების გაანალიზება ესაჭიროება. ასე, რომ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით.

14. **რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

– დროსა და ამინდზე დამოუკიდებელი მეგობრობის უნარს.

15. **თქვენი მთავარი ნაკლი?**

– მთავარ ნაკლს როგორც კი აღმოაჩენს ადამიანი, ყველაფერი უნდა იღონოს, რომ ფესვებიანად ამოიგლიჯოს იგი, როგორც უკეთური რამ... თუმცა ხშირად ამას ვერ ვახერხებთ და ერთი ნაკლი მეორეს ბადებს, მეორე – მესამეს... აი, სწორედ ესაა ყველაზე მთავარი ნაკლი, რომ ნაკლთან ერთად თანაარსებობა და ცხოვრება შემიძლია!

16. **თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

– ბედნიერების წუთებისა და წამების განცდა თუ მოგვეცა, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ცხოვრება ბედნიერია. ამიტომაც, როცა გვიჭირს, ვმწუხარებთ, ვმარცხდებით, გვტკივა, გვღალატობენ... არ შეიძლება თავი უბედურად ჩავთვალოთ. ვინც გაიგო ბედნიერების გემო, მაშ, იგი ბედნიერიც ყოფილა ამ ცხოვრებაში!

17. **რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

– რომ არ დავბადებულიყავი.

18. **როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?**

– ყმაწვილკაცობაში მინდოდა ვყოფილიყავი ძალიან ლამაზი, ძლიერი, უსაშველოდ ნიჭიერი, მომხიბვლელი, წარმატებული, პოპულარული... ახლა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი თავით კმაყოფილი როდი ვარ, მადლობელი ვარ ღმრთისა, რომ სწორედ ასეთი ვარ, როგორიც ვარ და არა სხვაგვარი.

19. **თქვენი საყვარელი ფერი?**

– მწვანე.

20. **ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

– ისე ძალიან მიყვარს ყვავილები, როგორ გავბედო, ერთი გამოვარჩიო. თუმცა ეს გამბედაობა კი არა, ღალატი იქნება! მაპატიეთ, ვერ ვუღალატებ ყვავილთა ადამიანთათვის შეუცნობ სიმრავლესა და მრავალფეროვნებას... (ამ კითხვაზე პასუხია ლექსი "მარსელ პრუსტის ანკეტის პოსტსკრიპტუმი").

21. **თქვენი საყვარელი ფრინველი?**

– ბეღურა.

22. **თქვენი საყვარელი მწერალი?**

– დიკენსი, დოსტოევსკი, ყაზბეგი, ცვაიგი, პავიჩი, ნოდარ დუმბაძე...

23. **თქვენი საყვარელი პოეტები?**

– ვაჟა ფშაველა, ანა ახმატოვა, რობერტ ფროსტი... გალაკტიონი დაუწერლადაც იგულისხმება. თანამედროვეთაგან მთელი გულით მიყვარს ემზარ კვიტაიშვილი თავისი უზარმაზარი ერუდიციით, ქართული ენის თვალუწვდენელი ერთგულებით, ალალი მამულიშვილობით, იმისთანა ლექსებით, მარტო მის პოეტურ დიდოსტატობას რომ შეუძლია შექმნას.

24. **საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

– მოყმის დედა ხალხური ბალადიდან, ილიას ოთარაანთ ქვრივი, ჩემი ანიკო გეგიაძე...

25. **საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

– ცოტნე დადიანი, დიმიტრი ყიფიანი, ალექსი შუშანია და... ყველა „უსახელო უფლისციხელი".

26. **საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

– მარიამ მაგდალინელი და თამარ მეფე.

27. **საყვარელი სახელები?**

– მიხეილი, ნინო, ვახტანგი, დავითი, თამარი... ჩემთვის ყველა სახელი ლამაზია და საყვარელი.

28. **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

– უსინდისობას.

29. **ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

– ვინც კი საქართველო და მისი ვენახი ჭრა და ჩეხა...

30. **საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები აღტაცებისა?**

– დიდგორი. ასევე ყველა საომარი მოქმედება, რომელსაც იძულებით იწყებ, რადგან მტერი მოდის და სამშობლო ქვეყანას გეცილება.

31. **რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

– ქართველ ერს რომ შეაყენებს საქართველოს და ურთიერთის სიყვარულის გზაზე!

32. **ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

– რასაც შემოქმედი გამოიმეტებს, რადგან მშვენივრად უწყის, რა ჭურჭელიც ვარ. ისე კი, მე თუ მკითხავს, თეთრისა და შავის, კეთილისა და ბოროტის გარჩევის ნიჭს შევთხოვდი, ანუ გულს გონიერს...

33. **როგორი გინდათ რომ გარდაიცვალოთ?**

– ეს რა, შემოთავაზებაა? ყურადღებით გისმენთ.

34. **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

– ურთულესი, აურაცხელგანზომილებიან სამყაროში ყოველწამიერად ცვალებადი, დუღაბიც სჭირდება და ქვაც,

ორნამენტებიც და გუმბათზე დასადგმელი ჯვარიც, მაგრამ აკი ეს ყველაფერი ხუროთმოძღვრის საქმეა... ჰო-და მეც ყოველი სასოება ჩემი მასზედა დამიძს...

35. **ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

– ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ჩემი შემწყნარებლობის საზღვრები უსაშველოდაა გაფართოებული. საქციელის შეფასებაში ვარ უმკაცრესი, ჩამდენი კი მეცოდება.

36. **თქვენი დევიზი?**

– დრო, დრო აღნიშნე!

37. **თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

– თუკიო?! გარდაცვალებიდან მესამე დღეს ანგელოზებს გარდაცვლილის სული მიჰყავთ უფალთან. ეს არის უბედნიერესი წამი – პირველი შეხვედრა მაცხოვართან, როდესაც რწმენის ხანა მთავრდება, რადგან შენ უკვე ხედავ რეალურად მას – იესო ქრისტეს, ვისიც გწამდა! სამსჯავროზე კი, ***"რაჟამს მოვიდეს ძე კაცისაჲ დიდებითა თჳსითა, და ყოველნი ანგელოზნი მისნი მის თანა... დაჯდეს საყდართა დიდებისა თჳსისათა" (მათე, 25, 31),*** უფალს ორი სათქმელი აქვს ჩვენთვის გამზადებული: ერთი მარჯვნივ მდგომ ცხოვართათვის, მეორე – მარცხნივ დადგინებულ თიკანთათვის. რა თქმა უნდა, მე ვისურვებდი იმათ შორის ვყოფილიყავი, ვისაც ეტყვის: „მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, და დაიმკჳდრეთ განმზადებული თქუენთჳს სასუფეველი დასაბამითგან სოფლისაჲთ" (მათე, 25, 34).

2014 წელი, ავგისტო.

და კვლავ პროლოგის მაგიერ: ჩანაწერი მანიფესტისათვის

ღვთის შეწევნით ისევ ვდგავარ თქვენს წინაშე.

ვდგავარ

კაცი,

მამა,

ადამიანი,

ქართველი,

ვისაც ასე და ამგვარად გადაეწყვიტა იქ, სადაც ეგების ამგვარ საბედისწერო რამეებზე განაჩენების წერა, რომ გარდა ღვთისმსახურების, ქადაგების, დალოცვის, მეცნიერული და პუბლიცისტური ტრაქტატების, სადღეგრძელოებისა და გამარჯობის ენისა, კიდევ ლექსებისა და პროზის ენაზეც ვესაუბრო მომავალ თაობებს.

ისინი აუცილებლად მოვლენ და სამშობლოს სიყ-ვარულითა და უბედობით დასერილი გულებიდან ამოეხეთქებათ:

– რას აკეთებდით თქვენ – 21-ე საუკუნის დასაწყისში მცხოვრებნი ქართველნი? რაზე ფიქრობდით, რა გტკიოდათ, რა გაცოცხლებდათ და რატომ ეგუებოდით? ან რა იყო ის, აგრერიგად გასაცოდავებულთ რომ გასულდგმულებდათ ჯერ კიდევ?

ეს კითხვები მარტო მომავლიდან როდი აღწევს ჩემამდის!

ამას ახლაც მეკითხებიან მოლუღლუღე ჩვილების იებიანი თვალები; ახლაც მიმაბრუნებინებს სახეს ცრემ-ლიანი თვალების დასამალად მათი ჭლოპინი; ახლაც გავურბივარ ამათ სახეზე გადაფენილ ღიმილს...

გავურბივარ და სენაკში ჩაკეტილიც, საკუთარ თავთან ხალხშიაც მარტოდ დარჩენილიც, ცის შემყურეც, მიწაში პირქვე ჩამხობილიც ***ლოცვიდან ლოცვამდე*** ისევ ვლოცულობ, ოღონდ ამ ჯერზე კალმით, სიტყვოსნობით, ბგერათწერით, ფერთა ახმოვანებით, დამუნჯებულისთვის კრიჭის გახსნით, უსახელოს სახელდებით...

იმ ჩვილთა ფიქრებს, ლუღლუღს, ტირილს, აზრებს, ნაგულისხმევს, ჭლოპინს, კითხვებსა და ღიმილს პასუხი უნდა ვუპოვო ჩემს ნაწერებში... რომელ პასუხსაც ვერ მივაგნო, აწი უნდა დავწერო...

მე შენთვისაც ვწერ, ოღონდ ყურნი შენნი განმზადებულ როდი არიან ამისთანის შესასმენად.

და თუ მეც შენ აღარ გიგდებ ყურს და ვერ გეთანხმები, ვისაც ჩემი მელექსედ სუნთქვა-ფერფლვა არ მოგწონს, ნუ დამძრახავ;

ნურც შენ, ვისაც უგუნურებით წამოგცდება, ქართული ენისა და სიტყვის მსახურება რა ბერის საქმეაო;

ნურც შენ, ხელოვნება მოცალეობის ჟამს გართობა რომ გგონია!

ან შენ რას ფიქრობ, ჩიტირეკიობას რომ სწამებ მათ, ვინც იცის, რომ ერის გადარჩენა კულტურის სულის აღორძინების გარეშე წარმოუდგენელია...

იქნებ ფიქრობ, მუსიკას, ფერწერას ან პოეზიას ოდესმე ცქერა-ლხენისა და დატკბობისთვის ქმნიდნენ ოდენ!

არა!

არა!

და კიდევ – არა!

კაცთა სულების გადარჩენისთვის და ამ სულთა – ულამაზეს ტაძართ შენებისთვის იწვოდა ზეციდან წარმოგზავნილ და ამ მიწაზე ხორცშესხმულ გენიოსთა უზარმაზარი კოჰორტა...

თუმცა, რაღა შენ ამოგირჩიე... შენ ხომ თავად ვერ გარკვეულხარ იმაში, ვინ ხარ: თავი ქვეყნის მოყვარე გგონია და ხმაში სისინი შეგპარვია; თავი მორწმუნედ მოგაქვს და იმ დალოცვილი ფუფალასი არ იყოს, ქრისტეს ფეხისმკვნეტელობამდის არც არაფერი გიკლია...

და მე კი რომ მაინც მიყვარხარ?! ვინძლო შენც იგრძნო პოეტური სიტყვის მადლი და პოეტიც შეიყვარო!

აკი "ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ" (ილია).

აკი ჩვენ ამნაირ კი არა, უკეთეს საქართველოზე ვლოცულობთ!

ჩვენ

იაკობ ხუცესის,

გიორგი მერჩულეს,

ფილიპე ბეთლემელის,

ბორენა დედოფლის,

თამარ მეფის,

იოანე მინჩხის,

მიქაელ მოდრეკილის,

შოთა რუსთაველის,

გიორგი მთაწმინდელის,

სულხან-საბა ორბელიანის,

დავით გურამიშვილის,

ნიკოლოზ ბარათაშვილის,

ილია მართლის,

აკაკის,

ვაჟას,

ალექსანდრე ყაზბეგის,

დავით კლდიაშვილის,

გაბრიელ ქიქოძის,

ალექსანდრე ოქროპირიძის,

კირიონ საძაგლიშვილის,

ალექსი შუშანიასა

და სხვათა და სხვათა და კიდევ მრავალთა მემკვიდრენი ვართ!

მემკვიდრეს კი სამკვიდროს მოვლა-პატრონობა და ყვავ-ყორანთაგან დაცვა ევალება!

რა ვიქნებით, თუ ამ სამკვიდროს არ მოვუარეთ და არ ვუპატრონეთ!

ჩვენ ეს მემკვიდრეობა ყველა დროსა და სივრცეში უნდა გავატაროთ ჩვენი ქარავნით და უფალთან უნდა მივიტანოთ! და რომ გავჩერდეთ, რომ არაფერი ვაკეთოთ, როგორც შენ გვიკიჟინებ, რა ვუთხრათ ქრისტე ღმერთს, ძაღლები აყეფდნენ და ქარავანი ამიტომ გავაჩერეთო?!

კარგად მომისმინე!

მე ვდგავარ შენს წინაშე –
კაცი,
მამა,
ადამიანი,
ქართველი,

ვისაც ასე და ამგვარად გადაეწყვიტა იქ, სადაც ეგების ამგვარ საბედისწერო რამეებზე განაჩენების წერა, რომ გარდა ღვთისმსახურების, ქადაგების, დალოცვის, მეცნიერული და პუბლიცისტური ტრაქტატების, სადღეგრძელოებისა და გამარჯობის ენისა, კიდევ ლექსებისა და პროზის ენაზეც ვესაუბრო მომავალ თაობებს და შენც, უკეთუ გაიგონებ „ხმას მღაღადებლისა“.

ეს განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება!

დიდება და მადლობა ქვეყნის შემოქმედს!

ახლა უკვე ხელში თოვლივით ჩამდნარი,
ქრისტეს შობის ექეთ 2013-ე წლის გაზაფხულის პირველი დღე.

პროლოგი, თავად პროლოგი

თავიდან ასე იყო ჩაფიქრებული: წიგნს პროლოგი არ ექნებოდა. წინასიტყვაობის ნაცვლად ორი სხვა ტექსტი დაიბეჭდებოდა.

თუმცა მერე წიგნს მიძღვნაც გაუჩნდა და პროლოგიც დაიწერა.

ამის მიზეზი 2015 წლის 3 აგვისტოა, რომელიც ჯერ არც კი გათენებულიყო და უკვე მოესწრო, თავდაყირა დაეყენებინა ჩემი ცხოვრება, გამოეწურა მისგან სიხარული, უფრო სწორად – სიხარულის შეგრძნების ყოველგვარი შესაძლებლობა და სურვილი. ამიერიდან განსხვავებული ცხოვრების სწავლა უნდა დამეწყო, თუკი ჩემს ასაკში კიდევ ახლის სწავლის თავი და უნარი აქვს კაცს.

3 აგვისტოს, შუაღამისას, 00.31.-ზე ეგრეთ წოდებულმა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევამ შეიწირა ჩემი შვილის სიცოცხლე. მე დღესაც ვერ გეტყვით დარწმუნებით, რომ ჩემს გონებას გააზრებული ჰქონდეს მომხდარი: იგი ამას ვერ იტევს. ვერც უშვილოდ ყოფნას დავემორჩილე და შევეგუე.

ჩვენ ისევ ერთად ვართ, მე და მიხო!

ერთად ვართ, მაგრამ ის კია, რომ რაღაც ისეთი მოხდა, უსაშველოდ და უსასრულოდ ვენატრებით ერთმანეთს!

რამდენი შვილგარდაცვლილი მშობელი შემხვედრია ცხოვრების გზაზე, ბევრთან მისაუბრია, როგორც მოძღვარს, მამას, ადამიანს. ზოგიერთი ალბათ სულ მცირედით მაინც მინუგეშებია კიდეც! მაგრამ ახლა, როცა თავად... ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა!

რომ გითხრათ, ვინმესგან ნუგეშს ველოდები ან ვითხოვთქო, ვიცრუებ. პირიქით: ერთ-ერთი პირველი აზრი, რომელიც თავში მომივიდა 3 აგვისტოს ღამის მერე, ის იყო, რომ აღმოვაჩინე, თურმე რა ძლიერები ყოფილან ისინი – შვილმკვდარი მშობლები, რომლებმაც გაძლეს (კი არ გაუძლეს, გაძლეს რაღაცნაირად) და არ დაეცნენ. ბევრი მათგანი ხომ მორწმუნეც კი არ იყო. როგორც მეხი, ისე დაატყდათ თავს ეს წარმოუდგენელი, არაბუნებრივი, არანორმალური სისასტიკით სახელმოხვეჭილი თუ უფრო – სახელგატეხილი უბედურება. „რა უნდა ექნათ ამ ადამიანებს? – ვეკითხებოდი ჩემს თავს, – სად უნდა ეპოვათ ძალა, რომ გამკლავებოდნენ ამისთანა ბედისწერის სიმუხთლეს?!“

მე რა მეთქმის, ან რა მიჭირს. ბერი ვარ და მთელი ჩემი ცხოვრება ხომ ჯვრის, მხოლოდ ღმერთმა უწყის, თუ როგორ და რანაირად, დამძიმების მოლოდინების გრძელი ჯაჭვია. ჰოდა, ვიფიქრე, ნეტავ ისე მოხდეს, იმათ – შვილგარდაცვლილ ჩემს ახლობლებსა და ნაცნობებს, შორებლებსა და უცნობებს მაინც არავინ გააგებინებდეს-თქო ჩემს ტრაგედიას, ტკივილი რომ არ გაუახლდეთ, რომ არ დაეჭვდნენ, რომ არ შესუსტდნენ... მართალიც ვიყავი: მიქაელის გადაფრენამ ცისიქითა სამყაროში ერთი-ორი შვილგარდაცვლილი კაცი ისე დააძაბუნა და მოტეხა, თვალებში ვეღარ ვუყურებ და შენდობის თხოვნის მსგავს რაღაც სიტყვებს ვლუღლუღებ, როცა მათ ვხვდები.

სხვა ყველაფერი – ყველა განსაცდელი და დანაკარგი გადამავიწყა მიხომ, გააუფერულა, გაახუნა, გააუბრალოვა.

მესმის, განა არ მესმის ის, რომ იყო კაცი ამ ცხოვრებაში უსაშველოდ ბედნიერი 29 წელიწადი, დიდი ჯილდოა. მაგრამ განა მიხოს სიცოცხლისათვის ასე ბევრი იყო ეს 29 წელი? მხოლოდ უფალმა უწყის! მე იმას მივხვდი, რომ ამ სოფელმა ამაზე მეტად ვეღარ დაიტია ჩვენი მამაშვილური სიყვარული და ბედნიერება!

მადლობა მიხოს ამ სიხარულის მონიჭებისათვის!

მადლობა მისი არსებობის ყველა წამისათვის!

როცა შევხვდები, მხოლოდ ჩვენ ვიცით, მე და ჩემმა შვილმა, როგორ გადავეხვევით ერთმანეთს და როგორ ვიმუსაიფებთ – ის მე მომიყვება, მე – მას, რაც სათქმელი დაგვიგროვდება... რაც ვერ ვუთხარით ერთმანეთს 29 წლის, 29-ჯერ 365 დღის განმავლობაში...

მეკითხებიან, წინათგრძნობა არ გქონდაო?

რომელ მშობელს არ აქვს წინათგრძნობა?! რომელი მშობელი არ გრძნობს ყველა უჯრედით, ყველა ძარღვით, ყველა გატოკებით თავის შვილს და ვის არ ეშინია?!

მეც მეშინოდა, სულ მეშინოდა, არ დამეკარგა, არ წასულიყო... მაინც წავიდა. ვერ გადავმალე, ვერ დავიცავი, ვერ გადავეფარე. ო, რა სუსტია მშობელი თურმე, დედაც და მამაც, რა უსუსური! განა მშობელს მეტი სიძლიერე არ უნდა ჰქონდეს მიმადლებული, რომ შეიძლოს, შვილს მიწვდეს, ხელი შეაშველოს, მალამოდ დაედვას, ავისგან დაიფაროს, საფრთხეს გადაარჩინოს და ტკივილი დაუამოს?

წინათგრძნობა...

შვილის გარეშე რომ დავრჩი ამქვეყნად, გონებაში წამომიტივტივდა ბევრი რამ, რაც მანამდე დამეწერა და

რაც თითქოს ახლანდელ ჩემს მდგომარეობას უფრო მეტად შეესატყვისება, ვიდრე მაშინდელს, იმდროინდელს, როცა იწერებოდა; ამიტომაც ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ ახლა დაიწერა – სამი აგვისტოს მერე.

რა ჰქვია ამას? წინასწარ განჭვრეტა? არამც და არამც. ეს სტრიქონები ხომ ისევე დაიბადა, როგორც ბევრი სხვა. ამას უბრალოდ შემოქმედება ჰქვია. პოეზიას თავისი კანონები აქვს და ხშირად, როცა იგი სახელს არქმევს, მოვლენასაც ჭვრეტს, ნიშანსაც ადებს, ამას ვეღარ გაექცევი, როგორც ბედისწერას, როგორც სიკვდილს...[1]

ქვემოთ მინდა მოვიყვანო რამდენიმე ამონარიდი ლექსებიდან, რომელთა არსებობის გამოც დაიწერა ეს ბოლო მოსაზრება-მსჯელობა.

1994

ალერსნაკლულს საბნად ლოცვას მივათბუნებ,
მის მშვიდ სუნთქვას, ვით გალობას, ყურს დავუგდებ,
და ტკივილი მხოლოდ წამით გამიქრება,
ნათევს ცრემლი ნამთან ერთად გამიშრება.
რა იქნება,
ო, უფალო,
რა იქნება?!

("აკაკი წერეთლის ტკივილი
და ნატვრა")

1 შეადარე ალექსანდრე ბლოკის სიტყვებს: *„От знака, которым поэзия отмечает на лету, от имени, которое она дает, когда это нужно, - никто не может уклониться, так же как от смерти“.* (А. Блок. О назначении поэта. Речь, произнесенная в Доме литераторов на торжественном собрании в 84-ю годовщину смерти Пушкина 10 февраля 1920 года).

2002

ვაჰმე! სიკვდილმა მოღალატემ რა აღარ შემომბედა, ურიდალმა,
ქვრივ-ობრობისა და გმინვისათვის, მარტოკაცობისთვის
გამიმეტა უტიფარმა,
სად აღარ შემომხვდა-შემეფეთა, ვისგან არ გამმარცვა,
რა აღარ წამართვა, გამომმალა, როგორ არ მამწარა.

("გარდაცვალებაა, რასაც ველი...")

2011

როგორც ბავშვობაში, მინდა მიხაროდეს,
ან გული მეტკინოს,
სასოწარკვეთამდეც კი მივიდე, ან ძალიან შემეშინდეს,
ან ვინმე შემიყვარდეს,
ან იქნებ შემძაგდეს მაინც, როგორც მაშინ...
მსურს ამ გრძნობებმა მთელი ჩემი არსება შთანთქოს,
ღამე არ მეძინოს,
სირცხვილით თავი ვერ გამოვყო,
ვერაფერმა მანუგეშოს,
ჩემს ცრემლ-ტირილ-გლოვას ბოლო არ ექნეს,
ვიყვირო ისე, რომ ტყე-ღრეში ნადირი დაფრთხეს,
ხოლო ფრინველთა ფრთები, ჩემი საცოდაობით,
მოიკეცონ და ჩამოსხდნენ გარინდულნი აქვე, ხეებზე,
ოღონდაც აღარ დავრჩე ასე მშვიდი და გაწონასწორებული,
ყველაფერი რომ მესმის, ვითმენ და ყველას ვუგებ...

...დამაბრუნეთ ჩემს ბავშვობაში
ჩემი ტკივილებით და ცრემლებით!

("დამაბრუნეთ, ბავშვობაში დამაბრუნეთ")

2013

გაწვება ხოლმე და ეფერება ზღვის სველ ზედაპირს,
მოლივლივეს, ატალღებულს, ქაფიანსაც...
ზღვას, რომელიც ვერ შეიძულა ველარაფრით.
იქნებ, პირიქით.
არ ეშინია მისი, არც ზვირთების.
ხანდახან უკვირს, ისე უყვარს მისი შხეფიც კი.
ფიქრებში წასულს ხომ ზოგჯერ ჰგონია,
ოდესმე ტალღები
შვილის დანაბარებს გაუმხელს ფარულად,
ყველასგან საიდუმლოდ
(და თავს, რომელსაც არაფრით ზოგავს,
ინუგეშებს მხოლოდ ამ უცნაურ აზრით)...
ან იქნებ ერთხელაც
მეთევზის ნავებს
და ამ გემებს შორიდან,
მონაბერ ქარებს
და მოფრენილ თოლიებს
თან მოჰყვეს შვილი და იმისი სურნელი, –
ოღონდაც ცოცხალი! –
დე, უძღებ შვილად,
ან იქნებ – მისიონრად,
იქნებ – პილიგრიმად, უცხოელ მგზავრადაც,
ნილს ჰოლგერსონად ანდა მწირადაც
(თუმც იცის, იგი აღარ მოვა,
თავად უნდა წავიდეს მასთან)...
იქ –
გაიხარეს ზღვის შესახვედრად
უკანასკნელ და უსასრულო პაემანზე წასულთ სულებმა;

აქ –
გამხდარიყო მთლად უსაშველო, აუტანელი, გაუსაძლისი
მონატრებაც და მოლოდინიც.
... ზღვა კი იყო უშფოთველ.

("იქ და აქ")

2013

როცა ტკივილი ისევ დუმს
და ოდენ შენს გულს ჰკვეთს
წარსულშიც,
მთვარის შუქზეც,
ფიქრშიც,
შენშიც,
ზღვაშიც,
ლოცვებშიც...
შენ ტკივილზე ძლიერი ხარ,
ხარ ღვთისმშობელი
და რომ ტკივილი არ დაგიამდა გუშინდელს აქეთ,
ეგ არაფერი:
შვილის ტანჯვას როგორ გაუმკლავდება
დედის გული,
ზეცა დაგცქერის!
ტკივილი კი ისევ დუმს
და რომ ოდენ შენს გულს ჰკვეთს
და სჭვალავს,
ეგეც არარა:
წინ გოლგოთაა,
ჟამი ჯვარცმის,
ოდეს ყველა ტკივილი ქრება!

...მთელი ცხოვრება დათმენაა,
ტანჯვა მდუმარე...
და ტკივილი,
რომელიც ჯერ დუმს
და მერე ქრება...

("ტკივილი ჯერ დუმს და მერე ქრება")

2014

რატომ არ იზრდებით აკვნების არტახებო?
(ალბათ თუ ცივ სხვენში უმზეობამ...)
თორემ რას შეგვიჭამდით მგ ზავრ შვილებს, ქალაქებო?!
(ალბათ თუ დედების უთქმელობამ...)
მუხლებმოკვეთილი, ვითომ ჩვილებს, ისე მოგწვდებოდით,
ზედ გადაგაკრავდით არტახებს
და
დაგიჭერდით
ამ ჭრელ აღვირებით
ჭრელსავე კალთასთან...

("არტახები")

2014

ახლა კი მივალ.
ახლა მინდა გარდავიცვალო.
ვიდრე ცოცხალ ვარ.

("ელსინორი. ახლა კი მივალ")

2014

შარაგ ზამდე მოვირბინე
და შენსკენ ვიხედებოდი:
ამ გ ზით გაგაცილე
და ამ გ ზასვე უნდა დაებრუნებინე ჩემთვის!
უდაბნო და უკაცურობა დამახვედრეთ შენ და გ ზამ!
(...)
მე რომ ხელი ახლა შემახოს აწმყომ,
შავ მტვრად ვიქცევი,
რადგანაც ჩემში გულისა და ფიქვის მაგივრად
გამოფიტული სუნთქავს-ფეთქავს მარტოობა,
გუდაფშუტასავით.

("მე რომ ხელი ახლა შემახოს აწმყომ")

ეს ყველაფერი, დიახ, ესეც შემოქმედის ბედისწერის ნაწილია. ტრაგედიაც. გაუხარებლობაც. სატანჯველ-საწამებელიც. მიტოვებულობა-მარტოობაც. ზოგჯერ შიშიც. ისიც, რომ არ გამჩნევენ, არ გფურცლავენ ან ვერ გიგებენ...

როდესაც იოსიფ ბროდსკი გაასამართლეს და გადასახლება მიუსაჯეს, ახმატოვას უთქვამს: „რა ბიოგრაფიას უქმნიან ჩვენს წითურს?! გეგონება ვინმე თავად დაიქირავა საგანგებოდო!"[2]

ყველა დროის უდიდეს პოეტთაგანი ანა ახმატოვა აკი თვლიდა, რომ ჭეშმარიტი შემოქმედის ბედისათვის უცხო უნდა იყოს კეთილდღეობა, ყოფით კმაყოფილება, ფუფუნება...

ასე მი(და)უახლოვდებიან, მი(და)ემსგავსებიან ერთიმეორეს სივრცეებში პოეტები და ღვთისმსახურნი...

2 Анатолий Найман. Рассказы о Анне Ахматовой. Журнал «Новый мир», 1989, №1.

შემოქმედის ბედი რომ ბედისწერაა, ზოგჯერ, მგონი, ვივიწყებთ ხოლმე. გავკადნიერდი და რამდენჯერმე ამის შეხსენება გავბედე მკითხველისთვის, მსმენელისთვისაც.

ემზარ კვიტაიშვილზე დავწერე:

„მისი ცხოვრება პოეტის საგანგებოდ დაწერილი ბიოგრაფიის ხორცშესხმაა ამ სოფელში. ამიტომაცაა დაყურსული ტანჯვითა და სიყვარულით.

მისი სამოღვაწეო სივრცე პროფესიულობის ნიშნითაა აღბეჭდილი. მხოლოდ რამდენიმე გამოცემაში თუ შეხვდება პოეზიის მოყვარული ემზარ კვიტაიშვილის გამოქვეყნებულ ნაწერებს. მას არ უყვარს საჯარო გამოსვლები, საკუთარი ნაწარმოებების ხმამაღალი კითხვა, ინტერნეტ-სივრცის ექსპლოატაცია პოპულარიზაციის მიზნით, პოეზიის საღამოების, იუბილეების გამართვა და ურჩევნია, კაცად დარჩეს. “[3]

ესმა ონიანზე ფიქრმა კი აი, რა დამაწერინა:

„მე რომ ლექსმცოდნე ვიყო, ალბათ, საზოგადოდ, არ ვილაპარაკებდი იმაზე, თუ როგორაა ერთი პოეტი მეორით დავალებული, რადგან ნამუსის ძაფის გაწყდომა მარტო ლექსის მწერალს არ ემართება, სხვა შემთხვევაში კი – ანუ როდესაც ლექსი თვითონ გწერს, პოეტი ემსგავსება მსუყე მარცვლებით სავსე თავთუხს პოეზიის პურის ყანაში, მართალია, სხვებზე მეტად რომ ახარებს გუთნისდედას, დალოცვასაც მოიხდენს, მაგრამ აკი იმ ხორბლიდან აღმოცენდა, შარშან რომ მასავით ლამაზად და გულის საამოდ ყელყელაობდა მზის სხივებზე. ის შარშანდელი თავთავი კიდე ხომ შარშანწინდელისაა და ასე და ამრიგად მივალთ იმ პირველ ჯეჯილის ფესვამდე, ქრისტე-ღმერთმა რომ აღმოაცენა ჟამსა შესაქმისასა...

3 დიდოსტატი (რედაქტორის წინათქმა). – ემზარ კვიტაიშვილი. შემოდგომის ხიზანი (პოეზია). არქიმანდრიტ ადამის (ვახტანგ ახალაძის) რედაქციით. – გამ–ბა „ბაკმი“, თბ., 2013. – გვ. 5–7.

ასეა: მართლა კარგი ლექსის ავტორები სამყოფად გვყავს.

პოეტები – ბევრად უფრო ცოტა.

იმიტომ რომ პოეტობა კარგი ლექსის წერის გარდა, მისიაა!

ღვთაებრივის, ციურის, ამაღლებულის, გასხივოსნებულის დანახვებაშია ეს მისია და დაცემულის, დაბნელებულის, წყალწაღებულის შეყვარებაში.

ციური რომ დაანახო ვისმეს, ჯერ თავად უნდა გრძნობდე მას უცდომელად.

დაცემული და დამარცხებული რომ შეიყვარო, თავად არაერთხელ ძირს დაცემულს და დანარცხებულს, მადლიერების განცდა არ უნდა გტოვებდეს, რომ აღმდგარხარ და აუკრეფიხარ.“ [4]

და კიდევ სხვაგან – ***ისევ ესმაზე***:

„ჩუმად დაქრიან პოეტები“ – ეს ესმა ონიანის პოეტური ფრაზის ინვარიანტია.

ასე მგონია, რაზედაც არ უნდა ფიქრობდეს პოეტი, ვინც არ უნდა იყოს სალექსო სტრიქონის სუბიექტი ან ობიექტი, ყველაფერში თავის თავს გულისხმობს, ხედავს, ასახიერებს, მოიაზრებს, აღწერს და ჭვრეტს, იმ ფრინველებშიც, ჩუმად რომ დაქრიან...

და პოეტები?! პოეტები როგორღა ან როდისღა დაჰქრიან ჩუმად?

მაშინ, როდესაც ქმნიან (იწვიან) და არავინ იცის ამის თაობაზე. როდესაც არავინ უწყის მათი არსებობა. როდესაც არ ბეჭდავენ, არ ეკითხებიან, არ იწვევენ, არაფრად თვლიან,

4 არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე). აქ ისე თბილა, როგორც შინ (ესმა ონიანის ლირიკული ხილვები). ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2014, N3, გვ.62–63

არ კითხულობენ, ყურადღებას არ აქცევენ... დადის ასეთი პოეტი და რა ხმაურსაც არ უნდა ქმნიდეს – შინაური ფლოსტებით დაჩლატუნობს ქუჩაში, უეცრად აუვარდება საშინელი ხველა შილიფად ჩაცმულს, კალამს აწრიპინებს, როდესაც სხვები თვლემენ, პარკეტზე ქუსლების კაკუნით გულს უწვრილებს მასპინძელს, ხელნაწერებს ნერვიულად ფურცლავს და ამ ფურცლვა-შრიალით მყუდროებას ურღვევს შუადღის მოთენთილობამორეულ კანტორის თანამშრომლებს, ტკივილებისაგან ამოიღმუვლებს უნებ-ლიედ... – მისი არსებობა მდუმარება-სიჩუმეა, რადგან სოციუმში არ ისმის პოეტის ხმა...

ასეთი იზოლაცია მკითხველისაგან (ხალხისაგან) პოეტის ბიოგრაფიის აუცილებელი ნაწილია. თუმცა გამონაკლისიც არსებობს. ერთი კია, ალბათ, ცოტა უცნაურია, ახალი სიტყვა, უჩვეულო ტემბრი, განსხვავებული ხელწერა, გაუცვეთელი აზრი არ შეხვდეს წინააღმდეგობას. ამიტომაცაა „ჩუმად ქროლვა“ ბედნიერი ხანა. კიდევ იმიტომაც, რომ პოეტი წერს და ცხოვრობს ყველაფრის მიუხედავად, რადგან უბრალოდ არ შეუძლია არ წეროს და ეჩვევა იმას, რომ პოეტადაა გამორჩეული განგებულების მიერ.

როდის მთავრდება ეს ხანა, „ჩუმად რომ დაქრის პოეტი“? თითოეულ პოეტს ამას განუსაზღვრავს მისი ეპოქა, შინაგანი პოეტური ენერგია და ზეცა!

და თუ ეს მოხდა პოეტის სიცოცხლეში, იგი სიკვდილამდე გრძნობს იმ ძალას, მასში რომ ჩაიღვარა „ჩუმად ქროლვისას“, იმ შეწევნას, თანადგომას... საკუთარი თავის ყველაზე ერთგული თანამებრძოლი თავადვეა იმ განუმეორებელი და უბედნიერესი „ჩუმად ქროლვის“ ხანიდან!

ერთიც: პოეტს ხომ ფრთების ისეთი ძლიერი დაქნევა შეუძლია, წარმოუდგენელია ყველაფრის მიუხედავად ღამის სიჩუმეში მთვარისა და სანთლის შუქით გასხივოსნებულთ

მაინც არ გაიგონონ ცის მიერ დანიშნულ არსებათა ფრთების ეს შხუილი!

აკი სწორედ მათთვის წერს პოეტი...“ [5]

ელა გოჩიაშვილის პოეზიის საღამოზე დაწერილი სიტყვა წავიკითხე. აი, გამომადგა კიდეც და აქ მომყავს იმ სიტყვიდან ამონარიდი:

„ელა პოეტური ცხოვრების წესების დაცვით ცხოვრობს. ნეტავ ვინ დაწერა ეს წესებიო, იკითხავენ. პოეტებმა დაწერეს. როგორ და რითი? სისხლით! აი, ერთ პოეტს კი იმისთანა რამე ჰკითხეს სასამართლო პროცესზე (ტოტალიტარიზმმა თუმცა სამართალი რა იცის, მხოლოდ მართალს აგნებს შეუმცდარად, მეძებრის ყნოსვით და სანიმუშოდ სჯის), მუქთახორობისთვის რომ უპირებდნენ საზოგადოებისგან იზოლაციას და აკი ჩრდილოეთში გადაასახლეს კიდეც, ამ ასე 50 წლის წინ: ვინ გითხრა რომ პოეტი ხარო? ვინ გაღიარაო, ცნობა თუ გაქვსო ბეჭდითა და ჩინოვნიკის ხელმოწერით დამოწმებულიო... ახლაც სულ ველოდები, კი ზუსტად ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩამოგვივლიან და თითო მათრახს მაინც გადაგვიჭერენ – ვინ ოხერმა დაგარწმუნათ, ლექსი უნდა წეროთო...

ჰო-და ამისთანა დროს, პოეტი რომ შედრკეს და რომ სხვაგვარი ცხოვრება მოუნდეს, ის, ვინც პოეზიის სამყაროს მეუფეა, საყანწე რქასავით დაგრიხავს, არ კი გაუშვებს ვირეშმაკების ნებაზე. ცხადია, ოდენ პოეტს ეხება ეს და არა გარითმულ-გაურითმავი სტრიქონების მთხზველთ.

ბევრი რომ არ ვიწუწუნოთ, ახლავე ვთქვათ: არც არასდროს ყოფილა იმისთანა დრო, პოეტის ჭეშმარიტი ფასი სცოდნოდეთ, ცოცხალი პოეტისა – მითუმეტეს.

---

5 მამა ადამი. ჩუმად დაქრიან პოეტები (წიგნის წინასიტყვაობა). – ესმა ონიანი. „შენ, უმაღლესო“ (ლექსები და თარგმანი). გამ-ბა „საუნჯე“, თბ., 2013, გვ. 7-8.

ეგ კი არა, აგერ, ამას წინათ რა მწარედ შემომედავნენ, რას მიედ-მოედებიო, ვის, გალაკტიონს აკლდაო დიდება და დაფასებაო? ეგრე შემომედავა, გაშტერებით დავაკვირდი... ეგრე შემომიტია, თითქოს ეგ შემომდავებელი გადმოაფრინეს სართულებიდანა... დიდება და დაფასება არ აკლდაო?! კი! რამდენიც გინდა ლექსის მთხზველი გყოლიათ (თქვენ), შეუფერებლად და უხერხულად აწოწილი წოდებებით, ვაჭრის ქისასავით გაბერილი პრემიებითა და ყალბი ფულის მოსაჭრელ დაზგაზე გამოჩარხული ორდენებით რომ დაგიხუნძლავთ, რადგან და ალბათ, როცა გულ-ღვიძლიდან გამონაწვლილი ლექსებით არ იხუნძლება პოეტის ხე, ეგენი უნდა ჩამოჭკიდო ზედ და ასე შეაყარო თვალებში ნაცარი ხალხს, მკითხველსაც...

ამას გვითვლით?

ჩვენ პოეტებზე გელაპარაკებით... პოეტის ბედისწერაზე!“[6]

ამასობაში ***ჯემალ თოფურიძის*** გახსენების დროც დამდგარა:

„ჯემოს წიგნის წარდგინება მოეწყო მწერალთა სახლში, მაჩაბელზე. ისე მოხდა, რომ სიტყვა ჯერ უნდა მეთქვა, მხოლოდ ამის მერე დამეწერა.

რას ნიშნავს გერქვას მწერალი ან პოეტი? პოეტს კიდევ გაუმართლებს და პროზაიკოსმა რა ქნას?! ნუთუ ამისთვის კაცმა მაინცადამაინც 10–20–30 ტომი უნდა დაწეროს? თუმცა, მოდით გამომცემლებს მივანდოთ წიგნებისა და კუპიურების თვლა, მრავალტომეულებიც, ბიბლიოფილებსაც (თუ ასეთები ჯერ კიდევ არსებობენ), და მთავარი ვთქვათ.

იმისათვის, რომ დაიმსახურო მწერლის (პოეტისაც) სახელი, საკმარისია, უპირველეს ყოვლისა, იცხოვრო

6 მამა ადამის სიტყვა, წარმოთქმული ელა გოჩიაშვილის შემოქმედებით საღამოზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014 წლის 11 აპრილს (ავტორის პირადი არქივი).

როგორც მწერალმა (პოეტმა)! და თუ შენს მერე თაობებს მხოლოდ „შენ ხარ ვენახი“ ან რამდენიმე იამბიკო ან ერთი „მარტვილობა“ დარჩათ შენეულ მემკვიდრეობად, ნუ დაიდარდებ!

ჯემოს 19 მოთხრობა და შვიდიოდე (მგონი) ლექსი დარჩა. ბევრი ნამდვილად არაა, მაგრამ ცოტა, ცოტა არის კი?!

ჯემალ თოფურიძე მწერალია, რომელიც მკითხველს ახსოვს, აინტერესებს და უყვარს. იგი შემოქმედია, რომლის სათქმელი ძალზედ მნიშვნელოვანია და ამიტომაც – საკვლევი პროფესიონალ ლიტერატორთა. იგი პოეტია, რომელიც ახლახანს აღმოვაჩინეთ და გავიხარეთ.

ყველას როდი შეუძლია ასე: ამ გზის გამოვლა, ამ დროის გადალახვა, ამ ლექსების მოწვდენა სამ ათეულ წელზე მეტი ხნის მერე მკითხველამდის. მან მოგვაწვდინა. მოაღწია. წამოგვეწია.

ეს ამბავი ჯემოს მეოცე მოთხრობაა.
ავტობიოგრაფიული...“[7]

წელს ხომ ***ლევან გოთუას*** წელიწადია და მასზეც ვიტყვი ბარემ.

„დაიწყებენ და ჩამოთვლიან.

მე მხარს არ ვუბამ.

ვერ მიგებენ და, ცოტა არ იყოს, ცერად მიყურებენ.

ლევან გოთუაზე რომ გინდა თქვა რაიმე, რას შესძენ სათქმელს იმით, თუ დაიწყებ მოყოლას, გარდა იმისაო, რომ წერდაო, კიდევაო... და ჩამოთვლი, ასეთი გახლდათ და ისეთიცო, ესა იყოვო და ისაო, კიდევ ისიცო... იმასაც აკეთებდა და ამასაცო...

7 არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე). ქრისტესთან შეხვედრა დიოსკურიულად, ანუ ჯემოს კოდი. ლიტერატურული გაზეთი, 2015, N3, გვ. 2.

განა ყველაფერი, რაც მწერლის (პოეტის) ცხოვრებაში იყო, არის და იქნება, არ ემსახურება ამ მწერლის (პოეტის) ბედისწერის აღსრულებას? მთავარი ესაა! უმირითადესი ბედისწერაა! რატომო, ალბათ, მკითხავ.

ზეცაში ჩაფიქრებული მწერალი და/ან პოეტი (გავიხსენოთ ილიასეული „მე ცა მნიშნავს“ და/ან „გამომგზავნა ქვეყნად ცამა“) რომ შედგეს, ჯერ მისი ბედისწერა უნდა განხორციელდეს, ჯერ მისი ცხოვრების წიგნი (და არა ბიოგრაფია, მითუმეტეს – ავტობიოგრაფია!) უნდა დაიწეროს, სისხლიან-ტკივილიან-სიკვდილიანი წიგნი (ვაჟასეულიც ვთქოთ – „ნუ დამასვენებ ნურა დროს, მამყოფე შეძრწუნებული“), შეძლებული და მადლიანი ქართველი გლეხის პეპერასეული ქვევრივით სავსე მხოლოდ ზედაშეთი – იმ მოვლენათა სიმძიმით, შემთხვევათა ტრაგიკულობით, სიცივე-სიმშილის დამოყვრებით, მოულოდნელობათა დრამატულობით, უიღბლობათა ბანალურობით, ღალატთა პრაგმატულობით, ორგულობათა გაცვეთილობით, რომელთა თვინიერ იბადება კი, გეთანხმებით (აბა, არ იბადება?!), ოღონდაც – ოდენ მხატვრულ-ლიტერატურული ტექსტების ნიჭიერი ავტორი, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ ევლინება სამყაროს მწერალი (პოეტი)-შემოქმედი: ***„ბეწვის კიბეების აბლაბუდაზე თითქოს პირყვითელა ფარდაგები ეგო... და ზედ მავალს [რუსთველს. – ა.ა.], თავის წიგნისა და ბედისწერის მებრძოლს, წინ ეფინებოდა, უკან ეშლებოდა სავალი“***(„საუკუნო სავალი“).

ლევან გოთუა იმიტომაც მოევლინა ქვეყნიერებას ჭეშმარიტ მწერლად, რომ მისი ბედისწერა არ ცნობს და არც უშვებს კომფორტულ მიკროკლიმატს, კონფორმისტულ ბილიკებს, ვაჭრუკანულ ყოფას, კარიერის წითელხალიჩიანი მოჩუქურთმებული ხისრიკულებიანი გალაქული კიბის საფეხურების მედიდურად ავლას, ვიწრო ინტერესთა და წვრილმან მოთხოვნილებათა დესპოტიას, საუზმობას

მანგო-ავოკადოს ჯუსით, არომატული ყავითა და ცხელ-ცხელი კრუასანებით, კლაკიორთა ქება-შემახილების მოლოდინს, ხორცისა და თვალის ფუფუნებას...

განგებამ ინება, ცხოვრების დიდი ნაწილი პატიმრობა-ტუსაღობასა, ტოტალიტარული რეჟიმის ჯაშუშთა ზედამხედველობის ქვეშ ძლივს-სუნთქვასა და გადასახლებაში გაეტარებინა სამშობლოსგან შორს (ისე შორს, რომ ამას რაღაც, ალბათ, სხვა სიტყვა ჰქვია), სამშობლოსთან ახლოსაც და სამშობლოშიც.

ოღონდაც სამშობლოს სიყვარული არ განელდეს (ამოხეთქავს: ***"ეს ვერ გამიგია, სამშობლო იმიტომ მიყვარს, რომ ასე შორსა ვარ, თუ იმიტომ ვარ ასე შორს, რომ ასე ძლიერად მიყვარს სამშობლო"***);

ოღონდაც სამშობლო არ განრისხდეს (*„ჰოი, რა საშინელია – სამშობლო ქვითა და კრულვით რომ დაედევნება შობილს!"* („მუმლი მუხასა")));

ოღონდაც სამშობლომ და მშობელმა ხალხმა შეგიწყნაროს (***„მაგრამ ღალატის გზის მბლანდავისათვის ერის ხელი გრძელია მაშინაც კი, როდესაც დამარცხებულია!"*** („გელიყარის გაზაფხული")))!

სოლოვკეს "დამსახურება" უნდოდა 20 წლის ასაკში, მერე – ვორკუტასაც... ყველა ვერ ახერხებს ამას. ლევანმა მოახერხა. 16 წლისა მოხალისედ ჩაეწერა ძმებთან ერთად და ომში წავიდა – 1921 წელს წითელი არმიის შემოჭრით განახლებულ რუსეთ-საქართველოს დაუმთავრებელ ომში (...1783... –1801...– 1832...–1921–1924...–1929... – 1937...–1956... –1989...–1991–1992...–1993...–2008...).

დამარცხების შემდეგ ქართველი ხალხის საუკეთესო და უღალატო შვილებთან ერთად სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდება საბჭოთა რეჟიმს და ებმება ეროვნულ-

განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელიც მარტო სიცოცხლის ბოლომდე კი არ გასტანს, გარდაცვალებაშიც გაატანს.

„...ყველაფერი უბრალო და ნიშნეული ჰქონდათ. ხანდახან ერთი კაცის იერსა და ბუნებაში გამოხატულად თავს იყრის მთელი ერის საძირითადოო“, – დარაჯა ნოშრეზე („საუკუნო სავალი“) ამბობს მწერალი... არადა, განა თავის თავზე ნათქვამი არაა უფრორე?“ [8]

* * *

კარგად დამიღლიხარ, ჩემო მკითხველო. ეს რამდენი დამიწერია. არადა წინ კიდევ ლექსების მთელი კრებული გიდევს. არჩევანი შენ უნდა გააკეთო.

შოთა რუსთაველისა და ვაჟას ქვეყანაში განა ყველა პოეტი უნდა იყოს (როგორც ზოგიერთებს ჩვევიათ თქმა), არამედ თითქმის ყველა – პოეტური სულისა, რაც იმას ნიშნავს, რომ შეიძლება შენ თავად არ იყო შემოქმედი, პოეტი, მუსიკოსი, მხატვარი... მაგრამ შეიძლება უფრო მეტადაც კი გესმოდეს ხელოვნების ზეციური ენა, გატყვევებდეს „სიტყვების ცა“ და ლაღად, ძველი მეზღვაურის დარად დაცურავდე „ნოტების ოკეანეში“... და ნუ შეგშურდება ხელოვანის ბედისწერისა! ამას ერთეულნი იტევენ, ერთი, ორი, ჰა და ჰა, სამი...

* * *

ის-ღა დამრჩენია, ქრისტე ღმერთს შევევედრო, ცაზე ვარსკვლავებივით ამრავლოს კაცთა შორის მისწრაფებანი არაამქვეყნიურისადმი, სულიერ-ციურისადმი, ამაღლებულისადმი, მშვენიერისადმი... აკი ამ მისწრაფებათ მიჰყავთ ადამიანი ჭეშმარიტი ხელოვნების იმისთანა სიყვარულთან, რომელიც სულსა და გულს ამზადყოფნებს უფალთან შესახვედრად!

8 მამა ადამი (ვახტანგ ახალაძე). წარსულის მეხსიერების ლევან გოთუასეული კოდი. „ლიტერატურული საქართველო“, 2015, N27, გვ. 14.

* * *

მე მთავარი სათქმელის გარდა ყველაფერი სრულყოფილად გითხარით ამ პროლოგით. ის – უმთავრესი ამოსათქმელი კი ჯერ ცხოვრებითაა დასაწერი და მსხვერპლ-საქმედ ქცეული სიტყვით, რისთვისაც თურმე „ამოგლეჯილი სტრიქონები“ დამირქმევია „სულის და ხორცის“ („თეთრი და ფერადი ლექსები“, 2012):

„დავიტოვე მხოლოდ თეთრი ლექსების ღამე
და გამჭვირვალე ცრემლის ნამი ნაოჭთა შორის
იმათ სახსოვრად,
ვინც გავიმეტე,
თან გავატანე
ამოგლეჯილი სტრიქონები სულის და ხორცის“.

2015 წლის 21-23 ოქტომბერი.

ლექსები

აბასთუმანი

თებერვალია. მე მოვდივარ.
ისევ ცივა აბასთუმანში?
ცეცხლი თონეში რახანია არ ჩაუნთიათ ხაბაზთ უბანში.
მთას მივუყვები ყანობილის, ვიხსენებ ლადოს
თვალებს, სიყვარულს და ბარდნალას – მის სანავარდოს.

თოვლს დაუფიფქავს ტყე საპატარძლო. არყის ხეები
გაშიშვლებულან…
ქარისგან თუ ააკანკალებთ და ახველებენ
მაშინ მტრის და ჭლექის ჯინაზე სისხლიან ლექსებს,
მთის გადაღმა კი მორაკრაკებს კურცხანის წყალი,
არ სძინავთ ფრესკებს.

აღარც თოვს.
ფიფქებს შეენაცვლა მთიდან ნამქერი...
სადღაა პეწი, ვაჟკაცობა ნაღდი ამქრების.
გაცივებულა თონე, გულიც ხაბაზთ უბანის,
დაღვრემით მიცქერს ნახანძრალი აბასთუმანი.

თებერვალია, თებერვალი...
ისევ ცივა აქ საიმისოდ,
პოეტის ფიქრი რომ აფრინდეს, სუნთქვა შეთბეს,
არც იშიმშილოს...
კაბაგახდილი საპატარძლო არყის ხეები
ციცრის ცას ეძებს,
ამოახველებს ღამენათევი ვარდის ფიფქებად
სისხლიან ლექსებს...

თებერვალია. მე მოვედი.
ცივა, ცივა აბასთუმანში!
თონეებს ცეცხლი არ უნახავთ რახანია ხაბაზთ უბანში.
მთას შევუყევი ყანობილის, ცრემლიანი ვიხსენებ ლადოს
ლექსებს, სიყვარულს და ბარდნალას – მის სანავარდოს.

2013

აკაკი წერეთლის ტკივილი და ნატვრა

“სხვაგვარი იყო ამისი ნატვრა”
აკაკი. ალ. ყაზბეგის ჯუბოზე

“ეს ნატვრა-ღა დამრჩენია”
აკაკი. გამოთხოვება

სისხლი ჩემი – სკვითისაში არეული,
ხორცი – ქართულ სამშვინველზე დამშეული.
შვილი – მამის თბილი უბის ნასიზმრალი
და ტკივილი და ტკივილი ნაფხიზლარი,
მარად ჩემი ბედითობით ნახიზნარი.

შვილთან ერთად ეტლით მივალ, ვაცქერდები:
თაფლა თვალნი ეფერება კალთებს მთების
და ჟღურტულებს, ვენაცვალე ცა-ფირუზსო,
მისი ჭვრეტა, ვფიცავ ბაგრატს, არ მგვრის რულსო...
და მეც ვტირი: – ღმერთო, ოღონდ არ ირუსოს!

ალერსნაკლულს საბნად ლოცვას მივათბუნებ,
 მის მშვიდ სუნთქვას, ვით გალობას, ყურს დავუგდებ
და ტკივილი მხოლოდ წამით გამიქრება,
ნათევს ცრემლი ნამთან ერთად გამიშრება.
რა იქნება,
ო, უფალო,
რა იქნება?!

1994 წელი

ამომათქმევინე

ამომათქმევინე ჟანგიან კილოკავზე
ფეხშველა ხეტიალის ხვედრი;
ამომახვნეშინე, გაიგონ ხვაშიადი
მერცხლებმაც ყვავ-ყორნების სევდის.

ამომათქმევინე, თორემ ვინ მომაშავა
მიმოსაფანტავი სიტყვა, მეტაფორა...
თვალწინ ჩაიქროლა ათასმა კინოკადრმა,
გონი ვეღარ იტევს ჟამთა ზედახორას.

სმენას რომ მისწვდება კოლიბრის გულისფეთქვა,
წყალი აირეკლავს ფარდას, ჭრელს,
და ფორანს...

ამომაკვნესინე ბერწობის შიშის ზარი,
სიკვდილის, სიცოცხლისაც, ფუგა,
ამომაფრქვევინე დაფარული, ვიდრე დროა,
ვიდრე ხსოვნა გულს უცეცხლოდ ბუგავს.

ამომათქმევინე კიდევ ერთი ქარი...

2014

ანგელოსები და მათხოვრები

“ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი,
მწუხარე თვალებით მიწას დაჰყურებდა"

გაენაკიონი

ციცინათელი თაფლის სანთელის.
ანგელოსები.
შემოპარული ხმაური ქუჩის.
დანაბარები.

სიძველისა და მირონ-საკმლის სურნელდაკრული,
ვტოვებ ვაგლახი მყუდრო საყდრების
ქვიტკირ-გალავნებს.
ხელს ვართმევ ღრუბლებს.
იქ – ბილიკები. ციცაბოები.
სიმაღლე მთების.
მწვერვალებიც.

…ხოლო ქალაქში ქუჩისპირას
იდგა ღვთის გლახა
შავი ქუდით გაშვერილ ხელში.
გაწკარუნება ხურდა ფულის...
ისევ...
და კიდევ...
აი, ახლაც...

...იქ – მწვერვალები.
დაღონებული ხელს ვართმევ ჩიტებს,
აბურძგნული და მობუზული.

...მათხოვარი კი ჰგავდა ანგელოზს,
უჩინმაჩინის ქუდდაკარგულს
და ამიტომაც სულ დაკორტნილს გამეტებით;
ანაბეჭდებით უკეთურთა ნისკარტების
და კლანჭ-დეზების...

დიახ. იმ ზამთრის ქუჩისპირას
იდგა ღვთის გლახა მობუზული –
ანგელოზს ეჭირა სველი ქუდი ხელში.

2015 წლის 24 აპრილი

ანიკო გეგიაძის გარდაცვალებაზე სოფელ არჩეულში

სკამზეც რომ კიდეზე ჩამოჯდებოდი,
ფეხისგულებსაც არ დაასვენებდი
და უფეხსაცმლო ტერფებს ცერებს დააყრდნობდი,
ხმის ნახევრითაც არ ილაპარაკებდი,
სატკივარს მეათედს გაამხელდი,
გაჭირვებას – მეასედს
და დარდ-ვარამს –
ამაზე კიდევ უფრო ცოტას...
ტვირთ-ბარგს – კაცსაც გაუჭირდებოდა – ეზიდებოდი,
ჭაპანს – მთელი ოჯახისას,
საახლობლოსისაც,
სოფლისასაც...
ჩიტი შენზე ბევრს შეჭამდა.

პეპელა ერთ დღეში ისვენებდა
შენი მთელი თვის სამყოფ დასვენებას.
ძლევდი-ერეოდი:
გოლიათის გასავლელს – სირბილით,
ამ ქვეყნის ვალს – უთენია წამოხტომით,
შიმშილს – თოხის მოქნევითაც,
მტერს...
მტერს ვერც კი ხედავდი,
თორემ როგორ არ გეყოლებოდა;
არ გეცალა
არც გაჭორვისთვის,
არც შექებისთვის,
არც სხვისის დათვლისთვის,
არც თვალი დაგრჩებოდა ვინმეზე და რამეზე...

წევხარ ახლა
შენთვის უჩვეულოდ ფართო საწოლზე
და ისეთი პატარა ჩანხარ,
გული შეეკუმშება კაცს:
კუბოშიაც მორიდებული,
თითქოს კუთხეში ბეღურასავით შეყუჟული,
მშვიდი ღიმილით
(შენს ტკივილებს ხომ შენვე უსაშველე სიკვდილით),
პაწია, უბრალო ხის ჯვრით
ნატანჯ და ნაჯაფარ ხელებში...

სოფლის კაცები ნელა ჭრიან საფლავის მიწას.
სოფლის ქალები სუნელებით ალქიმიობენ.
სოფლის ქათმები კი მეჩხერი კაკანით ხმობენ
აქ ჩაქროლებულ,
მტვერდადებულ ტკბილ სურათებს,
ჩაის ბუჩქებს,
ოდა-სახლის ფარდაგ-ჭილოფებს.

სოფლის ამბებიც შეივსება ცოტა ხანში
ამ ერთი სვეტით –
სამგლოვიარო განცხადებასავით
მრავლისმთქმელ ლექსით...

კუთხეში ნაკლებადშესამჩნევ ადგილზე
მოათავსეთ, სადმე – კიდეში,
საღებავნაკლული ასონიშნებით დაბეჭდილი,
შავის მაგივრად რუხარშიაშემოვლებული,
ელდა რომ არ ეცეს ვინმეს,
სხვა არ ეგონოს გარდაცვლილი –
ვინმე უფრო მნიშვნელოვანი,
მართლა საპატივცემულო,
მეტად გულდასაწყვეტი პიროვნება...

იმას როგორ გადავიტან, ისიც არ ვიცი,
ამდენმა კაცმა მხარზე რომ უნდა გამიდოს

(ვაი, სირცხვილო!)
ამ ხნის ქალი.
მერე სასაფლაოზე უნდა წამიღონ,
საფლავში ჩამიშვან თოკებით,
მიწა მომაყარონ ნიჩბებით,
ბორცვი შემომიტკეპნონ,
სანთლებით გამინათონ კუბოში ჩამოწოლილი სიბნელე
და პირველი ღვინის ყლუპები დამაღვარონ გულზე...

ეს რა დამემართა!
როგორ შეწუხდებით ჩემი გულისთვის...
არადა, გაზაფხულია.
სად გცალიათ.
უკვე ტყემალი და ატამიც გამოყვავილდა...

2013 წელი

არტახები

აკვანში ჩავაწვინე
ჭრელი არტახები
რწევა-რწევით
და ნანინათი
და ზედ დავაკვნესე-დავამღერე
ქვრივის ლეჩაქში გამოკრული დასდებელნი –
ჩემი ზამთრისპირის უკვირტო ძუძუების
ღამის სატკივრები,
უშვილო ბებრობის გაუხარებლობის
ჟამის საჩივრები.

ჩინჩამდნარ ჩემს თვალებს
ცრემლი დავადინე,
ჩემი სამი საწყალი გოგოს უცეცხლო სამზადში ატუზვა
და ორი ბოკვერა ბიჭის ეზოში ტანტალი –
დედობა-შვილობის ტკბილ-მწარე ხატები –
დავაცდინე...

რატომ არ იზრდებით აკვნების არტახებო?
(ალბათ თუ ცივ სხვენში უმზეობამ...)
თორემ რას შეგვიჭამდით მგზავრ შვილებს, ქალაქებო?!
(ალბათ თუ დედების უთქმელობამ...)

მუხლებმოკვეთილი, ვითომ ჩვილებს,
ისე მოგწვდებოდით,
ზედ გადაგაკრავდით არტახებს
და დაგიჭერდით
ამ ჭრელ აღვირებით
ჭრელსავე კალთასთან...

ახლა რა დამრჩენია?
შვილებს მანამ გძინავთ,
სკივრისთვის მიბარებულ კაბა-პერანგს გადავიცვამ,
ხელის ცაცუნით მოვფრატუნდები
ქალი-მოჩვენება
ძლივს შენათებულ ოთახში ტახტთან
და მშრალ ფოთოლად დავაკვდები
თქვენი სუნით გამთბარ აკვნის
მზეჩუქურთმას,
აწოწილ ნალიის ჭარტალმა რომ არ გამხილოთ,
მარტოსულობას მოაკვდინებინესო დედა-დედაბერი...

რატომ არ იზრდებიან არტახები?!
ბილიკებდაჩაგრულნი ჭინჭრებ-ბალახებით
უმტვერო სლუკუნებენ თემშარები –
გრძნობენ, თქვენგნით რომ გავმწარდი,
სიხარულის აკვნების არტახებო –
დედინაცვალივით წუთისოფლის საროზგე მათრახებო...

მე ხომ უფრო გულიანად გზელდით,
ჩემი სოფლის ტალახებო,
და ჩემს დაფლეთილ ღვიძილა ღამეებს
მალამოსავით დაგადებდით;
ან კი დედის ღვიძლს რა ძალა დაფლითავდა,
ან სად მოვიცლიდი,
პერანგა ღამეთათვის
საქსოვი ჩხირები გამომედო-გამომერღვია
და მათი ცივი, ლიბრედი და იანვრის ფერი აბრეშუმით
ჩემი ბერწი სიბერე მომექსოვა!

ამ ბერწი სიბერით და ბებრის სიბერწითაც
ზედ გადაგაკრავდით არტახებს
და მანამ გძინავთ,
სკივრისთვის მიბარებულ საკუბოვე კაბა-პერანგს
გადავიცვამ,
მერე მოწყვეტილ ფოთლად დავაკვდები
თქვენი სუნით გამთბარ აკვნის
მზეჩუქურთმას.

რად არ გაიზარდეთ ჭრელო არტახებო
ქრისტეს კვართივით –
შვილებს მივწვდომოდი!

2014 წელი, დიდი მარხვა

ბათუმი. ბავშვობა. სოხუმის ქუჩა

წიგნებს და გაზეთს რომ ვკითხულობ,
ეს კიდევ არ ნიშნავს – სკოლაში დავდივარ.
ჯერ ისევ პატარა ბიჭი ვარ (ამბობენ),
სოხუმის ქუჩაზე ვცხოვრობ და მარტოდენ
ჩემების – მშობლების
და კიდევ ბებიკოს დარდი ვარ.
ნაპირზე ცხელ ქვებზე დავრბივარ,
ყურს ვუგდებ მომავლის ავდრიდან
სიმღერას ნაღვლიანს ნამდვილად:
„სოხუმი საქართველოა,
ფესვები იქ გვაქვს ყველასო,
გახსოვდეს ქვეყნის ერთობა
ეგრევე ითხოვს შველასო“...

ახლა კი აწმყოში,
წვიმების ავდარში,
მაგნოლიებიან
ზღვისპირა ქალაქში,
სოხუმის ქუჩაზე
ბედნიერ ბავშვობას გავდივარ.

იცილებს
სოხუმი წინზრახვას –
ჯერ იგი სრულიად არა ჰგავს
სხეულის ღამეულ ტკივილებს.
ეს კია –
კარიესს უღრღნია, წლებია,
ამ ჩვენი მიწაწყლის კედლები ცრემლით და
გულს ცეცხლის დებითა...
მერე რა, რომ ჩვენი ქუჩები ზღვას დაშორებია –
ჭაობთან ახლოა.
განა ზღვის ხოტბით და
ჭაობის თაკილით
ვსაზღვრავთ ჩვენ სამშობლოს
ავ-კარგს...
ან ასკილით?!
ეს ქუჩაც ზღვით მოსულ და მიწაგამოვლილ
ტკივილებს განიცდის თავის წილს.
უგუნურს მგონია სამშობლოს არ უჭირს:
მაქვს გაგრაც, ათონიც, ბედიაც...
და თურმე ეს ქართლის ბედია –
კარსტული მღვიმენიც, დრანდიც და ამბარაც
დარჩება რაღაც ხნით აფთრების ამარა...

მაგრამ ჯერ ხანაა სამოციანების...
მშვიდობით! –

ჩემს პირველ ქუჩას ვეთხოვები.
წინ მელის ენგელსის ქუჩასთან შეხვედრა...
მეხუთე სართული...
ცარგვალს – ამ კოშკიდან
მნათობთ რომ ვუცქირო – ვინმე თუ ევედრა
მლოცველი ოშკიდან!
იწყება თამაში ენგელსის ქუჩაზე,
გრძელდება ბავშვობა – მოკლდება გზა ზღვამდე.
ჯერ ვარსკვლავს მიწვავენ ზედ გულის პერანგზე –
ცხადდება ხუთქიმა ბეჭედით
ნიშნობა-დაწინდვა ვერაგზე!
და როცა იძინებს პატარა ქალაქი,
კოშკიდან კარგად ჩანს ქუჩები-ძარღვები:
მთისძირის, ზღვისპირის, თბილისის, ბაღების,
ფერიის, სოუქსოს, სოხუმის, ზღაპრების,
მეფეთა, რუსთველის, აჭარის, ლამპრების,
აკაკის, ილიას, ვაჟას და აფრების...

დღისით კი ეზოში და მერე მის გარეთ გამოსულს
მგონია ქუჩებთან შეხვედრით დავბერდი –
პაწია არსებას შხამიან ხიშტებად
აქ მისაფრდებიან ქუჩათა აბრები:
მარქსის და ლენინის,
წითელარმიელის,
ი. კალიაევის,

სერგოს და სვერდლოვის,
ცეტკინის,
ლუქსემბურგის,
რევოლუციის,
ლუნაჩარსკის
და კიდევ – ძერჟინსკის...
და როცა იძინებს პატარა ქალაქი,
კოშკიდან კარგად ჩანს ქუჩები-ძარღვები,
იმედიც, რომ არსად ერთმანეთს არ კვეთენ
ლენინის, კ. მარქსის, სვერდლოვის, ენგელსის
და სხვ. მისთ. ქუჩები...
როდემდე გაძლებენ?

ცხრა და შვიდი და ექვსი დღის წინ
ბათუმში,
რომელმაც იცვალა ფერების ფასადი,
დასრულდა უგვანი აბრების პარადი
ჯორჯ ორუელისა
და ფრანც კაფკასეულ კოშმარულ სიზმრიდან...

ტექსტის ანარეკლთა სიღრმიდან,
წარსულის გაცვეთილ შირმიდან
მიცქერის თვალები,
რომელთაც სურთ:
დაბრუნდნენ ჭუბერით სახლებში,

გაფრინდნენ ვერტმფრენით ლიხნისკენ,
გაცურონ კატერით სოჭიდან,
აანთონ ილორში სანთელი,
იპოვნონ ბავშვობა, რომელიც დამალეს
თოჯინის ფახულა თვალებში
და თოფის მარცხენა ლულაში
ბალკონზე, სოხუმის ქუჩაზე,
და აღარ წყდებოდეს სიმღერა
მყობადი დროების ყრმობიდან:
„სოხუმი საქართველოა,
ტკივილს გვიამებს ყველასო...
მტერს, "ვაი დედა" ვაძახოთ
და ჩვენ ვთქვათ "დელა-დელაო!"
ჩონგური სოხუმი არის,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო!"

წიგნებს და გაზეთს რომ ვკითხულობ,
ეს კიდევ არ ნიშნავს – სკოლაში დავდივარ.
ჯერ ისევ პატარა ბიჭი ვარ (ამბობენ),
სოხუმის ქუჩაზე ვცხოვრობ და მარტოდენ
რუკაზე ვეფერები
აფხაზეთს!

2012 წლის აპრილი

ბებერი თივის ზვინების გახსენება

მწვანე ბალახზე წამოწოლილი თივის ზვინები
სჩანდნენ ბებრებად ბალღთა შორის და დარცხვინებით
გასცქეროდნენ მოლისფერ აწმყოს.
მსგავსად ომის დროს სოფლის წყაროსთან მოჟრიამულე
დაობლებულ და დასაობლებელ ჭრელ გოგო-ბიჭებს
თავსაფრის კუთხით მოსაწმენდი ცრემლების
და ყალიონის კვამლის ბურუსში
გვიალერსებდნენ გამწარებულნი
დიდედანი და პაპანი ჩვენნი.
თურმე რამდენი რამ ინატრო და ილოცო უნდა...
წამოიზრდები როცა ბალახი,
აბიბინდები შენი ეზოს, კორდისა და მთის ფერდობის
მსუყე მიწაზე,

ინატრო უნდა,
მოგცელოს იქვე,
მოგთიბოს იქვე,
მოგგლიჯოს იქვე იმ მარჯვენამ,
რომელსაც სულერთია ვერ გაექცევი,
ოღონდაც –
მოცელილი მაინც აღარსად წაგიღონ!
რადგანაც იქვე მზისგან თივად როცა გადაიქცევი,
ხსოვნის ზვინებად წამოგდგამენ, როგორც
ძეგლებს მიცვალებულთა,
მოგაკითხავს ბედნიერებაც:
შენი მთა-ველის ცა დაგაწვიმს სხვისაზე თბილად,
და მონაბერი შენი სოფლის დაბურულ ტყიდან
შუადღის სიო გაგიგრილებს მკერდს სევდით სავსეს,
ხოლო იმ შენი აკვნის – მიწის – სურნელი ჩვილის
დაგიამებს ტკივილებს თიბვის!

...და თუკი კიდევ ერთ ხანს მაინც
დაგაცალეს,
არ მოგინელეს,
გადაგინახეს შემდგომისთვის,
თიბათვის მერე კიდევ ცოტა ხანს თუ გაძელი,
ნახავ,
როგორი თავდავიწყებით გადამწვანდება სათიბები
და მოხუც ზვინად ფეხზე მდგომი გულში დალოცავ

აღორძინებას სიცოცხლისას, მის განახლებას –
უმანკო ბალღებს – ლორთქო ბალახებს
და მოუყვები საწუთროს ამბებს;
ოღონდ არ ეტყვი, არ გაუმხელ ერთადერთ წესს, რიგსა
და კანონს:
რომ გაიზრდება ბალახი როცა, მოთიბავს ცელი!
რადგან თიბათვის შიშით ცხოვრება არ შეიძლება,
ვერ გაუძლებს ამას სინორჩე.
ამ ზრუნვით სავსე დიდედანი, პაპანიც ჩვენნი
კაკლის ხეებქვეშ შაქარყინულის ერთი ბეწო
თეთრი ნატეხით
გვიტკბობდნენ ობლებს ბავშვობის დღეებს.
* * *
და დღეს ალბომებს გახუნებულთ,
ჩემი სულის მეხსიერების,
რომ ჩავაშტერდი,
ამოტივტივდა საიდანღაც ეს ყველაფერი სურათებად –
ბალღობაც და ამას წინათ სოფლის მოხილვაც.
თვალს ვერ ვწყვიტავდი!
მწვანე ბალახზე დახატულიყო მთელი ცხოვრება:
წამოწოლილი თივის ზვინები სჩანდნენ ბებრებად
აბიბინებულ ბადიშთა შორის...

2012 წელ 24-29 ივლისი

გარდაცვალება

ნეტავ, რა უნდა მეთქვა?
რის დამავიწყდა ფეთქვა?
ეს რა განათდა მაღლა?
რისი ვიგრძენი დაღლა?
სულს არ ახსოვდა ფრენა,
არც დროს – ფოთოლთა ცვენა,
თვალებში მთვარე ჩაქრა,
სევდამ წუხილი შთანთქა:
მზის სხივს რად ეძებს ნამი?!
მიწყდა სოფელში ჩქამი,
სუნთქვა შეიკრა ლამის:
კაცი ცხოვრების გამის
ბოლო კლავიშებს წამით
მოეფერა და...
„მამი!
ნეტავ რა უნდა გეთქვა?“
გულს დაავიწყდა ფეთქვა.
სულს გაახსენდა ფრენა.
ლოდინს ითვლიდა ზენა.

2012 წლის 27-28 მარტი

გარდაცვალება

სქემმონოზონ ნინო რომანოვა-გულოვანს

თიბათვის მზის და ბალახების ფიქრით გამთბარი
გადიხსნა მიწა: სულ არ ჰგავდა სიკვდილის ალაგს.
თითქოსდა თიხის კარიბჭე იყო უცხო მთა-ბარის
და იმის იქით იწყებოდა, რაც მიწას არ ჰგავს.

მიუკაკუნა კუბომ კარზე – სამარის ფსკერზე,
მიწაც, ქვა-ღორღიც ახმაურდნენ...
ო, რა მოხდება?!
ყვავილა ბორცვი იბადება მონასტრის სერზე.
სამარეს, იქით რაც იწყება, არ აღმოხდება.

ამასობაში საფლავში მწოლი გასცდა სამანებს,
ამაოებას ამქვეყნიურს, მისწვდა სავანეს,
განსასვენებელს...
და უცემს ისე, როგორაც უწინ,
გული დაღლილი, რომ ეგონა გაჩერდა გუშინ.

2012 წლის 15 ივლისი

გარდაცვალებაა, რასაც ველი

ამიყოლია... არადა, როგორც იქნა, ვივიწყებდი,
რადგან უკვე სულერთი იყო, ვიტირებდი თუ ვიცინებდი.

მომძალებია... მე კი მეგონა, დიდი ხნით ვიცილებდი
ფიქრებს სიკვდილზე, როცა სასაფლაოს
გვერდს ვუქცევდი,
ისრებს, სიტყვებს, ტყვიებს, მზერებს განურჩევლად
მკერდს ვუშვერდი.

ვაჰმე! სიკვდილმა მოღალატემ რა აღარ შემომბედა,
ურიდალმა,
ქვრივ-ოხრობისა და გმინვისათვის, მარტოკაცობისთვის
გამიმეტა უტიფარმა,
სად აღარ შემომხვდა-შემეფეთა, ვისგან არ გამძარცვა,
რა აღარ წამართვა, გამომძალა, როგორ არ მამწარა.

ასე თუ ჰგონია, არხეინად იბუდებს ჩემს უბეში,
იგი ხომ შავეთის და ქვესკნელეთის უხსენებელია...
გარდაცვალებაა, რასაც ველი – მარტოკა ნუგეში!
წასულებს სულები, სულები უხსენეთ, ელიან!

წეღანაც შემახსენა თავი ურიდალმა, გეყოფაო,
ლაღად შემომცინა,
ერთი სიცოცხლის მზე მკვდრისფერეთში მეწამულად
ნელა ჩაესვენა...
არადა, ღმერთი, რჯული, მარტო მისი –
სიკვდილის – იმედი მაქვს, გადაიფრენს,
ოღონდ არ გამიგოს ჩემი საიდუმლო,
ოღონდ არ გამიქრეს!

... თორემ უსიკვდილოდ როგორ გავარღვიო
საწუთროს გალავანი,
სულეთში ჩავაღწიო – არ გავცვითო
ცხოვრების ქალამანი?!

2012 წლის 20-23 ივლისი

გასაუბრება

ხმიადო,
ძლივს მესმის საკუთარი გულის ფეთქვა –
მინახე მაჯისცემა!

სხეულს სულ დაავიწყა უძილობის
ბინდბუნდმა ღამისთევა.

თვალისჩინს ვუჯავრდები – ვეღარ ხედავს,
ვისთვისაც ღირდეს
ყორანა ნაბდის თელვა.

სიბერის ცრემლი მომდის, მენატრება
ტირილით ღაწვთა დასველება,
ისეთი, როგორიც ალიონზე
ზამბახზე ნამის გაბრწყინება.

არადა, ძლივს მესმის საკუთარი გულის ფეთქვა,
ხმიადო,
მინახე მაჯისცემა!

2012 წლის 16 ივნისის სალამო

ეკლები

წიფლის ქოხის
ძილგატეხილი,
ღვიძილნატანჯი
სინამდვილიდან,
როგორც სალი და შავი კლდიდან მოწყვეტილი
პირქუში ლოდი,
გამოიჭრა კუბო კი არა,
ტახტრევანი
ხალხის ქაოსში –
დროისაგან შემეჩხერებულ ტალღათა შორის.
პოეტის ვერცხლმა, საფეთქელმა,
ვით სიცოცხლეში,
ახლაც – სიკვდილშიც
ჩიტთა ფრენის სიმაღლეზე გადაგვიარა...
და მეყვსეულად, თითქოს მოხდა ერთ დაძახილზე,
აღიმართა ათობით ხელი –
წაეპოტინა ჰაერს, წვიმას,
ცრემლებს, ნუგეშს,
ლექსთა ფერებს
და სიტყვებსაც –
დანატოვარს პოეტისას...
იმ ტალღებიდან
გაეწვდინათ მრავალთ ხელები,

უთბილეს კუბოს რომ შეეხონ
სანატრელ წამით,
მისწვდნენ პოეტს,
მის სიმაღლეს,
მის დაფნის გვირგვინს...
და არ იციან,
რომ შეეხონ,
შეიგრძნობენ მხოლოდ ეკლებს,
ნედლ ფოთოლთ და სურნელოვან ყვავილთ კი არა!

იმ ვარდებისგან, რომ უძღვნიდნენ
ფიფქების და სხივთა ნაცვლად
ქანცგაწყვეტილს ავანსცენაზე,
ქუჩაში მარტო გამოსულის ხელში სახლამდის
ქარის წყალობით არ რჩებოდა არაფერი ეკლების გარდა!

ფრთხილად ჩადებდა ქოხის მდგმური
ლარნაკში ტოტებს
და ყოველ დილით ღამენათევი წყალს უცვლიდა –
ინახავდა ნაჩუქარ ეკლებს
გოლგოთისთვის...

2013 წელი

ელსინორი. ახლა კი მივალ

ტემპთა (და დროთაც) მზომმა სივრცისფერმა
ქვიშის საათმა
მუხლის სახსრებში (ხერხემალშიც)
სულ მარცვალ-მარცვალ დამითვალა
(ტყუილად მეგონა, ბებერს ჩაეძინა
და ქვიშა გაეპარება-მეთქი),
რომ შეუწყვეტლად ვიცინოდი ექვსასი წამი
რაღაც უცნაურ გაგიჟებით,
თავს ვერ ვთოკავდი,
ელსინორის ტრაგედიას რომ შევესწარი მოულოდნელად,
მას მერე, რაც იმ სახელმწიფოს სანაპიროზე
მეც შიშველი გადმომაგდეს მეკობრეთა დიდი გემიდან.
იმ წუთიდან –
„ნუღარას გვეტყვი, ნუღარ ამბობ!“ –
მიკიჟინებდნენ,
ამჯობინებდნენ, ჭკვაზე შემცდარი ვყოფილიყავ,
ასეთად ვეცნე,
ოღონდაც სულის გახრწნილებას
ნიავიც კი არ მიეკაროს.

იმას ვამბობდი, ვიცინოდი ხმამაღლა და ისტერიულად
და რადგან, როგორც სარწმუნო წყაროებიდან გახლავთ
ცნობილი

(მაგალითად, ზედმიწევნით მახსოვს,
თერთმეტი წლის ვიყავი,
რომ სამზადში, ლამფის შუქზე,
„სოფლის ცხოვრებაში“ ამოიკითხა ივლიტა ბებომ
და იმავ ღამით გაუზიარა ეს ამბავი მეზობლის ქალებს,
რომელთაგან არცერთს არ ეგულებოდა
არაფერი სასაცილო
კიდევ ასე ასი თვე მაინც,
საწუხარი – რამდენიც გინდა! –
აქედან კი მთა-ბარს მოედო),
რომ ყოველი სამოცი წამი სიცილისა
გვიხანგრძლივებს ჩვენ სიცოცხლეს
ზუსტად ერთი დღით!
მაშასადამე, მე ვიცხოვრებ ათი დღით ზედმეტს,
ვიდრე ვფიქრობდი, ვიცოცხლებდი,
და ამიტომაც ჩემს უგუნურ თავს ვეკითხები,
რას მოვახმარდი ამ ათ დღე-ღამეს...

დღე პირველი

გამარჯობა შენი, დღეო ნაჩუქარო
(ღმერთო, მერამდენევ!)!
გამარჯობა, ხმელეთო, ზღვაო
და კიბემიყუდებულო ცაო,
კაი გამარჯობა!
მადლობელი ვარ.

აღტაცებული უსიტყვებო ჰიმნით ვუგალობ.
ფიქრები და აზრები ფრინავს.
ო, რა გრილი საღამოა!
ჩაის შევექცევით.
ცეცხლს თვალს ვერ ვწყვეტ.
...მალე შევხვდებით.
ახლა კი ძილის დროა.
წვიმა წვიმს
და ჩემს მხრებზე წამოსხმულ ქირმანის შალსაც
ბედნიერების იერი დაჰკრავს.

დღე მეორე

რკინის, ჰო, რკინის ქალამნებს ჩამოვიცვამ,
მთვარე რომ გამოჩნდება
და მოვივლი ჩემს დედამიწას.
მე მამა ვარ და ვიცი,
რომ ყველაზე მეტი ობოლი იქაა,
სადაც ყველაზე ბევრი დედაა,
რომელთაც სხვებზე ბევრი მეომარი გაზარდეს ისე,
არც კი უფიქრიათ,
რომ ომსაც თესავდნენ თეფშებზე
დასველებული ბამბის ქვეშ,
და არც დასაობლებელ შვილიშვილებზე.
ყველაზე მეტი ობოლი კიდევ იქაა,
სადაც დედები, შვილებს და სამყაროს სიცოცხლე
რომ აჩუქონ,

მათ წინ ამოზრდილ კედელს იქით შეაბიჯებენ
და მშობიარობას გადაჰყვებიან.
მე მამა ვარ,
მე დედის თბილ უბე-კალთაში ვარ გაზრდილი,
და ამიტომაც ვიცი,
როგორ მივუთბუნო ობლებს.

დღე მესამე

ადამიანებო!
ვინც შეგიყვარათ, მხოლოდ იგი იქცა კაცად-ვექტორად,
უთენია აკვანში რომ დაიწყო
და შუაღამეს თავი, ჯარისკაცის სამკუთხა ქუდიანი,
უკვე ვარსკვლავს მიაბჯინა!
ადამიანებო, მამამ ისე შეგიყვარათ თქვენ,
რომ ნუღარაფრის გეშინიათ!
და მაინც გეშინოდეთ
გულგრილობის, მშვიდობის,
მეგობრების, გამეფებულების, პენიცილინის ნემსების,
სიმსუქნის, სიმჭლევის,
წითელი მამლების დეზების
და თავბრუდამხვევი სიმაღლეების...
ადამიანებო,
ახლობელნო და სრულიად უცნობ-უცხონო,
ნუთუ მიყვარხართ მთელი არსებით
და ეს არ მეჩვენება?!

თქვენ რომ არა, არც მე ვიქნებოდი!
მადლობელი ვარ.

დღე მეოთხე

ყველა შამბნარ და ჭინჭარგადავლილ ეზოს,
ჩამონგრეულ ციხის ქონგურებს,
უსახურავო სახლის კედლებს,
დაბრეცილ ძელებს,
დამარცხებული ფალავანივით გაწოლილ ღობეს,
გამხმარი ვაზის ფესვებს,
სოფლებს,
სადაც კაცი აღარ ჭაჭანებს,
გავერანებულ ბაღებში შემოფრენილ,
პირში ჩალაგამოვლებულ
ჩიტებს
და სხვებს
ვუჩოქებ.

დღე მეხუთე

კიდობანს გავხსნი ბოლოსდაბოლოს
და მასში ჩაყრილ ავლადიდებას
ჩამოვარიგებ.
წაიღეთ
ჩემი წითელი ჰალსტუხი, შორტები,
საათის ისრების კოლექცია,

ოთხი დასტა ოცდაშვიდი ქვეყნის ასიგნაცია,
შაბიამნით შეღებილი ვაზის ფოთლები,
თეთრი გლობუსი,
ისტორიის სახელმძღვანელო,
ჩურჩხელებით სავსე ხურჯინი,
დილიჟანსის მართვის მოწმობა,
ძველთაძველი დროშა, ხატი, ყელსაბამი,
ფონენდოსკოპი,
ოთხი ყუთი ზეთის გაუხუნარი საღებავები,
ერთი ბოთლი ბავშვობის ზღვის წყალი,
ჭრელი ხალიჩა, არტახები, გასაღებთა დიდი ასხმულა,
ჭადრაკის დაფა ფიგურებით, კიბის რიკული,
აზიური უძიროები, ციყვის ფიტული,
კონტრაბასის ორი ხემი, ხის ჩარჩოები,
უფალიო კაჟიანი, სამი ქარქაში,
რადიოლა, ბეჭედი
და ეტლის ბორბალი.

დღე მეექვსე

ეს ერთი დღე კი, ერთადერთი,
ვიცხოვრებდი, როგორც მელექსე:
არ დავწერდი არც ერთ სტრიქონს მელნით ქვაზე,
ან ბატის ფრთით კამეჩის ბეჭზე,
არც ქვიშაზე თევზების ფხებით.
გადავირბენდი ზღვის იქითა, გაღმა ნაპირზე

და იქიდან მოვინატრებდი ჩვენს ნავსადგურს –
წვიმებით, ხავსით, ჟანგით, მარილით,
მოსაცდელი დარბაზის თამბაქოს კვამლით,
ორკვირიანი სიცარიელით...
როცა ქარი ჩადგებოდა საქარეში, მეც იქ გავჩნდებოდი,
და ვიდრე ამოვარდებოდა, დაწყნარებულზე,
კალთებს დავუკოცნიდი.

მერე ამოვშლიდი
ჩემი ცხოვრების კურიკულუმის ვერსიებიდან
ყველა ჯილდოს, ტაშს და პრემიას,
ჩავასწორებდი-გავამრავლებდი ჩანაწერებს
გრძელ სვეტებში
ამის მსგავსად:
მიღალატეს ასჯერ კი არა, ცხრაჯერ ასჯერ,
დამაბეზღეს – სამას არა, შვიდას ჩვიდმეტჯერ,
გამასამართლეს –
ვინაიდან არ მოვკალი დიდი ვეზირი
ჩემი ხელმწიფის კარზე მდივანბეგი ოდეს ვიყავი;
ვინაიდან არ გავიწყვიტე სინდისის და სირცხვილის
ძარღვი
ანესთეზიით და ლაზერით,
უმტკივნეულოდ;
გამასამართლეს
იმიტომაც, რომ არ ვიქურდე;

რომ გავაწანი სილა ლექსთა ალბინოს ჯალათს,
თეთრთათმანიანს...
მივადგებოდი გამოცემულ წიგნებს, ბროშურებს,
ჟურნალებსაც...
ჩავწერდი, რომ უიმედო, უკაპიკო ველოდებოდი
ხუთი კვარტალი (თხუთმეტი თვეა),
წელიწადიც მერე ათიოდ
თუნდ ერთ სტროფს, კუპლეტს, სტრიქონს,
დაბეჭდილს...
რომ ვიყავი მარტოდმარტო
და სიცხიანს არასოდეს შემახებდა ვინმე შუბლზე
სიგრილეს...
რომ მაწვალებდა სიტყვა, სიტყვა,
ისევ სიტყვები...

დღე მეშვიდე

ღელეღუდეებს, ყველა კოპიტს, ფშატეს, მაყვლოვანს,
ჭალას, ბუდეებს, თემშარებს და კლდეთა ბილიკებს,
ცხვრების თეთრ ფარას,
შაშვთ გალობას,
ბალახთ დუმილსაც,
ქარი კი არა, სიოც რომ ვიყო, ვეკმარებოდი
და სულ ერთ დღეში
მიმოველამუნებოდი
ჩემი სამშობლო ქვეყნის მთა-ველს,
ყოველ მტკაველს...

დღე მერვე

ძილს მოვიცილებ, გადავდებ გვერდზე
და შევაბიჯებ იმ სამეფოში, რომლის მაგნეტიზმს
მთელი ცხოვრება ვისისხლხორცებდი;
შევძელი კი მომეხილა ამ სამყაროს ერთი მისხალი
და ამ მცირედმა რაც შემაყვარა,
წიგნთსაცავი განმიახლებდა მემილიონჯერ
(თუმცა, უფრო მთავარია, რომ კიდევ ერთხელ!).
ძველი სურნელი, უცნაური გემო, ფერი, წარმოსახვები,
სიტყვა, ნაწერი, სილამაზე, პერსონაჟები,
იმათი ხვედრი,
მწერლის ენა,
პოეტის წერის იდუმალება,
ზეციურობის,
მიწიერისაც, უმძაფრეს განცდა...
ეს ყველაფერი,
დატეული სათითაოდ ყველა წიგნში,
განძადქცეულში.

როგორც გულში,
ხვდებიან ერთურთს,
ძარღვ-ფესვებით ჩაეწნებიან
დიდი კოსმოსიც და პატარაც – ადამიანი.
ხელით ვეხები, ვფურცლავ, ვხედავ:
გადაშლილი თითო წიგნი ბრძოლის ველს ჰგავს
ნათლის და ბნელის.

ამგვარ ველს კი არ ტოვებენ,
ვიდრე გული ცემს.

დღე მეცხრე

ნუთუ ხვალ უკვე დღეა ბოლო, უკანასკნელი?!
ცრემლი მერევა,
მიჩუყდება გული – მიცემს აჩქროლებული.
მიყვარხართ,
მზეო, სიცოცხლევ, მიწავ,
ღამევ, ტკივილო, განწირულობავ,
სუსხო, ღიმილო, მარტოობავ,
მტერო, მოყვარევ,
კვნესავ, ალერსო, ქარიშხალო, ფიქრო, ფერებო...
სიცოცხლე მინდა!
სიცოცხლე მინდა
სამანს მიღმაც -
სიყვარულის თეთრ საუფლოში!

დღე მეათე, გარდაცვალების

ნეტავი, უფრო მეტი მეცინა
.....
ახლა კი მივალ.
ახლა მინდა გარდავიცვალო.
ვიდრე ცოცხალ ვარ.

2014 წლის სექტემბერ-ოქტომბერი

ეპილოგის მაგიერ

მხატვარ იდა თვარაძეს

მწუხარე ანგელოსი აღარ სევდიანობს, –
ხარობსო იდუნია.
ჩამქრალი ჭრაქი ანთებულზე ეჭვიანობს,
დარდობსო, ვის ვუნდივარ?!
სარდაფში დაქანცულის სუნთქვა სისხლიანობს,
ალბათ თუ ჭლექიაო,
მართალი მხატვრის ნიჭი მადლით რწმენიანობს,
არადა – შლეგიაო...
კანკალებს…
საზეველას ყინვა მოჰყოლია
(ნეტავ, სხვა როგორ თბება?),
ზეცისფერ ქანდაკებებს კვალი დატყობიათ:
სტკივათ მოგონება.
დაიდგა თავთუღელი, ღვთისკაცს მიეახლა
და ფუნჯსაც შეელია.

ფარავდა მისი ლოცვა, სიღრმეთ მიესალმა
და ფერეთს შეერია.
მთის წვერზე ავიდა და იქით გადიხედა:
ო, ღმერთო, რა ყოფილა!
რა ასფერთმოსილება, ან რა სხივთმფენობა!
ოღონდ დრო ამყოფინა!
დაწერს ცის ლაინისფერს, ვეჟან ნაჭრილობევს,
მანისფერ თოლებსაცა,
შებურავს ყომრალისფრად ჭიაფრით ნაჭიატევს,
ლუშსა ქმნის მორევსაცა:
სიწმინდეს ამჭვირვალებს კაპადოკიელის
და ნათლისმცემლისაცა.
უფალო, ნება ჰქმენი – გული საგულესა,
მის ნანულ ცრემლითაცა.

ათრთოლებს კვლავ სასმისი
მწვანე ჯვრისმტვირთველის –
კვართს უწვდის სიდონიას,
ცისფერი ანგელოსი მცხეთას მიაცილებს
წვიმაში
                  იდუნიას...

1994 წლის ივნისი

ᲕᲐᲠᲘᲜᲙᲐ ᲮᲘᲛᲨᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

მზითევს მოყოლილ, დიდედის ნალოც
წმინდა ბარბარეს ხატს ჩუმად ანდო
მწირ შესაწირად თეთრი სანთელი.
ქმარ-შვილს და მამამთილს, მაზლ-რძალსაც ეძინათ
და სანთლის ციმციმი შუქებად ეფინებოდა სიბნელეს,
ასწლოვან ფარდაგს და კაკლის ხის განჯინას.
ქალის ყვითელ სახეს უგამხდრეს თითების პირჯვარი
ათბობდა,
(ტანში ჩაბუდებულ ავზნიან სალმობას
ნეტავ რით გაცლოდა?)
ვენახებს, გორაკებს, სახლებს და ბილიკებს
სამი დღე ათოვდა.
სიკვდილის ლოდინში შვილები ფიქრშიც კი
წუთით ვერ დატოვა.

„ქალწულო, შეგვედრებ ჩემს ორ ბიჭს, საობლეთ,
უმფარველეო,
პატარებს, უმახსოვროთ, დედის სახე გულში აღუბეჭდე –
უსაშველეო!

იქნებ...
სატკივარი მათი გულისათვის ერთხანს დამიყუჩო –
გვიგზამკვლევეო:
ვზარდო,
სიყვარული, ლოცვა, სიბეჯითე,
ქვეყნის ჭირ-ვარამით სუნთქვა-გულისცემა
შთავუნერგო, –
გვიწყალობეო.
ღმერთო, ხელი გამიმართე!
ნაშობნი გამიზარდე
და მერე გამიმრავლე...
იმქვეყნად გული გამიხარე,
დედის კნინი ლოცვა ჩემს მიხაკოს,
ჩემს ლადიკოს წარუმძღვარე!
ყველამ მაპატიეთ...
როგორ შეგატოვე ცალს ჩვენი უღელი,
მამავ და ბატონო,
მგონი, ერთადყოფნის ფიციც დავაბნიე...“

უეცრად სატკივარი თითქოს მიჩუმდა და
საყდარში ჯვრისწერაც ცოცხლად გაახსენდა,
ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების ეკლესიაში.
აქ, იმერეთის ულამაზეს მხარე-სოფელში,
ჩხეიძეებში გამოთხოვილ მამიდა მარიამთან
სტუმრად ჩამოსულმა პირველად დაინახა

საბედო შობისღამეს.
რეკდნენ ზარები –
ქრისტეს ხარების...
მაშინაც თოვდა...
ფიფქები წერდნენ ბედისწერას
დათოვლილი სოფლის სახლის
სახურავებზე –
წასაკითხად არვის ეცალა!

* * *

ვარინკას საფლავი იჭრებოდა იმერულ მიწაში.
ბარდნიდა.
თებერვალს არ სურდა გამოსვლა ზამთრიდან.
იმდენი ეთოვა,
ხიმშიაშვილთაგან
ვერავინ ჩამოვიდა იმ ზამთარს ქართლიდან.
წავიდა ვარინკა, დიდებული გვარის ასული
და მამის საფიცარი...
და, როგორც ხდება,
მის ადგილზე, მის ნაცვლად და მის წილ
ობლობა შემოვიდა და ქვრივობა
დეკანოზ ბასილის
სახლსა და ჭიშკარში
და ჯერ ნედლ აკვანშიც...
ოჯახის წევრებმა, გამოუცდელებმა,
სტუმრობად ჩაუთვალეს ერთხანს.

კიდეც იჩოთირეს.
ქვრივობლობა ჯერ მდგმურად დადგა,
მერე ესეც ითაკილა.
მღვდლის კეთილგანწყობით, არ დაგვიშლისო –
ოჯახში გაიდგა ფესვი.
ქვრივობამ გასტანა ორმოცი წელიწადი,
ობლობა გრძელდებოდა დღემდის...

* * *

იმ წელს განისვენა დიდმა პატრიარქმა კალისტრატემ.
რწმენამინავლებული ქვეყანა ჩვენი –
ახლა ოდენ თოვლითღა თეთრი,
მაინც შეტოკდა და შეტორტმანდა ერთი.
გაიხსენეს,
ქუჩაში რომ დაინახავდნენ მომავალს ფეხით,
იტყოდნენ:
– შეხედეთ, ალბათ, სწორედ ასეთიაო ღმერთი!
უკვე საწოლზე მიჯაჭვულ მხცოვან დეკანოზს კი უთქვამს:
„თუ პირში სული გვიდგას ქართველებს,
უნდა სიონში ვიდგეთო დღეს,
მდუღარე, სიმწრის ცრემლებს
ვღვრიდეთო ბევრს...“
უგლოვია და უტირია თავად ბებრული თვალებით,
მლაშე ცრემლებით და უმწარეს კაეშნით.
უდარდია და უჯავრია უძლურს ვაებით
და ამითაც მოუახლოვებია თავისი ჟამი:

კათოლიკოსის ორმოციც არ გადაეხადა საქართველოს,
რომ მშვიდად აღესრულა მამა
მრავალჭირნახული:
სოფელმა კიდევ ერთი ხარი ამოჭამა,
გამწევი მარტუღლის!

ორმოცი წლის წინ გათხრილ საფლავს
მარცხნიდან მიადგნენ:
ახალი საფლავი ჭრეს.
სულ მალე მიდგომიან ვარინკას ნეშთს.
დრო-ჟამს და თოვლს ზუსტად ვერ მოუნიშნია
საფლავის მარცხენა და ზედა სამანი, –
ასე გადაიხსნა ვარინკას სამარხი.
დაუხვდათ ძვლები, ჯვრიანი ძეწკვი და
ოქროს კულონი სახსოვარი...
შეძრწუნდა ლადიკო.
ორმოცი წლის მერე, ამხელა ობლობის წილ
დედასთან ასეთ შეხვედრას ელოდა კი?
ბაგეებით დაჰკვდომია ძვლებს.
უტირია.
არა, უბღავლია!
რას გრძნობდა, იცის ვინ?
(იქნებ გაეყინა ყველა გრძნობა?!)
ან რას ფიქრობდა იმ წუთს – წლების წინ?
(იქნებ ერთი აზრიც არ მოსდიოდა იქ?!)

მერე აღმოთქვამდა ტკივილით ნადუღარით:
„დედამ იქ გაიგოო ჩემი საწუხარი –
ვნატრობდი მარტოდენ ამბორს
და რომ დამენახა სახე სანუკვარი...
ასე ჩაეყარა ჩემ ახალ ცხოვრებას საფუძარი –
გულში ჩამიკონა დედამ ნაურვალი...
და ერთად გამითბა სულ ყველა ღამე
უდედო ბალღობის,
უცბად დამიტკბა გადატანილი ყველა სიმწარე
და ყველა ჭიქა ჩაი ობლობის,
სულ ყველა სიცხემ დამიწია, რაც კი მქონია,
სკოლაში წასვლის ყოველ დღეს სულ კოცნით დამლოცა,
გამომაცილა
და ვიდრე თვალს არ ვეფარებოდი, იდგა და
მიცქეროდა ჩანთით ხელში სასწავლად მიმავალს...
ყველა წაქცევის, ტოლსწორთან ჩხუბის,
მამლაყინწობის გამო ნაცემობის
ყველა ტკივილი ერთად დამიამა დედის მოფერებამ,
ერთბაშად იმდენჯერ გადამისვა თავზე ხელი,
რომ ჩემი ურჩი გაბურძგნული თმები
მომითვინიერდნენ;
ყველა ბატონები ერთად მომიბრძანდნენ
და არც ერთი არ ბრაზობდა –
დედამ იცოდა როგორ ემასპინძლა;
ისიც მოვასწარი, დედის მოფერებას

ერთბაშად ათასჯერ გამოვრიდებოდი,
უკვე დიდი ვარ-თქო;
დედის თმებში ჭაღარაც შევნიშნე,
სახეზე – ტკივილი,
თვალებში – შიში
და ჩუმად ვიტირე გათენებამდე
ათას ერთი დღე-ღამის იქით...
მერე რატომღაც დედა წამართვეს, სადღაც წაიყვანეს,
შინიდან გავიქეცი შორს,
ვიხეტიალე, ვიდრე არ ვიპოვე
და არ დავიბრუნე იმ შორეთიდან დედაჩემი.
დავიბრუნე და დავემშვიდობე“...

ყველაფერი, რაც დედა იყო საფლავში,
ჩააწყვეს სახელდახელოდ შეჭედილ
ჯვრიან ლუსკუმაში,
მიწას მიაბარეს
და გვერდით მიუსვენეს მამა.
ახლა მის კუბოს მიაყარეს მიწა და თოვლი...
თუმცა ლადიკოს მარტო დედა ედგა თვალწინ...
ია-ენძელებმა ამოყვეს თავები
ჯერ კიდევ უთეთრეს მიწიდან...

„დედა მიღიმოდა, ფქვილიან ხელებს მარიდებდა,
მე რომ ვეკვროდი.

მამა ოდა-სახლის შუშაბანდიდან გვიცქეროდა
და წვერზე ისმევდა ხელს.
შვილები არც დავრბოდით,
არც ვცელქობდით,
აბა, სად გვეცალა –
დედას შევყურებდით:
ზმანებაშიაც გვეშინოდა,
ისევ არ გადაკარგულიყო
ჩვენი ისედაც დაკარგული ბავშვობიდან...“

* * *

საფლავის ბორცვზე ყვითელი სანთლები დაენთოთ.
ჭირისუფალი შინისკენ მიდიოდა,
მათთან ერთად თანასოფლელებიც და სტუმრებიც.
შუშაბანდში ქელეხის სუფრა ხელმეორედ იშლებოდა.
შესანდობარი ისმებოდა.
ცივი მზე ჩასასვლელად იმოსებოდა.
ასე აპირებდა დღე დასრულებას,
ჭირ-ვარამის ღამისათვის გადაბარებას...

დედმამიანი სასაფლაოდან
უდედმამო სინამდვილეში
ფრთხილად აბიჯებდნენ
მამისთვის – კაცები,
დედისთვის – ბიჭები,
სოფლისთვის – ქალაქად ლტოლვილნი,

ჩაფიქრებულნი,
დედის სითბოთი დარეტიანებულნი,
ბალღობანაპოვნი,
ობლობადავიწყებულნი –
ვარინკა ხიმშიაშვილის სულ ახალნაფერები
და მაინც უბავშვობო
მაინც ობლები –
მაინც უსაშველოდ ბედნიერები...

გამოხდა ხანი.
იმ დღის სევდა-მადლი მათ სულებში აღარ ნელდებოდა.
თუმცა მარტო ობლები კი არა,
ყველა და ყველაფერი –
მთელი დუნია თოვლისფრად ბერდებოდა.
ცისიერი და მიწიერი
კაცის სააქაო ცხოვრებაში ერთდებოდა,
მარადიულობის მდინარება საწუთროში
დედაშვილობაში ოკეანედ გრძელდებოდა:
ვარინკას ფქვილიან ხელების სითბოთი
ობლის კვერი ცხელ თონეში
ყოველ ცისმარე დღეს შეცხვებოდა;
დედის რძე – ობლებში აკვნითგან ჩარჩენილი,
იმ ერთი ჩახუტებით,
როგორც მაწვნის დედით, დედდებოდა.

2012 წლის ივნისი

თითები – მუზათა ქანდარა

ყმაწვილს რომ გითხრეს,
აქანდაკოო უნდა კაცმა სული,
ეგრე ეგებისო,
როგორც ადამიანთა სკულპტორი ძერწავსო თიხისგან
სხეულს, ძარღვებს, თითებს, ქოჩორს
ან თუნდაც ყვრიმალსო...
შენ ანგარიშმიუცემლად დაიწყე გამოქანდაკება...
თუმც მალე გონს მოეგე:
ვერ გაბედე
ხელით შეხებოდი, რაც შეუხებელია...
გეგონა, რუდუნებით უნდა გეძერწა სული იმნაირად,
როგორც სხვა შეგირდებმა გამოძერწეს
სხვათა სხეულები.

სიმწრით მოისროლე საჭრეთელი
თაბაშირის სასაფლაოსკენ,
იქ, სიბნელეში, სადაც
უბნის კვაზიმოდოს მრუდე კისერი,
ჭლექიანი სიყმაწვილის ხმელი მკერდი
და უმანკოების გალეული თეძოები გეგულებოდა.
ეტკინებათო, არ გიფიქრია.
არც მაშინ, როდესაც
თაბაშირის იღლიაზე აღბეჭდილი ექსკორიაცია
ვარდისფრად შეიღება:
შენ ჯერ არ იცოდი, რომ
სხვისი ტკივილია ყველაზე მტკივნეული.
თითებით განაგრძე გამოქანდაკება
და ახლაღა იგრძენი, რომ თიხას კი არა
მარმარილოსავით გაძელქვავებულს შერკინებოდი
უცნობ მასალას.
თითქოს ყველაფერი თავთავის ადგილზე ჰქონდა
შენს ნაფერებ სულს,
ანატომიური სიზუსტით,
მეზვერეზე უფრო ლაზათიანად,
ოღონდ ხსენებაც კი არ იყო არსად
ღრუბლების ფერის...
და ჩამოიკაწრე კანიდან
ლირწი და სლიკინა გომბეშოს ნაშიერი,
ჩამოიხოკე ძმის მკვლელის მიმიკა,

გამოითხარე თვალი, რომელიც...
და როდესაც დაინახე, რომ
ნაქანდაკარს არც ეფიქრა, ფერი ეცვალა,
აი, მაშინღა დააკვირდი საკუთარ ხელებს
და ვერ იცანი მოქანდაკის
სისხლიან,
ფრჩხილებდამტვრეულ თითებში
მუზათა ქანდარა –
სათუთი, თეთრი, თლილი,
ბატისფრთიანი და მელნისფერმელნიანი
თითები პოეტისა,
უსაჭრეთლოდ რომ უნდა ექანდაკებინა
მთელი ცხოვრება
წყლტუკლდესავით მიუვალი სული
და არასოდეს დასცდენოდა
სხვის გასაგონად:
„თითები მტკივა და
სისხლი მდის მშიერსო,
იესო“...

2012 წლის მარტი

ᲗᲔᲗᲠᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘ

ღრუბლის და რძის ფერ ყვავილებად გამოაფინა
გაზაფხული იმერულ სოფლებს,
თეთრბატონები თუ მობრძანდნენ,
წითელ კი არა – თეთრბატონები,
თოვლის სტუმრები,
ენძელების იცოტავეს
თეთრყვავილები.
მარტობდა დარი.
აკაკანდა, აკრიახდა, ადგაფუნდა,
ადგანდგარდა, ადგრიალდა
იმერქალეთი:
ოდის ეზოში, ღობეებზე, აივნებზეც გადმოფინეს
რძისშალითა საბან-ბალიში,
ატმისფერი ლეიბ-მილეთი.
საბუხრიდან აისვეტა რძისფერი კვამლი.

და აქათქათდა დიდედის სუფრა
სოფლის მიმწუხრში,
გულღრმა ხევივით ამოგვივსო თოვლია ფაფამ
ცაცხვის ჯამები...

წამომაგონდა უთეთრესი პერანგი მამის
მოხატული ძუნწი ღიმილით,
ჩემი ქოჩრის ამბურდავი დიდი ხელებით
და თვალების მზისფერ სითბოთი,
რაც ღრუბელთა და რძის ფერმა ყვავილებმა
ვერ მოზიდეს თეთრი სინაზით...

მარტობდა დარი.
მოუბრძანდნენ იმერულ სოფლებს
ღრუბლის და რძის ფერ ყვავილებად
თეთრბატონები.

2015 წლის 24 მარტი - 4 აპრილი

თეთრი და ფერადი ლექსები

ფერადი ლექსები და ჰაერის ბუშტები
ღრუბლებში გამიფრინდნენ –
მოქუფრული ცის მოსახატად
გაიკრიფნენ.

ფერადი ლექსები და ოქროვერცხლა ყვავილები
არაგვმა წამგვარა – გავატანე,
მერე იმ ყვავილებით
ერთი უსახური, ჩანგრეული ფლატე
(ვისზედაც თურმე გული შევარდნოდა!)
სულ ნაპირ-ნაპირ ერთად ვავარაყეთ...

ფერადი ლექსები და ზამთრის ჩიტუნები
ბაღში შეიტყუეს, უგულოდ დაატყვევეს
მებაღემ და მისმა ჭორფლება ცოლმა,
მერე თოვლზე დამჩნეული კვალიც დამაყვედრეს...

ფერადი ლექსები და ჭრელ-ჭრელი პეპლები
მალ-მალე გამეყარნენ,
უმთვარო ღამით გაქრნენ...

ყველაფერს შეველიე,
გავერიდე,
მივატოვე,
რადგანაც გული მითქვამდა,
ცის თაღს როგორმე მოუხატავს არ ჩასძინებოდა,
არაგვს ის ფლატე არ დავიწყებოდა,
ხოლო ეს პეპლები-ეფემერები
არ გადაჯიშებულიყვნენ
და ვინმეს მათთვის
ერთი წლის სიცოცხლე არ ეწყალობა,
ბაღში ჩიტუნებს ზამთარშიც ეგალობათ!

შეველიე, მიმატოვეს, გამოვერიდე...
დავიტოვე მხოლოდ თეთრი ლექსების ღამე
და გამჭვირვალე ცრემლის ნამი ნაოჭთა შორის
იმათ სახსოვრად,
ვინც გავიმეტე,
თან გავატანე
ამოგლეჯილი სტრიქონები სულის და ხორცის.

2012 წლის 3 ივლისი

თორემ რას გავძლებ

მოგისაკლისე, წყავის ბუჩქო, ბეთანიის ეზოს გადაღმა
მოგისაკლისე, ხმელ ფერდობზე,
კი არ გინატრე.

შენ, კოჯრის ტყვიავ, ეშერასთან შემომეფეთე,
აქ არ გელოდი:
შემომეფეთე, როგორც ოდესღაც,
იღბალზე ადრე.

შემოგევედრე:
წყავის ბუჩქების ხშირ ფესვებზე დაჰკიდე კუბო
ჩემი ძვლების,
როდოდენდრონის ყვავილები
დამინთე სანთლად...

შემომეგებეთ, რიწის ტბავ და გუმისთის წყალო,
სამურზაყანოს წყაროებო,
წებელდის მხარევ...
შემომეგებეთ,
გისაკლისებთ,
შემომეფეთეთ!

შემოგევედრეთ:
ამ წლის სეფე-თვეს,
ზამთრის სეფე-თვეს
ჩემ თვალთ უძილოთ,
თქვენ უნახავთ,
შემოეფეთეთ...

2014 წელ 1 ივნისი

ის ერთი ამოსუნთქვა

კედელზე მიძინების ულურჯესი ფრესკა გალურსული.
ჯერ კიდევ სიცოცხლეა შენს სხეულში, დედა.
სააქაოსკენ მოსაბრუნებელი კარები დალურსმული.
შენი დღეებივით სასოება ჩემს სხეულში დნება.

შენ ეს ხანებია სულ ერთთავად ქრისტესკენ იცქირები.
ხელში აგიტატებ დედას – ჩვილივით საფერებელს.
ჟრუანტელის დავლით შეგიგრძნობენ ჩვენი სოფლის
ქვითკირები.
ვგრძნობ, ახლაც შენ დამკანკალებ იესოს მავედრებელს.

ლეჩაქ-მოსასხამში გადასახლდი –
სასუმელი მიგცეს სავსე...
„ცრემლოოდა იესუცა“ შენს ბოლო ამოსუნთქვას.
თეთრი კვართით შემოსილი მძინარე სარას მიემსგავსე.
ჩემს ლექსს შენი გლოვა დღემდე ვერ ამოუთქვამს.

სააქაოსკენ მოსაბრუნებელი კარები დალურსმული.
დე, სიზმრად მაინც შემაწუხე – იქნებ შეგეშველო
რაიმეთი!
მიმწუხრში მიძინების ულურჯესი ფრესკა გალურსული...
ის ერთი ამოსუნთქვა სულ ყურებში მესმის,
არ მინელდა არც ის, არც იმედი...

2008 წლის ნოემბერი

ისევ ცისა და ისევ მიწისა

ჩამოისვენეს მწვერვალებზე თეთრ ღრუბლებმა,
გამოერიდნენ ჩრდილოეთიდან მობერილ ქარებს,
ქარავანსაც და-ძმებისას – შინისაკენ, ცად მიმავალთ.

ჩამოსხდნენ მთებზე დაღლილნი და დამძიმებულნი,
ჩაფიქრებულნიც,
ისე,
პატარძალი რომ ჩამოიმუხლებს წყლით სავსე ჩაფით
წყაროსთან, ლოდზე.
გადაფითრდება.
აუჩქროლდება მკერდის ფეთქვა.
შეტოკდება გულისგულში კრძალვით სინორჩე,
ერთი ციდა.
.....
ო, ნამცეცა დასაწყისო დედაშვილობის...

.....
ხოლო ღრუბლები ამ სიმაღლეზე
ჩამომსხდარიყვნენ შინაურულად,
ოღონდ მთელი დიდებულებით
და თავდინჯად
თითქოს ექოდ აქ შემოჭრილ მარადისობას
უამბობდნენ ცისას კი არადა –
მიწის ამბავს.

2014 წლის 3-5 ივლისი.
სინაია-ბუხარესტი, რუმინეთი

ისტორია

გამოვცდითო, როდესაც გვეგონა,
სტუმრები იქ ჩავრჩით მკვიდრებად
ნერვებით
და კიდევ
ფეხისგულებზე
ნაწიბურების ზოლებით,
ხაზებით,
ღარებით.

გამოვიარეთ
მგელძაღლთა კბილების ღრჭენით და
ჩიტების ჟრიალით, ჟივჟავით:
ეს – მავთულხლართებმა,
ეს – ფრჩხილებქვეშ და ნუნების სიღრმეში
ჩამსჭვალულ თავმრგვალ და წვერებწვეტ ხიშტებმა,
აგრეთვე დილეგთა ნესტიან კედლებმა,

სიზმრებში მოფრენილმა ეტლმა და მერცხლებმა
გამოგვატარეს
წლები და თვეები,
დღეები, წუთები,
წამები
წამებით,
ჩექმებით
და მუნჯის კივილით,
წვიმებით, სირბილით,
მარწუხა ღამეებით,
კვდომით და ცოცხლობით...

გვეგონა:
წუთისოფელიც აკი ეს უგრძესი გზებია,
მიწა და მტვერია,
ტალახად შეზელილი,
მამების ძვლებიდან,
ურმების თვლებიდან,
თებერვლის რთვლებიდან,
დაძმების ნამუსის თვლემიდან,
ოხშივარგადავიწყებულ კერიის ფეთქვიდან
გამოწურული, გამომდნარი, გამოწრუპული,
ამოხაპული
სისასტიკე,
შეუპოვრობა,

შიში და შიმშილი,
იმედი, სისხლი
და ოფლი
და ცრემლები...

ო, ისევ გვეგონა საწყლებს, რომ
გამოვცდით!
და არც გვიფიქრია,
შეგვეძინა გამოცდილება:
გვესწავლა დაშვებულ ცდომებზე,
ცოდვებზეც,
ან ფიცი დაგვედო –
ერთი თუ მოგვიკვდა, სხვას გავუფრთხილდებით,
ციხე თუ დაგვენგრა, სამრეკლოც,
გოდოლს გავამაგრებთ, გალავანს კოშკიანს...
მონობას - უარი (სადღეგრძელოებში),
სიძულვილს - განდგომა
(ყრმობაში
და როცა ძალიან შეყვარებული ხარ)!

სოფელში ბალახგადავლილი საფლავების
და ეზოკარმიდამოს სიმართლეს,
სიყვარულსაც,
დესპოტიის ხალთაში ჩამომდნარ სათნოებას,
შურს და თანალმობას

ჩვენს შვილებს
და უფრო შორეულ ნაშიერთაც
ახირებული სიჯიუტით ვუანდერძებთ,
ღამის დაკითხვებზე არ გავტყდებით,
ულუკმოდ და იმედგაცრუებით
დაღმართებს ჩავყვებით,
მერე –
შარშანდელივით ან სხვა წარსულივით
ისევ იგივე ცთუნებებს ავყვებით...

რა გზებით ვიარეთ,
რა გამოვიარეთ,
ინახავს წვივებდამტვრეული
ფეხების გულებზე
ნაწიბურების ზოლების,
ხაზების,
ღარების
არა კონტურული, არამედ ფიზიკური,
მიწასავით ტკივილების რუკა.

ჰო, გამოვიარეთ!
გამოვცდით?!
მერე რა?!
ციხე თუ დაგვენგრა, სამრეკლოც...

2014 წლის აპრილი

იქ და აქ

ალიონზე რომ გაღვიძებამდე
ათი წამი ნახულობს სიზმრებს,
ასე ჰგონია, მთელი ღამე კინოს უყურებს
მონატრებაზე,
მოკვეთაზე,
მოლოდინზე,
მოთმინებაზე...
იმ სიზმრებით ერთი ხანი ღვიძილშიც ცხოვრობს,
წამოდგება საწოლიდან მერე ქალი,
უფრო სწორად – წარსულის ექო,
და, როდესაც მარტო შეიგულვებს თავს,
როგორც ლანდი, ეპარება კარებიდან
გუგულიან კედლის საათს
(„,რა ზლაზვნით მიდის დრო ტიალი!“),

დედას,
მეუღლეს,
შვილებს,
სტუმრებსაც
(„შინ ვერ დაგხვდებით, მეჩქარება, გთხოვთ, მაპატიოთ!“),
საწერ მაგიდას
(„ვის რაღად უნდა ნაჯღაბნი ჩემი!?“)
და ქოთნებით სავსე შუშაბანდს
(„რა დააშავეთ, ნეტა, რას გერჩით?“);
გასაღებს მხოლოდ ერთხელ ატრიალებს
(მოვალეობის მოხდის მიზნით)
და ფიკუსის ძირში დადებს
(თუ არ შეეშალა ან სულაც საკეტში არ ჩატოვა);
ეზოს თვალსაც კი არ მოავლებს
(„რომ მოვბრუნდები, მერე!“),
ჭიშკარსაც ჰაიჰარად გამოიხურავს
და ზღვისპირისკენ
(„ზღვისპირისკენ!“)
ზამთარ-ზაფხულ,
უთენიაც და კარგად შესაღამოვებულზეც,
როცა სავსეა აქაურობა ხალხით
და როცა მოსეირნეებსაც კი ვერსად დაინახავ!

სხვები, ვისაც ყოველ შაბათს ვხედავ ტაძარში,
ჩვენი პატარა ქალაქის სასაფლაოსკენ მიდიან

ან შორიახლო სოფლებისკენ.
ეს კი...
მისთვის ღვიძლი შვილის საფლავად
ბედს ოდენ ზღვა გაუმეტებია – ცივი და მწარე,
მედუზებიან-თევზებიანი,
მარილიანი,
მზისსხივებმთვარისშუქიანი,
ლურჯ-მწვანე და წითელყვითელფერებიანი
ზღვის წყლის სასაფლაო,
უზარმაზარი,
უმიწისბორცვებო,
უბილიკო,
უხეივნო,
უმარმარილო...

გაწვება ხოლმე და ეფერება ზღვის სველ ზედაპირს,
მოლივლივეს, ატალღებულს, ქაფიანსაც...
ზღვას, რომელიც ვერ შეიძულა ვეღარაფრით.
იქნებ, პირიქით.
არ ეშინია მისი, არც ზვირთების.
ხანდახან უკვირს, ისე უყვარს მისი შხეფიც კი.
ფიქრებში წასულს ხომ ზოგჯერ ჰგონია,
ოდესმე ტალღები შვილის დანაბარებს გაუმხელს
ფარულად,
ყველასგან საიდუმლოდ

(და თავს, რომელსაც არაფრით ზოგავს,
ინუგეშებს მხოლოდ ამ უცნაურ აზრით)...

ან იქნებ ერთხელაც
მეთევზის ნავებს და ამ გემებს შორიდან,
მონაბერ ქარებს და მოფრენილ თოლიებს
თან მოჰყვეს შვილი და იმისი სურნელი
(„ოღონდაც ცოცხალი!“) –
დე, უძღებ შვილად,
ან იქნებ – მისიონრად,
იქნებ – პილიგრიმად,
უცხოელ მგზავრადაც,
ნილს ჰოლგერსონად
ანდა მწირადაც
(თუმც იცის, იგი აღარ მოვა!
თავად უნდა წავიდეს მასთან)...

მობანავეებს ის შესცქერის, როგორც სტუმრებს...
ყვავილებიც მოაქვს ხანდახან,
შუაწვივამდე შევა წყალში
და სათითაოდ ატანს ტალღას,
დაწნულ პაწია გვირგვინებსაც,
ჯვარსაც კვირტ-ყლორტიანს...
სანთელს ვერ ანთებს, უჭირს ზღვაზე;
სცადა –

სათამაშო გემებს მიანდო...
ერთხელ კი მომცრო კატარღა რომ დაიქირავა
და ანთებულსანთლებიანი ლამპიონებით
ერთი ხანი ატარა ზღვაში,
თავად ძაძებშემოსილი იდგა-ხედავდა,
თითქოს-და მრავალ ასეთ კატარღას ლამის
ციცინათელებად აენთოთ უკუნი ღამის...
მერე რიჟრაჟზე
ეს ლუსკუმი
გარდიცვლებოდა უძინართა ტკივილ-სიზმარში,
იღვენთებოდნენ სანთელნი როცა.

იქ –
გაიხარეს ზღვის შესახვედრად
უკანასკნელ და უსასრულო პაემანზე წასულთ
სულებმა;
აქ –
გამხდარიყო მთლად უსაშველო,
აუტანელი,
გაუსაძლისი
მონატრებაც
და მოლოდინიც.

...ზღვა კი იყო უშფოთველ.

2013 წლის ივნისი-სექტემბერი

მათე მახარებელი.
იოჰან სებასტიან ბახი. „ვნებანი“

გამოგლეჯილი უკუნს ხელიდან,
შესაქმეს წიაღიდან,
სამყაროს თანაარსად,
ბოროტისგანაც ცალკე და შორს,
სინათლესთან შესისხლხორცებული,
ხმელეთიდან ამოზრდილი,
მიწაში ჩათესილი,
ქვეყანაზე გაფანტული,
წყალში განბანილი,
ზღვებში ჩაძირული,
ზეცის ზემოთ დაბადებული,
მზეთამზით ნათელქმნილი,
ცისქვეშეთს მოფრენილი,
მთვარით შუქფენილი,

ღრუბლებში ჩაფლული,
ელვაში დამუხტული,
ავდარში დაჭექილი,
ნისლის ალერსში გატრუნული,
ნიავში მოცქრიალე,
ქარში განბნეული,
სიოს მონაქროლზე ასხლეტილი,
ტალღების ქოჩორზე წამოსკუპებული,
შხეფებს შორის შხეფს მიმგვანებული,
ჩანჩქერთა ჩაქუხვაში გამომკრთალი,
წყლის წვეთებში არეკლილი,
ედემის ბაღის ჰაერში –
ცეცხლში ოქროსავით
გამოტარებული,
გამოწრთობილი,
გაპატიოსნებული
ბ გ ე რ ე ბ ი.

და კიდევ:
სისხლის წვეთის წილხვდომილი,
ჩვენი სისხლის კი არა,
არც ჩვენს პაპათა,
არც ჩვენთა გვართა ან სახელთა პირველ მატარებელთა,
არცა ჩვენი ტომ-თოხუმის მამამთავართა
იარებიდან გადმოჟონილი სისხლის წვეთისა,
არა!

გვირგვინის ეკალთა შორიახლოს
უსპეტაკეს შუბლზე
გაშეშებულისა:
ოფლის წვეთით სისხლთან ერთად გამოტანილი
მისი სხეულიდან
ბ გ ე რ ე ბ ი!

როგორც მსახვრალი რამ სენი,
გინდაც ვარამი,
ცრემლსა და ოფლთან ერთად
გამონაჟურ-გამონაწური
გულიდან,
თირკმელიდან,
ნაწლავებიდან,
მწუხარებიდან,
ელდიდან,
სიხარულიდანაც –
ძლივ-ძლივს,
შიშველი ხელებით რომ ნარ-ეკლის პირისპირ,
იმაზე მეტი სიმწარით
ამონამღერი,
ამოგლეჯილი,
ამოსუნთქული,
ამოკვნესილი,
ამონაგლოვი,
ამონაქშენი,

ამოოხვრილი,
ამოხვნეშილი,
ამოხეთქილი,
ამონთხეული,
ამომსკდარი,
ამოღვრილი,
ამონადუღი,
ამოთქმული,
ამონაძახი,
ამოგმინვული,
ამოტყორცნილი
ციდან,
            წიგნიდან
                    სანოტო რვეულებში
                                ბ
                                ბ
                                ე
                                რ
                                ე
                                ბ
                                ი!

2014 წლის იანვარი

მარადისობის მონატრება შებინდებისას

შებინდებისას,
როცა უკვე აღარ არის დღე,
მაგრამ ჯერ კიდევ არ დამდგარა არა თუ ღამე,
შეღამების ჟამიც კი,
მაშინ
სულის სახლის ყველა სარკმლიდან
თავბრუდამხვევად შემოგეჭრება
უცნაური აღტაცება
(თუმცა მინორით)!

ვერ გაგიგია,
გული რატომ გიფრიალებს სასიამოვნოდ,
ამაღელვებლად,
გრძნობებიც გერევა

და ოცნებანარევი აზრებიც გეძალება...
ნუთუ ეს მხოლოდ სიყმაწვილის ბრალია,
ან იმის – გამოუსწორებელი მეოცნებე რომ ხარ,
ან ზედმეტად მგრძნობიარე ინტროვერტი
(გულჩახვეულიც!)...
გაჰყურებ შორეთს –
სოფლიდან ქალაქს,
ქალაქიდან ზღვაში მდგარ გემებს
და იქ, სადაც სხვა სამყარო გეგულება,
ვარსკვლავებივით ინთება ციმციმა სინათლეები...

ეს ქვეყანაა, საითკენაც მიგელტვის სული,
მომავალში სადაც იცხოვრებ.
არა ისე, როგორც ახლა ცხოვრობ,
ან როგორც შენს ირგვლივ ცდილობენ იცხოვრონ:
მთელი ქვეყანა შენი იქნება
და ეს ქვეყანა თავად იქნება მთელი სამყარო!
შენ მიაღწევ იმას, რასაც შიგნით, სულის წიაღში ატარებ
და ვერავის უმხელ,
რადგან არ გიყვარს და არც იცი
შენს განცდებსა და გრძნობებზე ვინმესთან საუბარი.
შენ ხომ იმ ჭუკს ჰგავხარ,
სულ ახლახანს რომ მიეხმარნენ
კვერცხის ნაჭუჭის გამოტეხვაში...
არ მომწიფებულხარ,

თავადვე გრძნობ, ნაჭუჭი გჭირდება,
ოღონდ დასამალად კი არა,
გარშემო მყოფთაგან გამოსამიჯნად,
ოღონდ კვერცხის კი არა – მინის...
ვინაიდან შენ არ მომწიფებულხარ
ყოველდღიურობისათვის,
სამაგიეროდ, გადამწიფებული ბავშვი ხარ
მარადიულობისათვის,
იდუმალისათვის,
კაცთა თანაგრძნობისათვის...

და შებინდების ჟამიც გჩუქნის ნეტარებას
ყოველთვის
გარდა
ზამთრისა (რადგან უეცრად და ადრიანად ღამდება)
და თავსხმა წვიმებისა (ვერ გაარკვევ, რა ხდება)...
და საოცნებო სივრცეც იქვე,
ერთი ხელის გაწვდენაზეა ნებიერად წამოწოლილი,
სივრცე, რომელიც გაძლევს ნეტარების არნახულ
განცდას
ჩამავალი მზის სხივების დეკრეშენდოებით
და ელექტრონათურების მთელპაუზიანი
აციმციმებებით...

შებინდებისას, როდესაც ჯერ კიდევ

მზის სინათლის ნეტარებით
სავსე გაქვს სხეული,
ხოლო წინ სოფლის ზაფხულის ღამე გიდევს
ციცინათელებით,
ჭრიჭინებით,
ძაღლების ყეფით,
ბუკიოტის კივილით,
კუნაპეტი სიბნელით,
ვარსკვლავებით დაცხრილული ზეცით...
შებინდებისას, როდესაც მთელს დედამიწაზე
უნდა აინთოს ვედრებათა თაფლის სანთლები,
ინთება პირველი ილუმინაციები,
უბრალო ლამფები,
ნათურები,
ლამპიონები
და ძველისძველი ჭრაქები,
სული გრძნობს გამოუცნობ ახალ ფერებს
შებინდების იდუმალების.
ალბათ, თუ ინახავს იგი მიუწვდომელს,
წარსული მოვლენების,
ამბის,
განცდის ხსოვნას...
ალბათ, თუ წინათ
შებინდებისას,
ჩვენი წინაპრები
ისეთ ციურს და წმინდას ფიქრობდნენ ფიქრს,

ისეთი არამიწიერი გატაცებით გალობდნენ იქ,
ისეთი ამოკვნესით უმღერდნენ ქართლს,
ისეთ არაკებს უბნობდნენ
და უსმენდნენ ქარს,
რომ სულის სიღრმეებში ჩაგვიბეჭდა ცამ.

ან იქნებ პირველი ადამიანი და მამა ჩვენი,
სამოთხიდან გამოდევნილი,
სახელად *ა დ ა მ,*
სწორედ შებინდებისას,
დღეღამური წრის ბრუნვის ამ ჟამს,
მარტოვდებოდა სანაპიროზე
იმ წყლის პირას,
რომ დაფარა ედემის ბაღი,
და სამოთხის დღეების ხსოვნით
ევსებოდა მთელი არსება.
პირველი მამის იმ შორეულ ფიქრთა ექო
იქნებ იყოს ყმაწვილკაცის სულის კრთომა უუნაზესი
ამ ბინდბუნდში,
გულის მღელვარე შეფართხალება,
როს სასოება მოლოდინის
გაძლევინებს უსუსურობას,
გაურკვევლობას,
უიმედობას,
შიშს მომავლისას...

ედემისეულ ნეტარების გახსენებაა
უსათუოდ, ასე მგონია,
შებინდებისას ყმაწვილკაცთა
უნაზესი სულების კრთომა.
ეს ბეჭედია ადამიანის
უმანკოების,
უზაკველობის,
უმწიკვლოების,
მამის წიაღში არსებობის
ედემისეულ ნეტარების უსასრულობის
და მონატრება
მარადისობის!

2012 წლის ივლისი

მარსელ პრუსტის ანკეტის პოსტსკრიპტუმი

1.

მაიძულებდით, ამერჩია ოდენ ერთი,
ერთადერთი,
რაც არ ძალმიძდა.
არ შემიბრალეთ!
მე კი ისევ შეგთხოვთ, თავიდან:
ნუ მაიძულებთ ნურასოდეს, ვუღალატო იორდასალამს,
რადგან ვიდრემდის ჩვენი სული სილამაზეს ვარდისას
ეტრფის,
ან ყაყაჩოს,
სულაც – იების,
სუმბული ჭკნება და მიხაკიც ისევ მოიწყენს,
რადგანაც თვალი მოშორდება როდესაც თვალს,

გულიც სხვაფრდება...
და ამიტომაც, ვხედავ, უკვე გაიბუტნენ ჰორტენზიები,
ორქიდეას ფურცლები მოწყდა,
ფურისულები გაირინდნენ,
კესანეც შეკრთა...
ენძელები კი გადაჰყოლიან თოვლის დნობის დარდს,
შერევიან ლოტოსების წყლისფერ მაყრიონს.

2.

მე იმთავითვე შევიყვარე ყვავილეთი
და არც ვმალე ეს სიყვარული, გამოვაჭენე.
აკი ბალღმა უკეთ იცის სოფლის ამბავი,
და ახლა გული ჩემი შეყვარებული,
როგორც ოთხმოცი საუკუნის წინ,
ვერ ეტევა ამ საგულეში
და მთელი ქვეყნის გასაგონად დაიგუგუნებს,
მასთან ერთად მთელი ორკესტრი –
უთვალავი გვირგვინ-ფურცელი,
ბუტკო,
მტვრიანა:
– გახსოვდეთ!
ერთი ქრიზანთემა,
იასამნის ერთი მტევანი,
თითოეული ვარდი,
იაც

მთელი ყვავილეთია!
და თუ ზურგს აქცევ ლურჯ ღიღილოს,
ან შროშანებს,
თუნდ ანწლის ყვავილს,
მობრუნებული ვეღარ მიაგნებ ყვავილეთში
შესასვლელ კარებს.
გაიტაცებენ ზაფხულის ღამით სოფლის ქარები
შენი წარსულის მინდვრებიდან
სიყვარულის მაცნე გვირილებს,
მერე ტიტები გაქრებიან
დედისათვის ძარღვით შეკრულ
თაიგულიდან,
მიმოზები და სისხლისფერი ბალბებიც კი
აორთქლდებიან
ძველი სახლის შუშაბანდიდან,
სათოვლიები დადნებიან უსიყვარულოდ,
ბეგონიებიც,
ხოლო ზამბახნი
მწუხარებისგან სისხლგაყინულ წყალს გაჰყვებიან...
რაღა დაგრჩება?
უყვავილებო წუთისოფელი,
დაწუნებული ყვავილეთი,
უღრუბლო ცის ქვეშ გატარებული რუხი ბავშვობა
და ამისი საზღაური – ომში სიბერე!
თუ, რა თქმა უნდა,

გადაურჩი სიკვდილს მანამდე.
...და თუ მაინც ეს მიწერია?!
ოცდახუთ წლისა უნდა მომკლან ბრძოლაში მაშინ
მთებში, ტყისპირას,
სოხუმთან და შინდისთან ახლოს,
რომ დამიტირონ
ბალახებში ჩახატულმა ზღვა ყვავილებმა,
რომელთაც გვჩუქნის მიწა,
ვიდრე დაგვიბრუნებდეს.

3.

ერთი ხანია, არც ბეზრდებათ,
არც არაქათი არ ელევათ,
ისე მგლოვობენ
დაწუნებული ყვავილეთის
ხავსიანი ტოტებ-ყლორტები,
ათრთოლებული ბალახების,
ფოთლების ჯერი,
და მიწისაგან ნაჩუქარი ცის ყვავილები –
ნამადქცეული ცხელ ცრემლებით ღაწვსველი დები.

ნუ მაიძულებთ ნურასოდეს, ვუღალატო იორდასალამს,
ფურისულას... თორემ ღაწვზე
გაშრება ნამი.

2014 წლის აგვისტო

მახსოვდა ქარი

ვიხეტიალე. მისი ნაკვალევი არა და არ ჩანდა.
ის კი ძველებურად, უბრალოდ, თან მახლდა.

სოფლის არ ჩიოდნენ ნაკვამლი ბუხრები,
ბებრის ისვენებდნენ მიწისგან მუხლები.
თვისი მოტანილი წაეღო თვითონვე,
კარის და სარკმელების ღიობში ითოვე.

ძირს დანარცხებული უისრო საათი.
მონაქროლ-მონაბერის ნიშანიც – არსაით.
ნაკვლევიც გამქრალიყო ნათოვლარ ერდოდან,
მაინც ძველებურად სულ თან დამყვებოდა.

ფიქრს დავიწყებოდა უფოთლო სუნთქვაც,
სიტყვაც,
ღალატიც
და რაც არ უთქვამს...
მზის გულისცემას
მკერდის ახშობდა ზარი,
ისევ და ისევ
თავს მახსენებდა ქარი.

2012 წლის 21-23 ოქტომბერი

მე რომ ხელი ახლა შემახოს აწმყომ

წყაროს რაკრაკის ხმას რომ მივყევი
ზამთრის ძილისგან გამოღვიძებული
და შენს საფლავს ვერ მივაგენი სხვა ბორცვთა შორის,
ვერ მოგიტირე,
იმ დღიდან მოლოდინად მექცა
მზის და მთვარის ამოსვლა,
ბოლო თოვლჭყაპი,
ყურძნის შეთვალვა...

მანამდე კი?!

ზუსტად მახსოვს:
ცამეტჯერ ცამეტი რამდენიც არის,
იმდენჯერ ცამეტჯერ ჩამოვირბინე
აკანკალებულ-აძაგძაგებული ხორცით,

დამძიმებული გულ-ფიქვით,
თვალებგადმოცვენილმა,
ფეხშიშველმა,
ჭვინტიან ქოშებში ფეხწამდგარმა,
დახვრეტილი, სპილოსძვლისტარიანი ქოლგით,
უქოლგოდაც,
თმაგაწეწილმა,
წვერგაბურძგნულმა,
თავდაღმართში,
აყალოიან ტალახში,
ბებრული სირბილით
(თუ უფრო ფაცაფუცით?! –
თან პერანგს ვიტანიებდი
სიბნელეში უკუღმა წამოცმულ შარვალში),
თავსაკრავს ვიკრავდი მაგრად,
საფეთქლებს რომ სალტედ ეგრძნოთ,
ოფლიან შუბლზე ჩამოშლილ თმას უკან ვაბრუნებდი,
შარაგზამდე მოვირბინე
და შენსკენ ვიხედებოდი:
ამ გზით გაგაცილე
და ამ გზასვე უნდა დაებრუნებინე ჩემთვის!
უდაბნო და უკაცურობა დამახვედრეთ შენ და გზამ!!!

მე კი –
ხან მიმავალს გხედავდი ამ გზაზედ,

უკან-უკან მაცქერალს,
ხანაც მომავალს,
სევდიანად მომზირალს,
ტანჯვით,
ვაებით,
ჭირგამოვლით
რომ კეცე,
კეცე
და ვერასგზით ვერ დაკეცე
შინმოსასვლელი გზა,
ხოლო მე
ვაშრე,
გულს მოდებულ ცეცხლზეც ვაშრე
და ვერაფრით ვერ დავაშრე
ეს ფიქრ-ჯავრისა
და ვარამ-ნაღვლის ენა წყლიანი;
ხოლო ზღვა კი აკი კოვზით დაილიაო
და ცრემლის ზღვა – წვეთწვეთობითაო.
ყოველ უთენია ვკრავდი ხელს
ურდულიან ხის კარებს,
ისიც ჩემი ხელის კვრაზე პასუხად
მიდიოდა,
მოდიოდა
და იქვე კი იდგა დღე და ღამე.

ჩაგაცქერდი,
პასუხი რომ ამომეკითხა წარბებშუა ნაოჭებზე,
სახეაქეთმობრუნებული რაკიღა შეგისწარი!
მე ხომ ჭადსაც ისე ვზელ,
თასს არ ვუცქერი,
და წყალსაც ისე ვუსხამ სიცხისაგან ღონემიცლილ
ჭუკ-წიწილებს და ვარია-ყვინჩილებს,
ნაჯახსაც ისე ვუღერებ უნაყოფო ბებერ მსხალს,
თოხს –
დამსკდარ საყანე მიწას,
ლურჯტარა ფართოპირიან დანას –
საშობაო ღორის გულ-კისერს,
საჩეჩელს –
ბანზე გამოფენილ მატყლს,
სახრეს –
ცალუღელ ხარს,
კვეთიანი ქილიდან ამოღებულ ხის კოვზს –
ნელ ცეცხლზე შემომდგარ რძიან ქვაბს,
სამერთად შეკრულ ჯვრიან მარჯვენას –
უკუნეთს,
წამახულ შალაშინს –
სააკვნე და საკუბოვე ფიცრებს,
თოფს –
მგელ-დათვს,
ჯოხს –

ძაღლს,
მჯიღს –
გულისფიცარს,
რომ მზერა-ცქერას, გულისასაც და თვალისასაც –
მარტო შენ გაპყრობ!
შენ –
ჩემო გაუხარელო პაპაჩემებო!
ჩემო უტკბილესო დიდედაჩემებო!
შენ, მამაჩემო!
ჩემო ბიჭებო, დედისა და მამისერთებო!
ჩემი სოფლის ნამუსო და უმანკოებავ –
სამეზობლოს შინაბერებო!
ჩემო ძმაო და ბიძაშვილო,
მამიდაშვილო!
ჩემო ნათლიმამ!
ჩემო ცოლო,
ქმარო,
ძუძუმტევ!..
არ გამახარეთ –
არ მომიბრუნდით:
არც ჭიუხებიდან,
არც იმ ომიდან,
არც სასაფლაოდან!..

ტყვიამ რომ გამეტება იცის, რა, პირველად გაიგონე?
ან – ამხანაგმაც რომ...

ან – იღბალმა და უიღბლობამ,
ვიდრე დაობენ...
გაღმა სოფლიდან სახლში მოსვლას რაღა უნდოდა?
ან იმ თოვლიან-ყინულიანმა სიშორემ თეთრმა
რანაირად გაცდუნა ჩვენებური კაცი,
მითხარი?!
სად გინახავს,
ყველა დედა რომ
მშობიარობას გადაჰყოლოდეს?
დიახ, მტერს უნდა კვეთებოდი შავლეგოსავით
და გამარჯვების მაცნე მხედარს, სისხლისგან დაცლილს,
თეთრი მანდილით გაგიკრავდი ღრმა იარას,
ხოლო შავს ზედ გადვიფარებდი...

განა არ ვიცი,
ტანჯვა-ვაებით,
სიმწრითაც
რომ კეცე,
კეცე
და ვერასგზით ვერ დაკეცე
შინმოსასვლელი გზა და კვალი!
ამასობაში მეც ხომ, უბედური, უსაქმურად არ ვიჯექი:
რამდენი ვაშრე, ვაშრე
გულს მოდებულ ცეცხლზეც
და მინავლებულ ნაღვერდალზეც,

და ვერაფრით ვერ დავაშრე
ეს ფიქრ-ჯავრისა
და ვარამ-ნაღვლის ენა ამოდგმული.
მარტოკა ცრემლის ზღვა დამელია
ღაპა-ღუპით.

... გამოფიტული ვარ მარტოობაღა,
გუდაფშუტასავით.
რადგან ყველა კაცის მარტოობას დაარწყულებს რამე,
მერცხლის ბუდე (ცარიელიც),
ბადიში
ან წერილი მაინც ქალაქიდან,
ან სანადირო თოფი, ყანწიც, შენი ხელმონაკიდი,
ან თოხი (იქნებ – ყავარჯენი?!),
ბოლოჯერ ორმოცდახუთი წლის წინ
ზღურბლთან მიყუდებული;
ნაბადი, რომელშიაც გულწასული შეახვიე
გულისსწორი
გულანგრეულმა,
ან სიზმარი,
ან ერთი ღამე მაინც,
ცოლქმრობის სარეცელს თავზე წამომდგარი,
ომისდროინდელი თონის სურნელი
ან დედის რძის წვეთის გემო უხსოვარი...

მე?!

მე რომ ხელი ახლა შემახოს აწმყომ,
შავ მტვრად ვიქცევი,
რადგანაც ჩემში გულისა და ფიჟვის მაგივრად
გამოფიტული სუნთქავს-ფეთქავს მარტოობა,
გუდაფშუტასავით.

მოლოდინად მექცა მზის და მთვარის ამოსვლა,
ბოლო თოვლჭყაპი,
ყურძნის შეთვალვა
და წითელ ფოთლის ტანგოც ნელი,
უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი...

გამოფიტული დავალ
მარტოობა!

2014 წლის 16 ივვისცო

მზესუმზირები

მამა იაკობ ბარანის ხსოვნას

ამ სათაურით – „მზესუმზირები!“ –
ამოტივტივდა გუნებაში სურათები,
განწყობანიც
კინოსეული და ფერწერული,
როგორც გასამჟღავნებელი ხსნარით სავსე
ღია ჭურჭელში –
წყლიან ნავში
მოცურავე ფოტოქაღალდებზე –
არარსებობიდან
(უკეთ – უხილავი არსებობიდან),

მაშინ და იქ,
როდესაც და სადაც,
უბრალოდ და ადვილად ხდებოდა
მეტამორფოზები,
მაგალითად, ეს:
სააბაზანო – ფოტოლაბორატორიად!

მერე დავღონდი,
მეოცნებეთ როგორც ემართებათ:
რა ჰქნან იმათ,
ვისაც არ აქვს ტალანტი ხატვით ხედვის
ან თვალებით ქანდაკების –
ვიტორიოსი ან ვინსენტის?
სულ ყველაფერი ზეცით მოდის და ნაწილდება!

კი, მართალია, მემანქანე მიაქანებს ღამის წკვარამში
ოცვაგონიან,
შვიდასდაკიდევორმგზავრიან,
ოცდაჩვიდმეტგამცილებლიან მატარებელს,
გადატვირთულს
შინიდან და წარსულიდან წამოღებული
ჭირ-ვარამით,
სანოვაგით,
განშორებებით
და ოცნება-იმედებით სავსე ჩანთებით,

ჩემოდნებით,
ხურჯინებით,
კალათებითაც...

ოკეანეში
თმათეთრ შტურმანის მჭოლი მზერით
გზებგაკვლეული ხომალდების დღიურებიდან
ამოიღვრება პიაცოლას ნუევო ტანგოს
თავისუფლებით უმთვრალესი პა და ნოტები...

აქ
ცამდე ადის დირიჟაბლი,
საჰაერო ბუშტები,
რაკეტა
ან, გინდა, ვერტმფრენი,
უფრო ზევით-მაღლა იწევს კაცის გული,
რადგან არ აქვს ფრთა,
ხოლო რწმენა ფერფლწაყრილი ვერ ჭვრეტს
თითებს,
გამომძერწველთ ქვეყნიერების,
ვერც მის მკლავებს,
მიმრქმელთ,
როგორც დედა ნანატრ შვილთა,
ჩვენი შობის და ბედისწერის,
ზეცის და მიწის,

ჩაკეტილი სივრცის ვარაყის
და გამოზომილ დროის ვარამის
შიშის...

იგი ჭვრეტდა!
ჭვრეტდა მშვიდად, ცრემლებითაც,
ხან აღტყინებით
იმ უბრალო სენაკიდან
უფალს,
მზესაც,
კაცთაც,
ბედს
და სულებს,
როგორც კინოს,
რასაც ვერ წვდება სიმაღლეები ვერც სამეფო პალატების,
ვერ ეწევა მატარებლების ღია სარკმლებიც
და არ მოსჩანს არც დიოგენეს ღვინის კასრიდან,
არ ირეკლება ტელესკოპებში,
ვერ მოიხელთებ დიდ ადრონულ ამაჩქარებლით!
.....
მ ზ ე ს უ მ ზ ი რ ე ბ ი!
.....
ჩვენ მივქროდით
და ეს ქროლვა იყო სწორედ,
რომ გვაშორებდა იმ მონასტერს,

შორ ზღვისპირეთს,
მამაშვილობის სიხარულს
და თვითონ მამას,
ამ უკანასკნელს –
კიდევ მიწა
და მიწის ბორცვი,
სიღრმით, ალბათ, სულ ორი მეტრი,
რომ დაფარა მისი სხეულის მთლად სხვაგვარი
და ახალი საცხოვრებელი.

ხოლო სული?!
იგი გუშინ გარდაიცვალა.
არ დაელოდა ფერისცვალებას,
არც გაჩენის დღეს –
ოთხმოცდახუთის გამხდარიყო,
ჩვენ მიგველოცა:
ეს მერამდენედ გაუძვრა მარჯვედ სოფლის ხრიკებს,
გაეპარა ფუყე დიდებას.

ჩვენც გავაქროლეთ მანქანები მწუხარებმა,
თან ბავშვურად გაბუსხულებმა,
როგორც ყველა, მშობლების მიერ დატოვებულ,
შვილს ემართება.
ხოლო გული?!
გულს ჩვენ მხოლოდ იმათთან ვტოვებთ...
თან წავიყოლეთ

მწიფობის წინ თავდახრილი,
შუქჩამქრალი
მზესუმზირების ნაზი დაისი!
გვისამძიმრებდა.
გვიმიმწუხრებდა მზიან შუადღეს.
ცოტა ხნის წინ კი –
აოქროსფრებულ,
აყვითლებულ,
აელვარებულ
მზესუმზირების ულევ ყანებს
გადავუფრენდით
შოშიებად,
ბეღურებად,
ჩიტბატონებად
და ტოროლებად
მონასტრისკენ – მამისეულ კარმიდამოსკენ!
ჩვენს თვალს ატკბობდა
მზის უთვალავი ბარტყი-ყვავილი:
ყელყელაობდნენ ზურმუხტოვან ყანის ბუდეში
და შეჰყურებდნენ-შენატროდნენ დამშეულნი
დედას – მზეთამზეს,
იტკბარუნებდნენ პირებს სხივებით
და მზის ჭვრეტისგან
ემსგავსებოდნენ დღითიდღე მნათობს
სულ უფრო მეტად.

გამოხდა ხანი.
დავსევდიანდით ობლობისგან ერთ ღამეში,
მოგვემატა ღარი შუბლზე წლიურ რგოლივით
და მოხრის კუთხე.
შორს ვხედავდით მზესუმზირებს,
ახლა თავდახრილთ:
ერთ დროს ყვავილის ყვითელ გულად მიჩნეული
ბარტყთა გულები
ფერეცვლებოდათ
და გვაგონებდნენ ბნელ ღამის ცას,
ვარსკვლავებით გაუბედავად აციმციმებულს...

2013 წლის 3-7 აგვისტო,
ოდესა-კიევი-თბილისი

ᲛᲘᲫᲜᲐᲫᲝᲠᲔᲚᲘ ᲑᲔᲠᲘᲡ ᲓᲐᲩᲘᲕᲚᲔᲑᲐ

წამიყვანე შენს საუფლოში –
განმარიდე ჩემს სამფლობელოს!
რახანია, მაქეთ არავინ მოიჩქარის.
ფიქრობენ,
ღრუბლები ვერ დაიჭერს
კაცის სხეულს.
ის კი არ იციან,
თითებით რომ გიპყრია
მთელი ვარსკვლავეთი.

...როგორც დედამიწა, გაკვირვებას აყოლილი,
წელიწადი მოგზაურობს შენი მზის გარშემო –
ვერ ოკდება,
ისე მეც ჯარასავით ვიტრიალო
შორის შესაქმეთა შენთა
უწვდომელთა.

თორემ აქ მოვხუცდი,
ძვალ-კუნთი გამელია,
ხორცი ამიმჩატდა –
მიზიდულობა ვერ მერევა დედამიწის.
ნავარდი ენატრება სულს
უბრალო მნათობივით –
წამიყვანე ჩემი სამფლობელოდან შენს საუფლოში!

სხვები?!
სხვებს ჯერ სააქაო არ მოყირჭნიათ –
იყმაწვილონ.
ამათ ხომ შიში ჩემსავით არ უციებს
გაყინულს ისედაც სანთლისფერ მტევნებს,
როცა ტერფს ბილიკს, როგორც იყო, მოვწყვეტ,
დავფიქრდები,
თუ ისევ დავადგამ-თქო მიწას?!

წამიყვანე, წამიყვანე
შენს საუფლოში,
განმარიდე, განმარიდე
ამ სამფლობელოს!

2012 წლის სექტემბერი

მშობლების სახლი გამახსენდა

ხატი. ნახატი. ესკიზი. ტილო. თეფში და ბრა.
კიდევ –
მილურსმული წიგნის თაროები
სამხრეთის კედელზე,
როგორც მამის მკერდს, რომელსაც მიეყრდნობი,
როცა ფეხები გეკეცება
და გული საგულიდან გივარდება...

ხალიჩა. პარკეტი. მტვერი. სპანიელი.
ფლოსტები.
კატა...
წარსულიდან
ჩურჩულივით მინავლებულ ნაბიჯებად
ატყვია იატაკს.

როგორც მიწიდან,
ამოზრდილან
ლომის თათები,
სკამის ფეხები,
კენარი სვეტები
და კედლები,
შენი პირველი სირცხვილები
რომელთაც დაუმალავთ
და კვლავ შეგიფარებენ,
მარტო შენ რომ იცი,
იმ, შიგნით დატანიებულ, თახჩა-ნიშებში.

ხოლო როდესაც ქვეყანაზე მიწა იძვრება,
სახლის წარსულის და მომავლის გადასარჩენად
თავს გაწირავენ –
უშნოდ-ულაზათოდ დაიბზარებიან
მთელ სიგრძე-სიგანეზე,
ფერუმარილივით ბათქაშსა
და ნიღბებივით შპალერის ზოლებს
ჩამოიყრიან-ჩამოიხევენ,
ატლანტებად იქცევიან
და ხელებით ცას დაიჭერენ, –
არ ჩამოიქცეს!
ცას თუ ვერა, ცის ნაჭერს მაინც –
ძველი სახლის ჭერს,
რომელზედაც ბავშვობაში მერანიც კი გიჭენებია.

ღრუბლები. ურჩხული. არწივი
და ციხე-სიმაგრე.
ეტლები მიჰქრიან.
კაცები ხელჩართულ ბრძოლაში ეშვებიან.
ეს სამყაროა,
ნახევრადგანათებული ოთახის ჭერზე
აღმოჩენილი!

მერე მოულოდნელად გეძინება,
მაგრამ არაფერი გავიწყდება (თურმე),
ლექსში გახსენდება მშობლების სახლი:
აივანი
(დედა ჭრელ საბნებს ამზეურებს),
კედლები
(აქ ფოტოსურათებში გადასახლდა
დიდი ოჯახის მცირე ნაწილი),
იატაკი
(ჩემი და ჩემი და-ძმის ფეხის (ენისაც) ადგმის
და გაუბედავი ნაბიჯების მოწმე)
და ჭერი –
ცის ნაჭერი!

2013 წლის 30 მაისი

ნისლებში აფრენილ ბილიკთან

დაგლოცოს,
ვისიც სიყვარული არის
ნათლობის სახელიც
და კესანეს ყვავილის ფიქრებში სუნთქვაც!
დაგლოცოს, მის ხელს რომ გამოჰყევი
და ჩემთან მოკუნტრუშდი ბატკანივით,
არა – ჩემი არემარის
ყველა ფერდობისა და მდელოს
სიმწვანეს მოდებული
ბევრი ბატკანივით!

ო, როგორ მენატრებოდი, წვიმათწვიმავ,
და შენც ერთგულად გამიწვიმდი-დამეღვარე
სამსხვერპლო შესაწირად
ჩემთვის უცნობი და უცნაური

(ალბათ მომავლის წვიმების)
ხმების და ბგერების თანხლებით
დღეს,
ახლა,
ამ მზისგულზე,
რადგან არც გელოდი
და აკი ვერც მოვიცალე,
მესმინა შენი ორმოცდამეთორმეტე სონეტისათვის
ვაიმარული რვეულიდან!
ვერ მოვიცალე,
ღია აივნიდან მეცქირა
შენი წვიმიანი პეიზაჟისთვის,
რადგან არ ჰქონდა ჩემს ქოხს აივანი,
მითუმეტეს გულმოღეღილი...

მერე როდესაც შენი დაღვრილი წყლები
მზის სიმხურვალემ ორთქლად აიტანა
მთისწვერთა მიღმა –
ზეცამ შეიწირა მსხვერპლი,
მე ჩემს რვეულებს ჩავყურებდი
და დაჟინებით გადამქონდა მზერა მიწისკენ –
ჩავშტერებოდი იმ დაჯერებით,
რომ მიწათმიწა – ის მთავრდება იქ, სიღრმეებში
ზუსტად ისე,
როგორც იწყება ჩემთან, აქ, ლოდქვეშ,

უბალახო გადატკეპნილ ბილიკით
(და ბილიკის დარდით),
რომელსაც თავდავიწყებით, –
არა, ჩიტივით! –
უყვარს სიმაღლე,
მთისწვერს რომ გასცდა
და ამიტომაც,
როცა იქვე, ჭიშკრის მიღმა
წაბლისა და ნაძვის ხეების
სულ პატარა კორომს გასცდება,
ანწლების იქით გაივაკებს,
გაიშლება,
ამოისუნთქავს,
ტკივილამდე შეიკუმშება
მიტკლისფერშუბლდასახიანი ბერიკაცის ძველი
გულივით
და მოსწყდება დედამიწას –
აიჭრება!
აი, მთისწვერზე მაღალი ზეცა,
საითაც მიქრიან ჩიტები,
ბილიკები,
დაჭრილი გულები...

იმათ კი –
მეზობლის და გაღმელ მეველის

ჯვარედინ ჯოხებზე წამოცმულ ძონძმანძებს –
ჰგონიათ, რომ მიწას ჩავცქერი
ან მართლა სიგიჟემდე წვიმა მენატრება...
მე კი, უბრალოდ, არ მინდა მიმიხვდეს წვიმა
და წყლის გული ეტკინოს,
ნაღველმა გაუშროს მკერდძუძუ.
რა ვქნა,
ან რა ვუთხრა,
რომ ვღალატობ ლექსებთან?!
რომ ახლაც ამ ღამეს
მე თეთრად ვათენებ
ნისლებში აფრენილ ბილიკთან!

2014 წლის 1 მაისი

ნუ გაწვიმდები, ჩემო ყრმობავ...

ნუ გაწვიმდები, ჩემო ყრმობავ,
დარჩი ღრუბლებად!
და ალუბლებად
ნუ აყვავდები...
ნუ გაწვიმდები...
დარჩი ცის მკვიდრად!
მიმოიფანტე...
ინავარდე...
დე, თქვან, რომ მწიკვლად
ამჩნევიხარ ცას!
ასცდები ტალახს,
საწუთროს ვაგლახს!

და როცა ქარი გაგფანტავს ცაზე ღრუბლის ქულებად,
ტოტებშეშლილი ალუბლები შემოგჩივლებენ,
რომ მიატოვეს თეთრ ყვავილთა,
მოეფინენ ბაღთა და ველთა...

ყვავილნი კი – შემოგცინებენ.

შენ რჩები ღრუბლად, ღრუბლის ქულად,
ჩემო ყრმობავ, ვარდობის თვემდის,
როს გაწვიმდები...

2007 წლის მარტი

ᲝᲗᲐᲠᲐᲐᲜᲗ ᲥᲕᲠᲘᲕᲘᲕᲘᲗ ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲘ

ოჯახის ქალმა ჩამოხსნა თოკი,
თავგამეტებულმა,
თავისი თავის უბედურმა:
შემოუსწრო ოთარაანთ ქვრივივით დედაკაცმა,
ოღონდაც გაცილებით პეწენიკად (არა მდიდრულად!)
ჩაცმულმა,
არისტოკრატულად,
ძლივსშესამჩნევად მარცხენაწარბაწეულმა.

ვერ დააბიჯა ამ დედაკაცის სიტყვას და მზერას
თავგაბეზრებულმა:
შვილებზე ფიქრ-წუხილის დაუგდებლობის,
გარდაცვლილთ წინაშე ვალის მოხდის
და კეთილშობილების (რომელსაც ვერსად გაექცევი)
სახნავ-სათესად სავარგული მინდვრისნაირი
მიწიდან ამოსულ სიტყვას;
იმ თვალთა მზერას,

რომელნიც აგერ
სამოცდახუთი ან მეტი,
ანდა, იქნებ, ცოტა ნაკლები წელი
უსახლკარობამ,
ქვრივ-ოხრობამ,
შიმშილმა,
ყინვამ,
ომმა,
ღალატმა,
ტკივილებმა,
სატანჯველებმა
ვერ გააპარეს ვერანაირ საცთურისაკენ...

თუმც კი
იმ თავუბედურისთვისაც
სიავეს ჟამთა
განა მოჰქონდა
სიამეთ განცდა?!
არამედ –
ბერწობა
და ობოლ-ოხრობა,
ტუსაღად მყოფობა,
უგროშკაპიკობა,
კვლავ – ომიანობა,
უფლებააყრილობა,

გაუხარებლობა...
გააძლებინა თავმოძულებულს
საწუთრომ მაინც.

ოღონდაც ახლა უსაშველო მიუსაფრობამ
და გამეტებამ უცხოსავით იმათგან,
ვინც სულაც არ იყო გადამთიელი,
ჩაუსახლა სულში უსასოობა და უმწეობა.
შვილს რას ვეტყვიო... რეტი დაესხა.
მართლაც, რა ეთქვა, რით აეხსნა
თავსდატეხილი უკეთურება,
უპატივობა
და სისასტიკე.
უსუსურმა და მიუსაფარმა
ჰკიდა თოკს თვალი
თავგამეტებულად...

ის იყო შემოუსწრო ოთარაანთ ქვრივივით დედაკაცმა.
მან კი, რაც ნახა,
გულში დამარხა,
როგორც წესია.
გამობრუნდა აუღელვებლად
(თუმცა გული უცემდა ისე,
რომ მტკივან ყელს ებჯინებოდა,
ხოლო თვალნი გლოვდნენ უცრემლოდ).

სიტყვა – ბევრი ავის მძლეველი,
მზერა – იდუმალის მჭვრეტელი,
გული – ოდენ ცისა მკმეველი,
სული – ბნელ საქმეთა მკვეთელი –
აი, პორტრეტი ამ ჭირნახული დედაკაცისა.

* * *

განა ორნივ არაა გამაცბუნებელი:
ღონე სიტყვისა კეთილისა
და ძალა სიტყვისა ბოროტისა!
ჭორი, სხვის თვალში ბეწვის ძიება,
ცილისმწამებლის ან ავკაცის ურიდობა,
ამა სოფლის გონჯი ტალახის
და საქონლის ფუნის სროლა
ვირზე უკუღმა შესმული
მარიტების –
სიყვარულის და
ჭეშ-
მარიტების
უთეთრეს პერანგებზე –
მარადი-
ული ტრაგედიების
ყორნისფერი კრიალოსანი,
რომლის ერთი მარცვალი –
მწარე ნაყოფი
გამოესხა ჩვენს უბანში

მდგარ ცოდვის ხესაც...
ამ ლეღვის ძირში
ახალმოხალული მზესუმზირის
კნატუნ-ფურთხების,
ლოტოსა და კარტის თამაშის
და უხამს ანეკდოტებზე უხამსივე გაღრეჭის თანხლებით
ურცხვმა თვალებმა დაიბრალეს,
ვითომდა დაინახეს
სიახლოვე მეზობლის ქალისა და მამაკაცის...
სიმართლე არვის უძებნია,
ისე დაუჯერეს
ამ ავზნიან
ფანტაზიას.
ერთმა ორს უთხრა,
ორმა...
ორმა იცის, ღორმაც იცისო...
და შეჯგუფდნენ ბრუჟვით,
გაეწყვნენ ყუნცვით,
თქვეს ღვარძლ-მუქარით,
ბიჭს გავაგებინებთო საქციელს
დედისას, უკადრისსა...
გავასახლებთ! აიყარნონო!..

იფიქრა საწყალმა,
ქვრივ-ობოლს ვინ გამოგვესარჩლებაო,

ხოლო თავის მართლება
რა პატიოსანი ადამიანის საქმეაო!
ისროლონ ტალახი –
განა ჩემი თეთრი პერანგი ვერ აიტანსო?!
მთელი ღამე უფიქრია ძილუკარება ფიქრით,
შვილის მომგლეჯი ძუძუს ვარამით,
უმწუხრესი ბალღამიანი გოდებით.
დილით სასწავლებლად გაუსტუმრებია ბიჭი,
ჩაი დაულევია, სახლი მიულაგებია.
იქვე პირველ სართულზე,
ისე, რომ არ ჩაუკეტავს კარი
(განკვეთილის სახლის კარს ვინ შემოაღებსო?!),
გამოუნასკვავს ყულფი
და დაუდგამს სკამი...

ამ დროს შემოუსწრია
ოთარაანთ ქვრივივით დედაკაცსა!
* * *
იმ დღეს სადილზე სადღეგრძელოს მაგივრად
ეს ბრძანა დიდედამ:
ხვალიდან ყველანი ყოველდღე ვივლითო
ბიჭიკო ღელეყვას ოჯახში იმედად.
ასე თუ ვივარგებთ!
ერთადაც ვივახშმევთ,
არ ვილაჩრებთ,

არ მივატოვებთ,
ტელეგადაცემებსაც ერთად უყურეთო
ბავშვებმა!
თქვა და გაკეთდა...
ორი-სამი დესპანი კი გამოგზავნეს
გაოცებულმა მეზობლებმა,
ეტყობა, თქვენ ყველაფერი არ იცითო,
პირიქით, ჩვენ (გინდათ დავიფიცოთ?!)
ოჯახებს,
საერთოდ, შვილების მომავალს
ვიცავთო.
გამოსცრა დიდედამ:
ბიჭიც კი გაიმეტეთო!
აფსუს, რატომ შარვალი არ მაცვიაო!
განა ყველა კაცი კაციაო?!
ძმად მივიჩნევდით მეზობელს ძველად,
ახლაც ვერ დავთმობთ!
გგონიათ, ბნელა?!
ვერ შევეწიეთო...
გინდ შევეწიროთო,
ამ ოჯახს
ვაგლახში არ ჩავაგდებთო!
ვერ გაუბედეს შეპასუხება.
აკი სალმის მზადყოფნაშიც
თავებს დახრიდნენ

და წარბებქვემოდან
მალვით უცქერდნენ,
თუ გამოგვხედავს,
წელის მოდრეკით მოვიკითხავთო.
უკმაყოფილო პატარა კაცუნები
ძუნძულით გარბოდნენ დიდედას ეზოდან...
გულში, ალბათ, ბრაზობდნენ, ბილწობდნენ
და იბოღმებოდნენ.

მაშ, მოისმინეთ
ყველა სოფლის, ყველა უბნის
ღობე-ყორენო!
ჰე, გეშინოდეთ მთელი ქვეყნის
ციციკორენო!
თქვენგან განწირულ უბრალოთა
ქომაგ-მეოხად
დიდედაჩვენიც მარტო იკმარებს!
გაწირული მარიტებით
ვეღარ იხარებთ!
* * *
ჩვენ ჭიშკარს –
კარ-ეზოს წინსაფარს –
სტკიოდა,
სწამდა
და ითმენდა:

მას შემდეგ კარგა ხანს მომსვლელად
მხოლოდღა ბეღურებს იფრენდა.
ფეხუცა კაცუნები კი ფრთხილობდნენ,
ძველ ჭიშკარს ძვირად თუ სტუმრობდნენ,
ჩქარ-ჩქარი ნაბიჯით, სირბილით
გაცლოდნენ, ცდილობდნენ...
კეთროვნად ჩაგვთვალეს.
და რომ ვერ დაჩაგრეს,
რომ ვერ ისეირეს,
უფრორე გაშმაგდნენ...
რად წამოგვემართა თავზე სალ კლდესავით
ეს დედაკაცი, –
ჯავრობდნენ, –
ეგ – ბრბოს გამორიდებულთა,
საწყალთა თანამდგომთა
მოდგმისაო!

განა არ ახსოვდათ,
თუ როგორ ცხოვრობდა
აქამდის დედაკაცი –
ნამუსის მკმეველი,
სიმართლის მკვეთელი,
ოთარაანთ ქვრივივით მძლეველი.
* * *
გამოხდა ხანი.

დავიწყებამ მოიცვა აზრნი.
და მალე დედა-შვილს
გარს შემოეკრიბნენ,
ვინც აყრას უზრახდა.
კვლავაც შეჯგუფდნენ ყუნცვით,
ბიჭიც ჩაისვეს ქურჯნით...
თანდათან შეირივნენ.
დიდედასანნი კი ვცხოვრობდით
და ხარკს ვიხდიდით:
გვწირავდნენ,
გვიმეტებდნენ,
გვრიყავდნენ...
ჩვენ თითქოს ვერც ვამჩნევდით.
ერთი რამ გვახსოვდა:
ცხოვრება სავსეა სიკეთით,
ხოლო იმ ადამიანებით – უფრო მეტად,
ვინც კნინ სიკეთესაც თმენით ელოდება!

ამასობაში ბუდეებიდან ამოვფრინდით ბადიშები –
დავიზარდენით,
საწუთროს შარაგზებზე მოარულნი
დავიფანტენით...
ყველგან, ყოველთვის თანამდევი,
წვრილ ბილიკზედაც,
იყო

და არის
და იქნება
ჩვენი დიდედა:
რა სადად გვიჩვენა
კაცთა თანალმობის ღირსება –
ეს არისო დამბადებლისა ჩვენის დიდება!

...მას მერე დამყვება
ასეთი ხატება:
ბინდდება.
ოთარაანთ ქვრივივით დედაკაცი
გრძელ ქუჩას უჩუმრად მიჰყვება,
უჩქარებს სვლას...
მერე დახავსებულ შუკაში შეუხვია
და უცნობ ჭიშკარს აუწყა, მოვედიო.
ვიღაცას საბრალოს სული შეხუთვია,
უნდა მიუსწროს უსათუოდ.
სწრაფად,
არც აცია,
ურდული გადასწია
და
კრძალვით
შეაბიჯა
მარადისობაში.

2012 წელ 1 - 10 ივნისი

ოთხი ნიშარა

გაურუჯავებს არ გვეთქმოდა
ჩვენ ზღვის შვილები –
თუმც კი თამამად ვთამაშობდით
ზღვის ტალღებზე გაშენებულ ქუჩაბანდებში,
როგორც სოფლის აივანზე,
ვინ მეტსაო, რომ ვითვლიდით
თვითეულ რიკულს.
მომენატრებით უზღვაობაში
მეჩეჩზე რიყულს,
დაო, ფერიავ,
ჩემო ერთო ძმავ ძმისთვისაო...

ბებამ:
– სადა მყავს შვილ-ნაგრამიო,

გასაყოფი ზღვებისთვისაო!
თან გვაპურებდა.
ჩვენს ფეხებქვეშ მოუსვენრობდნენ
მოუქაფავი მომწვანო ტალღუკები,
დახარბებულნი ქაფშიებივით აფჩენდნენ პირებს –
წყლით ევსებოდათ
და ნირწამხდარნი უკანვე ზღვას უბრუნდებოდნენ...
უდარდელად ვიქნევდით ფეხებს...
ტალღუკები, ალბათ, გულით ბრაზობდნენ ჩვენზე...
დაო, ფერიავ,
ძმავ ძმისთვისაო,
ხომ არ ვყოფილვართ ზღვის შვილები,
არც ალჟირის მცხუნვარე მზის პაპანაქება
ჩაგვხუტებია
და არც იმის ზღვის მწარე წყალი გვიყლაპია
ბალახში ჩაფლულთ
(ცხოვრებამ მერე მწარე შხამი გვაყლაპა უხვად).

...ხოლო ზვირთებთან, და ზღვის ფსკერთან
ნათესაობის სადღეგრძელოს შესახსენებლად
ოთხი ნიჟარა შემოგვრჩა იღბლად –
როგორც ღარიბი ოჯახიდან
არანაკლებ ღარიბ კაცზე გათხოვილს
დროში ჩაადნება ნამზითევი
და ძველი სკივრის

თაგვებისაგან დახრული ფსკერი
ბადესავით მოიგდებს ხავსს სასოების –
ნივთთ უკანასკნელთ:
სპილოს ძვლის სავარცხელს,
იაფფასიან ჩინურ მარაოს,
სანელსაცხებლე მწვანე კოლოფს
და რიოშთვლიან, ჟანგწაკიდებულ
ცალ საყურეს.

* * *

უდაბნოს მირაჟივით მიცოცხლდება,
რაც არ მინახავს:
იქ,
შორეულ პორტში, ალჟირში,
თეთრი გემიდან ჩამოვიდა
ლამაზი მეზღვაური.
იქ,
ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე,
მყვირალა ბაზრობაზე შედგა იღბლიანი გარიგება:
– შენ – საპონი,
მე – ნიჟარა,
შენ – ისევ ჩაყვინთავ,
მე – არ ვიცი, მომიყვანს თუ არა ბედი კიდევ
ამ აფრიკულ სანაპიროსთან.
ჩემს გემს ჯერ არ ჰქვია ქართული სახელი
და არც ჯვრიანი დროშა ფრიალებს გემბანზე

(ეს როდის იქნება!)...
ძმავ – ძმისთვისაო...
– სადა მყავსო გასამეტებელი
შვილიშვილებიო, –
ბებამა, – ზღვისთვისაო...
ამითაც ვერ დაგვიცვა:
ცხოვრების ზღვაში
ჩაგვიყოლია
ქართლის ბედმა
ჩვენ სიყრმიდანვე!
არ გვიძებნია ნიჟარები თვალდახუჭულთ,
ლურჯ-მწვანე ზღვის
ფსკერზე მოარულთ,
არ გვინატრია ეგზოტიკური ბედნიერება.
გვახარებდა პიანინოზე შემოწყობილი ნიჟარები
ნოტების გვერდით.
ისინი ახლაც ქათქათა ბავშვობას,
უნახავ ზღვას
და ნამდვილ ბანანებს მოგვაგონებენ,
აფრიკიდან რომ ჩამოგვიტანა მამამ – მეზღვაურმა...

მან მიკარნახა მტკვრის წყლის პირას
ეს გარიგებაც:
– ერთი ნიჟარა შენი იყოს, ძამიკო ჩემო,
ერთსაც იქნებ შენ გაუფრთხილდე, დაო ფერიავ,

ერთს მე წავიღებ –
ბერის უშვილო უბეში მივცემ ბინას
ნიჟარების იდუმალებას და სილამაზეს...
ერთიც, დე, დარჩეს ჩვენს მშობლიურ სახლში –
ხატებთან...

და ჰა!!!
როდესაც ცხოვრების ზღვა ყალყზე შედგება,
ზვირთთა შხეფები და სიცივე შეეხება უტიფრად ზეცას,
და მთვარის დისკო, როგორც ეკრანი, აირეკლავს
ზღვის ამბოხებას,
ყველა ნიუსი ამ ამბოხზე ილაპარაკებს,
შეშფოთებული კაცობრიობა შეეცდება
თამაშ-თამაშში დამალოს შიში,
მე
გავირინდები შორს, უდაბნოში
(ოღონდაც არა ალჟირულ საჰარაში!),
შენ
იქნები სანაპიროს ჩაიხანაში,
შენ
თოკზე სარეცხს გადმოაფენ
წვიმასა და მიმოზებს შორის
და სამივენი
Mare Nostrum-ის
და პონტოს ზღვის
ტალღებიდან მობერილი ქარებით გაშლილ იალქნებზე

ამოვიკითხავთ,
რომ დრო მოვიდა აღაპისა!
და პირს ვიზამთ ჩვენი სახლისკენ.
ყურის ნიჟარას ჩავახუტებთ ზღვის ნედლ ნიჟარებს,
რომ ყური ვუგდოთ წარსულ დღეებს,
მომავლის ღამეთ
ამბოხებულ ზღვათა აწმყოში.

ჩუმად, ო, ჩუმად!
ნუთუ არ გესმით ჩვენი წვიმის ბავშვობის სევდის,
ერთად ოცნების, სიყვარულის და ზღვის მუსიკა:
ეს ჩვენი სისხლის და გულების ღელვის ისმის
ახლა დგაფუნი!
ჩვენი სულების,
აზრთ ჭიდილის,
დედის წუხილის,
ბორგვის,
სიმშვიდის,
ავად ყოფნის,
მშობლის ალერსის
ფონოგრამა
გვიმეორდება.
ბედნიერების ამ ნიჟარებს ვერვის ვაჩუქებ,
ვერ გავიმეტებ...
თორემ რაღა ვქნა, როცა ისევ მომენატრება

თქვენთან ყოფნა,
მუსაიფი
და კიდევ – დედა!

* * *

უბუხრო სახლში, ავეჯნაკლულში,
უფროსების
თავდადებულ
და გადამეტებულ
სიყვარულით,
ცეცხლის გუზგუზით
და ნიგვზიან ნამცხვრის სურნელით
შეზავებული ყრმობის ზღაპარი
რომ გადარჩა ჩანაწერებში
ოთხადოთხ კოხტა ნიჟარაში –
ჩვენი ზღვისფერი დობა-ძმობის
ერთი გულის ოთხ ცხელ საკანში –
მადლობელი ვარ
ხმის რეჟისორის
და ნიჟარების!

2012 წლის მარტი

პარასკევისფერ სპექტაკლზე ესმა ონიანის სამხატვრო სტუდიაში

მსგეფსის ყველაზე უფრო ასკეტურ
და არა იმ დღეს,
როცა ღმერთმა განისვენა
ყოველთაგან საქმეთა მისთა,
თან დაგვლოცა, იუქმეთო ამ წმიდა დღეს, –
ვირთვები,
როგორც წითელ დროების თეატრის
აურაცხელმსახიობიან უჭრელეს დასის
ერთადერთი არტისტი
(სულო ცოდვილო, გრიმითაც ცოტა –
ზედ ნიღაბზე გადავისვამ!)
და გული შენკენ გამომიწევს –
სხვენის თეატრში,
პლეხანოვის ძველ გამზირის ბოლო სართულზე.
სტუმრად – არა,
მაყურებლად და სასახიობოდ

(ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!
რა გამაჩერებს!
რა დამამუნჯებს,
რომ არ შევძახო გასაგონად
ნაცნობთა და ნათესავთა,
და ჩვენს უბნელთა
ერთი-ხუთი-რვა ეფექტური
რეპლიკა მაინც –
დაე, გამიცნონ!).
ჰოდა, ვირთვები მოსასხამით, რომელიც
ღრუბელწაფარებულსავსემთვარიანი
ღამის ფერია,
ვიხურავ კოხტაფარფლიან,
კუნაპეტლენტიან,
ალმასისთვლიან
ხავსისფერ ქუდს,
იმერულად გადავკრავ
ირლანდიურ ვისკს
და აი, თვალებიც მიბრწყინავს-მიელავს
მოლოდინით სანახაობის...

ჩემი სხვენიდან შენს სხვენამდე ახლოა ახლა.

თუმცა მანძილი (შენ კი იცი)
სულ სხვანაირად იზომება –

გზების,
ბილიკთა,
კიბეების,
ტროტუარების,
ქვაფენილების,
აივნების,
შუშაბანდების,
შუკა-ქუჩების,
ორღობეთა,
სულაც – ხიდების
სიძველით
და უფრო მეტად – მათი სინაღდით...
ჰო, მანძილი (შენ ესეც იცი) შეფასდება
დაღვრილი სისხლით,
ოფლით,
წუთებით,
ღვინით,
ცოტაც – ცრემლებით,
კიდევ – ფერებით
და საღებავებით
გადაფენილ ტილოებზე,
დაუწერელ მემუარებზე,
სულთა სარკეთა ვერცხლებსა
და ბედისწერაზე.

ვიწყებ...
ვდგამ ნაბიჯს არტისტულად.
ჟღერს მალერი...
იელვებს სადღაც
და ფიცარნაგებს მივენდობი ხარაჩოების;
მომაცილებენ შენ რომ იცი, ის აივნები;
იმათი ეშხით გავხელდები,
შენ – აინთები!

დაგინახე:
უფლისწულივით ჩაიარე დღესაც გამზირი,
ტილოს სამოსში ისევ ვერ გცნეს,
აჰყევი კიბეს
შენ –
ტვირთმძიმე
ტკივილებით (ოღონდაც სხვისი),
და კიდევ დარდით, ობლობით, კვნესით,
სიყმილ-სიცივით დამაშვრალთა,
მაწანწალათა, ჩვენს თვისტომთა...

მოგცლია ერთი!
ამდენს ვინ დარდობს?!
ან ვინ ჩქარობს ასე წასვლას?!

მაყურებელი მშვიდად დადის, ბაასობს
და რვა საათს ელის...

არადა ცეცხლი რა ხანია გიზგიზებს სხვენში.
მე, ჟოზე, გოგი წერეთელი, ჰენლე,
ნანა ავალიშვილი,
არნო დ'ოტრივი,
ნატა ვარადა
და ნანა აგუმბა
(არასრული ჩამონათვალი!)
ავავსებთ დარბაზს,
შეუმჩნევლად გავალთ სცენაზე (ფიცარნაგით),
დის თეთრ მონოლოგს გავაზავებ
ძვლის ტვინიდან ამონთხეულ-ამონათქვამით,
კლასიკურ თეატრს რომ ეკადრება,
იმ სიმძაფრის...

გადაჭედილა დარბაზის სივრცე ამაოებით,
წარმავალით, ღვარძლით, ჭორით,
ინფანტილიზმით...
ასეთია თეატრის წესი და კანონიკა:
მრავალია ამ სეირის მაყურებელი,
ხოლო სცენაზე – ერთეულნი,
ვისაც ძალუძს შეიყვაროს
უნაბი და ლეღვი მწიფე,
ადამიანიც...
და შეეწიროს.

შენი სამყარო ჩემშიცაა –
პარასკევის წითელ ფერებით –
და სპექტაკლიც მახსენდება
შთამბეჭდავი მიზანსცენებით
ფრაგმენტულად,
როგორც იცის მხოლოდ მხატვრობამ.
აი, გიორგი,
სარდიონი,
მუშნი,
მანანა,
კაკაბაძე,
ოთარი,
ჯანრი...
აჰა, ქართული ჩოხა-კაბა, ჩიხტიკოპი,
ჩალმაც,
შარვალიც...
ქვითკირის სახლის აივანი, რიგის ქუჩა,
უცხოური ზღვა,
ყვავილები,
ლამფა,
სარკმელი...
სურათებიდან გადმოდიან
და იწყება ჭერმის ყვავილის,
სიზმრის ვარდების,
ჯვარცმა-გოლგოთისფერი სპექტაკლი
შენს თეატრში.

ჩვენ ვთამაშობთ...
მოგისაკლისებს რეჟისორი
პირველსავე სურათის ბოლოს.
შენ მშვიდად ხატავ,
ღიმილიც კი დაგთამაშებს,
დაგჭიმვია ყველა ძარღვი!

ჩემი სხვენიდან შენს სხვენამდე ახლოა ახლა.

2013 წლის იანვარი

„პირველად იყო სიტყვა“, ანუ ბგერები

ბგერები,
თქვენ ფიქრობთ, სიმფონიაა –
ნოტების ოკეანე,
ფორტეპიანო ან კიდევ ჩელო –
წყალქვეშა ბატისკაფი,
სიღრმეთა შიშის გადამლახავი,
ხმელეთზე დარჩენილებს რომ აზიარებს
წყვდიადში ჩამალული სილამაზის პოეზიას...

არა!
ბევრად მეტის დამტევები,
ქვეყნიერების დაბადების ჩამწერები,
შესაქმეს პარტიტურა –
ბგერები!
ამიტომაც ყურით კი არა,
მხოლოდ იშვიათი სულით ისმინება.

ბგერები როდია პოემები,
არც ოდენ
სიტყვების ცა
(აკი სიფრიფანა ფრთებზე დაიწერეს:
„პირველად იყოო სიტყვა“ და სხვა?!),
ხოლო რითმები, რიტმები, აზრები –
ღრუბლების,
ელვების,
ჭექა-ქუხილების
და მეხთა ხმა,
არამედ
სინათლის, სისავსის, სიმაღლის
მეტამორფოზები ხვალ!

ბგერები –
სიტყვის წიაღის სურნელებიანი
ცის აკვნის ჩვილები,
ფრენა და ნანავი
ზესკნელის მკვიდრების,
შორეული, მიმქრქალი,
უფერო ექო
იდუმალ,
სანუკვარ ხმობის და ხმის,
რომელი
“ხმაი იყო ზეცით“!

მანამდე,
ამ ხმამდე კი
ნაწვიმარ, ნაწარღვნარ ცის თაღზე
ცრემლებივით გადმოჰყარა დამბადებელმა
ახალშობილები –
მკერდსავსე ბგერები –
ცისარტყლის ფერები –
და სულში ჩაგვიძვრინა
მხატველი შვილები –
თავისი წიაღის სურნელებიანი
ცის აკვნის ჩვილები!

და განა შეიძლება გეგონოს,
რომ ეს საოცრება
მხოლოდ ნოტების ოკეანეა
ან სიტყვების ცა?

2012 წლის 18 ივნისი

პლაჟზე, სასტუმროს აივნიდან

პლაჟზე ორი ყავარჯნით იდგა, გარუჯული,
ახლაც საბანაოდ გამზადებული,
ორი ყავარჯნით და ცალი ფეხით.

რაც არ უნდა მოწმენდილი იყოს ცა
და რა არწივივით მზერაც არ უნდა გქონდეს,
შუაგულ ზღვაშიც რომ გახვიდე
დამწვარ-დაშანთული ზურგით
და დასერილი ფეხისგულებით დადგე
ყველაზე დიდი ტალღის ქოჩორზე
ალბატროსივით,
არაფერი ჩანს... მხოლოდ გესმის:
ჰორიზონტს იქით სუნთქავს

ცხუმი!
აქედანაც – სასტუმროს აივნიდან...

ის-ის იყო, თოლიების ფრენის ცქერაში გართულს
გამახსენდა, რომ ზღვა მომბეზრდა,
ზეცას თვალი ძლივს მოვწყვიტე,
და მომინდა გავმქრალიყავ ცას და ზღვას შორის,
დავმალოდი საკუთარ თავს ჩრდილში კვალწმინდად,
თვალი ვკიდე ახალგაზრდა კაცის სილუეტს:
პლაჟზე ორი ყავარჯნით იდგა.

ის ხომ არ იყო?
იქნებ სხვა, ვინც ღრმა ჭრილობებით...
ან გრუზა თმებით, დამსხვრეული წვივის ძვლებით,
ჩემი ტოლა,
არაფერს რომ იკითხავდა
ოპერაციის მერე ერთ ხანს.
ეცოდებოდა მედდა,
რომლის დიდრონ თვალებში
ირეკლებოდა ცალფეხობის ტრაგიკულობა
და რომელსაც დუმილის გამო უხერხულობისგან
წამდაუწუმ უწითლდებოდა ლოყები.
მეც შევეცოდე, მგონი... აკი მზერაც და სიტყვებიც ჩემი
ოსტატურად სრიალებდნენ მხოლოდ მარჯვნივ
და მუხლზემოთ...

მისი თვალები, გადავსებული
მარტოსული სახიჩარის სატკივარით და საწუხარით –
საველე ჰოსპიტალში,
მისი სხეულის ნაწილი კი –
მუხლქვემოთ მოკვეთილი წვივი და ტერფი –
უკვე მიწაში, როგორც სამარეში ყოფნის წინამორბედნი.

მე სასტუმროს აივნიდან გავცქეროდი.

ის იქ, კენჭებზე, პლაჟზე იდგა, გარუჯული,
საცურაო საცვლის ამარა.
მივიდა ზღვასთან უფრო ახლოს,
ახლოს იმ ზღვასთან, მე რომ მომბეზრდა,
მას კი სწყუროდა, იზიდავდა!
დაჰყარა ფრთხილად ყავარჯნები.
სამი ნახტომი
(ჰო, ხტუნვა-ხტუნვით – ვითომ ასკინკილით)
და გადაეშვა ლურჯ ტალღებში,
როგორც ომში
ოცი წლის წინ.

ესმის –
ჰორიზონტს იქით სუნთქავს ცხუმი.

2013 წლის აგვისტო –
2014 წლის სექტემბერი

სანთელი

პატარა ვარ და
ხელი მომეც,
ავიტანო ჩემი სულის სინათლე
და გულის სითბო
მაღლა, სულ ზემოთ,
შენთვის
და შენიც წავიყოლო...

ცვილისა ვარ და
არ დავიღვენთო-დავიღვარო,
შემეწიე!
დავიწვ-დავიდაგო
სიფრიფანაფრთიანი ფუტკრების სირუხყვითლეში,
წაბლ-ცაცხვების სიყვავილეში,
და კუბოზე დადენილ შენს ცრემლთა სიმლაშეში...

სიომ წამომიქროლა
და არ ჩამაქროს,
მომაფარე შენი სასოი...

მერე რა, რომ კელაპტარი გგონივარ,
მაინც შეიძლება მოვიდრიკო.
მითვალთვალე,
შენი ბაგეების დაჩურჩულება გამაგონე,
წელში გავსწორდები
და ჩემი ალის სიმხურვალე მისწვდება
ტოროლას სუნთქვას...

არც არაფერი,
ერთი პაწია სანთელი ვანთივარ.
კანკალით, თრთოლვით და ცახცახით ვტოკავ
და იმედს მაძლევს,
ჩემკენ წამოხრილს როცა გული გიფანცქალებს
და ბაგეები გიჩურჩულებს.

ერთი პაწია სანთელი ანთებულვარ
და, შენი კვნესამე, შემეწიე,
დავიწვ-დავიდაგო...

2015 წლის 14 აპრილი

საფლავებზე ამოკაწრული წარწერები სინანულისანი

წარწერა პირველი, ორშაბათს ლოგინში გარდაცვლილისა

ზეცავ, ძმობის მკვლელის,
ავაზაკის სიყვარული მაპატიე

წარწერა მეორე, სამშაბათს უგზო-უკვლოდ დაკარგულისა

ქრისტე, შენი მტრების ძმაკაცობა,
მათთან თრობა მაპატიე

წარწერა მესამე, ოთხშაბათს ზურგში ხანჯლის ჩაცემით მოკლულისა

ღმერთო, უვერცხლოდაც და ვერცხლებზეც
რომ გაგყიდე, მაპატიე

წარწერა მეოთხე, ხუთშაბათს
უსიყვარულობით დამწვარისა

ზეცავ, ავ ცოდვათა თავშესაფრად
გულის გადაქცევა მაპატიე

წარწერა მეხუთე, პარასკევ დღეს
სახრჩობელაზე დაკიდებულისა

ქრისტე, მამა-პაპის ეზო-კარის
სახლიდარის სიძულვილი მაპატიე

კიდევ ერთი წარწერა, შაბათს
ჯალაბთან ერთად ხატობაში წასულისა
და იქ სიკვდილს შეყრილისა

ღმერთო, უნანელი ჩემი ლაფიანი ყოფნა
მაპატიე

ჯერარწარწერილი იმის საფლავზე, კვირა დღეს
რომ მიიძინებს, გაზაფხულზე, ნააღდგომევს

ჩემზე უწინ ჩემს ძმებს, ჩემს მტრებს აპატიე
ეშმას მეტად მათ თავს ნუღა ადაგვინებ
სულგაყინულს მხოლოდ მათი ტკივილები ამატირებს

2012 წლის 19 ივლისი

საშობაო ნაძვის ხესთან დამშვიდობება

ერთი წლის მერე –
ლამის მთელი წელიწადის უგრძელესი,
სიზმარივით დაუმთავრებელი
და ჰორიზონტამდე გზასავით დაუსრულებელი
მატარებელი რომ ჩაივლის,
და თუ ომს მშვიდობა გადაძალავს
პლანეტის ბედისწერის სასწორზე,
იმის მერე
ნ ა ხ ვ ა მ დ ი ს!

ვეღარც რომ ვითვლი!
სულ ამერია.
დაიცა!
ბაბუმ ასე არ თქვა, სამას-რამდენიღაცა დღეო?!

ჰოდა სამასზე
და კიდევ ასე, ორმოცდაოთხზე უფრო მეტი დღის მერე,
და ამდენივე ვარსკვლავებიან, უმთვარო
ან სიცხიან-კოტოშებიან და ქაფურიან-ძმრიანი ღამის
და ამდენჯერვე –
ცხრათვალა მზის
მთებიდან ჩაისვარდისფრად ამოწვერვის,
ხოლო ზღვაში –
ბროწეულების ყვავილებისფრად ჩასვენების,
მზიანი ლურჯი ზღვის
უთვალავჯერ აღელვების,
წამონთების,
ტალღებად დაღვრის,
ზღვისპირზე გაშენებული ქალაქის
ორსართულიანი სახლის ლურჯ საძინებელში
სამასზე მეტჯერ გაღვიძების,
დილაობით კარაქიან-თაფლიანი პურის ნაჭერთან,
მურაბით დამტკბარ ცხელ ჩაისთანაც,
სადილად კი –
საძაგელი წვნიანის ვეებერთელა თეფშთან
ამდენჯერვე ვაჟკაცურად გამკლავების მერე
ნ ა ხ ვ ა მ დ ი ს!
ორივე ფეხზე ყოველდღიურად თასმების შეკვრაც
არაა ადვილი.
არ დაგავიწყდეს:

ძილის წინ საპონი, წყალი, ჯაგრისი;
არც სათამაშოების, წიგნების, რვეულების
და ტანსაცმლის დალაგება (ფეხსამოსისაც);
კიდევ სიცხე რომ გაქვს და
წამალს ისე გადაყლაპავ,
თითქოს მწარე სულაც არ იყოს!
ამას ყველაფერს თუ გადავიტან,
თუ გავუძლებ განუწყვეტლივ ჭკუის სწავლებას,
უზომო ქებას,
იმას, შენზე დიდი მეზობლის ბიჭი
შენი ველოსიპედით რომ
წრეს არტყამს ქუჩას,
ან ფეხს – შენს ნანინანატრ
შავ-თეთრი ექვსკუთხედებით დამშვენებულ ბურთს,
ძლივს რომ გეღირსა,
გოგონები კი –
უფრო ხშირად შენზე ერთი წლით მაინც დიდები,
თავიანთ სულელურ თამაშებში რომ ჩაგჩრიან,
თითქოს შენ იყო მარტო პატარა,
ისინი კი – უკვე ქალები,
გულზე სკდები,
თავს კი რატომღაც ვერ ანებებ, არ გარბიხარ
(ალბათ, ესეც რეპეტიციაა ოჯახური ცხოვრებისა
ვიღაცისთვის);
პაპიროსის საყიდლადაც გაგაგზავნიან ქინაქინის ხეებში,

იქ, სადაც ხეები კარგა ხანია მოჭრეს
და ახლა მაღაზიასღა შერჩა მათი სახელი;
მსუქანი გაოფლილი აქოშინებული დეიდა
ბაზრის ჩანთას შემოგაჩეჩებს,
უფროსებს უნდა ეხმარებოდეო,
რომელიმე მოხუცი მოგეფერება,
გულში ჩაგიკრავს,
შენ მისი უცნაური სუნი სულაც არ მოგწონს –
უცხო სუნელის, თამბაქოსი, ნესტიანი ოთახისაც...
ამასობაში საღამოვდება – ტემპი ნელდება.
მთელი ღამე არ გეძინება –
ხვალ ხომ მიდიხარ ქალაქიდან!
ვაშა!
არა, სადმე შორს კი არა – სოფელში, სადაც
ყველა გორაკი, ღობე-ყორე და კორომი ზეპირად იცი,
მაგრამ გული მაინც გამალებით გიცემს,
მაგელანის მოგზაურობასავითაა შენთვის;
გიჭირს, დაიჯერო, რომ ეს მართლა მოხდება –
ხვალ აღმოჩნდები მატარებელში,
მერე – სოფლის უჭრელეს სამყაროში!
არ გეძინება!
ნუთუ მართლა შეიცვლება რამე ხვალ?!
ღმერთო!
სხვა დროს რაღა დაგემართება?
უფრო შორსაც ხომ შეიძლება წახვიდე,

ვთქვათ, დედაქალაქში,
ან სულაც – საზღვარგარეთ,
ან იქნებ გამოხვიდე სადმე სცენაზე...
ამ ემოციებს ვეღარ იტევ, ვერ ისვენებ,
დუმხარ.
შენს მაგივრად სხვები ლაპარაკობენ.
საღამოს კი მოთენთილობას იგრძნობ უცებ,
უცნაურად თავს ჩამოჰკიდებ,
თვალს მილულავ
და დედის ხელი, მერე ბაგენი
ისე სწრაფად იპოვნიან შენს ცხელ შუბლს,
ისე უცებ ჩაგაწვენენ ლოგინში,
რომ იმედი,
ხვალ რომ რაღაც ახალი დაიწყება შენს ცხოვრებაში,
ვერ ასწრებს მოკვდეს, ვერც სუსტდება,
ამიტომაც თვალი საათზე მიჭირავს
და მჯერა, რომ ერთ საათში,
აი, კიდევ ერთი საათი გავა და, უკეთ გავხდები,
აუცილებლად დავდგები ფეხზე
და მაინც გავემგზავრები –
ხვალ ხომ რაღაც სულ სხვა, ახალი უნდა დაიწყოს!

აკი მომწყინდა ყველაფერი –
მე მხოლოდ საშობაო ნაძვის ხე მართობს
და მხოლოდ ავადმყოფობას შეუძლია გაიმარჯვოს

ჩემი ოცნებების ხორცშესხმაზე,
ხოლო თავად ოცნებები,
ფიქრები,
სურვილები
აღარ დამტოვებენ აღარასოდეს:
არც ჭაღარა შეუშლის მათ ხელს,
არც გულის არითმია,
არც ჰიპერქოლესტერინემია,
არც ასრულება,
რადგან რეალობა ყოველთვის შეიცავს
რაღაც არასრულფასოვანს,
უმწიფარს,
არადამაკმაყოფილებელს;
მხოლოდ ოცნებაა, სურვილი და ფიქრი სრულყოფილი!

ამ სიბრძნესაც გულში ვინახავ, მის ერთ კუნჭულში,
ვიცი, თუ წამომცდა, მაინც არავინ გაიზიარებს;
საშობაო ნაძვის ხეს კი შემიძლია გავანდო
წელიწადში ერთხელ:
ყოველ სამკაულ-სათამაშოს თან ვატან ამ ოცნებებს,
სულ სათითაოდ გადარჩეულს,
როგორც ლოცვას კრიალოსანზე;
ნაძვის ხეც სიხარულით და სიყვარულით ირთავს თავს
მარწყვით,
რომელსაც იანვარში მხოლოდ დედაბერი თუ ინატრებს,

ფისუნია კატით,
რომელიც, თხარა, თხარა და ძლივს გამოთხარა
ჩემმა თაგუნამ,
ხუჭუჭა ბატკნით,
რომ ილოცება, რომელი მგელიც მე არ შემჭამს,
დაე დიდხანს იცოცხლოსო,
ოქროსფერ გირჩებით,
ყინულის ლოლუებით,
სიმინდის აბრეშუმისქოჩრიანი ტაროებით,
თოჯინებით,
დათვით
და ჩიტით...
ქვეყნად უფრო მშვენიერ საშობაო ნაძვის ხეს
ვერსად იპოვით!

...მაგრამ ბედნიერების ეს დღეებიც სწრაფად გარბიან
და აი, უკვე ჩემს ოცნებებს – სათამაშოებს –
ძველებურ ყავისფერ ჩემოდანში ვაწყობ
ისეთი გულმოდგინებით,
თითქოს ჩანაწერებით ვავსებდე დღიურს.
ვემშვიდობები საშობაო ნაძვის ხეს დღეს,
არადა მიჭირს (თქვენ კი იცით)!
როგორ გავძლო სამას დღეზე მეტი უშენოდ?
ამიტომაც პირველსავე სუსხიან დღეს, შემოდგომაზე,
მივაკითხავ ძველი კარადის ვეებერთელა უჯრას,

რომელიც ერთგულად ინახავს
მასზე უფრე ძველ ჩემოდანს;
და იქიდან როცა შემომანათებს
საშობაო-საახალწლო ფეერია,
აუწერელი ნეტარების განცდა დამეუფლება –
გრძნობა, რომელსაც ვერ გადმოგცემთ ამ ლექსითაც,
თუმც კი ვეცადე...

ნ ა ხ ვ ა მ დ ი ს!
შეხვედრამდის!
მ შ ვ ი დ ო ბ ი თ!
ჩემო საშობაო ნაძვის ხეო!
ახლა, როცა კარგა ხანია, დიდობაში გავემგზავრე
და ამ კონტინენტზე დავრჩი ემიგრანტად,
გულს როცა სიხარულით ვეღარ მიტოკებს ვეღარაფერი,
როცა მისჯილი მაქვს შენთან განშორება
ყოველწლიურად,
იმედითღა ვცხოვრობ ისევ შეხვედრის;
მაგრამ ხომ დადგება
უკანასკნელი საშობაო ნაძვის ხის წელიც,
დღეც უკანასკნელ დამშვიდობების;
ის შენ უთუოდ გეცოდინება,
მე კი წარმოდგენაც არ მექნება;
შენ არც კი შეიმჩნევ ამას, არც მიმანიშნებ,
ან კი რომ მიმანიშნო, მე რას მივხვდები.

ამიტომაც იმ უკანასკნელ შეხვედრისას დღეს
გეუბნები,
ვიდრე ცრემლით გემშვიდობები:
მადლობელი ვარ ნეტარების ბავშვური განცდის
ყველა წამისთვის
და ეყვარები ჩემს გულს მარად,
თუმც გონებამ, მგონი, ვერ შეძლო.

მშვიდობით, ხეო საშობაოვ, კი არ ნახვამდის!

ორიათას ...მეცხი წელი.
დღე, როდესაც საშობაო ნაძვის ხე ავიღე –
დღე, როდესაც ბავშვობაში აუკიდებლად მივაკითხავდი
ნაძვის ხის სათამაშოებიან ძველი კარადის უჯრას.

სიკვდილს მიათრევს უხსენებელი

ნუ მიენდობი, ნუ ითამაშებ გველთან, რიყეზე
ის არ ლოცულობს
და არც ფსალმუნებს!
გატრუნულია,
გაშეშებული ხორცს ითბობს ქვებზე.

ნუ დაუჯერებ!
გაიშრიალებს როცა ბალახში,
სიკვდილს მიათრევს უხსენებელი,
ზურგზე წამომჯდარს,
და როგორც კი დაიგულვებს
თაკარა მზეზე გაცხელებულ
ძველძველ უხმარ ქვევრს,
გაუბზარავს,
შიგ ჩაძვრება.
უცივეს სისხლში გამჯდარი აქვს ავი ნიჭი –
თიხის ოსტატს ათასჯერ თითისანაბეჭდიან,
ნალოლიავებ ჭურჭელშივე ჩაუსაფრდეს!
თანაც რომ სჯერა, აიხდენს წადილს?!
ან რა იცის იმისთანა სიბრძნე ვარსვლავთა,
რომ უცილობლად კვირიკობის თვეში ოსტატი
უბრუნდება უმანკო, ძველ,
შავი ღამით სავსე იმ ქვევრს,

ჯერ ერთხელაც რომ არ დამტკბარა ყურძნის წვენით
და არც ერთხელ არ წოლილა ღვინით დამთვრალი...
ქვევრს, რომელიც მიწისთვისაც ვერ გაიმეტა,
გულში ჩაიკრავს უწითლესი თიხის მხატვარი
უკანასკნელად, დასაგესლად თავგანწირული...

ნუ დაიჯერებ, ლამაზი იყოს უხსენებელი –
მხოლოდ ყაყაჩოს წითელ მანდილს შვენის-ამკობს
ულამაზეს შავი ხალები,
და ზოლებიც მოყვითალო უხდება პეპლებს!

ნუ მიენდობი!
გაიშრიალებს როცა ბალახში,
სიკვდილს მიათრევს უხსენებელი,
ზურგზე წამომჯდარს.
მხოლოდ ხეთა შრიალია ცისმიერი,
ოდენ ფოთლის ჩურჩულია
სიცოცხლის ნანა.

სიკვდილს მიათრევს უხსენებელი,
მეჭურჭლეთა.

2014 წლის 21 ივვისტო

სკივრიდან

ტოტებში, ყლორტებში, ფოთლებში,
კვირტებში, ყვავილთა ფურცლებში
ჩაფლული ეზო და წარსული –
ძვირფასზე ძვირფასი ნახატი ოქროსვარაყიან ჩარჩოში –
უკითხავად შეხიზვნია
ჩემს მოგონებათა და დავიწყებათა
ერთადერთ სკივრს,
რომელიც სავსეა ყელამდის
და, რაც დრო გადის, ცხადია, უფრო მეტი მოდის წონაში –
მეც მიმძიმს მისი ტარება;
არადა, სად დატოვებ?
ვის შეაჩეჩებ?
ნამყოს ფერის ქვითკირის სკივრი
იტევს ულევ ფოტოკადრს, ნახატს, ფირს

და კიდევ ხმის ჩანაწერს,
ათას ერთ წვრილმანს,
ასობით ძველმანს,
ფეხთ მტვერს – ათამდე ბათმანს
და სამოცდაათჯერ შვიდი ყოვლად უსარგებლო ნივთის
ისტორიას.

აი, მორდეხა, ჟღალწვერიანი
(გახუნებულ ფოტოზე წვერი მართლა მოყვითალო ჩანს),
წვრილთვალება მეწვრილმანე.
კარგად იცის თავისი საქმე:
უქონელი სოფლის თვალწინ გაუშლია ყველაფერი,
რაც თავის სკივრში მოუგროვებია.
ჩვენი უბნის ქალებიც იქვე –
ელპიტე, აღათი, ანტისა, ვერიჩქა,
ანიკო, აგნისა, პისტიე, მელანო –
ზომავენ, სწონიან, ირგებენ, ეძებენ...
მათ ოდებში ხომ თაგვების ფერხულია:
სკივრებიც, განჯინებიც, კარადებიც,
ოთახებიც, ჯიბეებიც, აივნებიც ცარიელია,
კარ-ფანჯრებიც შიშველია
და გამხდარი ბალღური მხარ-მკლავიცა
და ტალახიანი ფეხებიც –
შესამოსავი.
მორდეხას სკივრია სამაგიეროდ დატენილი

სანუკვარით, სასურველით, საჭიროთიც...
ისევ ნისიად გასცა ხუთიოდ რამ.
დაისვენა, ცივი წყალი დალია.
ქალებმა მსხალი და ჭანჭური მიაწოდეს.
არაყს არც მიხედა,
შეება ურმისნაირ ორთვალაში
და გაუდგა გზას...

რა ბედი ეწევა ამ სკივრს, მორდეხა რომ აღარ იქნება?!
ალბათ, პატარა იცხაკა ან უფროსი ნათანა
შეებმება უღელში.
ჩემი სკივრის ამბავიც ვიცი:
თუ ახლავე საგულდაგულოდ
არ გადმოვქექე, გადავარჩიე, დავახარისხე,
წარწერები არ გავუკეთე სათითაოდ,
ჩემი სულისა და ხორცის გაყრის მერე
ვერც წარმოიდგენ,
რა აურზაური ატყდება,
რა აბრაკადაბრას მოჰყვებიან,
რას რად და როგორად წარმოადგენენ –
განგაცვიფრებენ!
ცრემლს მარილიანს – ზღვის წყლის წვეთად,
ძლივს ამოოხვრას – თავისუფალ ამოსუნთქვად,
ხოლო სიმწრის ღიმილს –
სილაღედ და კმაყოფილებად იმ ცხოვრებით,

ძვლებიც რომ აუკვნესებია.
ამიტომაც ვეჭიდები დროს და სიტყვას
და ხშირად ვიხედები ღრუბლებისკენ
და მათ ზემოთაც იმ ქათამივით,
წყალს რომ დალევს და ყოველთვის
ზეცას ახედავს – ღმერთს მადლობას ეუბნება.

მორდეხა კი ჯერჯერობით ლუხუტაპირს მიუყვება –
ეწევა ჭაპანს.
ერთიც შეჩერდა, ოფლი მოიწმინდა,
მდინარეს მიხედა და გაშრა-გაშეშდა:
მოდიდებულ ლუხუტას წყალს ბავშვი მოჰქონდა.
ჯერ წინ გაიქცა – წყალს შეეჯიბრა,
გადაეშვა მდინარეში ტანსაცმლიანად, როგორც იყო.
წყალი მკერდამდეც არ სწვდებოდა
(მადლობა ღმერთს!).
რამდენიმე წამით გაუსწრო მდინარეს,
ხელებში მოიმწყვდია და ნაპირს მიანდო
ბავშვად ხორცშესხმული ანგელოზი.
სულმოუთქმელად გაექანა ორთვალისკენ,
სკივრი გახსნა,
მწვანე შალის ნაჭერი ამოიღო
და გამოიქცა,
თანაც გზა-გზა შლიდა გრძელ და ხასხასა ქსოვილს,
და ჩემი ლუხუტაპირი ემსგავსებოდა მოლს კოინდრისას

იმ ბავშვის ეზოში – მწვანილოვანში...
შეახვია, გაამშრალა, მოეფერა.
შეციებულ-შეშინებული არც ინძრეოდა,
არც ხმას იღებდა,
არც სასკოლო ჩანთას უშვებდა ხელიდან ბალღი.
მხოლოდ თაფლისფერი თვალებით შესცქეროდა
გადამრჩენელის ჟღალ წვერს
და უკვირდა,
ბიძათაგან არავის რომ არ ჰქონდა
ამ ფერის წვერ-ულვაში და თმა.
* * *
ამასწინათ – ოღონდ მორდეხას კი არა, ჩემი სკივრიდან,
როცა კვირიკობის თვეში
ორი თუ სამი კვირის გულუხვი წვიმების მერე
სოფელი ჯერარნახულად იყო გადამწვანებული –
სულ ერთიანად, ნამეტნავად, თავდაუზოგავად,
ამოვაცურე სკივრის შიგნეულიდან
კიდევ ერთი სურათი
და ვთქვი ჩემთვის (უბის წიგნაკში):
მხატვარმა მწვანე ტილო სად იშოვნა ამოდენა,
ტყეებს, კორდებსა და ეზო-ყანებს ერთად რომ გადაფინა,
მერე ლუხუტაპირს მიადგა და...
გამახსენდა:
კოინდარი კი არა,
მორდეხას გრძელი, ლამაზი, მწვანე ქსოვილი

ღაღანებდა ჩვენს სოფელში
და მასზედ ალაგ-ალაგ
ლუხუტას წყლის წვეთები ბრწყინავდნენ!

ასეა:
კაცის მოგონებათა და დავიწყებათა
ნამყოს ფერის ქვითკირის სკივრთასკივრი
იტევს ულევ ნახატს, ფოტოკადრს, ვიდეოფირს
და კიდევ –
ხმის ჩანაწერსაც,
ათას ერთ წვრილმანს,
ასობით ძველმანს,
ფეხთ მტვერს –
ათამდე ბათმანს
და სამოცდაათჯერ შვიდი ყოვლად უსარგებლო ნივთის
ისტორიას...
დაატარებ ამ სკივრს და როცა დარწმუნდები,
რომ ვერავის შეაჩეჩებ და ვერც მიაბარებ საიმედოდ,
თავადვე იწყებ მის გადაქექვას,
იქნებ ნისიად რამე იქიდან ამოაძვრინო
მზის სინათლეზე
და
ტოტებში, ყლორტებში, ფოთლებში,
კვირტებში,
ყვავილთა ფურცლებში

ჩაფლული ეზოდან,
ნამყოდან
უცქირო,
რა მწვანედ ღაღანებს-ხასხასებს
საბუკიას და სამარწყვიას
ფერდობ-კორტოხებზე,
ლუხუტას ნაპირსა
და კორდებზე,
მორდეხას გრძელი, ფოთლისფერი შალის ნაჭერი
და იყო ასე –
უნახავის ნოსტალგიით გულაჩვილებული
და სულელურად ბედნიერი.

2011 წლის ივნისი

სოფლის დასტური

ნიჭიერებას ბედნიერება არ რგებია ყოველთვის იღბლად!
ან რას ეძებდი?
ქვეყნად ღვინოში ჩაწებულ პურს ვინ გადმოგიგდებს
სამათხოვროდ გაწვდილ ხელებში!
მხოლოდ წასულებს იხსენებენ ასე ლამაზად!
და კიდევ ქრისტეს – ღმერთს სწირავენ
თეთრ-ყვითელა სეფისკვერებს
და წითელ ღვინოს – საბარძიმეს (არა თამადას)!
ხოლო ცხოვრება ლუკმა-პურის ძიებაა
დამშეული კაცობრიობის,
ან დასალევის – გასათბობის, დამავიწყარის მოპოვება
ლოთთა მდაბალთა –
სადღაც, ოდესღაც დაკარგულ და მიუსაფარ ადამიანთა!

ან ობიანი პურის ნატეხი სანაგვიდან,
ან ღვინის და არყის ბოთლებში
ჩარჩენილი ცოტა სითხე –
აი, არჩევანი მილიონობით მათხოვართა!

ჩვენც ამათ მსგავსად მთელი სიცოცხლე
მოწყალებას ვითხოვთ
უტიფრად,
მოკრძალებით,
მოთმინებით,
კნავილით ან ყვირილით ვირის...
ზეცისგან, ზღვისგან, ხატებისგან, ქალებისგან,
უფროსებისგან...
და ველოდებით,
ძალით ვითრევთ,
ვიპარავთ,
ვძარცვავთ...
რადგან გვგონია მხოლოდ იგი, სწორედ იგი არის საჭირო,
რომ შეგვივსოს, რაც აკლია ჩვენნაირ ყოფას,
რომ ეწოდოს ბედნიერება!
მაინც არ გვჯერა მაწანწალის ან მათხოვრის როლის
ფრთხილად შესასრულებლად
რომ მოგვავლინეს დედამიწის მბრუნავ სცენაზე.
შესაბამისად მარტო არაყი, თუნდაც ღვინო
ან მხოლოდ პური

ვერ ამოავსებს ჩვენი მშიერი სულის სტომაქებს...
მოვითხოვთ სიყვარულს, ოჯახს და სიმდიდრეს
ერთბაშად,
ყოველდღე მემრუშის ალერსს
და მეუღლის თვინიერ თვალებსაც,
ქეიფ-დროსტარებას, მღერა-თამაშს
და ამასთან
პროფესიულ წარმატებას,
სანთლის დანთების წილ „კარგი“ ჰოროსკოპის
გამართლებას...

ღმერთო, შეგვიბრალე!
ნუ შეისმენ ჩვენს უგვან ლოცვას!
შენ ხომ დაგვპირდი,
რომ არ მოგვცემ ქვებს ნაცვლად პურის
და არცა გველს ნაცვლად თევზების!
უხეირონი იმ ქვებს სხვათა ჩასაქოლად დავაგროვებდით,
ხოლო გველებს მივუსევდით, ვინც შევიძულეთ...
* * *
ბედნიერებას შეიგრძნობს მკვდარიც,
თუკი მას საფლავს სამშობლოში უჭრიან ძმანი;
ან მოხუცი მშობელი მამა, სამემკვიდროს რომ დაალაგებს,
თუ შვილები არ იკითხავენ:
– ვის რამდენი და რატომ, მამი?
ანდა პოეტი, ღამეები რომ გაათენა

და ზეციერმა არ დააკლო წყალობა მაღლით...
ომში მომკვდარი ვაჟკაცების
ობლები და ქვრივნიცა მათნი...

შემოქმედების ნიჭიც არის უკვე ბედნიერება.
ვისაც ეძლევა ეს იცოდეს,
ეს გაიგოს,
ამას გრძნობდეს,
ამით ცოცხლობდეს,
მას გამოარჩევს წუთისოფელი,
მისდევს ფეხდაფეხ, –
ვერ გაიგოს გემო ცხოვრების,
არ გააწყალოს მამაპაპის ნაფერები ვაზის ნაჟური,
შესვას ბოლომდე სატანჯველთა ეს სასმისი –
სოფლის დასტური!

ნიჭიერებას ბედნიერება არ რგებია არასდროს იღბლად!
რატომ ეძებდი?
ქვეყნად ღვინოში ჩაწებულ პურს ვინ გადმოგიგდებს
სამათხოვროდ გაწვდილ ხელებში!

2006 წლის 19 ივნისი

სტრიქონები 2008-ე ფურცლიდან

არ დავმარხულვარ.
დაუფერფლავად მიმოვიფანტე
უკანასკნელ ძარღვის ძარღვამდის,
ფეხის ფრჩხილამდის –
ნაკუწ-ნაკუწ,
ნაფლეთ-ნაფლეთ,
ნაგლეჯ-ნაგლეჯ,
ნაკორტნ-ნაკორტნ,
ნაღადრ-ნაღადრ…
მას მერე, რაც ბრძოლა
და უეცრად – ბურანი.
მისი სქელი კედლის გაუმჭვირვალობა.
ვერდანახული (მერე რა, რომ გულაღმა!)

მიწისფერი (უსათუოდ, მიწისფერი!)
ცა,
ხოლო ხეები –
გამომშრალ ღრუბლებს შერჩენილ
ორიოდე წყლის წვეთსა და
მაღლა-მაღლა ირაოდ მფრინავ-მოსრიალე
სვავ-ყორან-ძერათა უკუნაპეტეს თოლებში
ძლივს არეკლილნი –
შებოლილნი,
ფოთლებშეტრუსულნი
(უფრო საზარელნი და გასაცოდავებულნი,
ვიდრე წინა ასწლეულებში –
ზეზეულად გამხმარნი),
სადგური – დანგრეული, როგორც ომზე კინოში,
აუხსნელად უძრავი სხეულები –
ჩვენი ასეულის ბიჭების,
ალბათ, საშინლად დაღლილების,
და
დანახშირებულ-დაბინძურებულ-დაუნდობელი დრო –
ჟამი მარცხის და
ომის და
კვდომისა.

ირგვლივ დუმდა ყველაფერი (ჩემთვის).
დასაღვრელი უკვე დამეღვარა

და აღარ მდიოდა
სისხლი-ანდერძი წინაპრების,
შვილებისთვის
(რომლებიც აღარ გაჩნდებიან აღარასოდეს!)
რომ უნდა გადამესხა.

...და აღარ მეიარებოდა,
აღარც მეწყლულებოდა
არც ყვრიმლის, ნაგვემის,
და არც ფერდის, განგმირულის,
ფეთქვა და სალმობა.
ცეცხლი მწყუროდა,
წყალი სიზმრად მეხილვებოდა,
მეხუთებოდა სხეულიც
და სულიც გზასდამდგარი,
და ჯერ არ ვიცოდი:
უბრალოდ, ვკვდებოდი,
უბრალოდ!
თანაც ისე, რომ
ცა არ ექცეოდა თავზე არავის ჩემი სიკვდილით
(რა მექნა – ამაზეც ვფიქრობდი
და გული მწყდებოდა!).
არავინ იყო მთელი მილეთის ხალხში,
უჩემოდ სიცოცხლე
უაზრობად მოჩვენებოდა
(თუნდ ერთი წუთით!)...

სიბნელე.
სინათლე.
ჩემი საცოდავი სხეული – იქ.
ვხედავ:
მოვიდნენ ადამიანები,
იფაციფუცეს,
ცხედრებს დაჰყურებდნენ,
ზეწრების ქვეშ მალავდნენ.
გაყინულ-გაშეშებული იქაურობა,
თითქოს მორთესო
ნაცრისფერ, მწვანე, მოჩითული,
ლურჯზოლება და თეთრი საკაბე ნაჭრებით!
ისე გადაეფარნენ,
სანუკვარ ცხედრებზე გადაფოფრილ
გოგოებს და პატარძლებს
ჰგვანდნენ.

მე კი იქ დავრჩი,
რადგან არ მემოგზაურებოდა,
რადგან უფრო იმ ბიჭების დედები მეცოდებოდნენ,
ვიდრე დედაჩემი –
ბაბუს ეზოს მიწას
მსხლის ხის გვერდით მიბარებული.
დამტოვეს და ძალიან კარგი.
ძარაზე ხომ მეტი ადგილი არც იყო.

...მოფრინდა ყორანი.
ფრთხილად ჩამინისკარტა.
ხელი რომ არ ავუქნიე, მომძიძგნა მერე.
მალე – ყვავ-ძერანიც, სვავნიც.
სოფლის ძაღლებმაც იკადრეს,
საქციელწამხდრებმა.
ღამე ტურებიც ჩამოიპარენ ტყიდან
და ასე ნაკუწ-ნაკუწ,
ნაფლეთ-ნაფლეთ,
ნაგლეჯ-ნაგლეჯ,
ნაკორტნ-ნაკორტნ,
ნაღადრ-ნაღადრ
მიმოვიფანტე
„ქართლის ცხოვრების“
დაუწერელ ფურცლის მინდვრებზე...

2008 წლის ოვალყო –
2013 წლის ოვალყო

ტკივილი ჯერ დუმს და მერე ქრება

როცა შიმშილი აღარ დუმს
და თავს გახსენებს
ფიქრშიც,
ჯაფაშიც,
მზერაშიც
და ლოცვებშიც კი...
შენ შიმშილზე ძლიერი ხარ –
დუმხარ მშობელი
და რომ ხემსიც არ გიგემია გუშინდელს აქეთ,
ეგ არაფერი:
ჩვილი შვილის შიმშილს როგორ გაუმკლავდება
დედის გული –
ზეცა დაგცქერის!
შენთანა ღმერთი!
გაჭირვება ხომ ობლების ბედი-ხვედრია!
მაგრამ აკი შენს დედისერთას –
ღვთაებრივ ძე-ყრმას –
ჰყავს დედაც, მამაც.
თუმცა კი ისევ, ვით შობის ჟამს,
ახლაც ხდება – სცივა ოჯახს,
სცივა და შია.
ან, საერთოდ, რა აბადია?!

...ლტოლვილთ იქ, უცხო ქვეყანაში,
უცხო მხარეში
მდევნელნი როს წამოგეწივნენ,
სულ ახლოს სცემდნენ ფლოქვებს ცხენები...
მსგავსად ხმაურით, გამაყრუებლად
სცემდნენ მაშინ გულნიცა თქვენნი!
ასე რამდენჯერ...
დაბნეულნი ნაძვს შეეფარეთ…
და ავაზაკთ!

იყო:
ტაძრიდან უკან გზაზე
ეძებდი თვის შვილს –
მხოლოდ ის უწყის,
რამდენი წამი,
რამდენი წუთი,
რამდენი გულისფეთქვა
და რამდენი მწუხარებით გაყინვა სულის!
რა გეფიქრა?
ან რა გექნა?

ან ახლა რამ გაგახსენა ეს ყველაფერი?
ამოიოხრე.
სისხამ დილიდან სულის შფოთვა აგედევნა
და ეს სევდაც აგეკვიატა!

ფსალმუნებდი,
ხელსაქმობდი –
გამალებით გული გიძგერდა-წინათგრძნობდა...
აი, უკვე ისმის მრავალთა ფეხისხმა –
მოირბინეს.
გაავებულებს –
ბრბოს აღვსებულს გულისწყრომითა
მიჰყავთო შესაკრებელიდან
სადღაც იესო!
რაც ძალი გქონდა – გაიქეცი,
იქნებ გეშველა რაიმეთი!
იქნება გეხსნა!
არ ყოფილიყავ განსაცდელში
იმის გვერდით,
ვინც ღმერთმა მოგცა
და გიყვარდა თავდავიწყებით
და ვინც იყო თავად უფალი?

იმ მთის წვერზე აეყვანათ,
„რომელსა ზედა ქალაქი იგი მათი
დაშენებულ იყო“
ოდითგან...
თვალი ჰკიდე –
უფსკრულის პირას მიემწყვდიათ:
სურთ გარდააგდონ ძეი ღმრთისა

მოკვდავთ უგუნურთ...
თავისი თვალით რომ იხილე
ეს სისასტიკე,
უღმერთობა
და სიძულვილი,
მუხლთ მოგეკვეთა,
ჩაიკეცე...

იესომ კი გადაგდა ფერხნი,
გაიარა,
შეერია სივრცეთ,
„განვლო შორის მთასა“
და განგვეშორა.

როცა ტკივილი ისევ დუმს
და ოდენ შენს გულს ჰკვეთს
წარსულშიც,
მთვარის შუქზეც,
ფიქრშიც,
შენშიც,
ზღვაშიც,
ლოცვებშიც...
შენ ტკივილზე ძლიერი ხარ,
ხარ ღვთისმშობელი!
და რომ ტკივილი არ დაგიამდა გუშინდელს აქეთ,

ეგ არაფერი:
შვილის ტანჯვას როგორ გაუმკლავდება
დედის გული,
ზეცა დაგცქერის!

ტკივილი კი ისევ დუმს
და რომ ოდენ შენს გულს ჰკვეთს
და სჭვალავს,
ეგეც არარა:
წინ გოლგოთაა,
ჟამი ჯვარცმის,
ოდეს ყველა ტკივილი ქრება!

მიმადლებულო,
ღმერთი შენთანა!
მთელი ცხოვრება დათმენაა,
ტანჯვა მდუმარე...
და ტკივილი,
რომელიც ჯერ დუმს
და მერე ქრება –
გეამბორება მაშინ ქალწულს
მიწაზე ზეცა!

2013 წლის ვნების კვირა

ტყემლების ღამე

ამაღამ მგონი იქნება ქარი,
ვაი დედოფალ ტყემლების ბრალი.
პაოლო იაშვილი

ღამე იყო
და სულელი (დღე არ მეყო!)
მივშტერებოდი თეთრყვავილა ტყემლის ხის ჩრდილებს:
სიმშვენიერეს უმტრობს,
ოღონდ ვერ შთანთქავს ბნელი.
სოფლის ტყემლები გარინდულიყვნენ –
ღამე იყო და
ქარსაც ჩასთვლიმა.

ხორცშესხმული ზეციური სილამაზის
მარტის ელჩებს –

თეთრკაბა ტყემლებს –
არ ანაღვლებდათ არც სიბნელე,
არც მაცქერალი.

ღამე იყო
და ალიონის ქარბორიომდე
ზეციური სილამაზე თავს აფარებდა
პატარძალ ტყემლებს.

2015 წლის 25-27 აპრილი

უბისა

ჩემი უბისა, შენი უბისა...
ჩვილი – ალმასი
ღვთისმშობელი დედის უბისა.

წმიდა გიორგი კალოუბნისა,
სისხლით დათრობა ლენგი ქუბისა.

ზღვა დარჩენილი, ტოლა გუბისა,
ჩახატული მაქვს წიგნში უბისა.

მზე გადიხარა ტარზე შუბისა,
ზარებს ჩამოჰკრავს გლოვა უბნისა.

შენი უბისა, ჩვენი უბისა...
ცრემლი მაცხოვრის თვალის უპისა.

ღვთის ერთგულება შენი უბისა,
სიმჭლევე ვნების ჩემი უბისა.

შენ დამიკერე ჯიბე ჯუბისა
ნატანჯს სენაკში ქაჯთან ჩხუბისგან.

გველი ნაჩეკი სხვისი უბისა
გატრუნულია ქვებზე დუბისა.

მტრედი აფრინდა ხანძთის უბიდან...
ჩვენი უბისა, შენი უბისა...
ჩვილ-მარგალიტი
ღვთისმშობელი დედის უბისა.

2012 წლის 9 ოქტომბერი

უნებლიე ჭირისუფალთა სამძიმარი

თავი დაიწვა ხის საყდარმა სასაფლაოზე!
ამომავალი მზის სხივები შეუკეთა
ბოროტ განზრახვებს ადამიანთა
და გაეხვია ცეცხლის ალში
ნაწამები ჰაბოს ტანივით.

აბრიალებულს მოხედეს ხეთა.
მიუჩრდილეს თვალცრემლიანს,
მარტო ანგელოზს.
სუნთქვა შეიკრეს გაღვიძებულმა
შუაღამეს საფლავებმა,
ჩამოიხმეს ზეცით სულები,
ჩამორეკეს გულის ზარებს.

დანახშირებულ კოჭ-ძელთ,
ალს, ცეცხლს და ნაცარს
ალიონამდე ლანდებივით
შემოევლენ გარს შავოსნები –
ეკლესიის უნებლიე ჭირისუფლები.

ასეთი შერჩა ობოლი ბიჭის
ბავშვურ დღიურის ცისფერ ფურცელს
გაშეშებულ მგლოვიარეთა
სამძიმარი შიშზარდაკრულ სასაფლაოზე,
სადაც წარსულში, უხსოვარ დროს
თავს იწვავდნენ ალიონამდე
ხის საყდარნი
სულთა ხსნისათვის...

2014 წლის იანვარი

უსასრულობა

ეკლის გვირგვინის ტკივილს,
სამსჭვლის სისხლიან კივილს,
ცივ, ირონიულ ღიმილს
ფარისეველთა, ყივილს –
მამლების ხმობას ცისკრის...
კვართზე თავის წილს იყრის
უკეთურება.

შიშს, უარყოფას გიცვლის
ცხელი ცრემლებით ყვრიმლის
დაღარვა. გულში გიყრის
რამდენ დარდსა და ტირილს,
რამდენ არყოფნას ჯვრის წინ...
ვიდრე შენივე გიკვირს
უსუსურობა.

უძილო სუნთქვებს გითვლის,
უფერულ დღეებს გიწვდის,
გავიწყებს სამსჭვლის კივილს,
ვერც ეკლისას გრძნობ ტკივილს.
აღარ გაღვიძებს ცისკრის
მხმობარ მამლების ყივილს
შენივთებული შიში,
აღარც არყოფნა ჯვრის წინ,
არც უარყოფა მისი –
„ჯვარს აცვი ეგე!“
ჯვრის წილ –
უმადურობა.

სისხლიან ნაკვლევს მწირის
გრძნობს. სატკივრებით იცის
სიბილწე ცოდვის მცირის...
ზეცას ფერი აქვს ციცრის
(თუ თვალი კიდევ მიჭრის):
მეალერსება ჭინჭრით
უსასრულობა.

2010 წელ 2 მაისი

უფლის ხის ტოტით დავიფიცებ

მე მიამდება სიყვარულის იარა წამით, ჩემო მიწაო,
გლეხკაცის ოფლი სათიბებში როს ეპკურება
ნამიკრეფიას, ტიმოთელას, წვნიკ ულეწელას...
ან როცა სისხლი წითელ ნამად მოესხურება
ქრისტესბეჭედას, მარიამას, თეთრ მაჩიტელას...

სამხლედ დაკრეფილ ბულახებში თითოდ ავარჩევ
ნაცარქათამას, მსუქან თათაბოს და მათუთელას...
უფლის ხის ტოტით დავიფიცებ
ჩემს ქრისტესისხლას
და მარიამსაკმელას ნაყოფს!

ჩემნო ცათანნო!
მე მიამდება მტკივანი სულის
ჭრილობა იმით,
რომ ვეფერები
ქართული სიტყვით
ამოსულთ მიწით...

1993 წლის ქრისტეშობისთვე

ფარდების მიღმა

წახვედით.
ჩვენი მიტოვება არც კი გიფიქრიათ
ამ ხვედრით.
ანგელოსებივით ზეცად გიფრენიათ,
ბაღებში
როცა სეირნობდით, ეკალ გიკრეფიათ
რამდენი...
მტკივა. მოვიჩქარი. ვიცი, მონატრებით
დამხვდებით.
ლოცვად საფლავებზე სურნელ გიფენიათ
ვარდების.
ქარი თმებს მიწეწავს...
თქვენი სუნთქვა მესმის მიღმა მოშრიალე
ფარდების.

2012 წელი 15 ივნისი

ფერების ჭადრაკის თამაში მეგაპოლისში

ცეცხლოვანი მეგაპოლისის
ოცდამეცხრე და მეცამეტე
სატრანსპორტო მაგისტრალების შესაყარზე,
ლითონის ქოლგის ქვეშ
ვმარტოობ მოქუფრულ დილით
და ვცდილობ ვისუნთქო იმით,
რასაც მთავაზობენ –
აიროვანი სუროგატით –
ჰაერის შესახებ მითით:
ჟანგბადის მინარევიანი
გამონაბოლქვ-გამონაფუტ-
-გამონაკვამლ-გამონაჭვარტლით,
სინათლეშეზავებულ გამონაბოროტალ-
-გამონაცოდვილარ-გამონასიძულვილარით...

მზის ჩასვლის მერე,
მარკეტთა და კანტორათა ლაბირინთიდან გამოღწეული,
გამოსავათებული,
ვუბრუნდები ლითონისფერ ლიტონ ქოლგას –

სასკოლო კომპასის ციფერბლატს,
და აქედან სახლში შელასლასებული, –
სავარძელშივე რომ ჩამეძინება,
ხოლო ვახშმად ჩასათვლელი საკვები მასა
ან გაცივდება,
ან ქურაზევე დაიხრუკება-დაშავდება,
აბაზანისკენ გადავამისამართებ ქვემო კიდურებს.

იქ, ვეებერთელა სარკის წინ
(რომელშიაც ჯერ კიდევ ვჩანვარ დილანდელი,
უაზრო თვალებით მომზირალი „მე“,
ილანდება გუშინდელი კარის მწარე გაჯახუნებაც
და ისმის ერთი კვირის წინანდელი,
ტკივილებისგან დაგრეხილი
სხეულის სასოწარკვეთილებაც),
ეგვიპტელი ქურუმის პოზაში მდგარი,
ლოტოსის ყვავილის გვირგვინის ფურცლის ფორმის,
ვარდის წყლით გაჟღენთილი ბამბის ფთილით
ვაკრიალებ ნაოჭსა და ნაოჭს შორის
იეროგლიფური არხების
ჭვარტლიან ფსკერს.
ბამბა, თავდაპირველად ვარდისფრად შეღებილი
ვარდის წყლისაგან,
ჩემი სახის კანთან თითოეული შეხების მერე
ჭუჭყისფერდება-რუხდება-შავდება –

ემსგავსება
ჩემივე ფილტვებიდან ამოგლეჯილი ქსოვილის ნაჭერს,
განსაკუთრებით მარჯვენისას.
მოვარდისფრო-მორძისფრო-ხორცისფერ ქსოვილს
ჟამ-ჟამ ეპარება
ცვეთისფერი,
ნაცრისფერი,
ჟანგისფერი,
მიწისფერი,
ფერფლისფერი,
განქარებისფერი
და ამ უხილავი, შეუცნობი, არგაგონილი
ფერთა ომის მიღმა
იმალება უდიდესი მისტერია –
ეს სიცოცხლე და სიკვდილი თამაშობენ
ფერების ჭადრაკს...
– ქიში!
– შამათი!
ხელების ჩამორთმევა.
თავბრუდამხვევი სივრცე იშლება...
მაგრამ ჯერხნობით (უნდა ვივარაუდოთ),
ჩემთვის განკუთვნილი დრო არ მოსულა
და ამიტომაც
დრაკონივით
ახალგაზრდა სიცოცხლეთა

ჩამყლაპავი მეგაპოლისის
ოცდამეცხრე და მეცამეტე
სატრანსპორტო მაგისტრალების გასაყარზე,
ლითონის ვეებერთელა,
უხამს,
უცივეს
კონსტრუქციათა ქვეშ
ვმარტოობ ძილგატეხილი ღამით
და ვცდილობ ვიცხოვრო იმ ჟამით,
რომელსაც მთავაზობს ბედი თუ ყისმათი.

გამთენიას შევიტან სხეულს
ჩემს მარტოსულის ბუნაგში
(მანამდე ვყნოსავ საფოსტო ყუთს,
ვაყურადებ ელმრიცხველების უმარდეს ზუზუნს,
ბინის ქურდის მარიფათით
ვარგებ კარებს გასაღებთა ჯერს),
გავიშხლართები არაბულ ტახტზე
ჩინურ ნაქარგთა შორის:
თვალების, სისხლის,
კანის, თმა-წვერის,
გულისცემების, ფრენის, სუნთქვის,
სიყვარულის
ფერებგამოხუნებული
ხორც-სხეულით

(ვიღაცისთვის შესაბრალისად რომ გამოიყურება
ბუნაგის აუტანელ სიჭრელეში),
ვაგდივარ მტვრიან ჭადრაკის დაფად,
რომელზედაც ჩემი სიცოცხლის სიკვდილი
ქიშს უცხადებს მეტოქეს,
მერე (ეს უკვე მერამდენედ)
ზავდებიან
და განაგრძობენ ფერების ჭადრაკის თამაშს...

ბაბილონის შთამომავალი ცეცხლოვანი მეგაპოლისი,
ამის შემხედვარე,
მემრუშე გვერდს შეიბრუნებს
და ელამ, გაუმაძღარ თვალს გააპარებს
ახალგაზრდა სულების სხეულებისკენ.

წიფლის ხის ჭადრაკის დაფის უჯრედები
გამოსცემენ ჭრიალისნაირ უცნაურ ბგერებს,
რომლებიც ჩამესმის ნანინად მომავლიდან.
ცოტა ხნის მერე კი
ფერ(ებ)დაკარგული
ზევიდან დავცქერი ჭადრაკის დაფას
და ახლა შენთან მომაქვს
ამდენი წლის წინ დაწყებული
მარტომყოფობა.

2011 წლის ივლისი

ფიჭვი და ფარა

ალბათ, უბრალოდ, სიმაღლეზე
თვალი ამეხილა-დავინახე:
მთის წვერთან,
რომელსაც მე, მეორე მთის კალთაზე მდგომი,
ზემოდან დავყურებდი,
განმარტოებით, თუ, უფრო ზუსტად, მარტო,
ანდა მიტოვებული,
სულაც მარტომყოფელობისთვის განწირული,
ან შეწირული დროს,
იქნებ, სივრცის მარადისობას,
იდგა ფიჭვი, ერთადერთი!
ორიოდე ბუჩქი კი სჩანდა ახლოს,
არცერთი ფიჭვი;
უფრო ქვემოთ – ტანმორჩილი მუხაც;
ეს ყველაფერი – ბალახიან მწვანე კალთაზე შეფენილი.

ასე ვართ კაცნიც.
ზევით-მაღლა, ცასთან ახლოს,
ცოტაზე კიდევ უფრო ცოტანი,
ჰო, იშვიათნი დგებიან თურმე,
გამორჩეულნი
თვით ყველაზე უშიშართა შორისაც კი –
გამწირველნი თავის!

ცისგან შორს კი –
მთისძირეთში და კალთებზეც –
ფარაა მთელი.

2014 წლის 3-5 ივლისი
სიხაოა-ჯონსკენსჯა, რუმინეთი

ქალაქი ტრამვაის გარეშე

დედა სერაფიმას,
მონატრებით

ლიანდაგებისგან განძარცულ, გამეტებულ ჩემს ქალაქში
ტრამვაის მომენატრა სიწითლე,
იმისი ზარების გაწკრიალება და, იცინებ, –
ღარიბულ სალონების რუხი ფერის სახალხო სიცივე.
„აიღე, დაგჭირდება ტრამვაით სამგზავროდ“, –
მიყრიან ჯიბეში ხურდებს და მონეტებს.
მაინც ვერ ვეწევი –
გაქრა, ჩავუქროლე ოცნებებს...
ჰო-და, რა თავში ვიხლი დიდედის ლორნეტებს:
ახალ თეატრებში პარტერიც, ქანდარაც სონეტებს
ბეჯითად ამჯობინებს „მაკბეტს“ და მონტეგებს

გაგებით უთანაგრძნობს „ბავშვების მიერ ჩადენილი
სისულელის“ გამო,
თან თრთოლვით ელოდება
ბოთლების თავსახურავებში ჩამალულ მოგებებს
(ორკესტრის სიღრმეში თავგანწირვით ჩაბერეს
კორნეტებს)!
ფხიზლად დარეკავს საათი შუაღამეს
(შუა აგვისტოს ხვატი არ ნავლდება),
ძილი არ მეძალება და სიზმრებიც, რა თქმა უნდა,
რამდენი ზაფხულია, არ ახლდება.

გადასერილი მაჯების დასამალად ჩავკიდეთ ხელი ხელს,
თვალები ავიხვიეთ:
ნურვინ დაინახავს ქალაქის ქვის უპეში ცრემლს,
ბილიკებს, ცად ამავალთ, ავუვლით გვერდს,
მალულად თვალს დავადგამთ სკოლის წინ აწოწილ ხეს...

და აი, ჩემს ქალაქთან ერთად ვუზივარ მორყეულ მერხს:
მე შექსპირის ენის გაკვეთილი მიტარდება
(რა თქმა უნდა, ვერ ვირთხამ ფერხთ),
მას – მეცადინეობა პრაქტიკულ უნარებში
(პრაგმატულ ჩვევებში):
უხსნიან, თუ როგორ ისწავლოს ცხოვრება
ტრამვაის გარეშე,
დაძლიოს ხსოვნა, რომ ართმევდნენ, აგლეჯდნენ...

როგორ ვუკარნახო...
მეშინია, გული არ გაუსკდეს...
გაკვეთილია და
თავს გვერდზე ვერ ვაბრუნებ.
ჩუმად აღმომხდება:
„უშველე! არ დაჰყვეს!
არ დანებდეს,
გავედრებ!
თორემ ამაოა...
ო, რა საბრალოა
ქალაქი
ფიქრებშიც აკრძალულ,
ხსოვნაში ამოშანთულ
და არსაითმქროლავი ტრამვაის გარეშე!“

2013 წლის 11 ივვისტო

ქვევრის რეკვიემი

თუთის ხის ტოტებქვეშ,
სოფელს რომ ეძინა ჯერ კიდევ
(თერთმეტსულიანი სოფლის დაძინებას
ან კი რა გრძელი იავნანა დასჭირდება?!),
მთვლემარე ქვევრებს თავს წამოადგა
მხარზე თოხბარგადებული კაცი
უქუდოდ,
უბოდიშოდ.
არ დაეღალა ქვემო უბნიდან
ყრუ განზრახვას.
დაემონა ავი სიზმრიდან
მოსულ მზაკვარსა.
დამხვდურთ შორიდანვე ცუდად ენიშნათ
მისი ფეხის ხმა,
იმ ელამი თვალის ბრიალიც
და ბოლოთრია ძველი ურმის
მოგუდული თვლების ჭრიალიც,
გამოუმშრალი მწარე თუთუნის,

გაყვითლებული გაზეთის ნახევის
რძისფერი კვამლიც,
და უთენია,
გადაფერდებული ჭიშკრის გვერდის ავლით,
უცხო კაცის შემოლაჯებაც
ოლია მამიდას ეზოკარში.

რამდენი რთველობაა, არ უჭაშნიკიათ
დიდპაპის ქვევრებს...
რამდენი თხილობაა,
რამდენი კრუხობა და ჭაჭისარყობაა –
პატრონის ერთგული ვენახი
ჭურისთავს მზერს,
ჭურისთავი კი –
სოფლისკენ მომავალ გულნატკენ,
უკაცურ გზებს.
ცოდოა ქვევრი უღვინოდ.
რომ ვეღარც ძლებს?!
სიცოცხლე მინავლდა მასში
და კბილებით უჭირავს სული,
იქნებ ახლა მაინც შეიცოდონ,
იქნებ შეიბრალონ დღეს,
როცა ერთი სხივი კიდევ ჩაქრა.
როგორც კერიაში ცეცხლი შუაღამეს თვლემს;
მხოლოდ ბებომ იცის მუღამი ღადარის,

იცის, სად გაქექოს კოპიტის ნაცარი –
ნაკვერჩხალში უცხელესი სტიქიის შემნახველი.
უღვინო ქვევრი ორ–სამ წელიწადს გულს გაიმაგრებს,
მერე?
მხოლოდ თვითონ თუ იგრძნობს გულისცემას,
როგორც დაჭრილი მგელი, სისხლისგან რომ იცლება,
ან საბუდარი, რომელშიაც კვერცხს აღარ დებენ დედლები,
ან ხახადაღებული გამოკეტილი წისქვილი,
სადაც აღარავის მიაქვს სიმინდი
(რაღასთვის იტრიალოს დოლაბმა?)...

ცოდვაა სოფლის დაგდება.
ცოდოა შვილთაგან უკადრისად ხელნაკრავი,
ბადიშებისგან
და ჭრელყვითელ ჭუკებისგან განძარცული,
დედის მომკითხავი ხბორების
ზმუილის გაგონების მოდარაჯე,
დარცხვენილი
(მეზობელ სოფლებისა რცხვენია!)
მოხუცი სოფელი.

რამდენი მაჭრობაა,
ღიღინით არ ჩაუდგამს კიბე ჭურში
დათიკო ჩხიკვაძეს,
მერე როგორც წმიდა სალოცავში,

ისეთი მოწიწებით არ ჩასულა
და
მისი გოდოლივით მტკიცე, ჭირისმთმენი კედლები
რუდუნებით, მისხალ-მისხალ არ ურეცხია
საშობაოდ დაკლული ღორის შიგნეულივით.

ციოდა ჭურისთავზე.
თვალებში ჯვრიანი გუმბათი შეეფეთა.
მართლა რა ახლოს ყოფილა დალოცვილი:
გადაირბენდა ადრიანად სვიმეონ დიაკონი,
წირვას განამზადებდა,
იტყოდა ლოცვას,
მანამდე წვრილშვილიანი
დილის საქმესაც ხომ მოასწრებდა ცოტას?!
წყაროს ჩაუვლიდა, ჩვენს ხოზოურს,
მადლობას ეტყოდა...
ერთ სავსე ჩაფ წყალს ეკლესიაშიც შეიტანდა, ეტყობა.
წყალი კი მოდიოდა მოთმინებით,
წყალობის მოიმედე წყარო.
– დამლევი ვინ ხარო?
ხელი შემახეთ, მეც მინდა ვიხარო! –
ლოცულობს წყარო, მორაკრაკებს
და თავის დინებას მიყურადებული
დროისას თითქოს ვეღარც ამჩნევს.
ხანდახან წყაროს ლოცვას ისმენს ცა-მყარი:

ჩამოივლის ვინმე ნამგზავრი,
ან ჩამოირბენს მონასტრიდან
ბერის მორჩილი –
დაირწყულებენ.
ზეცას ახედავს წყაროსთვალი,
მიწას აკოცებს
და იწმინდება აგრერიგად,
გემრიელდება,
მადლიანდება
ხოზოური...

კაცმა სხვის მიწას დაჰკრა ბარი უჯვროდ და უგულოდ,
არა, პირიქით, გულიანად,
მთელი ძალით და
მონდომებითაც...
აქეთ-იქით არ იცქირებოდა.
თუთაც დუმდა და მსხალიც, მისი შემხედვარე.
კორკიმელიც, ტყემალიც და ტყუპალა ქლიავიც –
ბროწეულს შეებრალნენ!
ორმოსავალა ლეღვი ჯერ კანკალმა აიტანა,
მერე თხილის ბუჩქებისკენ ჰქნა პირი
და ალაგ-ალაგ დარღვეულმა ღობემაც
რომ სოფლის საერთო სამდურავზე გადაუგდო ფიქრი,
ახლა ყანაში შემორჩენილი, მოუტეხავი სიმინდი შეენანა.
ეზოკარს სიგრძე-სიგანე როდი,

მზრუნველი ხელი აკლდა ოდენ.
ვაზი – ნამშობიარევი ქალივით დალეული,
ვალმოხდილი, ბერწობადაძლეული.
მოგრძო, სიყვითლეშეპარულ ფოთლებს შორის
ჩამომჭკნარი ნარინჯისფერი ყვავილები
კარგა ხნის უტირალ საფლავს აღნიშნავდნენ.
ბროწეულის ცოცხალი ღობე გამოხალვათებულიყო,
ალაგ-ალაგ შემხმარიყო,
თვალები ბებრულად დალიბრვოდა,
ხათრითღა სუნთქავდა...
რაღა ღობე –
ერთსართულიანი,
სამი თვალი სახლის
გადმოუთოვლელი
სახურავიც ჩამოშლილიყო.
ორიოდ კედლის ნანგრევიღა დარჩენილიყო:
ბუხრიანის და ქვით ნაგების.
ღია ცისქვეშ დარჩენილი ბუხარი
გასათბობად პატიჟებდა გამვლელ-გამომვლელს,
რადგან ციოდა, ხოლო მძინარეს – ორმაგად სცივა.
ნასახლარი ეთქმოდა და არც ეთქმოდა აქაურობას...
კედლები იყო, სხვა კი – არაფერი:
არც ფსკერგავარდნილი კარდალა ჩანდა,
არც თიხის ჭურჭლის, ან კრამიტის, ან ღვინის ბოცის
ნამსხვრევ-ნამტვრევი,

არც დაწნული კალათების, გოდრების კვალი,
არც ხეებზე შერჩენილი ერთი მაინც ქლიავი, ბალი...
(ან გვიანი შემოდგომის ჩიტებს რა გადაურჩებათ?)...

აგერ მოსულიყო და სხვის მიწას ჭრიდა კაცი,
არც ისე მოხუცი
და არც ახალგაზრდა...
ბარს თოხი მიახმარა, თოხს ნიჩაბი, ნიჩაბს ძალაყინი.
დიდი ორმოს ამოთხრა თუ განეზრახა?
გულმოდგინედ, ჩაშტერებით...
„მეხუმრები, ბეჩა, ხელებით?!“
ერთი ყმაწვილი მოუვიდა მერე,
შვილი, ალბათ, ნაფერები.
ახლა იმან უმარჯვა ფიცრები – საგვერდელი –
და ნელნელა დღის სინათლეზე ამოიტანეს
(იფიქრებდი,
დევის სამარხისთვის მიუგნიათ და ეგ არისო!) –
ქვევრი – ოთხმოცი ფუთი ღვინის დამტევი ნაღდად!
ურემს დაუდეს ხვნეშით,
ცოტა უხეში „შენით“
და გაუყენეს ზემო გორიდან
ქვემო უბნისკენ.

ეს შარშან იყო, რომ მეზობლის ჭურისთავზე
ერთი კაცი მიწას თხრიდა –

ქვევრს იპარავდა.
ფოთოლცვენა შეწყვეტილიყო
და ჰაერიც ცოტა თოვლის
სუნს დაიკრავდა.
ციოდა.
ბუხარი გამვლელს გასათბობად პატიჟებდა.
არვინ ჩერდებოდა.
სუსხი უჩქარებდა ფეხს კუბოს წამღებთ და
ხელს – მესაფლავეთ.
უმეხსიერო,
დაბრმობილი,
თიხისგან ქმნილი,
შარშან სასაცილოდ
ჭურისთავს ძარცვავდა,
ახლა თვითონ თიხად უნდა ქცეულიყო –
სოფელი მარხავდა.
ღვინო წაუქციეს, პური ჩაუწეს და შესანდობარი თქვეს...
ციოდა.
მზე ჯერ არ ჩადიოდა:
აცლიდა მიწას კუთვნილის მიბარებას.
ღვინოშერეული სისხლი კი
ჩქარობდა,
ძარღვებში დიოდა,
საქმეს (თან ჩიოდა)
ვერ აუდიოდა –

მუცელი საფლავს ერთობ ნელა ევსებოდა.
დღეს სოფლის სასაფლაო
ერთი ბორცვით ბერდებოდა
(მის სადღეგრძელოს, აბა, ვინ იტყოდა?!).
არავინ ტიროდა.
სოფელს რაც ჰქონდა, ის ჰქონდა,
კმარობდა.
ციოდა...
ოღონდ ერთი კაი გამარჯობა,
ნამუსი, ადათი, კაცობა შიოდა
ჭურისთავგაძარცვულ სოფელს.
ახალწლის ღამის მომლოდინეთ
კედლებზე ეძინათ თოფებს.

...მიწამიუყრელ ნაძარცვ საფლავს მოგაგონებდა
ნაქვევრალი დაჭრილი მიწა –
სანახავი ასეთი მტრისას!
ვერც ვინ ბედავდა მიწის მიყრას,
დამარხვას მისას –
სამარეში, ასე ჩანდა,
ჩვენი სოფლის
სინდისი იწვა.

2012 წლის 26 მაისი -1 ივნისი

შენ, სასოების ნიბლია ჩიტო!

ფიჭვთა და ნაძვთა სიმწვანეა გაუსაძლისი
და სურნელი მარადისობის, თუ დროებათა
შენელებულა მდინარება?
ნუ დამპირდები!..
მონასტრულ დღეთა სიჩუმეთა, მყუდროებათა
და კრთომათა წიაღში სუნთქვა მსურს გარინდებით.
შენ, სასოების ნიბლია ჩიტო,
ნუ გაფრინდები!

საკმევლის თეთრი ნისლი როცა ერევა ღრუბლებს,
მთებსა და ქედებს მიუწვდომლებს,
ზარების რეკვებს
სისხლით ვიხატავ...
თვალით ალგეთს გავყურებ ძუ მგლებს
და ტკივილებით მოველი ნაყარს – ხარების ლეკვებს!
ბრძოლის ყიჟინა როს დაგვავიწყებს ზმანების ცეკვებს,
შენ, სასოების ნიბლია ჩიტო, ნუ შეშინდები,

დაიდე ბუდე იფნის ხის ტოტზე!
ჟამიანობის ჭირისუფალო ლურჯო ცარგვალო,
ნუ შებინდდები!

სილაჟვარდეში იხატება საყდრის ქვაჯვარი,
თბილისისაკენ მოიკლაკნება გველი ყაჯარი.
ისევ სისხლისღვრა?
თუ ამჯერად სულთა ბაზარი?!
წარწყმედას ჩვენსას შენ დაუდე, ღმერთო, საზღვარი!
აღარც ქვეყანა, არცა ერი, არცა სუნთქვა
არ გვსურს ნაძრახი!
შენ, სასოების ნიბლია ჩიტო,
ნუ გაფრინდები!
მომეც ბუმბული, ნუ დამიფრთხები,
ნუ დამცილდები!
ჟამიანობის ჭირისუფალო ლურჯო ცარგვალო,
რას დამპირდები?

2012 წლის 14 ივლისი

შენი სულის ფსკერზე ამომწვარ ღარებად

იწვოდა.
არ თმობდა სალმობა.
მთელი თვე იბორგა.
ოთხშაბათს ალიონზეღა ჩათვლიმა.
რა გასაკვირია, აგვისტოა,
ძლივს, მთელი ზაფხულია, პირველად აგრილდა.

სიზმარშიც
არ დათმო სალმობამ,
თვლემდა, თან ბორგავდა,
დაცვარულ მინდორს და მთრთოლვარე ფოთლებით
დახუნძლულ რტო-ყლორტებს
ჩარაზულ-ჩახუთულ,
უფერო, სოფლური სახლუკის
უფანჯრო კედელში გაჩენილ წვრილ ჭუჭრუტანიდან
ბინდდაკრულს ხედავდა.
ბნელოდა.
ეზოდან ხანძრის ანარეკლი
ოთახში არა
და პატარა ბიჭის სულის ფსკერზე კი
ამომწვარ ღარებად რჩებოდა.
ნალია იწვოდა
და შიგნით – მისი თერთმეტი წლის ცხოვრება,

ყველა სურათი და ხატება,
რაც კი ბავშვს ენახა.
კაცისნიღბებიანი ავი სულები
მურდლად ხორხოცობდნენ
და ცეცხლისკენ იშვერდნენ
სისხლიან ბრჭყალება თათებს.

მას მერე აგერ რამდენი წელია...
რომ გწვავს და გშუშხავს, თავს განატრებს
(ამის დროა?),
დაკარგო – არ გინდა,
იმ ბაღის სიყრმის აალებული ატმის რტოა,
სადაც კორტოხსაც, ბალახსაც, გორახსაც
შენსავით
პაპანება და უდაბნო
ალმურად აწვიმდა. იწვოდა
ნალია,
მიწა
და ხიდები
ყრმობასთან,
აწმყოსთან,
საკუთარ თავთანაც,
ძმასთან,
თამაშებთან,
მამის სილუეტთან,

მინდვრებთან,
დილასთან!

დაკარგულ ქალაქში,
ეზოში, საითკენაც შენ, შენი ძმა და უბნის ბიჭები
საბურთაოდ წვიმაშიც გარბოდით,
მოვარდნილ ქარებისგან
და მომწყდარ ვარსკვლავთაგან
მიტოვებულ ეზოში,
ცეცხლის ენები,
კვამლი,
მამის და ძმის ფერფლი,
ბავშვობაც, დიდობაც,
შვებაც და სიხარულიც
სიზმარსღა თუ შეაფარებდა თავს.

...და თითქოს, გაღმაც და გამოღმაც,
აბობოქრებულ ნაპირთა ჯინაზე
იწვოდა ხიდები.
ხანძართა ანარეკლი
და სისხლის ცივი სუნთქვა
მისი სულის ფსკერზე
ამომწვარ ღარებად რჩებოდა.

2014 წლის ივნისი

„ჩავიფერფლები!“

მე ვიფერფლები, მაგრამ გახსოვდეთ
ეს ჩემი ფერფლი კიდევ დიდხანს გაჰყვება ქარებს,
კვლებში ჩამდგარ სამამულე რქებიან ხარებს,
მამადავითზე და ალგეთზე შემოკრავს ზარებს.
დავიფერფლები –
მე გადამწვავს მტერი დუშმანი
და შევერევი ჩვილის აკვნის ჩაფერფლილ ფიცარს,
გადამწვარი ვენახის ჭიგოს,
ნაცეცხლარი საყდრის სიწმინდეს,
გადატრუსულ ბალახის ტკივილს!..

მე ვიფერფლები ნელა, სვენებით,
რომ ფერფლი ჩემი ეყოს მამულს გზის გასავლელად
თავისუფლების სადგურამდის!

და მე არ ვტირი –
მეშინია, ცრემლმა იქნებ ჩააქროს ალი.
მე არც კი ვოხრავ –
არ შეუდრკეს გული იმ მოყმეს,
ვისთვისაც ფერფლი და ნაცარი
მხოლოდ შეშის წვის ნარჩენია...
დავიფერფლები, აინთება როცა კიდევ ერთი კოცონი
ქრისტეს პირველი მიმდევრების ჩირაღდნებივით...

ჩავიფერფლები უცეცხლოდაც,
ოღონდ ლოცვაში,
შენთვის ბრძოლაში.
არსად გავქრები!
ჩემი სული ისევ გაჰყვება
მყობადის ქარებს, მდინარეებს და ქარტეხილებს,
კვლებში ჩამდგარ სამამულე რქებიან ხარებს,
მამადავითზე და ალგეთზე შემოკრავს ზარებს!

2012 წლის 17 აგვისტო

ჩარგალში

შემომეფეთა მზიანი სახით ჩაფიქრებულს –
ის – ზეციური
მე – მიწიერსა!
რანაირად,
მეწყრის მოვარდნასავით უეცრივ,
ამომხედა დევმა
ნაცარქექიასა!
თითქოს ზეციდან ჩამომაცქერდა –
კლდე თავის მკერდს აგლეჯილ ლოდსა!
იმის სახლის წინ ვიდექ –
ბეჩავი მეფეთმეფის კარზე!
რით დამეჯერებინა,
იმავე ჰაერით რომ ვსუნთქავდი –
სნეული უკვდავების წყალზე.

ვერც მერე და ვერც მანამდის!
ცხადშიაც და სიზმარშიაც...
იმისმა მზერამ ელვასავით ჩამოანათა.
ამომხედა კიდეც და ჩამომაცქერდა-ცა
ერთჟამიერად!
იმისი ძალა, როგორც რომ სიო,
მიელამუნა შიგ გულის ხარიხებს –
დაფლეთილთ, დაგლეჯილთ, დაჟანგულთ,
დამწვართ,
დაშანთულთ, დაკორტნილთ, დაღადრულთ,
დამწყდართ...
მიელამუნა და აახმოვან-აამღერა
სულის ამომატრიალებელი ნოტებით:

– ვარამო წყლისა და ხმელისაო,
დარდოვო დეკასო და ბუერასო,
ბალღამო სამშობლო ქვეყნისაო,
მწუხარებავო მთელი მზიანეთის,
სიავევ, ჩამალულო, მთვარიან ღამეთაო,
სევდავო სულდგმულთა და ქვა-კლდეთაო,
ნაღველო შვლის ნუკრის თოლებისო,
გაუხარებლობავ ქვრივ-ოხერთაო,
გლოვა-ზაროვო არაგვის ქუხილისო,
წუხილ-ტირილო მელექსეთა სტვირებისო,
დასევდიანებავ მოხუც ციხელასო,

ტანჯვა-სნეულებავ ლუხუმისო,
გოლგოთავ, ეკლიანზე სავალო,
კაიყმობის და სტუმარ-მასპინძლობისაო –
სუყველამ ერთ კაცისთვის მაიცალეთ,
იმანაც გამაგახრევინათ თოლ-გული და
ტანსაც ბარე ათასჯერ მოგიგდებდათ დასაჯიჯგნად,
მარჯუენეს, თით-მტევანს არ ჰკანკალებდეს
სისხლის მელანში ბატის ფრთის ჩასაწებად...

ჰოი, გამაგახრევინათ თოლ-გული და
დაგეფერფლინათ უალცეცხლოდ...
ვაჟაი ჩვენ შავიწირეთ, ჩვენ მავიდნეთ
უხმალტყვიოდ!

2013 წლის ივნისი

ჩემი ბოცორია

წვიმაში
(ჩვენს ქალაქში ხომ ნიადაგ წვიმს!)
ჩემი ბავშვობის ქუჩაში
(რომელზედაც ყველას ვერ ვაძლევ გავლის უფლებას)
ჩქარი ნაბიჯით მიმავალს
(რადგან გაგვირბოდი ყველას, ყველაფერს,
სოფელს, გზებს, მეზობლებს...)
გაგიხსენებ, შველივით დამფრთხალს
(საიდან უნდა გვცოდნოდა უგუნურთ,
რომ მონადირეები სულ ფხიზლობენ,
შენისთანებზე ნადირობის სეზონი კი
მთელი წელიწადი გახსნილია),
რკინიგზელის გრძელ, კაპიუშონიან,
ჩალისფერ-მომწვანო ლაბადაში,
ზურგჩანთით, კეპიანი ქუდით.

ბავშვებს გვაშინებდნენ შენი სახელით,
ამიტომაც არც თუ ისე გაბედულად,
ღობე-ყორეს ამოფარებულნი,
თვალს და საჩვენებელ თითს გაყოლებთ
გულის ბაგუნით
და შენი სახელის დამარცვლა-გადაჩურჩულებით:
„ბოცო-რია,
ბო-ცო-რი-ა“...

ვინ და რა იყავი, ჩემო ბოცორია,
ან სადაური და რანაირი,
და რამდენჯერ იყავი (თუ ხარ?!),
ან სად ხარ, როგორ,
და როდემდის თუ როდინდელი,
ვისი სასო და რისი მაქნისი...
რამდენჯერ მოგიკითხე, გაგიხსენე,
ვის აღარ შევჩივლე,
თვალები დავხუჭე და დაგემუქრე,
სანამ არ დამენახვები, არ გავახელ-მეთქი,
და მაინც რომ არ გამოჩნდი,
დაგისიზმრე!
მერე ისევ მოგისაკლისებდა ჩემი სიბალღე-სიყრმის
სინაცრისფრე,
მომენატრებოდი,
როგორც წამოლანდება კეთილი ანგელოზის,

უსხეულოსი, ჭრიჭინობელას ფრთებივით გამჭვირვალის,
როცა ვბარგდებოდი, ამასობაში ათჯერ მაინც,
ჩემი ქუჩიდან სხვა კონტინენტებზე,
ხოლო ასის ნახევარჯერ –
მარტის ყრმობიდან სულ სხვა ასაკებში!
გულდაწყვეტილი იმასაც ვიტყვი ახლა ხმამაღლა,
რომ ვერ მიმხვდარვარ,
საიდან, რატომ ან რანაირად გამოჩნდი ჩვენდა ბედად
მწირი ქუჩაში,
ხოლო ჩვენი ბავშვობების ეზოებში
ერთხელაც არ შემოაბიჯე
(მხოლოდ ლოცვა-დალოცვით მოგვწვდი;
მაგრამ ამას ხომ მხოლოდ ახლა ვგრძნობ,
ცაო, რა გვიან!),
არ მომეფერე ხელის გადასმით,
არ შემომხედე გატანჯულს ასთმით,
არ მანუგეშე ორი სიტყვით –
გამაცოცხლებდა, მაგალითად, წარმოთქმული
შენ მიერ
„ღმერთი“, „არსებობს“,
ან
„იესო“, „გლოცავს“,
ან
„პატარავ“, „გამაგრდი“,
ან

„ისევ“, „მოვალ“!
ნუთუ, არც ერთხელ არ შეტოკდი ამდენი ბავშვის
და იმათ შორის ჩემს დანახვაზე
(ჩემს გულს კი ახსოვს, როგორ შეტოკდი!)?!

კარგა ხანია, ვიცი, რატომ შველივით იყავი ფრთხილი –
გრძნობდი თურმე ყოველ ჩახმახს შეყენებულს,
დაუნდობელ მონადირეთა.
ეს რაგვარ ტყეში დაწყებულა ჩვენი ამბავი!

„იცი, ვინ მოუკლავთო?
გახსოვსო, ბოცორია?!“ -
მითხრეს ბათუმში ჩასულს დილით
და დამტოვეს აგრერიგად გაოგნებული
ამ სიცხადით კი არა, სიზმრით...
რამდენი წელი და რამდენი დრო და ხანი,
რამდენი ღამე და რამდენი ზამთარი ვერა,
ვერ მიმეგნო მისთვის, მის კვალისთვისაც,
ისიც ვერ მითხრეს, სად მეძებნა,
ცოცხალი იყო ან თუ მკვდარი ის როდინდელი,
და მკვლელმა კიდევ,
იმ იღბალ- და ფიქრსისხლიანმა,
როგორ მიაგნო?
ვით იპოვა ის ბედისწერამ?

მწუხარებამ და მონატრებამ
ერთად უცებ ბალღად მაქციეს:
გისოსებივით ღობის უკან ვდგავარ ისევ,
რაღაც ძალა ფეხებს მიბორკავს
(როგორც ხდება ბავშვის სიზმარში),
რომ გამოვვარდე ძველ ქუჩაში,
არ მივაქციო ყურადღება
იქ გამვლელებს და გამომვლელებს,
მივვარდე საწყალ ბოცორიას – „ჩემს მაწანწალას“!
ქუჩა სავსეა
(ხალხი, როგორც ყოველთვის, მოცალეობს უპირატესად),
და ვერავინ კი ვერ ხედავს, რომ
ბოცორია წაიქცა და იცლება სისხლით.
რა, რა მოხდა?
ნუთუ ესროლეს?
იქნებ დანა გაუყარეს?
– ბოცორია!
არ მოკვდე, გესმის?!
ასე პატარას ნუ მიმატოვებ,
თორემ მეტი ვინ ილოცებს,
ვინ ილოცებს, მითხარი, ჩემთვის?
რამდენი წელი უნდა გავიდეს
(ოცდაათი მაინც, ხომ იცი?!),
რომ გავიგო ღმერთი, მისკენ სავალ გზას დავადგე!
მერე რა მიჭირს?!

ბოცორია იღიმება და, არ მოვკვდებიო, მპირდება!
მჯერა
(თან მე სულელს მართლა მგონია, ასე რომ თქვა,
აღარასოდეს აღარ მოკვდება!)...

და ახლა, აგერ, ამდენი წლის მერე ქალაქში
მეუბნებიან,
მოუკლავთო ბოცორია...
მონასტრის ჭიშკარს მიღწეული,
ვეღარ ვბედავ, გისაყვედურო –
ვზლუქუნებ კია…

შეიბრალა ჩვენი ქალაქი
და ილოცა,
არ ყოფილიყო მისი მკვლელი ამ მიწა-წყლის, ჰო, აქაური,
ამ პროვინციულად მყუდრო,
ნესტიან
და თბილ ქალაქში დაბადებული;
გადამთიელი ჩამოეხეტა
ჩვენი ქალაქის ყველა ქუჩის, წვიმის, აკვნის
და პალმის ხის მცველ ანგელოზის,
ხორცშესხმულის, გასამეტებლად!
ესეც გვამშვიდებს.

მოდის, მოდისო, ხმა დაირხა.
აღარ ვიცი, რამდენი წლის ვარ.

ამ წვიმაში, ზურგებს უკან, მთლად გაწუწული
ველოდები, როგორც მაშინ, როგორც ყოველთვის.
მოულოდნელად ხელს ჩამკიდებს და მივყავარ.
გადვივლით ქუჩებს,
ეზოებს და სახლებს ჩავუვლით,
გავუყვებით სოუქსოსკენ,
ავინაცვლებთ ზევით თანდათან,
აღმართ-აღმართ,
საფლავ-საფლავ,
გრანიტ-გრანიტ,
სახელ-სახელ,
ტკივილ-ტკივილ
და საყდარსაც მივადგებით,
ძველ, პაწია, ცისფრად ღებილ,
ფერად-ფერად ხატებით და
ხელოვნური ყვავილებით გაჯერებულ,
სინესტის და სიძველის და საკმევლის
ამბრ-სურნელებით
გაჯირჯვებულ ხის ერთ ტაძარს.
ბღუჯა-ბღუჯა სანთლებს ვანთებთ.
„რა მილეთის ხალხია დღეს, – ვფიქრობ ჩემთვის, –
სოუქსობა-დღე თუ არის ალბათ ჩვენში?!“
„არა, აქ ხომ სულ ასეა,
ოღონდ ცოცხლებს ამის ნახვა
ყოველთვის არ შეუძლიათ“, –

ასე მითხრა მერე, ერთად რომ დავბრუნდით
და საყდარში მივაშტერდით ფრესკებს, კედლებს –
მცველებს
ჩვენი სამშობლოს და ხალხის,
ამ ცის,
ამ წყლის
და
ამ მიწის...

ასე ვიარე ბოცორიასთან ერთად მთელი დღე...
მოვეფერე მასაც, ქალაქსაც.
იმ საშინელი მკვლელობის ცივ ტკივილ-სირცხვილს ხომ
ჯერჯერობით მერმისი ფარავს,
და სანამ ქვიშა საათებში
ან ისრები მოწიკწიკე ციფერბლატებზე
არ მიაღწევენ ნიშნულ წუთებს,
ან ვიდრე არ ჩაადნება დრო მომავალს
შარშანდელი თოვლივით ხელში,
ამ ნანახი სიზმრით ვსუნთქავ...

ხოლო როდესაც თოვლი დადნება,
ამდენი წლების იმედის და მოლოდინის
ფიფქების თოვლი,
გადაიხსნება თეატრონის ძველძველი ფარდა,
და შეგვაძრწუნებს

ქალაქის დილის
საწვიმარი ღრუბლებისფერ სამოსელზე
დამჩნეული
სისხლის წვეთები!

ზღვასთან და მერხთან განშორების მკაცრ წელიწადს
შუაღამეს გადამწვარი ეკლესიის ცეცხლის ენები
გვეალმურებით!..
შემოგვენთებით
უბოცორიოდ დარჩენილი ზღვის ქალაქის მისტერიების
ცა და სცენები.

2013 წელი, ოვლილი-ბგვილცო-სექტემბერი

ჩემი მამაჩემი

“ჩემი მამაჩემი…”
ეს ორი სიტყვა დავწერე
და მწარედ ავქვითინდი.
დავჯექი კუბოსთან და დავიტირე
თერთმეტი წლის წინ გარდაცვლილი.
ვიტირე ხმით, როგორაც ნამდვილმა მოტირალმა,
გულის კედლების ჩამოხოკვით,
გლოვიანი წამღერებით,
არტისტულადაც.
ფრთები გავიშალე,
ქვები და მუშტები დავიშინე:
– ჩემო მამაჩემო,
ანგელოზთ მთავრის მოსახელევ,
ანგელოზთა დღეს ჩემთვის წართმეულო!

ჩემო მამაჩემო,
ობოლივით სულმუდამ დედის სითბოს დანატრულო,
მამის გამხნევება-ღიმილს ვერღირსებულო!
ჩემო მამაჩემო,
ბალღობა,
ყრმობა,
სიყმაწვილე
და ახალგაზრდობაგანუცდელო,
სიყვარულმშიერო,
ახლაღა სიყვარულთან მისულო,
სულ მოფიქრალო, დარდიანო, მჭვუნვარეო...
„ვინ ბედნიერი იცოცხლებსო
კიდევ ხუთიოდ წელიწადსო“ –
გულდაწყვეტილო!

ო, ჩემო მამაჩემო,
მადლიერო,
გულმართალო!
ღვთისმშობელი თითებით მოგირჩენს
ნატკენი გულის დანაფლეთს, ნაწიბურებს,
ყრმა მაცხოვარი ცრემლივით დაგაყრის
წითელი ბალახის კვნესისფერ
და გიორგობისთვის მწუხრისმზისფერ
ვარდის ფურცლებს
სულის მტკივან ალაგებზე:

ღალატზე,
გაყიდვაზე,
წაგლეჯაზე,
გაძარცვაზე,
გამეტებაზე...
და მაინც ეს ყველაფერი – არაფერი,
ჩემო მამაჩემო!

ანგელოზმა მოიტანა საიმედოდ შენახული
რვა-ცხრა წლის ზორბა ბიჭის შარვალი –
ძილში წაგლეჯილის მაგიერ მისთვის მიგდებული,
შარვალი-ნაფლეთები,
შარვალი-მოწმე და
შარვალი-მიზეზი,
მერხიდან რომ ვერ წამოდგებოდი,
სახლიდან ალიონზე გამოპარული
კლასში პირველი შეირბენდი,
ხელებს იფარებდი...
გონება კი ღრუბელივით ისრუტავდა,
რასაც ეხებოდა.
ბიჭი კონკია, გამეტებული – ჩემი მამაჩემი!..

სათუთად
შარვლის ნაფლეთები
მერხზე მიმსჭვალული ბიჭის

იესომ შემოსდო
სასწორის პინაზე!
ზეცაც კი გაიტრუნა.
...შენ ჯერ ისევ შარვალი-ნაფლეთები ჩაიცვი
(როგორც სამოცი წლის წინ),
მერე დედა ღვთისამ ზედ გადაგაცვა-დაგფარა
ცისფერი სამოსლით!
ჩემო მამაჩემო,
ანგელოზთ მთავრის მოსახელევ,
ანგელოზთა დღეს ჩემთვის წართმეულო!

2012 წელი, მთავარანგელოზობა

ცის ქვეყნიდან, წვიმის ბილიკებით

ჩემი მშობლები – ცის ქვეყნიდან გამოპარულები
სულ ცოტა ხნით,
ჩემი დაბადების დღეს,
აჰა, მოადგნენ მიწის ქვეყნის საზღვარ-სამანებს;
უარეს, უარეს და კარი რომ ვერ მოუნახეს,
გაბრუნდნენ
და ცოტა იარეს თუ ბევრი იარეს,
ღრუბლებს მიადგნენ
და იქიდან დაეშვნენ სულმოუთქმელად,
რადგან ეშინოდათ, რომ ვერ მიუსწრებდნენ
ჩემი დაბადების დღეს –
პირველ მარტს,
მითუმეტეს, რომ მარტი ჭირვეულია
და ხანდახან კი მიუსწრებ,

მაგრამ იმისთანა ხასიათზე დაგიხვდება, რომ
თვალს შეავლებ თუ არა,
გაიღიმებ, უხერხულობა რომ გაფანტო
და როგორც კი დროს იხელთებ,
შენ თვითონვე გაიძურწები
იმედით, რომ ეს დღეა პირველი და არა უკანასკნელი.

ჩემი მშობლები,
ღრუბლებიდან წვიმის ბილიკებს გამოყოლილნი,
იდგნენ ახლა სამშობიარო სახლის წინ
და, მგონი, მე მელოდებოდნენ,
მე, რომელიც ვიყავი მათზე უფროსი მათივე ნაბოლარა
შვილი,
მათთან შეხვედრას დახარბებული,
ამ დახარბებისგან დაბერებული,
ხოლო დაბერებისგან – ზედმეტად სანტიმენტალური...
მივუახლოვდი, სკამზე ჩამოვჯექი
და კითხვიანი მზერით შევაცქერდი.
– ბიჭს ველოდებითო, – მითხრეს, –
საღამოს ხუთ საათზეო.
მე საათს დავხედე და შიშმა შემიპყრო:
რა უნდა მექნა თხუთმეტი წუთის შემდეგ,
ქუჩაში თუ აღმოვჩნდებოდი ახალშობილი,
კი, მართალია, მშობლებთან ერთად,
მაგრამ, მაინც რომ მარტია?!

და მარტი თუ წინ გიდევს,
ზამთარი ხომ
არც უნდა აქო და არც უნდა აძაგო,
აკი ჯერ მაინც სუსხი იცის
და რულიც მეტად მერევა,
სიცივე აქეთ-იქიდან მიტრიალებს
და ის-ის იყო შიგნით დააპირა შემოსვლა,
სითბო ჩამეღვარა ყელში;
გამახსენდა, რომ ასეთი სითბო და გემო
მხოლოდ დედას აქვს,
რომ ასეთ და ამდენ სითბოს და სიცოცხლეს
მხოლოდ დედა იმეტებს,
თავად კი მოიკლებს:
– მე უკვე ვივახშმე, შვილებო, –
და თავის თეფშზე რომ
ერთადერთ კოვზ შეჭამანდს გადაიღებს,
იმასაც არ მიეკარება, ჩვენ გაგვინაწილებს.
პურსაც სამ ნაწილად გატეხავს და თეფშებთან
დაგვიდებს.
ჩვენ გემრიელად ვიღმურძლებით, თან ენას არ ვაჩერებთ,
ან რა გაგვაჩერებს:
დედაც გვერდითა გვყავს და მამაც!
ისინი ხომ ცის სოფლიდან ჩემი გულისთვის გამოიპარნენ,
ისიც სულ ცოტა ხნით,
წვიმის ბილიკებს ჩამოყვნენ და

ჩემთან მოვიდნენ.
აჰა, საათმა დაჰკრა ხუთჯერ, ზარებიც აჰყვნენ.
– როგორ დაბერებულხარო, შვილო!
მე პასუხად ხელს ჩავკიდებ ორთავეს
და აღმოსავლეთისკენ გავუყვებით,
რათა არ ვუცქიროთ მზის ჩასვლას –
ჩემი დაბადების დღის დაისს,
რომელიც ჩემი ნახევარი წუთისოფლის ყველა განთიადზე
უფრო მზიანია.
აქეთ – მზე, იქით – მთვარე:
“ბჟა დია ჩქიმი,
თუთა – მუმა ჩქიმი!”
უკან კიდევ ვარსკვლავები:
“ხვიჩა-ხვიჩა მურიცხეფი
და დო ჯიმა ჩქიმი!”
ეს წვრილ-წვრილი მოდარაჯე უცნაური ვარსკვლავები –
გზა და კვალი ჩვენი,
რომელთაც ვუყურებ ვარსკვლავთა რუკაზე დაჟინებით,
ვუყურებ და მაინც ვერ ვპოულობ
ჩემს სვეს და გასავლელ გზას.

დღეს ასმეერთე პირველი მარტია.
და ვიდრე დადგებოდეს მიმოზების თვის მეორე დღე,
შუაღამემდე,
ღრუბლების ფარდა გადამალავს ჩვენგან ვარსკვლავეთს,

ხოლო ჩემი მშობლები – ცის ქვეყნიდან
გამოპარულები
სულ ცოტა ხნით
ჩემი დაბადების დღეს,
ჩემი გულისთვის –
სიმსუბუქით,
ვალმოხდილნი,
გულნაჯერებნი
აუყვებიან
მოვერცხლისფრო წვიმის ბილიკებს.

2014 წლის 23 სექტემბერი

წარწერა ირინე გაგუას ნახატზე „ივერიელნი“

ძველთუძველესი
თოხუმის და ჯიშის სიმაღლე შემომეშუქა –
უცებ ავმაღლდი,
ქრისტეშობამდელ სისხლისა და სულის სიბალღე
ვიგზნე შუმერმა
და მეც გავბალღდი.
და შევუყევი შეუჭვარტლავ კიბეს ცის იქით
ფრთების დაღალვით.
სასოებისფერ ფარდას ვხსნი და ვუმზერ მომავალს,
რაც მეცხადება,
და ისტორიას:
ქართული ყოფის აკვანი და ხალიჩა-სუფრა დამეხატება,
რაც მითოსია,
და მე მაოცებს უწყნარესი მიმიკა შენი
გმირის ორისა.
ვაზისფოთლისფერ ჩოხასა და წითელ ახალუხს
შეშვენის თოვლი,
მარხვას რომ ახლავს.
ღოღნაშოსფერი კაბა იტევს იმდენ კდემასა და
სიქართულეს,

ვით ვაზის გასხლვა.
ჟამის ბორბალი კი ტრიალებს თავბრუდამხვევად
სიკვდილის სახლთან...

ამ სურათიდან
ძველთუძველესი თოხუმის და ჯიშის სიმაღლე მე
მეშუქება
და მით ვმაღლდები.
ქრისტესშობამდელ სისხლისა და სულის სიბალღეს
მე ვგზნებ შუმერთა, –
ამით ვბალღდები.
ჟამისბორბალი კვლავ ტრიალებს თავბრუდამხვევად
კვდომის როკვითა,
და მივუყვები შეუჭვარტლავ კიბეს სთველობის
ფოთლის თრთოლვითა,
თოლის თრობითა...

1992 წლის ოქტომბერი

წითელი ტყემლის ხე

ტრიფოლიატის ღობესთან
წითელი ტყემლის ხე:
ამდენ სიმწვანეში როგორც ტროპიკული
ხეხილი –
უცხო რამ და ეგზოტიკური.
წითელი ტყემლები,
ალუბლის და კიდევ შინდისფერ ფოთლები –
წითელა ბატონების
სიცხიან თოლების
შვება და ნუგეში.

დინჯი და უკარება
წითელი ტყემლის ხე.
შავწითელ ფოთლები,
მარწყვივით ტყემლების

დამსკდარი კანი და
შიგნიდან გადმოღვრილი
სისხლიან ცრემლები
სტუმარ-ბატონების
სიცხიან თოლების,
წითელი ფოთლები,
ენდროსფერ ტოტები...

მანახეთ, მანახეთ
ბატონებიანი
რძიანი ბალღობის
მარწყვისფერ-შინდისფერ-წითელი
ტყემლები...
გურული ეზო-კარის უცხო რამ სიპეწევ,
შენ შემოგევლები!

2012 წლის 1 ნოემბერი

წინანდალი

“ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგებნი მტკბარად,
წარილტვნენ, განქჰრენ სიზმრებრივ ჩქარად...”
ალექსანდრე ჯავჯავაძე

ქედებს რომ კალთებზე ებნიათ ღილები –
უბით წამოვკრიფე გომბორის ნისლები
წინანდლის ბაღებში,
საკინძეშეხსნილმა გულდაფეთებულნი
ზეამოვაფრინე ფრთათეთრი სიზმრები –
ღაბუა ჩიტები.

ტოტების თაღებში – პირვანდლის დარებში
ჭავჭავაძიანთა წინაპრის ლანდები
კვამლ-ნისლში ჩნდებიან.
წიკწიკებს ფრანგული საათი „ორლეან“.
უხდება თითების სინაზე პორცელანს
ჩაისვარდებიანს.

მჭვირვალე სურებში ლალისფრობს ნაწური,
ოქროში ცურვილობს მასპინძლის ასულის
აჩრდილი საყურის.
ფერმრავალ სალონში, ლამფა რომ უნათებს,
უბით წამოვკრიფავ მათ ხატებს, სურათებს –
ბურუსფარდებიანს.
საკინძეშეხსნილი, გულდაფეთებული
შევხარი ლანდებს და შევნატრი ღაბუა
ნისლებს –
რად ქრებიან?..

უთვლის დროს „ორლეან“
თითებს და პორცელანს...

2013 წლის სექტემბერი

წუთისოფელი

სხეულმა სატკივარი ვერაფრით დაიამა...
„წუთიო! ან კი სხვა რა დავარქვათ?“ – ნათლიამა.
გახედა: ჟამი უკვე ბინდ-მწუხრით დაისობდა.
„წვერები, გიხაროდეს, მიწავ, ჰე, დამიობდა,
ძარღვები მომიდუნდნენ – სიყვარულს ეკრძალვიან,
მუხლმა წელს მიჰბაძა და რენტგენის ეკრანიან
ყოფას რომ შეეჩვია, მიყუჩდა გათანგული...
გული კი ისევ ღელავს,
ისევ ტოლს ეძებს გული“.

ასეა:
დაღლილი დედამიწა დაღლილ კაცს ეშველება:
ჯერ ზურგზე შეისვამს და მერე რომ უძლურდება,
შიგ გულში დაიმარხავს – სხვისთვის არ ემეტება.
„წუთიო, მაშ, სახელად სხვა სოფელს რა ერგება?“

ჰე, წუთო, მომითმინე, დე, ნურსად დავიჩივლებ,
მახსოვდეს, გერები ვართ, რომ არცერთს არ გვიშვილებ!
პეპელას შეედარე, ორღობეს გადუფრინე,
აკოცე ფურისულას, მზეს ფრთები დაუფინე,
შარაგზას გაექეცი ტალახა ბილიკებით –
პირღია სამარესთან ყაყაჩოდ ბიბინებდი.
თოვლივით ხელს ჩამადნი, წუთივით გამექეცი,
ქარივით გამეპარე, წყალივით დამექეცი,
დროჟამწელს შეერიე, სოფელი დამიმოკლე,
ცრემლები გამიქარწყლე, კვალ-ხნული დამიოფლე,
ზეცასთან მოსაუბრე უგულოდ დამიობლე,
ეს უკვე მერამდენედ კვირტები დამითოვლე...
მერცხალმაც სატკივარი ვერაფრით დამიამა,
გული კი გამიხარა ჭრელ ჭიამაიამა.

გავხედე:
ჟამი ჩემი ბინდ-მწუხრით დაისობდა;
აღვხედე:
სასოება ცის ზემოთ აისობდა.

2002 წლის მაისი

* * *

**“და მეყსეულად ჴმა-ყო მამამან მის ყრმისამან
და ჰრქუა ცრემლით: მრწამს, უფალო, შემეწიე
ურწმუნოებასა ჩემსა.”**

მარკოზის სახარება, 9, 24

სასტიკი სენი – კაცის სულის უკმარისობა –
წარმიკვეთს იმედს,
სვე-განჩინება – ქვეყნის ომში უვარგისობა –
წამართმევს შვილებს,
უიმედობა ჩემი ღმერთის მავიწყარ ხალხის
მიკარგავს თმენას
და უშვილობა ერს რომ სამოსს ჩააცმევს თალხის,
შეგვედრებ რწმენას.

1993 წლის 28 აგვისტო

...და სხვ.

ლეილა გეგუჩაძე

სიმაღლეებზე, სიღრმეებსა და სიგამჭვირვალეზე

ჩემ წინ მამა ადამის ლექსების კიდევ ერთი კრებულია “40 ლექსი”[1]. უკვე გადაკითხული (არაერთგზის), გადასინჯული (გულდასმით), შეფასებულიც (მოკრძალებით)...

შთაბეჭდილება, რომელიც ამ წიგნმა ჩემზე მოახდინა, შევეცდები, ამ წერილში გაგიზიაროთ.

მე წინა მშვენიერ კრებულსაც (სახელწოდებით – „მარადისობის მონატრება შებინდებისას“)[2] ვიცნობ. ასე მახსოვს – უპირატესად ტრადიციული კლასიკური ფორმით დაწერილი ლექსებით. მაგრამ ეს ორმოცი ლექსი, უფრო სწორად, ორიოდეთი თუ უფრო მეტით ნაკლები, თეთრი ლექსებია – ვფიქრობ, ზუსტად მიგნებული ფორმა, რადგან ამით ავტორმა შეძლო უფრო ღრმად, უფრო თავისუფლად, გულახდილად და ემოციურად ეგრძნობინებინა მკითხველისთვის თავისი ნაფიქრ-განცდილი, თავისი სევდა, ადამიანური ტკივილი...

თავადაც ბრძანებს:

ლექსი აკი უზუსტესად არქმევდეს უნდა
სახელს ყველაფერს,
ადარებდეს, ანათებდეს
და ამოთქვამდეს...

1 არქიმანდრიტი ადამი. 40 ლექსი. – გამ–ბა “მირკანი”, თბილისი, 2013
2 არქიმანდრიტი ადამი. მარადისობის მონატრება შებინდებისას. – გამ-ბა “მერიდიანი”, თბილისი, 2012.

მე გამაოცა იმან, რამდენად ღრმად ფლობს მამა ადამი მშობლიურ ენას – ძველსაც და ახალსაც, რა სიღრმეებს სწვდება ის ენის წიაღისას, როგორ ლაღად და თავისუფლად სუფევს მასში.

მას ისე ბუნებრივად შეუძლია თქვას:

აი, თითები! ო, ღმერთო ჩემო,
ამათ ძალუძთ
საიმედოდ გამოსკვნან თოკი,
რომ შიშთვილ-ვიბა.

ანუ გააცოცხლოს არქაიზმი. ან კიდევ:

სუყველამ ერთ კაცისთვის მაიცალეთ,
იმანაც გამაგახრევინათ თოლ-გული და
ტანსაც გარე ათასჯერ მოგიგდებდათ დასაჯიჯგნად,
მარჯუენეს, თით-მტევანს არ ჰკანკალებდეს
სისხლის მელანში ბატის ფრთის ჩასაწებად...
ჰოი, გამაგახრევინათ თოლ-გული და
დაგეფერფლინათ უალცეცხლოდ...
ვაჟაი ჩვენ შავიწირეთ, ჩვენ მავიდნეთ
უხმალტყვიოდ!

ასევე შეუძლია მშვენიერი და ტევადი თანამედროვე ქართულით ცხოვრებისეულ თუ ზოგადსაკაცობრიო საკითხებზეც დაგაფიქროს:

...სვავთაც უყვართ...
დავაზუსტებ – შეუძლიათ შეყვარება,
როგორც მერცხლებს, ბულბულებს
და მოლაღურებს,
ანდა შოშიებს.
ისინიც დებენ სიყვარულის მერე
მარტის თვესა და ბუდეში ერთადერთ კვერცხს,

გამოჩეკავენ ერთადერთ გარტყს,
ზრდიან, უვლიან,
თავს ევლებიან...

ასე ნელ-ნელა მივყავართ ავტორს მთავარი სათქმელი-საკენ:

ასწავლიან ცხოვრების სხვა მრავალ
წვრილმანს,
ტრადიციას და ეთიკეტს,
ოღონდ სვავურს, ლეშიჭამიურს.
ასწავლიან ფრენას ცაში
და იქიდან თვალისჭერას
სულ მიწისკენ,
სიკვდილისკენ, ანუ ლეშისკენ
და სისხლისღვრისკენ,
რადგან არა აქვს ზეცისა და მზის ცქერის ჯიში
თურმე ყველას –
ცის ფრინველთაც კი...
არც გამრავლება-კვერცხისდება რომ არ უდრის
ნიჭს სიყვარულის?!
არც ბადიშების ჭლოპინი და ჟრიამული
გვიდასტურებს
პაპის კაცობას.
გამჩენო ჩვენო,
უსაშველო,
უსაშველო რამე სვავობას!

ძალიან საინტერესოა მამა ადამის პოეზია სიტყვათ-ქმნადობის თვალსაზრისით: იგი ოსტატურად იყენებს ენაში არსებულ ყალიბებს და თითქოს ჩვეულებრივ, მაგრამ

თან უჩვეულო ფორმებს ქმნის: *„ეს სიმწარე გვაერთიანებს, გვაერთგულებს“* და იქვე: *„გვაერთსუნთქვებს“*; ან კიდევ: *“მეხუთებოდა სხეულიც და სულიც“*... და იმავე ლექსში: *„და აღარ მეიარებოდა, აღარც მეწყლულებოდა... წყალი სიზმრად მეხილვებოდა“.* პასივის ამგვარი ფორმები, რომელთაც ბატონი აკაკი შანიძე მიჩნევისა და გუნების ვნებითებს უწოდებდა, უხვადაა მამა ადამის ლექსებში: *„აღარ გეხილვება, არ გეფიქრება, არ გესუნთქება“*.

უაღრესად სახიერია პოეტის ლექსიკა: მისთვის მარტის ხეები ხან *„საკვირტფოთლო ქანდაკებებია“*, ხანაც *„უკვირტფოთლო ცივი სხეულები“*, ძილგატეხილია *„ღვიძილნატანჯი სინამდვილე“*, *„მკვიდრამოწყვეტილია“* სამყოფელი, *„სუნთქვამილეული“* და *„ტკივილმღვიძარეა“* ავადმყოფის ფერმკრთალება...

საოცრად მდიდარი ფერთა გამაა წარმოდგენილი ლექსების ამ კრებულში: ჰორიზონტს შეჯარული ღრუბლები *„ლუშისფერია“* (გვ. 45), *„მოვარდისფრო-მორძიფრო-ხორცისფერ ქსოვილს ჟამ-ჟამ ეპარება ცვეთისფერი, ჟანგისფერი, მიწისფერი, ფერფლისფერი, განქარებისფერი“* და, როგორც თავად პოეტი წერს:

ამ უხილავი, შეუცნობი, არგაგონილი
ფერთა ომის მიღმა
იმალება უდიდესი მისტერია –
ეს სიცოცხლე და სიკვდილი თამაშობენ
ფერების ჭადრაკს...

და ერთიც: განსაკუთრებით მოულოდნელი *„პარასკევისფერი სპექტაკლი“*, რომელიც გასაგები ხდება მომდევნო სტროფში:

შენი სამყარო ჩემშიცაა –
პარასკევის წითელ ფერებით –

და სპექტაკლიც მახსენდება
შთამბეჭდავი მიზანსცენებით
ფრაგმენტულად,
როგორც იცის მხოლოდ მხატვრობამ.

შეუძლებელია არ მიაქციო ყურადღება თხზულ სახელებს – კომპოზიტებს. შვილის საფლავად ქცეული ზღვა დედისთვის არის არა მხოლოდ „ცივი და მწარე“, არამედ *„მზისსხივებმთვარისმუქიანი, ლურჯ-მწვანე და წითელყვითელფერებიანი ზღვის წყლის სასაფლაო, უზარმაზარი, უმიწისბორცვებო, უბილიკო, უხეივნო, უმარმარილო...“*; *„აურაცხელმსახიობიანია“* უჭრელესი დასი, მოსასხამი *„ღრუბელწაფარებულსავსემთვარიანი ღამის ფერია“*...

დაუვიწყარია პოეტური სახეები: მამა ადამისათვის ბალახი ძარღვებია, რომელსაც დილა *„ალიონზე ცვარით ასველებს“*, ბილიკი კი – *„გათელილი ბალახების მსხვერპლითა და თავგანწირვით“* არის გაჩენილი *„ფეხებქვეშ გასრესილი ბალახების უწარწერო საფლავებზე“*, ზღვა და მიწა *„ნატანჯი სულის ცვილის ტაძარია“*, სიცივე ბერწია, *„დრო – მდინარება უსამანო“*, *„სისხლი – ანდერძი წინაპრების, შვილებისთვის“* გადასასხმელი...

ძალიან თბილია და ტკივილიანი მამა ადამის ლექსები: გულწრფელია მისი ყოველი სიტყვა, ყოველი განცდა, ამ ემოციის უზუსტესი გამომსახველი, იმდენად გულწრფელი, რომ ოდნავი ეჭვის შეტანაც კი წარმოუდგენელია. უტკივილოდ (ხშირად – უცრემლოდაც) ვერ წაიკითხავ მის ლექსებს: „2008...“, „სევდა“, „პარასკევს, რაც ხუთშაბათს“, „იქ და აქ“, „სტრიქონები 2008-ე ფურცლიდან“, „დამაბრუნეთ, ბავშვობაში დამაბრუნეთ“, „ლოცვა გოდრიდან“...

პარასკევს,
რაც ხუთშაბათს იყო ხვალ,

ხოლო დღეს – კვირას – ჰქვია გუშინწინ,
გამეპარა სახლიდან დედა
(ნეტა, დრო გამპარვოდა ჩემთვის გამომეტებული,
ან კიდევ - თვალი მისი დაქანცული თვალებისკენ,
ნეტავ!).
მას - ასე დასჩემდა.
მე - წიგნს ვკითხულობდი
ჭილოფგადაფარებულ ტახტზე.
ჩემს ღაწვზე შერჩენილ ცრემლში
ირეკლებოდა ცარიელი საწოლი
და ღია კარი (თურმე).
მე ვერ შევძელი დამენახა, ვიდრე.
მოვიარე ქუჩები და მოედნები.
ვინც ხედავს მოხუც ქალს,
კაფანდარას,
წელა, მაინც კოხტად.
ქუჩაში პერანგ-ხალათის ამარა.
ხელში უჭირავს უთო და ტელეფონი.
მეწვის ლოყები და ყურებიც.
თვალები აწყდება სიცარიელეთ...
ჯერ არ ვიცი, რომ ბედნიერებაა -
გამეპარა აქვე ქალაქში;
ხომ შეეძლო წასულიყო სადმე შორეთში,
იქ, საიდანაც...
(ვერ ვამთავრებ წინადადებას!).

მამა ადამმა პოეტის ოცნება გაგვანდო:

მინდა წვიმები წვიმდეს მინის მიღმა კი არა,
მე მასველებდეს –
ურკოვო მუხის ტოტების ქვეშ

საიმედოდ შეყუჟულ პოეტს,
რომელიც თრთის და სურს ისეთი ლექსი დაწეროს,
რომ კი არ ჟღერდეს ან ცოცხლობდეს,
ცხოვრობდეს უნდა,
ცად ღრუბლობდეს
და ზარებს რეკდეს –
ეწირებოდეს სიმაღლეებს,
სიღრმეებს
და სიგამჭვირვალეს!

ვფიქრობ, ეს ლექსში გამკრთალი ოცნება რეალობაა და გულწრფელად ვუსურვებ პოეტს, კვლავაც მოეტანოს მკითხველისათვის ნამდვილი პოეზიისათვის ნიშანდობლივი „სიღრმისა და სიგამჭვირვალის“, ამაღლებულობის ის განცდა, რომელიც ამ პოეტურმა კრებულმა მოგვიტანა.

ნელი გვაჯაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

ემზარ კვიტაიშვილი

ახალი წიგნი, ახალი სუნთქვა

საქართველოს ისტორიამ, ლიტერატურამ არაერთი შემთხვევა იცის იმისა, რომ თვალსაჩინო საეკლესიო მოღვაწეები იმავდროულად პოეტური სიტყვის ერთგული და გამორჩეული მსახურები იყვნენ.

მინდა უბრალოდ და გულწრფელად გამოვხატო ჩემი აზრი, ზოგი რამ ვთქვა ერთ მათგანზე, ამჟამად მოღვაწე არქიმანდრიტ მამა ადამზე (ვახტანგ ახალაძეზე).

თავიდანვე ვიტყვი – ძალზე ფართოა მისი ინტერესების სფერო; გარდა იმისა, რომ ღრმად არის ჩახედული ფილოსოფიასა და ისტორიაში, გახლავთ კლასიკური მუსიკისა და მხატვრობის ჩინებული მცოდნე, დიდ საეკლესიო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა, მამა ადამი ასევე თვალსაჩინო მეცნიერი და მედიკოსია.

არ შეიძლება არ აღინიშნოს უზარმაზარი დამსახურება მამა ადამისა, რაც ერთი ახალი, უმნიშვნელოვანესი მეცნიერული დარგის საფუძვლიან შესწავლასა და მსახურებაში გამოვლინდა და რამაც თავი მოიყარა მის ხუთასგვერდიან, შესაშური ცოდნითა და შემართებით დაწერილ წიგნში „ბიოეთიკა: გენეზისი, არსი, მერმისი“ (თბილისი, კონრად ადენაუერის ფონდისა და თამარ მეფის უნივერსიტეტის გამოცემა, 2012).

[1] ეს წერილი გამოქვეყნებული “ლიტერატურულ გაზეთში” (2014 წელი, N9, გვ. 10)

ამ ენციკლოპედიური მასშტაბისა და ხასიათის მონოგრაფიაში მკითხველი იპოვის ავტორის მიერ მოტანილ უამრავ მაგალითს როგორც ადამიანთა შემაძრწუნებელი, ხშირად დაუფიქრებელი, გულქვაობისა, განუკითხაობისა და სიჯიუტისა, ასევე, უნაპირო, ყოვლისმომცველი ქრისტიანული სიყვარულისა.

მეტად დასანანია და გულდასაწყვეტი, რომ ორი-სამი წლის წინ გამოცემული ეს დიდებული, ჭეშმარიტად უნიკალური სამეცნიერო ნაშრომი დღემდე ჯეროვნად ვერ შეაფასა ჩვენმა საზოგადოებამ, ასევე მეცნიერებმა. იგი, რამდენადმე, დედა ეკლესიის ყურადღების მიღმაც დარჩა.

ახლა კი მოკლედ, შეკუმშულად ვიტყვი იმის თაობაზე, თუ რაოდენ ფაქიზ დამოკიდებულებას ატარებს მამა ადამი პოეტური სიტყვისადმი.

2012 წელს გამოცემულმა მისი ლექსების მოზრდილმა კრებულმა „მარადისობის მონატრება შებინდებისას“ იმთავითვე, როგორც მოსალოდნელი იყო, ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის დამფასებელი მკითხველი საზოგადოების ცხოველი ინტერესი, უდიდესი ყურადღება და ფართო გამოძახილი ჰპოვა. ამაში წამყვანი როლი უდავოდ უაღრესად თვითმყოფადმა პოეტურმა ენამ შეასრულა.

წიგნში სრულად გამოიკვეთა ავტორის პიროვნება, მისი, როგორც შემოქმედისა და მამულიშვილის მრწამსი, ვისაც დიდად აწუხებს ჩვენი სამშობლოს დღევანდელი არასახარბიელო მდგომარეობა და ხვალინდელი დღე, ვისი მთელი მოწადინება, ძალისხმევაც საქართველოს ჭრილობების მოშუშებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენაა მიმართული.

ახლახან წავიკითხე მამა ადამის (ვახტანგ ახალაძის) მეორე კრებული „ორმოცი ლექსი“ და მისი პოეტური

აღმაფრენით ადრე მიღებული შთაბეჭდილება კიდევ უფრო გამიძლიერდა.

ახალმა წიგნმა ახალი სუნთქვა მოიყოლა!

„ორმოცი“ ადამიანთა ცნობიერებაში საკრალური, სიმბოლური რიცხვია და იგი შესაძლოა შეესაბამებოდეს ორმოცი დღე-ღამის მანძილზე ქრისტეს უდაბნოში ყოფნას, როცა მის ცდუნებას ამაოდ ლამობდა ბნელი ძალა.

მამა ადამიც მტკიცე, ურყევი რწმენის მქონე პიროვნებაა, ყველა გაჭირვებულის შემწე, ქომაგი, უამრავი კეთილი საქმის წამომწყები და ბოლომდე მიმყვანი; ძნელად წარმოიდგენ, იგი რომელიმე ცდუნებამ, ქვენა სურვილმა სძლიოს, რადგან ღვთისა და ქვეყნის მსახურება ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი, თავის უპირველეს მოვალეობად გაუხდია.

თავიდანვე მსურს გამოვაცალკევო შემოქმედის ტრაგიკულ ხვედრზე ოსტატურად ჩაფიქრებული ლექსი „ეკლები“.

აქ უცნაური სურათია წარმოსახული, თუმცა იმგვარად უცნაური, როგორსაც მხატვრული ქმნილებისთვის დამახასიათებელი პირობითობა არა მარტო კარგად ჰგუობს, იხდენს კიდეც: პოეტს, ლექსების კითხვისგან „ქანცგაწყვეტილს ავანსცენაზე“, ვარდების თაიგულს კი მიართმევენ, მაგრამ ქუჩაში ამოვარდნილი ქარი ვარდის ფურცლებს ფანტავს და შინ მიბრუნებულს ხელთ არაფერი რჩება „ეკლების გარდა“. ფრიად ორიგინალური, უაღრესად შთამბეჭდავი, ღრმა აზრის შემცველი და სიმბოლურია ლექსის ფინალი, რომელშიც მშვენიერებისა და ხელოვნებისთვის თავშეწირული პოეტის ბედი იკითხება:

და ყოველ დილით ღამენათევი
წყალს უცვლიდა –
ინახავდა ნაჩუქარ ეკლებს
გოლგოთისთვის...

სწორედ ავტორის ამ ზღვრამდე მისულმა ღიაობამ, გულწრფელობამ, მსხვერპლად ქცევის მზადყოფნამ დააწერინა ჩემი სიყრმის მეგობარს, ბრწყინვალე პოეტს დავით წერედიანს მამა ადამის ახალ კრებულზე დართულ მცირე, მშვენიერ წინათქმაში: „პოეზიასთან მისი დამოკიდებულება ყოვლად უშეღავათოა, ყოვლის მომცველი და განმსჭვალველი“.

ლამაზად შეკრული და „მირკანის“ მიერ გამოცემული ეს წიგნი – „40 ლექსი“ – ნაადრევად გარდაცვლილი დიდად ნიჭიერი მხატვრის მონოზონ ზოილეს (იდა თვარაძის) საუცხოო სურათებითაა მადლმოფენილი, სადაც თვალს გვჭრის ხასხასა ლურჯი ფერი (იის, სუმბულის, გლიცინიის, იასამნის, ღიღილოს ნაზავი) და სამოთხის სადარი სილამაზით, დაცვარული მწვანე ფოთლებით მოგვირისტებული უეკლო თაიგულები შემოგვანათებენ...

მამა ადამის ეს არჩევანი პატივის მიგებაა წასული მეგობრისა და ძვირფასი ადამიანის ხსოვნისათვის (პირველ კრებულში აკი ლექსიც უძღვნა). გიახლდება ტკივილი და ბუნებრივი სურვილი, ჩვენმა საზოგადოებამ ამ იშვიათი სურათების შემქმნელის – იდა თვარაძის – უნატიფეს ნახელავთა გამოფენაც იხილოს და ალბომიც!

პოეზიის მადლი ათას რამეში ვლინდება. ყველაზე მეტი ფასი აქვს იმას, როცა ბაგეზე მომდგარის ართქმა არ ძალგიძს და შენი მღელვარე სულიდან წლობით ნაგროვები, უძილო ღამეებში ნალოლიავები სურათები ღვთაებრივი ნათელივით გადმოიღვრება.

ეს დაუოკებელი წადილი იგრძნობა ამ წიგნის პირველი ლექსის პირველსავე სტრიქონებში, ავტორისათვის ყველაზე წმინდა, იდუმალ, ღვთაებრივ არსებასთან შეხმიანებად რომ გვესახება და ძალთა წარმოუდგენელი დაძაბვით მონათმენ ტკივილს გვიმხელს:

ვერ შევძელი მეტარებინა ბაგეებით
დუმილი შენზე –
ეს სიჩუმე ვერ დავიტიე!
დასისხლულიყვნენ, დამსკდომოდნენ,
მტკიოდნენ კიდეც
ჩვენი თხელი, გალურჯებული ბაგეები –
ჩემი და შენი...

სრულებითაც არ არის გასაკვირი – დღევანდელი დიდი ქალაქის სულისშემხუთველ, სმოგით გაჟღენთილ უჰაერო გარემოში, შუშისა და რკინა-ბეტონის ახორხლილ კონსტრუქციებს შორის, „ლითონის ქოლგის ქვეშ“ მოქცეულ ადამიანს სუნთქვა უჭირდეს და ძველ, პატრიარქალურ, სოფლურ ყოფაზე ოცნებობდეს, სადაც ყველაფერს განუმეორებელი გემო, სურნელი ჰქონდა, ბუნების ღვიძლ შვილად გრძნობდი თავს, არ გწამლავდა მიუსაფრობისა და მარტოობის შხამი.

ამ დამთრგუნველ განცდას დაუფარავად, მთელი სიმძაფრით წარმოაჩენს დიდი თავისუფალი ლექსი „ფერების ჭადრაკის თამაში მეგაპოლისში“. აქ ვერაფერი ინარჩუნებს თავის ადრინდელ იერს, ელვისებურად იცვლება:

ბამბა, თავდაპირველად ვარდისფრად შეღებილი
ვარდისწყლისაგან,

ჩემი სახის კანთან თითოეული შეხების მერე
შავდება-რუხდება-ჭუჭყისფერდება –
ემსგავსება
ჩემი ფილტვებიდან ამოგლეჯილი
ქსოვილის ნაჭერს...

ბნელისა და ნათლის, სიკვდილ-სიცოცხლის გაუთავებელ, მარადიულ ჭიდილს ვერც „ბაბილონის შთამომავალი ცეცხლოვანი მეგაპოლისი“ აუვლის გვერდს და თავბრუდამხვევ მეტამორფოზებს, უპირატესად, მრუმე, თალხი, მწუხარების მაუწყებელი ფერები მოსავს; მოასპარეზეთათვის გაშლილი ვეება დაფის შავ-თეთრი უჯრედები მახვილის დამტევ მეტაფორად არის მოაზრებული:

...და ამ უხილავი, შეუცნობი, არგაგონილი
ფერთა ომის მიღმა
იმალება უდიდესი მისტერია–
ეს სიცოცხლე და სიკვდილი თამაშობენ
ფერების ჭადრაკს...

მოსალოდნელი იყო, მამა ადამი კვლავაც მიუბრუნდებოდა და თავისებურად შეასხამდა ხორცს ბიბლიურ, სახარებისეულ მოტივებს; ძველ, საუკუნეებში გამოტარებულ ურყევ სიბრძნეს ახალ სამოსელს მოუძებნიდა, თავისებურ სიღრმეს შესძენდა (გავიხსენოთ მისი „ზაქეს ფიქრები მიმწუხრისას იმ დღეს, უფალი რომ ეწვია სტუმრად“, ან „მარადისობის მონატრება შებინდებისას“). ახალ კრებულში შესული ამგვარი ლექსებიდან არაჩვეულებრივი სიმკვრივითა და მოქნილობით გამოირჩევა „ვნების კვირა“.

სხარტად ჩამოსხმული ყოველი ფრაზა ჯვარზე საწამებლად განწირული მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების ცალკეულ ეპიზოდებს ასიმბოლოვებს, ყველაფერს ზედროულობის ტვიფარი აზის:

ვნების კვირაა
და თენდება ოთხშაბათი
თეთრად-ვარდისფრად,
ერთი მათგანის ამბორისყოფად,
მოციქულის მახვილის ქნევად,
გეთსიმანიის ზეთისხილის ხეთა სირცხვილად
და იესოს გამცემთა კრიალოსნად
იქიდან დღემდის...
ოთხშაბათიდან პარასკევამდე ხუთშაბათია.
.....
პასექი მოდის და
თეთრად გვათენდება
წითელი პარასკევი.

ქრისტეს მოძღვრების ქვაკუთხედს ურთიერთსიყვარული და უპოვართა თანადგომა, სიბრალული წარმოადგენს. ამის მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ მამა ადამის მთელი შემოქმედება: ნახეთ, რა განსაცვიფრებლად ემარჯვება უჩინარ, მოვალეობას შეწირულ, რეალურ პიროვნებათა ხელშესახები პორტრეტების ხატვა! ასეთ დროს ლექსს ნოველის სახე ეძლევა. მრავალთაგან ერთს გამოვაცალკავებდი. ესაა „ანიკო გეგიაძის გარდაცვალებაზე სოფელ არჩეულში.“

თავიდანვე ცხადი ხდება, რაოდენ თავმდაბალი, საარაკოდ მორიდებული ყოფილა მთელი ოჯახის ტვირთის

წარბშეუხრელად მზიდველი ქალბატონი:

სკამზეც რომ კიდეზე ჩამოჯდებოდი,
ფეხისგულებსაც არ დაასვენებდი
და უფეხსაცმლო ტერფებს ცერებს დააყრდნობდი,
ხმის ნახევრითაც არ ილაპარაკებდი,
სატკივარს მეათედს გაამხელდი,
გაჭირვებას – მეასედს
და დარდ-ვარამს –
ამაზე კიდევ უფრო ცოტას.

ბუნებრივია, ასეთ ღვთისმოსავს ისიც ესიკვდილება, რომ მისი კუბო მამაკაცებმა მხარზე გაიდონ, სოფლის სასაფლაომდე მიიტანონ, სამარეში ჩაასვენონ და მერე ჭირისუფლებმა ბოლომდე აღასრულონ მიცვალებული-სადმი მისაგები ყველა წესი. მანამდე კი ჭაპანწყვეტაში გალეული მისი ცხედარი განიერ კუბოშია ჩასვენებული და საბრალოდ გამოიყურება:

წევხარ ახლა
შენთვის უჩვეულოდ ფართო საწოლზე
და ისეთი პატარა ჩანხარ,
გული შეეკუმშება კაცს,
კუბოშიაც მორიდებული,
თითქოს კუთხეში ბეღურასავით შეყუჟული,
მშვიდი ღიმილით
(შენს ტკივილებს ხომ შენვე უსაშველო სიკვდილით),
პაწია, უბრალო ხის ჯვრით
ნატანჯ და ნაჯაფარ ხელებში...

ჭეშმარიტი შემოქმედი ბავშვურ ხასიათს, გულუბრ-ყვილობას სიცოცხლის მიწურულამდე ინარჩუნებს, სიზმარივით გამქრალ ყრმობას ხსოვნად ინახავს და არც იმაზე იტყოდა უარს, როგორმე რომ დაებრუნებინა ის ნეტარი დრო. მამა ადამი ასეთ შემოქმედთა იშვიათ რიგს მიეკუთვნება. ამის თვალნათლივი დასტურია მისი ერთ-ერთი საუკეთესო და მოცულობითაც სხვებზე მეტი თავისუფალი ლექსი „დამაბრუნეთ, ბავშვობაში დამაბრუნეთ“. აქ ჩანს, თუ რა გაუსაძლისი ტკივილების ატანა უწევს ნიადაგ ცხოვრების შუაგულში მოტრიალეს, ათას საშინელებათა შემყურეს. შორეთში დარჩენილ ზღვის სანაპიროზე „ტალღებთან და ნიჟარებთან მოჩიფჩიფე, მარტოხელა, ბებერი ნავი“ ეგულება და იმას ანდობს თავის „ყრუ ვედრებას“:

დამაბრუნეთ ბავშვობაში!
ჩემს ყრმობაში დამაბრუნეთ,
რომელიც სულაც არ იყო
თქვენი ბავშვობისნაირი...
. . . . . .
მე გპირდებით, რომ ისევ გავიზრდები,
თუმცა ვიცი, რომ მერე ისევ მომინდება
წასული ბავშვობის კინოფირის
უკან გადახვევა...
მაინც მოვითხოვ – დამაბრუნეთ!
დამაბრუნეთ!
ხომ მოგეცით პირობა...
პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ისევ გავიზრდები.
სულ ერთ ბეწოს დავისვენებ,
სულს მოვითქვამ
და ისევ შეგეძლებათ მძიმგნოთ!

„ორმოცი ლექსის“ წაკითხვის შემდგომ მე მხოლოდ ზოგიერთი არსებითი მომენტი მოვინიშნე, რადგან ამ წიგნის ძირითადი პათოსი, მიზანდასახულობა ისედაც აშკარაა და მკითხველი ჩემი განმარტებების გარეშეც გაითავისებს ამ ლექსების ღირსებას, მრავალთაგან გამორჩეულ იერსახეს.

უმთავრესი მაინც ის არის, რომ რასაც მამა ადამი წერს, ყველაფერი შთაგონების, ამქვეყნიური და ზესთასოფ–ლიური სილამაზის შეგრძნების, ნამდვილი ტკივილისა და ამ ტკივილთა თანაგანცდის შედეგად არის დაბადებული და ცოცხალ ნერვს ეხება, გაღელვებს, უამრავ საფიქრალს გიჩენს.

სწორედ ბილიკებმა –
გაჩენილებმა
გათელილ ბალახების
მსხვერპლით და თავგანწირვით,
აღმოცენებულებმა
კაცობრიობის ფეხებქვეშ გასრესილი ბალახების
უწარწერო საფლავებზე
(ყოველთვის რომ შეშურდებათ
ყველა უპატრონო, ბალახგადავლილი საფლავისა) –
გააცოცხლეს მასში პოეტი
და მერე მისი სახელიც უკვდავყვეს.

არ იქნებოდა მართებული, სულის ამ მხურვალე ღაღა–დისს, მლოცველის ბაგეთაგან დაძრულ სტრიქონებს მაინცდამაინც და მხოლოდ ვერსიფიკაციული თვალსაზ–რისით, ტრადიციული ლექსთწყობის კუთხით შევხედოთ... ამ ლექსთა ავტორის პოეტური ენის თავისებურებები ცალკე წერილის – გულდასმით კვლევის საგანი უნდა გახდეს.

ხოლო სახეებში თამამ აზროვნებას, წარმოსახვის ზღვარ–დაუდებელ ძალას, მეტაფორათა, სიმბოლოთა სიღრმესა და მრავალფეროვნებას რაც შეეხება, აქ ამ პოეტური წიგნის ავტორი იმდენად ლაღად გრძნობს თავს, ბევრ ვინმეს შეშურდებოდა.

თავად განსაჯეთ:

ჰორიზონტს შეჯარულ ლუშისფერ ღრუბლებმა
ალისფერ–წითელი ჯვარი ამოაჭრეს
მზის დისკოსს, ჩამავალს.
.....
და ვით დაივიწყოს
რითმებმა მზის დისკოს –
ღრუბლებში ჯვარცმული!
ამ ლექსში, ქართულში,
ის დარჩეს,
ის იყოს!

ეზარ კვიცაიშვილი

მთვარისა კერესელიძე

“ალვხედე: სასოება ცის ზემოთ აისობდა“

არქიმანდრიტ ადამ ახალაძის პოეზიის მიმოხილვა

[1]საოცარ პოეზიას გადავაწყდი.

ვერც იმას ვიტყვი, რომ ეს მხოლოდ და მთლად ახლებური პოეზიაა, ჯერარნახული სიახლე, ან ახალი მიმართულება მწერლობაში... და ვერც იმას ვამბობ, რომ ეს ასე არ არის, ან რომ პოეზიაში ოდნავ მაინც მოძველებულ, გაცვეთილ სტილთან გვაქვს საქმე.

ამ ლექსებმა თითქოს მიღმურს იქითა საუკუნეებში, თუ სადღაც უჩვეულო სამყაროში გადამახედეს უჩვეულო (თუ არაჩვეულებრივი?) ფრაზებით, ენით, სტილით, სახეებით, შედარებებით, გამონათქვამებით... იოანე ზოსიმე მომაგონდა უნებლიედ, მინჩხიც, დამასკელიც... თვითონ პოეტი კი ასე ამბობს:

იყვნენ ბორენა დედოფალი, თამარ მეფე პოეტთა შორის,
კიდევ ფილიპე ბეთლემელი, იოანე და მოდრეკილი...
ჩვენ რაი ძალგვიძს?

---

1 გამოქვეყნებულია გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, 2014, 14 ივნისი, N114, გვ. 9

თითქოს შუა საუკუნეებიდან მოვქრივართ დღევანდელობაში და ასე წარმოვთქვამთ (ვკითხულობთ):

დუმილს გაგეთა, სისხლის სევდას, ნაფიქრალს თვალთა,
უსიტყვო ფრაზებს, გაჯერებულს სიმლაშით ცრემლთა

და ისევ საიდანღაც – შორეთიდან ვბრუნდებით ზეციურ სამყაროში:

გავხედე: ჟამი ჩემი ბინდ-მწუხრით დაისობდა;
აღვხედე: სასოება ცის ზემოთ აისობდა.

ახლა ესეც ვიკითხოთ: რა სახისაა ამ ლექსების რითმა, რიტმი, ქარგა ლექსისა? უფრო ზუსტად, რა არის მათში ტრადიციული ლექსისა, ან თეთრისა, ან ურითმოსი? ან იქნებ თავისუფალი ლექსისა?

ამ მხრივაც ყველაფერი თავისებურია. ვერ იტყვი, რომ ჩვეულებრივ ლექსთან გვაქვს საქმე, ვერ იტყვი, რომ რაიმე არ მოგწონს იმის გამო, რომ უჩვეულოა, ვერ იტყვი, რომ თავისთავადი არაა, ვერ იტყვი, რომ განკერძოებული (მიუწვდომელი) და განდგომილი (უკარება) იყოს დაყუდებული ბერივით... პირიქით, ძალზედ მეტყველია ამ ლექსთა სტრიქონები, გონებისმიერია და აზრიანი. მრავლის მთქმელი და გამომხატველია ყოველი ფრაზა, სიტყვა, სახე...

და მაინც!

იქნებ ვუპასუხოთ კითხვას, რა არის ეს ყველაფერი მთლიანობაში და ერთობლიობაში? რა ასაზრდოებს ამ პოეზიას? რაგვარი კურსით (თუკი ასეთი რამ გააჩნია) მიცურავს ან რომელ ლიტერატურულ მიმართულებასთანაა წილნაყარი იგი? ნუთუ რაიმე აქვს საერთო პრიმიტივიზმთან (მხედველობაში გვაქვს ფიროსმანისეული პრიმიტივიზმი)?! თუკი პოეტი ამგვარად მეტყველებს (წერს):

უძილო სუნთქვებს გითვლის,
უფერულ დღეებს გიწვდის,
გავიწყებს სამსჭვლის კივილს,
ვერც ეკლისას გრძნობ ტკივილს.

აქ ვერ გამოვყოფთ, ჩვეულებრივად როგორც ვაკეთებთ ხოლმე, პატრიოტულ მოტივს, ან სატრფიალო ლირიკას, ან საყოფაცხოვრებო პოეზიის ნიმუშებს და ასე შემდეგ, რადგან აქ, მამა ადამის პოეტურ სამყაროში

ზეცას ფერი აქვს ციცრის
(თუ თვალი კიდევ მიჭრის):
მეალერსება ჭინჭრით
უსასრულობა.

მოულოდნელია, არა? ჭინჭრით მოალერსე უსასრულობა! არადა რა პოეტურია, საოცრად და განსაცვიფრებლად პოეტური, **ზედმიწევნით**!.

ამ ლექსების შემოქმედის აზროვნება ერთობ თავისებურია, ერთობ ღრმა, ალბათ, ფილოსოფიურიც, ისეთი, არსად რომ არ შეგხვდებათ სხვაგან, ისეთი, აქამდეც რომ არ შეგხვედრიათ არავისთან... ერთი სიტყვით, არსად რომ არ ნახავთ და არსადაც რომ არ გაიგონებთ მსგავსს... აი, ვთქვათ, ეს:

შეკრებს უფლისკენ მავალ ქარავანს,
იფრენს ქარდაქარ,
მარჯვედ უსხლტება დუშმან ქამანდარს,
ვერ გრძნობს ქანცგაცლას
ჩემი ქვეყანა...
მას – ნავახტანგარს,
ნადავითარს,

ნათამარალს –
მიწას ნაზამთრალს,
უჩურჩულებენ ძვლები
იმედს მამა-პაპათა...

ს ა ო ც ა რ ი ა!!!

მადლობთ, უფალო, რომ ამ პოეზიასთან შემახვედრე!

ჩემთვის ვწერო, – უბრძანებია ავტორს, – ამ ლექსებსო... მაგრამ არ გამოჰპარვია მათი განსაკუთრებულობა და გამორჩეულობა, საზოგადოებისათვის წარდგინების აუცილებლობა პოეტს – ბატონ ემზარ კვიტაიშვილს და მათთვის პოეტთა და მათ ქმნილებათა შორის დამკვიდრების უფლება უბოძებია – ავტორისავე სიტყვები დაუმოწმებია[2]:

მაგრამ თუ მაინც პოეტური სიტყვა ითხოვეს,
ოდეს ჩამოვა დედა ღვთისა ძირს ჩვენს მამულში,
იმ წამისათვის დავკრეფ, მერე ფერხთით დავუწყობ
ოქროს არილებს –
თქვენი ლექსების წიგნებიდან ამონარიდებს...

უსათუოდ უნდა ეხილათ მკითხველის თვალთ ეს ლექსები, ვერ უნდა დამალვოდნენ, რამეთუ პოეზია არაა მხოლოდ ავტორის საკუთრება – ის საზოგადოებას, ხალხს, ერს, ადამიანებს ეკუთვნის და გახმიანებისთანავე მათი ნაწილი ხდება! აკი **„ოქროსნისკარტა გალობს შაშვი – შეძრეს სული რაფსოდიებმა“**... პოეტებიც ხომ ღვთისანნი არიან და ამდენად ღვთის მსახურნიც. ამ შემთხვევაში კი – პოეტი-არქიმანდრიტი, რომელიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ასე მიმართავს:

2 ემზარ კვიტაიშვილი. ღვთის მსახური და პოეტი. წინასიტყვაობა. – წგნ.: არქიმანდრიტი ადამ ახალაძე. მარადისობის მონატრება შებინდებისას (ლექსები). „მერიდიანი“, თბ. 2012

მზეო მარიამ!
შენნი ჩრდილნი, გთხოვ, მოგვიმზევო!
გალაკტიონი, ტიციანი, სიმონი, გოგლა,
პაოლო, ნიკო, ლადო, მირზა, მურმანი, შალვა,
ვალერიანი, ალექსანდრე, ანა, ტერენტი...
დედაო ღვთისავ! შეივედრე განაწამებნი!
აჰა, გვირგვინი პოეტების!
აქაც მეტად ეკლებს ვაწყდებით,
მსგავსად პოეტურ ბილიკების, ტრფობათ ამბების,
რედაქციების ჰაერის და სიტყვის ამქრების...
ო, დედოფალო!
იმ გვირგვინთა წილ დაგვიფარე...

„პოეტები – განაწამებნი!“ – ზუსტი ნათქვამია! ყოველ დროსა და ეპოქაში ჭეშმარიტი პოეტები განაწამებნი იყვნენ – ეკლის გვირგვინს ატარებდნენ...

არ განვიხილავთ ლექსებს სათითაოდ, ცალ-ცალკე! არც დავალაგებთ რაიმე ნიშნის მიხედვით. ეს შეუძლებელია! აქ, ამ პოეზიაში ერთადაა შერწყმული და ერთარსადაა განსულიერებული, განნივთებული ყოველივე მიღმურს იქეთა და მიღმურს აქეთა, მიწიერი და ზეციური, წარსული, აწმყო და მყობადი... აქ გამქრალია ზღვარი საუკუნეთა შორის, მოვლენებს შორის, საგანთა შორის, განცდილსა და ნააზრევს შორის, საფიქრალსა და საზრუნავს შორის... და თუ გნებავთ, ცასა და მიწას შორის, ხილულსა და უხილავ სამყაროს შორის...

თავის სათქმელს, აზრს ყოველთვის რაღაც უჩვეულო, გასაოცარ (ფორმითაც და შინაარსითაც) ჭრილსა და განზომილებაში გადაყვანილს წარმოგვიდგენს და ისე გადმოგვცემს, საოცარი, ყურისათვის უჩვეულო სიტყვებით და სხვაგვარი, თავისთავადი ხედვით.

აი, ავიღოთ თუნდაც დედისადმი მიძღვნილი ლექსი. ეს ის თემაა, რომელზედაც ყველა პოეტს კი არა და არაპოეტსაც უფიქრია მაინც, თუ არ დაუწერია. ვის არ უტირია დედაზე, ვის არ ტკენია გული და ვერაფრით ვერ დაუძლევია მისი გარდაცვალებით გამოწვეული სინანული და სიცარიელე, უთქვამს მონატრებისა და მოფერების სიტყვები... ვნახოთ, როგორ ახმოვანებს ამ გრძნობებს პოეტი-არქიმანდრიტი:

კედელზე მიძინების ულურჯესი ფრესკა გალურსული.
ჯერ კიდევ სიცოცხლეა შენს სხეულში, დედა.
სააქაოსკენ მოსაგრუნებელი კარები დალურსმული.
შენი დღეებივით სასოება ჩემს სხეულში დნება.
შენ ეს ხანებია სულ ერთთავად ქრისტესკენ იცქირები.
ხელში აგიტატებ დედას – ჩვილივით საფერებელს.
ჟრუანტელის დავლით შეგიგრძნობენ ჩვენი სოფლის ქვითკირები.
ვგრძნობ, ახლაც შენ დამკანკალებ იესოს მავედრებელს.
ლეჩაქ-მოსასხამში გადასახლდი – სასუმელი მიგცეს სავსე...
„ცრემლოოდა იესუცა“ შენ ბოლო ამოსუნთქვას.
თეთრი კვართით შემოსილი მძინარე სარას მიემსგავსე.
ჩემ ლექსს შენი გლოვა დღემდე ვერ ამოუთქვამს.
სააქაოსკენ მოსაგრუნებელი კარები დალურსმული.
დე, სიზმრად მაინც შემაწუხე – იქნებ შეგეშველო რაიმეთი...
მიმწუხრში მიძინების ულურჯესი ფრესკა გალურსული...
ის ერთი ამოსუნთქვა სულ ყურებში მესმის,
არ მინელდა არც ის, არც იმედი...

წაგიკითხავთ სადმე მსგავსი სტრიქონები დედაზე? არა, რა თქმა უნდა, და ამიტომაც მათ დამწერს უფლება აქვს შეუთვალოს მიცვალებულთ:

მტკივა. მოვიჩქარი. ვიცი, მონატრებით
დამხვდებით.
ლოცვად საფლავებზე სურნელ გიფენიათ
ვარდების.
ქარი თმებს მიწეწავს...
თქვენი სუნთქვა მესმის მიღმა მოშრიალე
ფარდების.

ასევე შეიძლება ითქვას ლექსზე „ჩემი მამაჩემი“:

ვიტირე ხმით, როგორაც ნამდვილმა მოტირალმა,
გულის კედლების ჩამოხოკვით,
გლოვიანი წამღერებით,
არტისტულადაც.
ფრთები გავიშალე,
ქვები და მუშტები დავიშინე:
– ჩემო მამაჩემო,
ანგელოზთ მთავრის მოსახელევ...

ასე დასტირის პოეტი მისთვის ***„ანგელოსთა დღეს წართმეულ“*** *მამას* – ***„ობოლივით სულმუდამ დედის სითბოს დანატრულს, მამის გამხნევება-ღიმილს ვერღირსებულს... ბალღობა, ყრმობა, სიყმაწვილე და ახალგაზრდობაგანუცდელს, სიყვარულმშიერს, ახლა-ღა სიყვარულთან მისულს, სულ მოფიქრალს, დარდიანს, მჭვეფნვარეს“... დასტირის – „ჩემო მამაჩემოო“*** – და ესეც იმდენად თავისებური ფორმის ლექსია, იმდენად მოულოდნელი, მხოლოდ ის გახსენდება, ასეთი შინაარსის ლექსს ქართულ ხალხურ პოეზიაში დატირება რომ ჰქვია. იგი მრავლად გვხვდება საგმირო ეპოსის ხალხურ ლექსსიმღერებში, მაგრამ კლასიკურ პოეზიაში ნამდვილად არ შემხვედრია.

შემიძლია თამამად განვაცხადო: ამ ლექსებში შევხვდი მრავალმხრივად განსწავლულ პიროვნებას ავტორის სახით, რომელმაც ყველაფერთან ერთად ხალხური სიტყვიერებაც შესანიშნავად იცის და ამ ცოდნას საკმაოდ ოსტატურად იყენებს თავის პოეზიაში, ინტერპრეტაციულად. ეს არავითარ შემთხვევაში არ არის „ლიტერატურშჩინა“, პირიქით, იგი ქმნის განსწავლულობის პოზიტიურ ფონს და ამ ფონზე აღმოცენებულ ამაღლებულ აზრებსა და სტრიქონებს.

როგორც უკვე ვთქვით, მამა ადამის პოეზიისათვის თავისებური, ორიგინალური, უჩვეულო აზროვნებაა დამახასიათებელი. წაიკითხეთ:

ღმერთო, შეგვიბრალე!
ნუ შეისმენ ჩვენს უგვან ლოცვას!
შენ ხომ დაგვპირდი,
რომ არ მოგვცემ ქვებს ნაცვლად პურის
და არცა გველს ნაცვლად თევზების...
უხეირონი იმ ქვებს სხვათა ჩასაქოლად დავაგროვებდით,
ხოლო გველებს მივუსევდით, ვინც შევიძულეთ...

აი, კიდევ ერთი ნიმუში:

წესია –
დაღლილი დედამიწა დაღლილ კაცს ეშველება:
ჯერ ზურგზე შეისვამს და მერე რომ უძლურდება,
შიგ გულში დაიმარხავს – სხვისთვის არ ემეტება.

ამგვარად გვაწვდის პოეტი, ასე ხედავს კაცთა მარადიულ სატკივარს – სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას, იმას, რაც ხალხმა თავის კულტურულ მემკვიდრეობაში არაერთგზის გამოხატა და თანაც მრავალნაირად – ლექსადაც, ზღაპრადაც, ლეგენდადაც: „მიწა გვზრდის და მიწავე გვჭამსო“,

„მიწა ვიყავ და მიწად ვიქეცო“, „მიწის შვილები მიწის ლუკმა ვართო“... პოეტი მამა ადამი კი განსხვავებულად ამბობს! თანაც მის წიგნებში სიკვდილ-სიცოცხლის თემას ოპტიმისტური რეალობა – მარადიული თემა, მამულის სიყვარული, სამშობლოსათვის ლოცვა ერწყმის:

ო, საქართველო, საქართველო დამილოცე,
მამავ და ზეცავ!
სისხლისგან დაცლილს ჩემს სამშობლოს ოთხივ კუთხით
აკურთხებს მზეცა.
ლიხის ქედიდან ღრუბლებამდის ასვეტილი
გოდებს სანათა,
იმისმა კვნესამ, თუ ჯგირაგის ფარის ძალამ –
რამ გაანათა?
ქართველის გული, მისი სული დამილოცე,
საბაოთ ღმერთო!
იქნების, წამლად აფხაზეთი, სამაჩაბლო
შემოგვიერთო!..

„წამლადო“, ამბობს ავტორი. ეს „წამალი“ ხომ სულის იარას განუკურნავს პოეტს უთუოდ. დიდი ტკივილია ამ სტრიქონებში გახმოვანებული, ერის ტკივილი... რას იზამდა ასეთ დროს ილია? ან თამარი? ან შოთა? ალბათ, სხვას ვერაფერს, რადგან ეს ეგრეთწოდებული პოლიტიკური ნებაა მხოლოდ ზესახელმწიფოებისა და იმათი მმართველებისა. ჩვენ და ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერები სამწუხაროდ ვერას გავაწყობთ მათთან... ოკეანეში ხომ ზვიგენები და ვეშაპები მომცრო თევზებით იკვებებიან!..

მამა ადამის პოეტურ კრებულებში მრავლადაა გაბნეული ქვეტექსტებით აღსავსე სტრიქონები: ***„არ გვიძებნია ნიჟარები თვალდახუჭულთ“, „გადიხსნა მიწა: სულ არ ჰგავდა სიკვდილის ალაგს“, „შენ, სასოების ნიბლია ჩიტო, ნუ***

გაფრინდები", „მწარე ნაყოფი გამოესხა ჩვენს უბანში მდგარ ცოდვის ხესაც", „ბებრის ისვენებდნენ მიწისგან მუხლები", „შენ რჩები ღრუბლად, ღრუბლის ქულად, ჩემო ყრმობავ, ვარდობის თვემდის, როს გაწვიმდები", „ქარის გამაღვიძებს გახსენებაც, თორემ ნაღდი რქებს დაამტვრევს ირმისას", „ჩემი სული ისევ გაჰყვება მყობადის ქარებს, მდინარეებს და ქარტეხილებს"...

ეს უკვე მარადისობისკენ ლტოლვაა. აკი ერთ-ერთი წიგნის სახელწოდებაც ამასვე მიგვანიშნებს – ***„მარადისობის მონატრება შებინდებისას".*** მარადისობა ხომ მუდამ ენატრებოდა ლექსის მთხზველს. „მარადისობას მიანათეს ტატოს თვალებმა", – უთქვამს ერთ პოეტს!

ორივე პოეტური კრებული – „მარადისობის მონატრება შებინდებისას" და „40 ლექსი" – საყურადღებოა ენობრივი თვალსაზრისითაც. არქიმანდრიტი-პოეტისათვის, ცხადია, ძალიან ახლოა სასულიერო სალიტერატურო და ღვთისმსახურების ენა, რაც თანამედროვე ქართულში შეიძლება არქაიზმად მოიაზრებოდეს და ასევე განიხილება კიდეც: „ენას გიწუნებ, ფშაველო, მგოსანო მაღლის მთისაო", უთხრა აკაკიმ ვაჟას და აღაშფოთა ამ ნათქვამით. ვაჟამ, ენაა ჩემი ღირსება და თუ ენას მიწუნებს თავადი, მაშ, მე რა პოეტი ვყოფილვარო...

როგორც ვთქვი, ყოველდღიური ხმარებიდან ამოღებული, თანამედროვე საყოფაცხოვრებო სასაუბრო მეტყველებაში არ და ვერდამკვიდრებული სიტყვები არქაულად განიხილება. თუმცა მამა ადამის პოეზიასთან მიმართებაში ამას ვერ ვიტყვით. მისი პოეტური ენა ძველი ქართული ლიტერატურული და საეკლესიო-საღვთისმსახურებო ენობრივი ერთეულებით ისე ორგანულადაა გაჯერებული, რომ ეს სიტყვები და ფრაზები ახალ სიცოცხლეს იძენენ – თანამედროვე ენაში დამკვიდრების პრეტენზიას აცხადებენ. ამგვარი გარემოება სასიხარულოცაა და მისასალმებელიც,

რამეთუ ეს ულამაზესი სიტყვა-თქმები სულსა და გულს, ყურსა და გონებას ტკბილად ესალბუნება...

...როგორც დედამიწა, გაკვირვებას აყოლილი,
წელიწადი მოგ ზაურობს შენი მზის გარშემო –
ვერ ოკდება,
ისე მეც ჯარასავით ვიტრიალო
შორის შესაქმეთა შენთა
უწვდომელთა.
თორემ აქ მოვხუცდი,
ძვალ-კუნთი გამელია,
ხორცი ამიმჩატდა –
მიზიდულობა ვერ მერევა დედამიწის.
ნავარდი ენატრება სულს
უბრალო მნათობივით –
წამიყვანე ჩემი სამფლობელოდან შენს საუფლოში.

კიდევ ერთი ნიმუშიც ვნახოთ:

ვნების კვირაა
და თენდება ოთხშაბათი
თეთრად-ვარდისფრად,
ერთ იმათგანის ამბორისყოფად,
მოციქულის მახვილის ქნევად,
გეთსიმანიის ზეთისხილის ხეთა სირცხვილად
და იესოს გაცემათა კრიალოსნად
იქიდან დღემდის...
ოთხშაბათიდან პარასკევამდე ხუთშაბათია.
იმ ამბორიდან
ძელს მიმსჭვალვამდე
პრეტორიაა,

ლითოსტროტონი,
პროკურატორი
(გადაიბანს ხელებს ამაოდ!),
მოხუცებულთა, მწიგნობართა მუხანათობა,
გოლგოთის გზა,
ეკლის გვირგვინი,
ნერწყვა
და ცემა...
ეს ყველაფერი – დასაწყისი მარადი ჯვარცმის:
კაცობრიობა ცოდავს,
ისევ ეცემა
და ხატავს „ჯვარცმებს“ გენიალურთ!

როგორც წერილის დასაწყისშივე ვთქვით, ჩვენი მიზანი არ ყოფილა, სათითაოდ, გამოწვლილვით განგვეხილა ცალკეული ლექსი. ჩვენ მხოლოდ მიმოვიხილეთ მამა ადამის პოეზია, გადავფურცლეთ რა ეს ლამაზი წიგნები და დავტკბით საოცარი პოეზიით.

მომავლის საქმეა, – ლექსმცოდნეებმა უფრო გლობა-ლურად, მასშტაბურად, აზრობრივადაც, ენობრივადაც, თემატურადაც, შინაარსობრივადაც, ვერსიფიკაციულადაც შეაფასონ ეს ლექსები!

ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა სურვილი, პირობითად მაინც მოგვენიშნა არქიმანდრიტ ადამის (ვახტანგ ახალაძის) პოეტური ფენომენის ადგილი თანამედროვე პოეზიაში, საერთოდ, ქართულ პოეზიაში, გარკვეულწილად განგვესაზღვრა მისი რაობა, მნიშვნელობა, მიზანმიმართულება... აი, რა გვაინტერესებდა, რაზე ვფიქრობდით და თუ როგორ გავართვით თავი ამ ამოცანას, მკითხველმა განსაჯოს, კრიტიკულმაც და ლექსებზე შეყვარებულმაც.

„ლექსო მიდექ და მოდექი, სამშობლოს შეეძინებიო“, – ამბობს ერთ თავის ლექსში გიორგი ლეონიძე. ჰო-და, მეც ვკითხულობ ხმამაღლა:

– ვის შეეძინება მამა ადამის ლექსები, ვის? სამშობლოს? ერს? მრევლს? ახალგაზრდებს? გაჭაღარავებულ გულ-შემატკივრებს ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა?

მე გპასუხობთ:

– რა თქმა უნდა ყველას! ყველას, ვინც კი წაიკითხავს მათ!

ერთიც. ჩვენ საშუალება გვქონდა მოგვესმინა ავტ-ორისეული ჩანაწერები, როგორ კითხულობს იგი საკუთარ ლექსებს დახვეწილი, ღუღუნა, ცოცხალი, არტისტული ხმით, მრავალფეროვანი ინტონაციებით. ისინი ლოცვასავით ჩაგვესმოდა, მთელი სამყაროსათვის – ზეცისა და მიწისთვის სიყვარულის ახსნასავით... იქნებ – ქადაგებასავით?! ხანაც – მამის შეგონებასავით, ხმამაღალ, ტკივილიან ფიქრსავით, ზღვის ტალღების დგაფუნსავით...

ეს ლექსები უთუოდ ღრმა, რთულ, მრავალნაირ (სასიამოვნოსაც) ემოციებს აღუძრავს მკითხველსაც და მსმენელსაც, რაც მხოლოდ ჭეშმარიტმა პოეზიამ იცის. თუმცა ემოციები სევდიანიც იქნება, ნოსტალგიურიც, ტირილიანიც, იმედიანიც...

ჩვენ გზას ვულოცავთ ამ მშვენიერ ლექსებს როგორც ხალხის გულებისაკენ, ასევე „მწერალთა სასახლისაკენ“, რამეთუ დარწმუნებული ვართ, რომ მათ მკითხველი და თაყვანისმცემელი კიდევ მრავლად გამოუჩნდებათ და მამა ადამის პოეზია ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს თანამედროვე მწერლობაში!

მთვარისა ჭოხსიძე
პოეტი

“ჩვენ ახლაც, ამწუთას
ისტორიას ვქმნით, ვწერთ
და მისი ნაწილი ვხდებით!"

„ხომ არ გვავიწყდება, დღევანდელი დღე ისტორიის ისეთივე ნაწილი რომაა, როგორიც ჩვენი წარსული“
მამა ადამი

მეცნიერი, ფილოსოფოსი, ექიმი, პოეტი, ტაძრის წინამძღვარი, საქართველოს საპატრიარქოს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე, წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, რამდენიმე აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი, არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე), მისი სტუდენტებისა და მრევლისთვის კი – უბრალოდ, მამა ადამი, “ისტორიანის” ამ ნომრის სტუმარია.

მამა ადამს სულ ახლახან მიენიჭა ვარშავის უნივერსიტეტის წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის საერთაშორისო პრემია ქართული პოეზიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. ეს პრემია ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიურმა ჟურნალმა “პრო გეორგიამ” 2010 წელს დააარსა და იგი ორ წელიწადში ერთხელ გაიცემა.

გთავაზობთ ელენე სარალიძისა და სალომე შოშიტაშვილის ინტერვიუს მამა ადამთან.

ეს ინტერვიუ, ცოტათი შემოკლებული, გამოქვეყნდა ჟურნალ „ისტორიანში“ 2014 წელს (N7, გვ. 48–54).

საკმევლის თეთრი ნისლი როცა
ერევა ღრუბლებს,
მთებსა და ქედებს მიუწვდომლებს,
ზარების რეკვებს
სისხლით ვიხატავ... თვალით ალგეთს
გავყურებ ძუ მგლებს
და ტკივილებით მოველი ნაყარს _
ხარების ლეკვებს!

("შენ, სასოების ნიბლია ჩიტო!)

– ამ პოეტურ ფრაგმენტს, რომელიც თქვენს პირველ კრებულს აქვს წამძღვარებული, თან ახლავს ხელმოწერა "მამა ადამი", სადაც სახელის პირველი ასო ძველქართული ასომთავრულითაა... ნუ განმიკითხავთ და ამით თითქოს თქვენი "ცხოვრებისეული სამება" დავინახე – უფალი, საქართველო, ლექსი! თქვენ რას იტყოდით?

- როდესაც საბერო აღკვეცით მეწოდა წმინდა მამამთავრის სახელი, რატომღაც იმავე ღამით მომივიდა აზრი და დავფიქრდი იმაზე, როგორ მოვაწერდი ხელს... ასე გაჩნდა ქართული ასომთავრული „ანისა" და ჯვრის შერწყმული გამოსახულება, რომელიც ჩემი ბერული ცხოვრების ერთგვარ მშვენიერ გრაფიკულ ატრიბუტად იქცა. რაც შეეხება ცხოვრებისეულ საზრისისეულ სამეულს, ალბათ, ასე ვიტყოდი: ღმერთი-სიტყვა, სამშობლო, მოყვასი... ამ საკრალური სამეულის ერთგვარი ინტეგრალია ლექსიც.

– თქვენი გვარი ახალაძეა. რა იცით ამ გვარის წარმომავლობის შესახებ? და საერთოდ, როგორ აფასებთ ადამიანთა დამოკიდებულებას საკუთარი ჯიშის, გენის, გვარისადმი? გაქვთ თუ არა თქვენი გვარის, ოჯახის გენეალოგიური ხე? როგორ ასწავლით თქვენს მრევლს, სტუდენტებს, თქვენ გარშემო მყოფთ წინაპართადმი დამოკიდებულებას...

ჩვენი გვარი სათავეს იღებს ისტორიული მესხეთიდან. პირველი წერილობითი წყარო, რომელშიაც ახალაძეებია

ნახსენები, XI საუკუნეს განეკუთვნება. იგი ხელნაწერთა ცენტრშია დაცული – წარმოადგენს დოკუმენტს საეკლესიო შეწირულობის თაობაზე. მასში მოხსენიებულია „მონაზონი საბა, ყოფილი სტეფანე, ახალასძე“, აგრეთვე ახალაძე იოსები. მესხეთიდან ახალაძეები მოგვიანებით გურიაში გადასულან. საგვარეულო სალოცავი, წმინდა გიორგის სახელობისა, კოხნარსა და საჭამიასერში აუშენებიათ. გასული საუკუნის 80-იან წლებში ჯერ კიდევ იკრიბებოდნენ თურმე ახალაძეები წელიწადში ერთხელ საგვარეულო გიორგობის დღესასწაულზე, თუმცა ეს ტაძარი უკვე დანგრეული იყო კომუნისტური რეჟიმის დროს. გადარჩენილია ხატი, რომელიც ხელოვნების მუზეუმის საგანძურში ინახება. ბაბუაჩემის ბაბუა კი გურიიდან გოჩა-ჯიხაიშში გადასულა საცხოვრებლად. დღეს ახალაძეები ცხოვრობენ ბათუმში, თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, თერჯოლის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, ხონის, წყალტუბოს, ოზურგეთის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების სოფლებში.

რაც შეეხება დედულეთს... დედაჩემი – სამონოზვნე ანასტასია (ერში ნუნუ (ნინო) იასონის ასული თევზაძე) სასულიერო პირთა შთამომავალი და ნათესავი იყო როგორც დედის მხრიდან (ბებოჩემი ოლღა ბაღდათის რაიონის სოფელ ობჩის მკვიდრის სიმონ ჩხიკვაძისა და თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთელი მაიკო ბიუღლიშვილის ქალიშვილი გახლდათ), ასევე მამისაც (იასონ ბაბუა წიაღობნელი თევზაძე გახლდათ, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ქუთაისში, დახვრიტეს 1937 წელს).

ობჩის დედა ღვთისმშობლის მიძინებისა და წმინდა გიორგის ეკლესიების წინამძღვრები დეკანოზი ბასილი და დეკანოზი ირაკლი ბებოჩემის – ოლღა ჩხიკვაძის ბიძები იყვნენ, ასევე ბიძა იყო (ვენახებიც გვერდიგვერდ ჰქონდათ გაშენებული – ასე შემორჩა ჩემს მეხსიერებასაც)

ობჩის სკოლის დირექტორიც კოწია (კონსტანტინე) ჩხიკვაძე, მეტად განათლებული ადამიანი, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, არაჩვეულებრივი ბიბლიოთეკის მფლობელი, საკმაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობის მრავალი ცნობილი წარმომადგენლის მეგობარი. კოწია ბაბუას ინტელექტუალურმა მემკვიდრეობამ – წიგნებმა, მდიდარმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ, ფილოსოფიამ, ანტისაბჭოთა და დისიდენტურმა განწყობა-შეხედულებებმა ღრმა კვალი დაამჩნია ჩემს სულსა და გულს ყრმობიდან მოყოლებული, რაშიც უდიდესი როლი შეასრულა კოწიას შვილიშვილმა, ჩემმა უსაყვარლესმა ნათესავმა და მეგობარმა თენგიზ ჩხიკვაძემ...

ჩემს პოეზიაში ყოველთვის გამოკრთებიან ხოლმე წინაპართა სილუეტები, ლანდები, აჩრდილები... ზოგჯერ ხორცსაც ისხამენ და ჩემს მკითხველს ესაუბრებიან ცოდვა-მადლის განკითხვაზე, სიყვარულზე, კაცურკაცობაზე...

"სვიმონ ჩხიკვაძე – აზნაური და სადიაკვნე
რთველობას თავის დარგულ ვენახში აგვიანებს:
ყურძენი გულს და თვალს უხარებს მევენახეს!
დიდ ბაბუს ნეტავ სიზმრად მეც ვენახე
და ღამის სიჩუმეში,
მთვარეც რომ აკრეფდა
სოფლიდან თავის სხივებს,
მოეთხრო ეს ამბავი,
მოსვენებას რომ არ მაძლევს,
არც მაძინებს...
სულ თითოდ დაარჩია მუხის და წაბლის ხის
ხარდანი, ჭიგო და სარები –
საყრდენნი ვაზისა;
რა გასხვლა, რა შეკონვა

ანდა რა გაფურჩქვნა სცოდნიაო, –
იმისი დარგულ-მოვლილი ვენახი
აგერ საუკუნეა მსხმოიარობს... “

(“ამბავი, მოსვენებას რომ არ მაძლევს, არც მაძინებს”)

– რა განცდაა, როცა მრევლის რომელიმე წევრი (თუნდაც თქვენზე ასაკით ბევრად უფროსი) მოდის თქვენთან, მკერდზე გემთხვევათ და კრძალვით გეუბნებათ: “დამლოცე, მამაო”... ღირს ამისთვის სიცოცხლე?

– ჩემი აზრით, სიცოცხლე უფრო მეტად სხვა რამისთვის ღირს... როდესაც სხვაგვარად არ ძალგიძს!!! შეიძლება ვერ იცხოვრო მამა ვიტალივით, არ ეყოს შენი კაცობა ამას, შენი სულიერება, შენი სიყვარული, შენი გულწრფელობა... ვერც ალექსი შუშანიასავით ან იოან სერგიევივით, მაგრამ მათი ცხოვრებისკენ, როგორც ამ ქვეყანაზე ზეციურობის დასტურისკენ, ანგარიშმიუცემლად და ნიადაგ უნდა მიილტვოდეს შენი სული, მაშინაც, როცა დაცემული, გვემული და ლაფში ამოსვრილი წევხარ, ოღონდ ისეთი „სულელი“ ხარ, გულში რაღაც გიხარია და ქრისტეს ეფერები-ევედრები...

ალბათ, არც მხოლოდ მკერდზე და არც ხელზე მთხვევით, არც მხოლოდ დალოცვით, არც აღსარების მოსმენითა და შენდობის ლოცვის წაკითხვით, არც ბევრი სხვა რამით, მით უმეტეს, გარეგნულით, ქცევით, მოქმედებით, ალერსით, სიტყვის წარმოთქმით არ გამოიხატება ის, რისთვისაც ღირს სიცოცხლე. იგი, ჩემო საყვარელნო და საცხოვნებელნო, რაღა თქმა და გაცხადება უნდა, ჩვეულებრივ თვალთაგან დაფარული მისტიკური, ესე იგი ფარულ-საიდუმლოებრივი რამაა. ამას განა ყველა განიცდის, უფრო ზუსტად – უფალი ამას ყველას როდი განაცდევინებს.

იცი, მართლა ჭეშმარიტად დიდი მწერალი უნდა იყოს კაცი, რომ მხატვრული სიტყვით შეძლოს თუნდაც ერთხელ

განცდილი ერთი სულიერი, მამობრივი სიხარულის გულში განკრთომის სხვებისთვის თვალსაჩინოდ დასურათხატება... და თუ ეს ვერ შეძელი, თვალთა წინაშე ხატვის უნარი და ნიჭი (ანუ გულის ხსოვნა) ხომ მოუცია ღმერთს?! ჰოდა, შენც ასე გაიხსენებ, შეგრცხვება საკუთარი უძლურებისა და გააგრძელებ ციცაბოზე სვლას... მგონი, ზედმეტი ვთქვი, თორემ მთავარს რომ არ გაგიმხელთ, ამას თქვენ ჩემზე უკეთ ხვდებით – იგი ხომ იმქვეყნად წასაღები საგზლიდანაა.

– როგორ მიხვედით ბერად აღკვეცის დღემდე?

– რთულად, ძნელად. ამას ჩემი ცხოვრების 42 წელიწადი დასჭირდა და კიდევ 42 რომ სჭირდებოდეს ახლა, სულ თავიდან რომ მიხდებოდეს ყველაფრის დაწყება, სხვას არაფერს ვისურვებდი. ოღონდაც, ღმერთმა არ განმაგდოს! ეს ერთადერთი შიში იყო ბერობამდელი ცხოვრებისა. ვერ წარმომედგინა, რომ ღირსი გავხდებოდი, საბერო შესამოსელი ჩამეცვა. მადლობა ქრისტე ღმერთს ყველაფრისთვის!

– ბათუმს როგორ გაიხსენებთ?

– ბოლო გამოცდა ჩავაბარე თუ არა სიმწიფის ატესტატზე, იმ დღესვე გამოვემგზავრე თბილისში, რომ აგვისტოს თვემდე დარჩენილ მცირე დროში მომესწრო მისაღები გამოცდებისთვის მომზადება. ხუმრობა საქმე არ იყო მაშინ სამედიცინო ინსტიტუტთან შეჭიდება... აგვისტოს ბოლოს სტუდენტი გავხდი და ამით დამთავრდა ჩემი ცხოვრების ბათუმური ხანა.

მას შემდეგ გადაბმულად ალბათ ერთი თვეც არ მიცხოვრია მშობლიურ ქალაქში. თუმცა, როგორც ჩემი მკითხველი ხვდება, იქ გატარებულმა ბავშვობამ და ყრმობამ წვიმის წყალთან ერთად შეისრუტეს იმდენი ბათუმური სევდა და სიხარული, სიყვარული და სილამაზე, მზე და ჰაერი, რომ ვწურავ ჩემი ბავშვობის ტანსაცმელს და დღემდე ვერ გავწურე ისე, რომ გასაშრობად მაინც გავკიდო...

„გასაუბრება მშობლიურ ქალაქთან“

ნაწყვეტი ბათუმური პერფორმანსიდან „ზღვა კი იყო უშფოთველ“

– საღამო მშვიდობისა, ჩემი ბავშვობისა და სიყრმის ქალაქო, ჩემო ზღვისპირო და ჩემო მთისძირო, უღრუბლო ცაო და წვიმიანო მიწავ, ქუჩებს შერჩენილო სალოლიავებო ნაფეხურებო უფრო დიდ საქართველოში წასულთაო და წარსულის გულიდან ვერაფრით ვერამოგლეჯილი სიყვარულის გაუნელებელო ტკივილო... საღამო მშვიდობისა, სიყვარულით მომზირალო თვალებო და გრძნობების მოჭარბებით აჩქარებულ-აძგერებულო გულებო! როგორ მომნატრებიხარ ჩემი ბავშვობისა და სიყრმის ქალაქის მოფერებავ... მადლობა გამჩენს, რომ შემიძლია ახლა, ამ სცენიდან გითხრათ ერთად ყველას სალამი და გამარჯვება, ჩემო ბათუმელებო!

იღებს კალათს, ყვავილებს უყრის მაყურებელს.

გაიხარეთ!.. დალოცვილები იყავით!.. იდღეგრძელეთ!.. დიდი მადლობა!..

გამოდის მსახიობი. მამაო მიდის როიალისკენ. ანაფორას იხდის. ჩერდება და შემობრუნდება ხმის გაგონებაზე:

– ეს როგორ შეცვლილხარ?! ღმერთო! გათეთრებულხარ თითქმის!

– ცოტა დრო არ გასულა და იმიტომ, იცი...

– ვიცი! ვიცი! ოცდათხუთმეტი წელი რომ ბევრია კაცის ცხოვრებისთვის, ეს კი მესმის. ის ვერ გამიგია, როგორ ხდება, თექვსმეტი წლის ბიჭს რომ გააცილებ მატარებელზე, აქედან პირდაპირ დიდ ცხოვრებაში და ერთ მშვენიერ დღეს რომ დაგიბრუნდება ასე ორმოცდაათს გადაცილებული...

შენ რომ ის ჭაბუკი გახსოვდა და გიყვარდა ამდენი ხანი, მერე რა რომ წლები გადიოდა... შვილები არ ბერდებიან!

– ჰო, შვილები არ ბერდებიან – ეს ჩვენ ვბერდებით – მამები და დედები!

– აღარც ის ვაგზალია, აღარც ის – "მოდის მატარებელი, გულის გამხარებელი"... როგორ გამახარე, რომ არ დამივიწყე! ვიცი, არც არასდროს დაგვიწყებივარ, მაგრამ, ხომ იცი, მოხუცის გულს შვილის დანახვის გარეშე ძგერა არ შეუძლია... არც არსებობა! ერთი ის მითხარი, სად გახსენდებოდი!

– შენ თვითონ იცი!

– ვიცი, ყველაფერი ვიცი, მაგრამ მინდა შენგან გავიგონო, მოვისმინო, კიდევ ერთხელ ვიგრძნო; იქნებ, მინდა, ვიტირო კიდეც! ეს ისეთი ბედნიერებაა, შვილს რომ უყვარხარ...

– ვიცი და ამიტომაც გეტყვი. დედაქალაქში ერთი პატარა ქუჩაა, ქუჩის მონაკვეთი...

– სტუდენტობის დროს უფრო ხშირად გიწევდა იმის ჩავლა.

– ყოველთვის შენი ქუჩები წამომელანდებოდა,

– ისეთი შეგრძნება გეუფლებოდა, რომ თითქოს აქ ხარ, ჩემში.

– რამდენჯერ განზრახ ჩამივლია იმ ადგილას იმის შესამოწმებლად, რამე ხომ არ მეჩვენება–მეთქი.

– არა, ბატონო, არაფერი, რა უნდა მოგეჩვენოს. იქ შენ მართლა ყოველთვის განიცდი რაღაცას ჩემმიერს და იდუმალს...

– კიდევ იერუსალიმში, ერთი მონასტრის ეზოში მეჩვენე.

– ერთი და იგივე ბავშვობის მოგონება წამოტივტივდება ხოლმე მისი ხილვისას შენს მეხსიერებაში.

– სამი-ოთხი წლისა, საღამო ჟამს, დედის ან ბებოჩემის ხელს ჩავლებული, მივუყვები ფერიის სოფლის აღმართსჲ

– იქიდან ახალმოწველილი ძროხის რძის, მანდარინის პლანტაციების, ბაღჩის და გეორგინების სურნელი და სილამაზე გამოგყვა დღემდე...

– წვიმიან ვენეციაში გნახე კიდევ შუაღამისას

– და შემოდგომის მოსკოვშიც აღმომაჩინე... ახლა? ახლა საით მიდიხარ?

– სანაპიროსკენ!
იქ მეგულება მარტოხელა ნავი ბებერი,
ტალღებთან და ნიჟარებთან მოჩიფჩიფე.
ის გაიგონებს ჩემს ყრუ ვედრებას:
დამაბრუნეთ ბავშვობაში!
ჩემს ყრმობაში დამაბრუნეთ,
რომელიც სულაც არ იყო თქვენი ბავშვობისნაირი.
ამას მე ვგრძნობ იმით, თუ როგორ ყვავიან თქვენს აივნებზე
კონსერვის ქილებში ჩარგული ბეგონია, ბალბა და კლდისვაშლა,
და როგორ ნეკროლოგებს უწერთ გარდაცვლილ მაწანწალებს...
თქვენ იქ დარჩით – უბედნიერეს ბავშვობაში,
სადაც არასოდეს ბრუნდებიან,
რადგან ჩიტის ბუდისოდენა ადგილიც კი არაა დარჩენილი
მეტამორფოზებისთვის:
იგი გადავსებულია ყველაფრით,
რასაც მოისურვებს ობივატელის ოჯახის უსაყვარლესი შვილი:
პლასტმასისა და ლითონის ტანკებით,
თოფებით, მანქანებით, დედოფალებით,
ეკზოტიკური ცხოველების კიდევ უფრო ეკზოტიკური ფერებით,
წყალმცენარეებიანი აკვარიუმით, მექანიკური სათამაშოებით,
ველოსიპედებით, ფეხბურთის ბურთებით, უცხოური მარკებით,

ᲞᲐᲬᲘᲐ ᲞᲘᲐᲜᲘᲜᲝᲗᲘ ᲓᲐ ᲐᲙᲝᲠᲓᲘᲝᲜᲘᲗᲐᲪ ᲙᲘ,
ᲙᲘᲓᲔᲕ ᲓᲘᲐᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲘᲗ
ᲓᲐ, ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲓᲘᲐᲤᲘᲚᲛᲝᲡᲙᲝᲞᲘᲗ...
ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ ᲣᲐᲠᲡ ᲕᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑ, ᲰᲝ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲖᲔ,
ᲠᲐᲪ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲛᲥᲝᲜᲓᲐ,
ᲮᲝᲚᲝᲝ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲐᲣᲪᲘᲚᲘᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲥᲝᲜᲓᲐᲗ ᲩᲔᲛᲖᲔ ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲑᲔᲕᲠᲘ,
ᲣᲐᲠᲡ ᲕᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑ, ᲕᲧᲠᲘ, ᲕᲘᲪᲘᲚᲘᲔᲑ
ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲔᲑᲡ
ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲤᲐᲜᲯᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲭᲘᲨᲕᲠᲘᲡ ᲘᲥᲘᲗᲐᲪ...
ᲕᲠᲩᲔᲑᲘ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲘᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲗᲐᲜ,
ᲠᲝᲛ ᲛᲔᲪ ᲛᲔᲥᲜᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ:
ᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲔᲑᲘ, ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ, ᲜᲐᲜᲐᲢᲠᲘ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ...
ᲔᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲕᲡᲔᲑᲡ ᲨᲘ�გᲜᲘᲗ ᲡᲘᲪᲐᲠᲘᲔᲚᲔᲡ,
ᲝᲪᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲘᲡᲔᲗ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲔᲡ ᲮᲐᲢᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ
(ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲒᲐᲛᲝᲛᲧᲕᲐ ᲔᲡ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ)
ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲠᲝᲜᲡ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲡᲔᲗᲘ,
ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲛᲐᲩᲣᲥᲘᲡ, ᲛᲘᲧᲘᲓᲔᲡ ᲐᲜ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲕᲐᲙᲔᲗᲔᲗ.

(„ᲓᲐᲛᲐᲑᲠᲣᲜᲔᲗ, ᲑᲐᲕᲨᲕᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲑᲠᲣᲜᲔᲗ“)

– ᲗᲥᲕᲔᲜᲔᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲔᲠᲤᲝᲠ–ᲛᲐᲜᲡᲔᲑᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲚᲔᲥᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲓᲦᲔᲡ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲡ ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲐᲦᲐᲠ “ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲔᲜ”. ᲛᲔᲢᲡᲐᲪ ᲒᲔᲢᲧᲕᲘᲗ, ᲓᲦᲔᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ “ᲐᲦᲐᲠ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ”. ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ (ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲘᲡ, ᲕᲘᲜᲪ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲡ ᲧᲘᲓᲣᲚᲝᲑᲡ), ᲐᲗᲘ-ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲬᲘᲗᲜᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲡ ᲗᲣ ᲘᲧᲘᲓᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲣᲠ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲡ... ᲠᲝᲒᲝᲠ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲠᲐ “ᲓᲐᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ” ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲚᲔᲥᲡᲗᲐᲜ, ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ, ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲡᲗᲐᲜ?

– ᲮᲘᲓᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚ ᲐᲒᲣᲠᲔᲑᲐᲓ ᲛᲔ ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲘᲓᲒᲔᲜᲘᲐ! ᲔᲡ ᲮᲘᲓᲘ ᲯᲔᲠ ᲣᲜᲓᲐ

ავაშენოთ, მერე გადავიაროთ უნდა იგი და მეორე ნათელ სანაპიროზე გადავიდეთ...

სხვა მზა რეცეპტს ვერ მოგაწოდებთ, რადგან ვფიქრობ ესეც და კიდევ ნებისმიერი სხვა პრობლემაც მანამდე საფუძვლიანად უნდა იყოს შესწავლილი, საფუძვლიანად, ესე იგი მეცნიერულად, უფრო ზუსტად – ინტერ- და ტრანსდისციპლინურად. საჭიროა გვქონდეს მეცნიერულად დაზუსტებული სურათი წარსულისაც, აწმყოსიც და მომავლისაც. უნდა გამოვიკვლიოთ (სტატისტიკურადაც) ყველაფერი წიგნის ფენომენის ირგვლივ: ვინ, რამდენი, რას, რა რაოდენობით, როგორ ან რა სიხშირით კითხულობს წიგნს, ყიდულობს, ჩუქნიან, თავად ჩუქნის, ნაგავსაყრელზე ყრის, იყენებს წიგნის ფურცლებს საოჯახო მეურნეობაში და ა. შ. კიდევ მრავალი სხვა კვლევა უნდა ჩატარდეს და დასკვნები მერე უნდა გამოვიტანოთ. შესაბამისად, გაგვიჩნდება რეკომენდაციებიც. თუმცა ერთი კი ცხადია, რომ იმ ხიდის ასაშენებლად წიგნები ჩვენ უნდა მივიტანოთ, თითოეულმა ჩვენგანმა, და ეს უნდა გვასწავლოს სოციალურმა გარემომ, მასმედიამ, სკოლამ, ოჯახმა, ეკლესიამ...

შეიძლება დაგეთანხმოთ, რომ „ძველებურად“ აღარ წყალობენ პოეზიას, მაგრამ ახლებურად ხომ წყალობენ, უყვართ, ან ნაკლებად უყვართ, ურჩევნიათ სხვა სახის ლიტერატურას, ან პირიქით არჩევანს აკეთებენ არა პოეზიის სასარგებლოდ... ამგვარ პირობებში უნდა ვიფიქროთ (გავაანალიზოთ) ჯერ, ხოლო შემდეგ ვიზრუნოთ იმაზე, თუ როგორ დავანახოთ ადამიანებს (სასურველია – ბავშვობიდანვე) პოეზიის მშვენიერება, მისი ზეციურობა, სილამაზე, ამაღლებულობა, ფილოსოფიური განზომილება, სახისმეტყველება, ენობრივი გამოსახვის თავისებურებანი... ანუ ყველაფერი სკოლის წლებიდან უნდა დავიწყოთ!

– “ღრუბლების სითეთრეში, კენწეროების სიმწვანის მიღმა, ანუ დაბადების დღეს გილოცავ, დე!” – ასე ერქვა

თქვენს ლიტერატურულ-მუსიკალურ პერფორმანსს, რომელიც მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ვიხილეთ, და რომელსაც ასე ძალიან უხდებოდა სცენა, თქვენი ლექსების "გმირებად" ქცეული მსახიობები, ბახის, მოცარტის, შოპენის, შუბერტისა და სხვათა განუმეორებელი კლასიკური მუსიკალური ნაწარმოებები. ეს ერთდროულად იყო პოეზიისა და დედაშვილობის ზეიმი...

მიხარია, რომ თანამედროვე ტექნიკური შესაძლებლობების პირობებში, საშუალება მაქვს, დროდადრო "თვალი შევავლო" ამ საღამოს ვიდეოჩანაწერს. ასე მგონია, იმ საღამოს ბოლომდე დაიხარჯეთ. ასეა?

– არა! ვერ დავიხარჯე! ღვთის მადლით, ბევრის გაკეთების სურვილი მაქვს. როცა რაიმე გეხარჯება – ჩერდები. ფული თუ გამოგელია, წრიალსა და წანწალს რაღა აზრი აქვს. კი, ცოტას კიდევ დაალევინებ თვალს წყალს, მაგრამ, რამდენ ხანს?

სიხარულით მოვამზადებდი კიდევ ერთ პერფორმანსულ პროექტს სამშობლოს სიყვარულზე! დიდ სცენაზე. სცენოგრაფიაზეც მიფიქრია. რეჟისურაზეც. უკვე მქონდა მცდელობებიც, მაგრამ ჯერჯერობით – გაგრძელების გარეშე; ალბათ, ცოტა ვიჩქარე, დროც არ მაქვს თავზესაყრელად. არც თანამოაზრეთა მოძალებას განვიცდი... იქნებ შემოდგომაზე ან მომავალ წელს?! ვნახოთ!

რაც შეეხება დედაშვილობას... ეს საოცრად სათუთი თემაა, მით უმეტეს, ბერისთვის. რა მიზანს ისახავდა ჩვენი პერფორმანსი? ჩემი სუბიექტივიზირებული დამოკიდებულება უნდა გამომეყენებინა, როგორც ილუსტრაცია იმისა, რაც მსურდა მეთქვა მაყურებლისთვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიზანი ასეთი იყო – ჩემს ადგილზე უნდა წარმოედგინა თავი მაყურებელს და გასჩენოდა სურვილი დედისთვის ეთქვა სიყვარულით სავსე სიტყვები,

ვიდრე ამის საშუალება აქვს... რა თქმა უნდა, ეს არ იყო ჩვეულებრივი მიძღვნა ერთი შვილისა თავისი დედისადმი. პერფორმანსის გმირი უკვე მხატვრულ პერსონაჟად ვაქციე და ყველაფერი განზოგადდა. ასე შეიძლება გამოვიყენოთ ხელოვნების უსაზღვრო სათნო შესაძლებლობანი.

– მამა ადამ, როგორ მოვიდა თქვენთან ლექსი და რა არის იგი თქვენთვის?

– ერთს ვიტყვი – დიდხანს მოდიოდა. ბავშვობაში ძალიან მეურჩებოდა. ამიტომ უფრო პროზას მივყავი ხელი და პოეზიას განვერიდე. სამაგიეროდ, ვკითხულობდიიიი! ო, ღმერთო! ძალიან, ძალიან ბევრს, ყოველთვის, განურ–ჩევლად, ყველა ქართველ პოეტს, მერე – სხვებსაც. ვკითხულობდი ჩემთვის, გულშიც და ხმამაღლაც, სცენაზეც, სარკის წინაც, სხვადასხვა საღამოზე, შეკრებებზე, ზეიმებზე... ვკითხულობდი და, რაც მთავარია, მთელი არსებით მიყვარდა პოეზიაც და პოეტებიც!

ერთ საიდუმლოს კი გაგიმხელთ, რომ ის პირველი დიდი და კარგი ლექსი, რომელმაც მაგრძნობინა, რომ დამთავრდა ბავშვობის „უნიჭობა პოეზიაში“ და მეახლა ეს უკვე შემიძლია, რომ ღმერთმა (ეს გავიაზრე და გავითავისე იმთავითვე, მაშინვე!) ნაჭუჭი შემოაცალა ჩემში ჩაბუდებულ ამ ნიჭს (აკი ბარტყსაც ან წიწილასაც სჭირდება ხანდახან გარედან შეწევნა, რომ გამოამტვრიოს ზუსტად მაშინ, როდესაც...), მოსვენებას რომ არ მაძლევდა მთელი ცხოვრება – ეს ლექსი დაიწერა სოხუმის ქუჩაზე, ჩემი ბავშვობისა და ყრმობის სახლში... აი, კიდევ ერთი ნიშანი ზეცისგან დალოცვისა! ეს ლექსი რომელია, ვერავის ვერ გამოუცვნია დღემდე!

– მამა ადამ, ერთ ლექსს შეგახსენებთ:

არ გვიძებნია ნიჟარები
ლურჯ–მწვანე ზღვის
თვალდახუჭულ ფსკერზე მოარულთ,

არ გვინატრია ეგ ზოტიკური ბედნიერება.
გვახარებდა პიანინოზე შემოწყობილი ნიჟარები
ნოტების გვერდით.
ისინი ახლაც ქათქათა ბავშვობას, უნახავ ზღვას
და ნამდვილ ბანანებს მოგვაგონებენ,
აფრიკიდან რომ ჩამოგვიტანა მამამ – მეზღვაურმა...

(„ოთხი ნიჟარა“)

“უნახავ ზღვაში” რას გულისხმობთ, ზღვის სიღრმეში შეჭრის სურვილს თუ უბრალოდ დიდი ხნის უნახავ ზღვას? და კიდევ, მამა მართლა მეზღვაური იყო თუ ეს მხოლოდ პოეტური სამკაულია? და თუ მეზღვაური იყო, როგორ გაიხსენებდით თქვენს დამოკიდებულებას ამ ჩემი აზრით, იდუმალ “ხელობასთან”...

– უნახავი ის ზღვებია, რომლებიც მამამ თავისი მეზღვაურობის წლებში გადაცურა, ჩვენ კი დღესაც არ გვინახავს... მამის მეზღვაურობა იყო არა მარტო რომანტიკა ჩემთვის, ეს იყო სარკმელი მსოფლიოში, რკინის ფარდის მიღმა ქვეყნიერებაში გაჭრილი. ამ სარკმლიდან არა მარტო საუცხოო ჰაერი, ქალაქებისა და პორტების ხედები, ადამიანები, თევზები, ნიჟარები, ნივთები, ჭურჭელი, ჯინსები, სურათები, სიტყვები, მუსიკის ჰანგები, ადამიანთა სახეები იჭრებოდნენ ჩემი ყრმობის სივრცეში, არამედ მომავალიც შემოიხედავდა ხანდახან... როდესაც წლების შემდეგ ვენეციაში აღმოვჩნდი, იგი ჩემთვის მართლა ისეთი მშობლიური იყო, ასე მეგონა მამაჩემს შევხვდი. აკი ათჯერ მაინც ყოფილა ამ ქალაქში... ვენეციური გონდოლით რომ ვსეირნობდი, თვალები ცრემლებით მევსებოდა და ვლოცულობდი ჩემი მამაჩემის სულისათვის...

– ოჯახი რა იყო თქვენთვის და საერთოდ, რას გვირჩევთ, როგორ უნდა გვიყვარდეს ოჯახი, როგორ უნდა გავუფრთხილდეთ ადამიანურ ურთიერთობებს,

მშობლების, და-ძმების, შვილების სიყვარულს...

– ლექსებით უნდა გიპასუხოთ, რადგან არა მგონია ამ ერთ ინტერვიუში მოვახერხო ზედაპირულად მაინც ვთქვა ის, თუ რა არის ოჯახი, დედაშვილობა, მამაშვილობა, დაძმობა, ცოლქმრობა, ბებიების, ბაბუებისა და დიდი წინაპრების სიყვარული... ამაზე იმდენი მიქადაგია... ახლახანს საერთაშორისო სიმპოზიუმი ჩავატარეთ, რომელიც ჩემი ინიციატივით მიეძღვნა თემას „ოჯახი გლობალურ სივრცეში: ბიოეთიკური კონტექსტი“. მაქვს მასალებიც და გეგმაც დავწერო წიგნი-მონოგრაფია ამ საკითხზე, მხოლოდ დრო მჭირდება. ოჯახზე სერიოზული მეცნიერული კვლევები მნიშვნელოვანია კაცობრიობის მომავლისათვის. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ ტრადიციული და არატრადიციული, ასევე სუროგატული ოჯახური პარადიგმები. ვმუშაობთ ოჯახური პრობლემების შესწავლაზე სამედიცინო სამართლისა და იურიდიული მედიცინის თვალსაწიერიდან.

დაგპირდით, ლექსებით გიპასუხებთ-თქო. ისე ბევრია, იქნებ მარტო ჩამოგვეთვალა... და მაინც:

ხატი. ნახატი. ესკიზი. ტილო. თეფში და ბრა.
კიდევ - მილურსმული წიგნის თაროები სამხრეთის კედელზე,
როგორც მამის მკერდს, რომელსაც მიეყრდნობი,
როცა ფეხები გეკეცება და გული საგულიდან გივარდება...
ხალიჩა. პარკეტი. მტვერი. სპანიელი. ფლოსტები. კატა...
წარსულიდან ჩურჩულივით მინავლებულ ნაბიჯებად
ატყვია იატაკს;
როგორც მიწიდან, ამოზრდილან
ლომის თათები,
სკამის ფეხები,
კენარი სვეტები
და კედლები,

შენი პირველი სირცხვილები რომელთაც დაუმალავთ
და კვლავ შეგიფარებენ, მარტო შენ რომ იცი,
იმ, შიგნით დატანიებულ, თახჩა-ნიშებში,
ხოლო როდესაც ქვეყანაზე მიწა იძვრება,
სახლის წარსულის და მომავლის გადასარჩენად
თავს გაწირავენ -
უშნოდ-ულაზათოდ დაიბზარებიან მთელ სიგრძე-სიგანეზე,
ფერუმარილივით ბათქაშსა და ნიღბებივით შპალერის ზოლებს
ჩამოიყრიან-ჩამოიხევენ,
ატლანტებად იქცევიან
და ხელებით ცას დაიჭერენ, - არ ჩამოიქცეს,
ცას თუ ვერა, ცის ნაჭერს მაინც - ძველი სახლის ჭერს,
რომელზედაც ბავშვობაში მერანიც კი გიჭენებია.
ღრუბლები. ურჩხული. არწივი და ციხე-სიმაგრე.
ეტლები მიჰქრიან. კაცები ხელჩართულ ბრძოლაში ეშვებიან.
ეს სამყაროა, ნახევრადგანათებული ოთახის ჭერზე
აღმოჩენილი...
მერე მოულოდნელად გეძინება, მაგრამ არაფერი გავიწყდება
(თურმე),
ლექსში გახსენდება მშობლების სახლი:
აივანი (დედა ჭრელ საბნებს ამზეურებს),
კედლები (აქ ფოტოსურათებში გადასახლდა დიდი ოჯახის
მცირე ნაწილი),
იატაკი (ჩემი და ჩემი და-ძმის ფეხის (ენისაც) ადგმის
და გაუბედავი ნაბიჯების მოწმე)
და ჭერი -
ცის ნაჭერი!

(„მშობლების სახლი გამახსენდა“)

– დაბოლოს, შინდისი... ყველაფერი შინდისის შესახებ...

– თამარ მეფე ყველა ქართველთა შორის გამორჩეული ქართველია, უდიდესი ზეციური პატრონი ჩვენი ერისა, არა-და, თუ დავფიქრდებით, აღმოჩნდება, რომ მისთვის სათანადო პატივი ჯერაც არ მიგვიგია, არც თუ ისე მრავალი ლექსი ან სიმღერა მიგვიძღვნია, არც მისი ხატები შეგვიქმნია უთვალავი... არადა, ჩვენი აზროვნება, სახელმწიფოებრიობა, კულტურა, სულიერება თამარ მეფის იდეებს უნდა ეფუძნებოდეს. ამიტომაც გადავწყვიტეთ თამარ მეფის სულიერი მემკვიდრეობის ღრმად შესწავლა და ქადაგება... ამ გზაზე გაგვიჩნდა ჩვენი დიდი წმინდანი მეფისა და დედუფალთ დედუფლის სახელობის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის სურვილიც.

ბევრი ძიების შემდეგ მშენებლობისათვის საჭირო ტერიტორია სოფელ შინდისში გამოინახა. იქ გადმოგვცეს მიწის ფართობი, სადაც სათნოების სახლს და სამონასტრო კომპლექსს ავაშენებთ. მონასტრული ცხოვრება შრომის გარეშე წარმოუდგენელია. მომავალი მონასტრის ყველა მკვიდრი მოხუცებულთა მოვლაში უნდა მონაწილეობდეს. მათეს სახარებაში წერია, რომ ძე კაცისა დაჯდება რა დიდების ტახტზე, ეტყვის მეფე თავის მარჯვნივ მდგომთ: მოდით, მამაჩემის კურთხეულნო, დაიმკვიდრეთ სასუფეველი, ვინაიდან მშიოდა და საჭმელი მომეცით... სნეული ვიყავ და მომხედეთ... ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რაც-კი გაუკეთეთ ერთს ამ ჩემს მცირე ძმათაგანს, მე გამიკეთეთ. ეს ნიშნავს, რომ როგორც ავადმყოფს ვექცევით, ისე ვექცევით ქრისტესაც. ასე რომ, ავადმყოფის მოვლა ქრისტიანობაში უმაღლეს სათნოებათა რანგშია აყვანილი.

როგორც უკვე გითხარით, სამონასტრო კომპლექსი თამარ მეფის სახელობისაა. სამომავლოდ აქ კიდევ დიდი ტაძრის (ერთი ტაძარი, უფლის მირქმის სახელობისა თითქმის დასრულებულია), სამრეკლოს, სენაკების, ბრძოლის ველზე მომწყდართა სულის საოხი ჯვრის, სხვადასხვა სახელოსნოს გარდა აიგება დასასვენებელი ტიპის სახლიც, სადაც

ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები იცხოვრებენ გარკვეული ხნით და შემოქმედებითადაც იმოღვაწევებენ. ზოგიერთ მათგანს ზამთარში გათბობის საშუალება არ აქვს. ინტელექტუალურად და სულიერად ბევრად უფრო მდიდარნი ვიქნებოდით, მათ რომ შესაბამისი ხელშეწყობა ჰქონდეთ.

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენი მიზანი უბრალოდ მხოლოდ კიდევ ერთი ეკლესიის ან სამონასტრო კომპლექსის აშენება კი არ არის: ამ იდეას სულიერი აღორძინებაც უნდა მოჰყვეს, წმინდა თამარმეფისეული სულის აღორძინება დღევანდელი საქართველოს სინამდვილეში.

დაბოლოს, ისიც ვთქვათ, რომ ადგილს, სადაც სამონასტრო კომპლექსი შენდება, ჩვენ **თამარწმინდა** დავარქვით. ასე რომ საქართველოს გეოგრაფიულ რუკაზე ჩნდება ახალი და ძალიან ლამაზი სახელი – თამარწმინდა! ეს ტოპონიმი ჩვენ შევქმენით და აღვსილნი ვართ სიხარულით.

– ისტორიას, ისტორიული მოვლენებისა და საკუთარი ქვეყნის წარსულის ცოდნას რა ადგილი უნდა ეკავოს ადამიანის ცხოვრებაში? რა უნდა ვისწავლოთ წარსულისგან?

– ისტორიული დროის აღქმისადმი არასწორი დამოკიდებულების ერთ ასპექტზე მსურს თქვენი ყურადღების გამახვილება. ქვეყანაში არსებული გაჭირვების პირობებში ადამიანებმა გამოსავლის ძებნა დაიწყეს, გამოსავლისა, რომელიც, სამწუხაროდ, ყოველთვის როდია სულიერი და ზნეობრივი თვალსაზრისით მისაღები. სამაგიეროდ, საზოგადოებაში მკვიდრდება განწყობა: აბა, რა ექნა, შვილებს შიმშილით ხომ არ დახოცავდა? აბა, რა ექნა, ნიჭს აქ ხომ არ დამარხავდა, არ წასულიყო? სანამ უნდა ეთმინა ეს ყველაფერი? თუ ფულს უხდიდნენ, რატომ არ უნდა დათანხმებოდა?.. და ა. შ. და ა. შ.

რატომ ფიქრობს საზოგადოება ამგვარად? ხომ არ გვავიწყდება, დღევანდელი დღე ისტორიის ისეთივე ნაწილი რომაა, როგორიც ჩვენი წარსული; კიდევ იმას ვივიწყებთ, რომ წარსულის მაგალითები მხოლოდ საამბობი კი არა, უპირველეს ყოვლისა, მისაბაძია, სამაგალითოა. ნუ დავივიწყებთ, რომ სამშობლოს დატოვება გასაჭირში, საკუთარი ინტერესების სხვათა ინტერესებზე მაღლა დაყენება, ოჯახის, მეგობრის ან კოლეგის ღალატი, რა მიზეზითაც უნდა იყოს იგი ნაკარნახევი, იუდასეულ 30 ვეცხლზე ქრისტეს გაყიდვა, დაბეზღება, შურისძიება და მისთ., დროის მიუხედავად, ყოველთვის მძიმე დანაშაულია ღვთის, მამულისა და მოყვასის წინაშე.

თორემ ისე გამოდის, თითქოს მხოლოდ წარსულში არსებობდა აუცილებლობა ქვეყნის ერთგულებისა, რწმენისთვის თავდადებისა, მოყვასისთვის თავგანწირვისა, ჭირთა თმენისა. ნუ დავივიწყებთ, ჩვენ ახლაც, ამწუთას ისტორიას ვქმნით, ვწერთ და მისი ნაწილი ვხდებით! დღეს ისევე ვნებს ჩვენს ქვეყანას ჩვენი ცოდვანი, ღალატნი და განსყიდვანი, როგორც წარსულში!

ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ... მინდა გავიხსენო: „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“... იქნებ ვინმეს მოეჩვენოს, რომ ეს კადნიერებაა, ან უარესი – მკრეხელობა... ვისმეს – ჰო, ოღონდ არა ქართველს. აკი სამშობლო მისთვის უფლის მამულია და დედა ღვთისმშობლის წილხვედრი მიწა. ამიტომაც სამშობლოსთვის ბრძოლა საცხოვრებელი ადგილის ან საკუთარი კარ-მიდამო-ყანებ-საძოვრების დაშთენისთვის თავის გამეტება როდი იყო... არა! სამშობლოს დაცვა და მისთვის ყველაფრის შეწირვა იყო კიდევ უფრო დიდი რამ: ეკლესიის – ქრისტეს სხეულის დაცვა!

– მამა ადამ, რას უსურვებდით ჩვენი ჟურნალის შემქმნელებსა და მის მკითხველს?

– მე მხოლოდ რამდენიმე ნომერი მინახავს ამ ჟურნალისა. ვფიქრობ, კარგი იქნება, „ისტორიანმა“ აიღოს თავის თავზე საგანმანათლებლო ფუნქცია არა მარტო წარსულის ისტორიის წარმოჩენის თვალსაზრისით, არამედ საკუთრივ ისტორიული მეცნიერებების, ისტორიოგრაფიის, ეთნოგრაფიის, ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის სხვა თანამედროვე და ახალი კვლევითი მიმართულებების პოპულარიზაციისთვის. გადის დრო, იცვლებიან ადამიანები, იცვლება აზროვნების ფორმები, კვლევის მეთოდოლოგია, ვივიწყებთ წარსულს ან ხდება წარსულის ხატების მეტამორფოზები ჩვენში... მეორე მხრივ – ამ ცვლილებებს ხშირად, სამწუხაროდ, ვერ მიჰყვებიან ისინიც კი, ვისი პროფესიაც დროისა და სივრცის, ღირებულებათა, დამოკიდებულებათა მუდმივი გადააზრებაა – მეცნიერულ ძიებებში ჩართული ადამიანები. ასეთ შემთხვევაში ძნელია უზრუნველყო ღირსეული, მაღალხარისხოვანი მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო დიალოგში, პასუხის გაცემა იმ კითხვებზე, რომელთაც სვამს ძალიან სწრაფად ცვლადი თანამედროვეობა – არა მარტო მეცნიერება, არამედ საერთაშორისო თანაცხოვრება.

ალბათ, ამ მიზნით კარგი იქნება, თუ ჟურნალს გავამდიდრებთ ცნობილ და მსოფლიოში აღიარებულ მეცნიერებთან საუბრებით. იმასაც დავამატებ, რომ იმთავითვე უნდა გვქონდეს გათავისებული – მეცნიერების პოპულარიზაცია ერთ-ერთი ყველაზე რთული სამუშაოა.

– და ბოლოს...

– ლექსი, რა თქმა და დიდი ფიქრი ამას უნდა, აუცილებლად – ლექსი!

...იმ ტალღებიდან
გაეწვდინათ მრავალთ ხელები,
უთბილეს კუბოს რომ შეეხონ

სანატრელ წამით,
მისწვდნენ პოეტს,
მის სიმაღლეს,
მის დაფნის გვირგვინს...
და არ იციან,
რომ შეეხონ,
შეიგრძნობენ მხოლოდ ეკლებს,
ნედლ ფოთოლთ და სურნელოვან ყვავილთ კი არა!
იმ ვარდებისგან, რომ უძღვნიდნენ
ფიფქების და სხივთა ნაცვლად
ქანცგაწყვეტილს ავანსცენაზე,
ქუჩაში მარტო გამოსულის ხელში სახლამდის
ქარის წყალობით არ რჩებოდა არაფერი
ეკლების გარდა.
ფრთხილად ჩადებდა ქოხის მდგმური
ლარნაკში ტოტებს
და ყოველ დილით ღამენათევი
წყალს უცვლიდა –
ინახავდა ნაჩუქარ ეკლებს
გოლგოთისთვის...

(„ეკლები“)

„უშენობის ასი დღე და ღამე“

მიძღვნა

ამ ესეს ვუძღვნი ჩემთვის ძვირფას ადამიანებს – იმათ, ვინც იმ საღამოს – 2015 წლის 9 ნოემბერს – თბილისის კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმში ჩემთან და „ნისლებში აფრენილ ბილიკთან“ ერთად იყო და თავისი ერთსულოვნებით მონაწილეობდა კიდევ ერთი პერფორმანსის შექმნაში მარადიულ ღირებულებებზე:

მეუფე დანიელს,

ნანა ავალიშვილს,

ნანა დიმიტრიადს,

ნუგეშა მესხს,

მარინა ჩიხრაძეს,

ნუცა კასრაძეს,

მაკა შალიკაშვილს,

მანანა სურმავას,

მაია ჯინჭველაშვილს,

ქეთევან თავშავაძეს,

ვახტანგ ახალაძეს,

ირაკლი ოქიტაშვილს,

ჩემს გვერდით მყოფ და ჩემთან ერთად ცრემლდანაღვ-ღვრელ ნაცნობ-მეგობრებსა
და იქ მობრძანებულ თითოეულ სტუმარს!

ვიდრე ასმეერთე დღე გათენდებოდეს

9 ნოემბერს გამართული საღამოთი მიხომ კიდევ ერთხელ შესცვალა ჩემი ცხოვრება!

რასაც ვაკეთებდი, იმაში დაურწმუნებლობის,

რაც უნდა გამეკეთებინა, იმაზე ყოყმანის,

და კიდევ –

ჩემს განწყობათა, დამოკიდებულებათა,

მომავალზე ზრუნვა-ფიქრთა გაუთავებელი მეტამორფოზების

ასი დღე და ღამე იწურებოდა.

როგორი უნდა გათენებულიყო ასმეერთე დღე?

9 ნოემბრის საღამომ პასუხი მაპოვნინა.

ამიერიდან ჩემი ცხოვრების თითოეული დღე, ყოველი აზრი, ფიქრი, განზრახვა, სიტყვა, ქმედება, ამოსუნთქვა და გულისძგერა ისეთივე სიღრმეებითა და სიმაღლეებით უნდა იყოს აღბეჭდილი, ისეთი მშვენიერითა და ამაღლებულით უნდა დაიყურსოს, ისეთი განუმეორებელი მხატვრულობითა და სულიერებით უნდა შევმოსო, როგორც ეს საღამო!

და, თუ ეს შესაძლებელია, კიდევ უფრო მეტადაც!

მაინც რა მოხდა იმ საღამოზე?

სიტყვებით გადმოსცე ყველაფერი, რაც იმ ორმა საათმა მოიცვა, თითქმის შეუძლებელია და წარმოუდგენელი. თანაც იმ საღამოს ხომ წინ მარტოობის ასი დღე-ღამის გარდა კიდევ რამდენი რამ უძღოდა, მაგალითად, ათი, თუ თერთმეტი ადრინდელი პერფორმანსი, ჩვენი – იქ მყოფთა

– ამქვეყნად ცხოვრება და კაცობრიობის ისტორია ამ საღამომდის, უამრავი ადამიანის, ვთქვათ, განუმეორებელი ბახისა და უდიდესი ბეთჰოვენის სიცოცხლე და მუსიკა, ვინ იცის, რამდენი რთველობა და მკა, ქორწილი და ქელეხი, თოფის გასროლა და თოხის მოქნევა, გუთნისდედის ღიღინი და აკვნისდედის ნანა... და აკი თითოეულ ამათგანს თავისი კვალი დაეტოვებინა ჩვენში!

რომ მეგონა, ერთხელო – არა! შევმცდარვარ! თურმე სამ აგვისტოს რამდენჯერმე მოვკვდი. ამას ის მკარნახობს, ამას იმით ვამტკიცებ და ვადასტურებ, რომ აკი რამდენჯერმე უკვე გავცოცხლდი, ოღონდ ბოლომდე ჯერ არა.

პირველი მობრუნება სააქაოსკენ მაშინ მოხდა, ღვთის განგებულებით, კეთილი ადამიანების გულისხმიერებითა და თანადგომით, ორშაბათს გარდაცვლილი შვილი ხუთშაბათს რომ თბილისში ჩამოფრინდა.

რაღა მომკლავდა?!

პირიქით! რომ დავინახე ცოტა უხერხულად, მაგრამ მაინც ძალიან ლამაზად გაშოტილი ამხელა ვაჟკაცი, ძალაუნებურად გავუღიმე, ახლოს მივედი, დაველაპარაკე, დავამშვიდე, ვთხოვე, არაფერზე ედარდა, არც აღელვება იყო საჭირო. მერე ისიც ვუთხარი, ნუ გეშინია, ნურც ბევრი ხალხი დაგაფრთხობს, მე ხომ ვიცი, ხალხმრავლობა არ გიყვარს, ახლავე შინ წავალთ-თქო.

მერე საფეთქელზე მთხვევა გავუბედე, ხელის მტევნებსა და შიშველ ფეხის ტერფებზე მივუალერსე და შინ წამოვედით. ასე გავცოცხლდი პირველად, როცა ქართულ მიწაზე დავიგულე ჩემი შვილი – ამ სოფლიდან ღვთის სასუფეველში გადასული, ჩემგან წასული, დიახ, წასული, ოღონდაც – არა დაკარგული!

იმ დღეებში (დაკრძალვის მერე) ბევრი სამძიმარი მივიღე, მათ შორის – წერილობითიც. რამდენიმე წინადადების იქით

ვერ მივდიოდი... ვცადე რამდენჯერმე, რაიმე მცირე ზომის ტექსტი წამეკითხა. არ ვიცი, რა დამემართა, უფრო სწორად – როგორ არ ვიცი: ეს იყო ნიშანი იმისა, რომ მოვკვდი!

რადგან თუკი არ ვკითხულობ და არ ვწერ, ესე იგი არ ვარსებობ.

ჰოდა, ერთხელაც, სასთუმალს მიყრდნობილი, არცთუ ნათელ ფიქრებში ჩაძირული, ხან აქეთ ვიხედებოდი, ხან – იქით, ხან კიდევ – თვალდახუჭული გავურბოდი რაღაცას... უცებ ჩემი მზერა საწოლის გვერდით, თაროზე ერთიმეორეზე დაწყობილი წიგნების ვერტიკალურ ჯერს გადააწყდა. წამოვიწიე და მექანიკურად ერთი მომცრო წიგნი გამოვაძვრინე, არც მიფიქრია, რომელი. აღმოჩნდა მოგონებები მამა ალექსანდრე მენზე. შვიდიოდე გვერდი რომ წავიკითხე, მაშინღა მივხვდი, არსებობას რომ ვაგრძელებდი და ბევრ რამეზეც დავფიქრდი – კაცის უსუსურობასა და სიძლიერეზე, სულიერ შვილებზე, მოძღვრის მოვალეობაზე, ბერმონოზვნურ ბედიღბალზე, კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენაზე, წარსულზე და მომავალზეც...

კედელი

ახლაც, 9 ნოემბრის საღამოს, ვიჯექი სცენაზე და თითქმის ზუსტად ვხვდებოდი, ლამის ფიზიკურად ვგრძნობდი, რომ კედელი აღმართულიყო ჩემსა და ირგვლივ არსებულ სამყაროს შორის.

გარეშემო სამყარო არსებობდა, ცოცხლობდა, ოღონდაც ოდნავ ინდიფერენტული ტკივილებისა და დანაკარგების მიმართ (ერთი კი იყო, არაფრით გულგრილი – არა და არა!), ზუსტად ისეთი, სამყაროსავით გამოცდილ ადამიანებს

რომ ემართებათ, რადგან იმდენი სიცოცხლე და სიკვდილი აქვთ ნანახი და განცდილი, აღარც სათქმელი აქვთ რაიმე და აღარც სატირალ-საცინარი, მხოლოდ გული გრძნობს ამ ტკივილებსა და დანაკარგებს და უთქმელად, უხმაუროდ იგვირისტებს ნაწიბურებად საკუთარ ხორცში!

მე ჩემს რვეულებს ჩავყურებდი და
დაჟინებით გადამჭონდა მზერა მიწისკენ -
ჩავშტერებოდი იმ დაჯერებით,
რომ მიწათმიწა - ის მთავრდება იქ, სიღრმეებში
ზუსტად ისე, როგორც იწყება ჩემთან აქ, ლოდქვეშ,
უბალახო გადატკეპნილ ბილიკით
(და ბილიკის დარდით),
რომელსაც თავდავიწყებით, არა, ჩიტივით უყვარს სიმაღლე,
მთისწვერს რომ გასცდა
და ამიტომაც,
როცა იქვე, ჭიშკრის მიღმა წაბლისა და ნაძვის ხეების
სულ პატარა კორომს გასცდება,
ანწლების იქით გაივაკებს,
გაიშლება, ამოისუნთქავს,
ტკივილამდე შეიკუმშება
მიტკლისფერშუბლდასახიანი ბერიკაცის ძველი გულივით
და მოწყდება დედამიწას -
აიჭრება!
აი, მთისწვერზე მაღალი ზეცა
საითაც მიქრიან ჩიტები, ბილიკები, დაჭრილი გულები...[1]

1 მამა ადამი. ნისლებში აფრენილ ბილიკთან (ლექსი). იბეჭდება წინამდებარე წიგნში.

ამ სამყაროს პირისპირ ვიდექი. გაოგნებულს ჩემს არსებობასა და ყოფიერებაში ახლადაღმოჩენილი სიკვდილებითა და სიცოცხლეებით ჯერ არ მეცალა, გულსა და თვალებში ჩამეხედა მისთვის. ეს მოუცლელობა ბადებდა იმ უხილავ, გულში ჩაფესვებულ კედელს, რომელიც მალე ხილულ ფიზიკურ სხეულად შეიძლებოდა გადაქცეულიყო. უცნაური კი ის გახლდათ, რომ კედლის ამგვარ მეტამორფოზას ჩემს წარმოსახვაში მისი გაქრობა მოჰყვებოდა. ალბათ, ამიტომაც არ ჩქარობდა, მაცლიდა და მეც ჯერჯერობით მხოლოდ იმას ვხედავდი, რაც ყველაზე მგრძნობიარე, ახალი და შესაბამისად – სისხლმდენი იყო: სულის ჭრილობებს!

და მაინც კედელი იყო აღმართული ჩემსა და ირგვლივ არსებულ სამყაროს შორის, მაგრამ იმისთანა, მის მიღმა ყველაფერი, კარგად მორგებული სათვალისა არ იყოს, უკეთესად რომ ჩანს, უფრო ნათლად და უზუსტესი კონტურებით.

ყოველ ჯერზე, როცა კი სკამიდან უნდა წამოვმდგარიყავი და ლექსი წამეკითხა, ვგრძნობდი, ეს კედელი ჩემი სამყაროს საზღვრები იყო მხოლოდ. ამიტომაც, ფეხზე წამომდგარი, უბრალოდ ნაბიჯს კი არ ვდგამდი – ამ კედლის მიღმა ვაბიჯებდი და ადამიანებს იმას ვეუბნებოდი, რა სათქმელიც გულში დამგროვებოდა...

მერე ისევ კედლის აქეთ გადმოვაბიჯებდი და ისევ უნდა მეფიქრა... ცხადია, ჩემი მეგობრები რომ არა – პერფორმანსში მონაწილე მსახიობები და მუსიკოსები – მარტო, ალბათ, ვერ გავწვდებოდი, ვერ ვეყოფოდი მთელ საღამოს.

ლექსიდან ლექსამდე, უკვე ნათქვამიდან ისევ სათქმელამდე, მუსიკიდან სიტყვამდე, ნოტებიდან ნოტებამდე, ბგერებით სავსე სივრციდან სიჩუმემდე, სტრიქონიდან სტრიქონამდე ისევ ვივსებოდი იმ

გრძნობებითა და განცდებით, იმ ფიქრებითა და განწყობებით, იმ ყველაფრით, რაც დაურწყულებულ, „გამოფიტულ მარტოობაში“ რუდუნებით გამომეზარდა, „ნისლებში აფრენილ ბილიკთან“ მაკავშირებდა და ახლა ვაპირებდი, იქ შეკრებილი ადამიანებისთვის გამეზიარებინა!

წინასიტყვაობა წინათგრძნობაზე

დარბაზში შემოსულს სავარძელზე ფერად ქაღალდებზე დაბეჭდილი ტექსტი ხვდებოდა. იქ ასეთი რამ ეწერა:

„...მეკითხებიან, წინათგრძნობა არ გქონდათ?

რომელ მშობელს არ აქვს წინათგრძნობა?! რომელი მშობელი არ გრძნობს ყველა უჯრედით, ყველა ძარღვით, ყველა გატოკებით თავის შვილს და ვის არ ეშინია?!

მეც მეშინოდა, სულ მეშინოდა, არ დამეკარგა, არ წასულიყო... მაინც წავიდა. ვერ გადავმალე, ვერ დავიცავი, ვერ გადავეფარე. ო, რა სუსტია მშობელი თურმე, რა უსუსური! განა მშობელს მეტი სიძლიერე არ უნდა ჰქონდეს მიმადლებული, რომ შეიძლოს, შვილს მიწვდეს, ხელი შეაშველოს, მალამოდ დაედვას, ავისგან დაიფაროს, საფრთხეს გადაარჩინოს და ტკივილი დაუამოს?

წინათგრძნობა...

შვილის გარეშე რომ დავრჩი ამქვეყნად, გონებაში წამომიტივტივდა ბევრი რამ, რაც მანამდე დამეწერა და რაც თითქოს ახლანდელ ჩემს მდგომარეობას უფრო მეტად შეესატყვისება, ვიდრე მაშინდელს, იმდროინდელს, როცა იწერებოდა; ამიტომაც ვინმეს შეიძლება ეგონოს, რომ ახლა დაიწერა – სამი აგვისტოს მერე.

(...)

რა ჰქვია ამას? წინასწარ განჭვრეტა? არამც და არამც. ეს სტრიქონები ხომ ისევე დაიბადა, როგორც ბევრი სხვა. ამას

უბრალოდ შემოქმედება ჰქვია. პოეზიას თავისი კანონები აქვს და ხშირად, როცა იგი სახელს არქმევს, მოვლენასაც ჭვრეტს, ნიშანსაც ადებს, ამას ველარ გაექცევი, როგორც ბედისწერას, როგორც სიკვდილს...

ეს ყველაფერი, დიახ, ესეც შემოქმედის ბედისწერის ნაწილია. ტრაგედიაც. გაუბარებლობაც. სატანჯველ-საწამებელიც. მიტოვებულობა-მარტოობაც. ზოგჯერ შიშიც. ისიც, რომ არ გამჩნევენ, არ გფურცლავენ ან ვერ გიგებენ. ყველაფერი.“ [2]

ახალი წიგნისთვის დაწერილი წინასიტყვაობა ჩვენი საღამოს პროლოგადაც გამოდგა, ესე იგი ჩვენი ლიტერატურულ-მუსიკალური პერფორმანსის ერთგვარ გასაღებად იქცა.

მიხო და ჯონათანი

მიხოზე ფიქრებმა ერთ დღეს ჯონათანი არ გამახსენა?! ჰო, სწორად მიმიხვდი, ჯონათან ლივინგსტონი.

რატომ მიეცი უფლება, მოტოციკლეტი ეყიდა და ასე ევლოო... ფულს რაღაზედ უგზავნიდიო... ბაიკერობა ხომ ასეთი საშიშია, განა არ იცოდიო...

ვერაფერს ვპასუხობდი. მხოლოდ გამუდმებით ვფიქრობდი. შეძლებისდაგვარად შეუმჩნევლად ვგლოვობდი, უჩუმრად ვდარდობდი...

ის კი ვთქვი, რომ მე ჩემს თავს უფლებას ვერ მივცემდი, შვილი შემეზღუდა თავსმოხვეული წესებით, აკრძალვებით, რა შეიძლება და რა – არა, ჩემი პირადი შეხედულებებით ან მიდრეკილებებით... მე ხომ მას უპირობოდ ვენდობოდი და პატივს ვცემდი. მას – ასე ჭკვიანს,

2 ეს გახლავთ ფრაგმენტი წინამდებარე წიგნში დაბეჭდილი ავტორისეული ტექსტისა „პროლოგი, თავად პროლოგი“

განათლებულს, ლამის ყველაფრის მცოდნეს, განსხვავებულ მოაზროვნეს, არაჩვეულებრივ ანალიტიკოსს, ნიჭიერ ტექნიკოსს, საოცრად მზრუნველ და ერთობ მორიდებულ შვილს, თვალსაჩინოდ გამორჩეულ პიროვნებას.

განა შეიძლება ადამიანს დაუშალო ფრენა, არ მისცე თავისუფლება, არ გაუხსნა ფართო გზა მის მისწრაფებებს, სურვილებსა და ნიჭს.

მიხო ფრთხილიც იყო, დაკვირვებული, მაგრამ სიჩქარეც უყვარდა – ქროლვა სიცოცხლეს უხალისებდა. ზამთარში სნოუბორდით დასრიალებდა გუდაურში, სხვა დროს თავის მშობლიურ ქალაქში მოტოციკლეტით დადიოდა.

ახლაც, როდესაც ასეთი გამოუსწორებელი ტრაგედია დატრიალდა, ყველაფერი რომ უკან დააბრუნოს დროის მანქანამ, მე ისევ ვერაფერს ავუკრძალავდი. აკი არ მახსოვს, მოძრაობის წესები დაერღვიოს, ან გულგრილად მოჰკიდებოდეს უსაფრთხოების ნორმებს. ის პროფესიონალი იყო თავისი ბუნებით, ყველა საქმის პროფესიონალი, რასაც აკეთებდა.

ბოლო სამი წელიწადი ფსიქოლოგიის ბაკალავრიატში გააგრძელა სწავლა – ასე განსაზღვრა თავისი მოღვაწეობა მომავალში. მე მხოლოდ გავიხარე მისი გადაწყვეტილებით და რითიც შემეძლო, დავეხმარე.

ჩემთვის ჩემი შვილი – ფრენასა და ქროლვაში ამ სოფლის საზღვრებს გამცდარი და ჩემს თვალთაგან დაფარული – ისეთივე ახლობელია, ისეთივე თბილი და დაუთმობელი, როგორც ჩემთან მოხუტებული, ჩემდამი სიყვარულით სავსე და ამავე დროს მომავალზე, მოყვასზე, სიკვდილ-სიცოცხლეზე, ფრენასა და ქროლვაზე მოფიქრალი.

ალბათ, ამიტომაც გამოარჩია უფალმა და ლოგინში სიკვდილი აუკრძალა!

ეს ერთეულების ხვედრია.

ამიტომაც მომიტანა გაუსაძლისი ტკივილი.

და მაინც ვიტყვი, რომ ვერ გამოვდგები ვერასოდეს იმ თოლიების სათათბიროს უხუცესად, რომლის მედიდურმა, უკიდურესად ცერემონიულმა ხმამ ამ მზისქვეშეთში გასული საუკუნის 60-იანი და 70-იანი წლების საზღვარზე ერთი *„წყნარად აჭავლებული ზღვის“* სანაპიროზე ზვიადად წარმოთქვა:

„– ჯონათან ლივინგსტონ! შუაში გამოდი!..

თოლია ჯონათან ლივინგსტონ!.. ცენტრში გამოდი! შენ თავი მოიჭერი თანაგუნდელი თოლიების თვალში!

... შესარცხვენად ცენტრში გამოყვანა - თოლიების საზოგადოებიდან განდევნასა და შორეულ კლდეებში სიმარტოვეში გასახლებას ნიშნავდა.

– ერთხელაც, თოლია ჯონათან ლივინგსტონ, შენ მიხვდები, რომ უპასუხისმგებლობას ვერაფერი გამოისყიდის. ცხოვრება გაუგებარია და შეუცნობელი და, როგორც ჩანს, ჩვენ ამქვეყნად იმისათვის მოვედით, რომ ვჭამოთ და რაც შეიძლება დიდხანს ვიცოცხლოთ“.

რა დაგემართათ? ნუთუ ვერ მიხვდით, რომ:

„თოლია ჯონათან ლივინგსტონი, რომელმაც ყოველგვარი დარცხვენის გარეშე ისევ გაშალა ფრთები და ისევ იმ მტკივნეული ვირაჟის გაკეთებას შეუდგა, – შეანელა, შეანელა და ისევ შეჩერდა, – ჩვეულებრივი თოლია არ გახლდათ“.

მიხო იმ გორისა იყო, ვისაც არ შეეძლო ჩვეულებრივი ყოფილიყო. აკი

„თოლიების უმრავლესობა თავს არ იწუხებს იმით, რომ ფრენის ელემენტარულ წესებზე მეტი რამ ისწავლოს, – მხოლოდ იმდენი, რამდენიც ნაპირიდან გაფრენასა და საკვების შოვნას ეყოფა. მათთვის მთავარი ხომ ფრენა კი არა, საჭმლის შოვნაა.

თოლია ჯონათან ლივინგსტონს კი ყველაზე მეტად ფრენა უყვარდა“.

ყველას, ვისაც ყველაზე მეტად ფრენა უყვარს და არ შეუძლია მიწაზე განრთხმულმა იხოხოს მთელი სიცოცხლე, ესმის ჯონათან ლივინგსტონის. იმედი მაქვს, ისინი მიხოსაც გაუგებენ და აპატიებენ უნებურად ამდენი ტკივილით რომ გააჯერა ჩვენი სუნთქვა და გულისცემა.

„(...) ჰოდა, იმ დილას, ზუსტად მზის ამოსვლის შემდეგ მოხდა, რომ ჯონათან ლივინგსტონი პირდაპირ საუზმის გუნდში შეიჭრა საათში ორასთორმეტი მილის სისწრაფით, – თვალდახუჭული, ჰაერისა და ბუმბულის საშინელი შხუილით. ბედმა – ბედის თოლიამ – ამჯერად გაუღიმა და დაჯახებისგან არავინ დაღუპულა.

იმ მომენტში, როცა ნისკარტი ზემოთ ასწია, ჯერ კიდევ ასსამოცი მილით მოჰქროდა. როცა სიჩქარე საათში ოც მილამდე დაეცა და ჯონათანმაც, ბოლოს და ბოლოს, ფრთები ისევ გაშალა, უკვე ოთხი ათას ფუტზე იყო. ქვემოთ დარჩენილი გემი წერტილივით მოჩანდა.

მისი გონება ტრიუმფს ზეიმობდა: ზღვრული სისწრაფე!

თოლია, რომელმაც განავითარა ორასთოთხმეტი მილი საათში!

ეს გარღვევა იყო, უდიდესი ინდივიდუალური მიღწევა გუნდის ისტორიაში. და ამ მომენტიდან ჯონათან ლივინგსტონისათვის ახალი ერა დაიწყო.

კვლავ ყველასაგან მოშორებულ თავის სავარჯიშო სივრცეს დაუბრუნდა, რვა ათას ფუტ სიმაღლეზე ავიდა და ფრთები შეიკეცა: გადაწყვეტილი ჰქონდა გაეგო, როგორ ხდებოდა მოხვევა დიდი სისწრაფით ფრენისას.

აღმოჩნდა, რომ ფრთის წვერის ერთ ბუმბულს, ინჩის რაღაც ნაწილს, თავბრუდამხვევი სიჩქარით ვარდნიდან რბილ მრუდზე გამოყვანა ძალუძს, თუმცა, ვიდრე ამას გაიგებდა, ჯერ აღმოაჩინა, რომ ასეთი სისწრაფით მოძრაობისას ერთ ბუმბულზე

მეტის განძრევა გასროლილი ტყვიასავით აბზრიალებდა... და ჯონათანმაც დედამიწის ყველა თოლიაზე ადრე განვლო პილოტაჟის უმაღლესი კურსი.

იმ დღეს სიტყვაც არ უთქვამს სხვა თოლიებისთვის, – დაღამებამდე ცდებს ატარებდა. აღმოაჩინა მარყუჟი, ნელი გადაბრუნება, წერტილოვანი ვარდნა, თოლიას „ჯიბე“, ჯაჭვური ბორბალი...

მთლად ჩამობნელებულიყო, როცა ჯონათან ლივინგსტონი ნაპირზე მსხდომ გუნდს შეუერთდა. სასტიკად დაქანცულს, თავბრუ ესხმოდა. თუმცა ძირს დაშვებისას, სიამოვნებისაგან მარყუჟი შეკრა და მიწაზე დაჯდომამდე სულ ერთი წამით ადრე ფრთების ტკაცუნით ამოტრიალდა ჰაერში.“

რას ფიქრობენ ჯონათანები და მიხეილები?

უპირველეს ყოვლისა იმას, რომ ნამდვილი თოლია ჯონათანი თითოეულ ჩვენგანში ცხოვრობს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ისინი სულაც არ გვიყურებენ ზემოდან ქვემოთ, არ დაგვცინიან და არ ამაყობენ. მათ გულუბრყვილოდ სწამთ, რომ ისინი ჩვეულებრივი თოლიები არიან, ხოლო სხვები?! უბრალოდ, მათ ჯერ ეს არ იციან, ჯერ არ მიეცათ საშუალება, გაეგოთ, რომ ცხოვრებას სხვა მიზნებიც შეიძლება ჰქონდეს, გარდა საზრდოს მოპოვებისა...

„ამას რომ გაიგებენ, – გაივლო ჯონათანმა, – ამ გარღვევის ამბავს, სიხარულით გაგიჟდებიან. კიდევ რამდენი რამისთვის ღირს, თურმე, ცხოვრება! იმის ნაცვლად, რომ სულ წინ და უკან ვიბოდიალოთ თევზსარეწ გემებზე, ახლა ცხოვრების მიზანი გაჩნდა! ახლა შეგვიძლია უმეცრებიდან გამოვიდეთ, შეგვიძლია დავინახოთ, რა სრულქმნილი, რა გონიერი, რა ოსტატობის მფლობელი ქმნილებები ვართ. ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ თავისუფლები! ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ ფრენა!

მომავალი წლები იმედისმომცემად ციალ-კიალებდნენ.

(...) და თოლია ჯონათან ლივინგსტონი ვარსკვლავივით სხივოსან ორ თანამგზავრთან ერთად ზემოთ წავიდა და

სრულქმნილი ცის მანათობელ წყვდიადში გაუჩინარდა.

„ესეც ზეცა“, - გაიფიქრა ჯონათანმა და საკუთარ თავზე გაეცინა. კარგ ტონად ვერავინ ჩაუთვლიდა ზეციერების ანალიზს სწორედ იმ წუთებში, როცა იქ შესასვლელად მიეშურებოდა.

ახლა, როცა მიწა დატოვა და, ორ ბრწყინვალე თოლიასთან ერთად, ღრუბლებს მოექცა თავზე, ჯონათანმა შენიშნა, რომ თვითონ მასაც ამ მეგზურებივით უბრწყინავდა სხეული. მართალია, ახლაც იგივე ახალგაზრდა თოლია ჯონათანი იყო, რომელსაც ყოველთვის უცხოვრია მისი ოქროსფერი თვალების მიღმა, მაგრამ ამჯარად გარეგნობა თუ იერი ეცვლებოდა.

თავის სხეულს ისევ თოლიას სხეულად გრძნობდა, მაგრამ ეხლა ეს უკანასკნელი ისე მიფრინავდა, როგორც არასოდეს უფრენია მის უწინდელ სხეულს.

„ორჯერ ნაკლები ძალისხმევით ორჯერ უფრო დიდ სისწრაფეს მივაღწევ, – ფიქრობდა ახლა, – ორჯერ უკეთეს შედეგებს, ვიდრე მიწაზე ცხოვრების საუკეთესო დღეებში“.[3]

ჩემო მკითხველო, მგონი დაგღალე! „თოლიას“ ხომ უჩემოდაც წაიკითხავდი.

მაინც რა მოხდა იმ საღამოზე?

უკვე ვთქვი, რომ 9 ნოემბრის საღამომ პასუხი მომცა-მეთქი:

ამიერიდან ჩემი ცხოვრების თითოეული დღე, ყოველი აზრი, ფიქრი, განზრახვა, სიტყვა, ქმედება, ამოსუნთქვა და გულისძგერა ისეთივე სიღრმეებითა და სიმაღლეებით

3 რიჩარდ ბახი. თოლია ჯონათან ლივინგსტონი. ინგლისურიდან თარგმნა დათო აკრიანმა. http://www.aisiforce.org/files3/022_Jonathan_Livingston_Seagull.doc

უნდა იყოს აღბეჭდილი, ისეთი მშვენიერითა და ამაღლებულით უნდა დაიყურსოს, ისეთი განუმეორებელი მხატვრულობითა და სულიერებით უნდა შევმოსო, როგორც ეს საღამო! და, თუ ეს შესაძლებელია, კიდევ უფრო მეტადაც.

მაინც რა მოხდა იმ საღამოზე? აფიშა იუწყებოდა:

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო
კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმი
საქართველოს საპატრიარქოს
წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი
მიხეილ ახალაძის თეონდი "მამაშვილობა"
9 ნოემბერი 2015 წ.
მამა ადამი (ვახტანგ ახალაძე)
„ნისლებში აფრენილ ბილიკთან,
ანუ უფლობის ასი დღე და ღამე"
ლიტერატურულ-მუსიკალური
პერფორმანსი
მონაწილეობენ:
ნანა აპალიშვილი
ნანა დიმიტრიადი
ნესტან (ნუგეშა) მესხი
ნუცა ჯასრაძე
მაია ჯინჭველაშილი
ქეთევან თავშავაძე
ვახტანგ ახალაძე
მაკა შალიკაშვილი
მანანა სურმავა
დასაწყისი 18:00 საათზე
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული არქივი
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ვკითხულობდით ჩემს ლექსებს.

ჟღერდა შუმანი, ბახი, შუბერტი, შოპენი, როტა, გერშვინი, სანხუანი, ლეგრანი...

„იმ საღამოს... ხალხით გაჭედილ დარბაზში მართლაც საოცარი გარემო სუფევდა. აქ მუსიკისა და პოეზიის იშვიათი შეზავება ადამიანის უმთავრეს სათქმელს გამოხატავდა, ერთმანეთის გვერდით ასახავდა მშვენიერებას და სულიერ კონფლიქტს, ბადებდა კითხვებს, აზრებს, ფილოსოფიურ განსჯას, ჰიმნს უმღეროდა შემოქმედის ძალმოსილებას. მუსიკისა და პოეზიის შერწყმა ხომ მხოლოდ აღრმავებს ფიქრსა და განცდას. ვფიქრობთ, მუსიკის, პოეზიისა და სასცენო მოქმედების იმგვარი ორიგინალური შედუღება, ამ პერფორმანსში რომ შედგა, თავისთავად მეტად საინტერესო და ახლებური სიტყვაა, რომელიც, რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა უნდა მოისმინოს და ნახოს...“

(ეს ქალბატონ ნუგეშა მესხს დავესესხე).[4]

გადაწყვეტილება, ლიტერატურულ–მუსიკალური პერ-ფორმანსების შექმნას შევდგომოდი, 2012 წლის დასაწყისში მივიღე და პირველი წარმოდგენა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე გავმართეთ კიდეც.

ამის შემდეგ თითოეული პერფორმანსის შექმნის იდეა უაღრესად საინტერესოდ და მოულოდნელად იბადებოდა ჩემთვისაც, ჩემი თანამოაზრეებისთვისაც და საზოგადოებისთვისაც.

ჩემი დიალოგი თითოეულ შემოქმედთან, თანამო-ღვაწესა და მაყურებელთან პერფორმანსულ დროსა და სივრცეში დიდი შრომით, განსჯით, განცდებით, რუდუნებით, თანდათანობით, მოთმინებით, დრამატული მოვლენების აკომპანემენტითა და მაინც გაუნელებელი მიზანდასახულობით ყალიბდებოდა...

4 ნ. მესხი. „ნოტების ოკეანე თუ სიტყვების ცა“... ვალერიან შიუკაშვილი და არქიმანდრიტი ადამი – მუსიკა და პოეზია. ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2013, N11, გვ. 38–41.

პერფორმანსთა შექმნისათვის აუცილებელი გახდა, თითოეულ ჩვენგანს გასჩენოდა გაუნელებელი სურვილი, ჩასწვდომოდა პარტნიორის შემოქმედების ყველაზე ღრმა პლასტებს... ძნელი იყო განსხვავებული ინტონაციისა და უჩვეულო ჟღერადობის ლექსების გათავისება. კამათს იწვევდა ხოლმე მუსიკალური ნაწილიც, პერფორმანსის ხანგრძლივობაც, სცენოგრაფიაც...

ყველა საღამოს მონაწილე რომელიმე ერთი მუსიკოსი მაინც იყო. ეს ცოცხალ შესრულებას და იქვე სცენაზე საერთო ენის გამონახვას ნიშნავდა. აკი თითოეული შემსრულებელი განსხვავებულად ქმნის მუსიკას, მითუმეტეს მნიშვნელოვანია, ამას ჩასწვდე, როდესაც ეს ხდება აქვე, სცენაზე, შენს თვალწინ. აკი მას მოაქვს მსმენელამდე ის, რაც მთელს სამყაროსთან ურთიერთობის შედეგად მოიპოვა.

თითოეულ წარმოდგენაზე მაყურებელი აღმოჩნდებოდა ხოლმე ჩვენეული პერფორმანსით შექმნილ ერთგვარ დუალისტურ ვიზუალურ განზომილებიან სამყაროში: ეს გახლდათ სინათლისა და სიბნელის, სცენისა და მაყურებელთა დარბაზის, მუსიკოსისა და ლექსთა მკითხველის, პოეტისა და კომპოზიტორის, თეატრალური და პარათეატრალური სივრცეების შერწყმა.

რაც შეეხება აუდიოგანზომილებას, აქ ამ ტრინიტარისტული (სამმაგი) სფეროს ერთ შრეს ქმნის მუსიკა; მეორე შრეს – პოეტური ტექსტები, ხოლო მესამე შრე სიჩუმე ან ხმაურია, რომელიც უსასრულობიდან ჩამოწვება ხოლმე პერფორმანსული სივრცის მშვენიერებაში.

შეიძლება რამდენიმე წუთის განმავლობაში ჟღერდეს მუსიკა, ხოლო მეორე შრეში გაჟღერდეს პოეტური (პროზაული) ტექსტები ოღონდაც ისე, რომ ამ შრეთა ზედდება მკაცრადაა განსაზღვრული დროში. ისინი უნდა ავსებდნენ ერთმანეთს შინაარსითაც, ფერებითაც, დრამატულობითაც...

აი, მთავრდება ტექსტის კითხვა. მუსიკა კი ჟღერს და მხოლოდ მცირე დროის შემდეგ წყდება. შუქი ქრება, გარინდული დარბაზი და სცენა უერთდება საოცარ სიჩუმეს, რომელიც ბევრისმეტყველია და აგვირგვინებს პერფორმანსს...

რა თქმა უნდა, აღწერით ყველაფრის გადმოცემა ძნელია. უმჯობესია, ეს იხილო და მოისმინო... ისიც ცხადია, რომ კონსერვატორიის ისტორიის მუზეუმის სივრცემ თავისი კორექტივები შეიტანა ჩვენს კონცეფციაში.

იმასაც ვიტყვი, რომ არ მეგონა, თუ შევძლებდი სცენაზე გამოსვლას. არ მეგონა, თუ გავუძლებდი ჩემი ტკივილის თუნდაც უმცირესი ნაწილისაც კი საჯაროდ გამხელას...

მიხომ შემაძლებინა. მისმა სიყვარულმა და დიდმა კაცობამ.

იქნებ ჩვენი მამაშვილობის გამოცდილება ვინმეს წაადგეს ტკივილის დაძლევაში, სიკეთის დათესვაში, ცხოვრების აზრის გაგებაში, სიყვარულის პოვნასა და ბოროტების დაძლევაში!

ჩვენი მამაშვილობა ხომ გრძელდება. ჩვენი სიყვარულიც ადამიანებისადმი.

ერთმანეთისადმი სიყვარულს გაფრთხილება უნდა. თორემ შეიძლება ჩვენი ცხოვრების წესით, მიღებული გადაწყვეტილებებით, გარშემომყოფთა მიმართ გულგრილი დამოკიდებულებებით სიყვარული გავთელოთ და ეს ვერ შევამჩნიოთ.

როგორც ცნობილია *„სიყვარული სულგრძელია და კეთილმოწყალე; სიყვარულს არ შურს, არ ქედმაღლობს, არ ზვაობს; არ უკეთურობს, არ ეძებს თავისას, არ მრისხანებს, არ იზრახავს ბოროტს; არ შეჰხარის უსამართლობას, არამედ ჭეშმარიტებით ხარობს; ყველაფერს იტანს, ყველაფერი სწამს,*

ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს. სიყვარული არასოდეს არ გადავა“.[5]

მიხო მოსკოვში რომ დაიბადა ამ 29 წლის წინ, ეს საქართველოში ცოტა ვინმემ თუ გაიგო. მისი გარდაცვალების შესახებ კი ლამის მთელმა ქვეყანამ შეიტყო. აგვისტოს იმ ცხელ დღეებში ათასობით ადამიანი შეეცადა, თავისი წილი პატივი მიეგო მიხოსთვის, სამძიმარი ეთქვა ჩემთვის... კიდევ ერთხელ ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუხდი თითოეულ მათგანს!

აგვისტოს უმძიმესი დღეები იმის სათქმელადაც გავიხსენე, რომ კიდევ ერთი რამ ვიგრძენი პირველივე წუთებიდანვე: ადამიანები ჩემგან ელოდებოდნენ სიტყვასაც და საქციელსაც ისეთს, რწმენაში რომ გააძლიერებდა მათ, იმედს ჩაუსახავდა, სიყვარულში გააძლიერებდა და სულიერ საყრდენად გამოადგებოდა!

ეს ჯვარია, რომლის ზიდვა კაცის ნებაა და მხოლოდ ღვთის შეწევნითაა შესაძლებელი.

ჩემი ერთადერთი ვაჟიშვილის გარდაცვალების პირველივე დღეებში ჩატარებული ღვთისმსახურებებითა და იქ წარმოთქმული ქადაგებებით,[6] მიხოსადმი მიძღვნილი ამ წიგნის გამოცემით, კონსერვატორიაში გამართული ლიტერატურულ-მუსიკალური პერფორმანსით, მიხოს სახელობის ფონდ „მამაშვილობის“ დაარსებითაც შევეცადე ეს ჯვარი მეზიდა...

3 დეკემბერი, 2012 წელი

---

5 პავლე მოციქულის პირველი ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, 13, 4–8.

6 ერთ-ერთი ქადაგება, წარმოთქმული 2015 წლის 7 აგვისტოს იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძარში წირვის შემდეგ, მისაწვდომია ინტერნეტ მისამართზე - YOUTUBE.COM, თამარ მეფის უნივერსიტეტის ოფიციალური არხი.

კომპიუტერული გრაფიკა და დაკაბადონება –
ირაკლი ოქიტაშვილისა

ყველა საავტორო უფლება დაცულია
© არქიმანდრიტი ადამი (ვახტანგ ახალაძე)
© გამომცემლობა “მირკანი”

ISBN: 978-9941-0-8456-0